

ბიორბი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული
ხელოვნების ისტორიისა და კვლელთა დაცვის
ეროვნული კვლევითი ცენტრი

2019 წელს განხორციელებული
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის

ანგარიში





გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი დაარსდა 2005 წელს 12 დეკემბერს, საქართველოს პრეზიდენტის 1038 ბრძანებულების საფუძველზე. ცენტრი არის ქართული ხელოვნების ისტორიის კვლევითი ინსტიტუტის სამართალმემკვიდრე, რომელიც თავის მხრივ დაარსდა 1941წ.

2008 წლის 24 სექტემბერს დამტკიცდა გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის წესდება, რომელშიც განსაზღვრულია ცენტრის სტრუქტურა, მიზენები და ფუნქციები.

წესდების შესაბამისად, ცენტრს ხელმძღვანელობს **დირექტორი** - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, **თამარ ბელაშვილი**.

სამეცნიერო მუშაობას წარმართავს **სამეცნიერო საბჭო** 11 კაცის შემადგენლობით.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, **მზია ჯანჯალია**; **სამეცნიერო საბჭოს მდივანი** - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი **მარინე ბულია**.

ცენტრის სტრუქტურა:

სამეცნიერო ნაწილი - ორი განყოფილება:

- **ძველი და შუა საუკუნეების ხელოვნების განყოფილება** (განყოფილების გამგე - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, **დავით ხოშტარია**)

- თანამედროვე ხელოვნების განყოფილება (განყოფილების გამგე - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, მარინა გაჩეჩილაძე)
- არქივი და ბიბლიოთეკა (გამგე - გურამ ჟღენტი)
- ძეგლთა აღწერილობისა და სამეცნიერო ინფორმაციის ჯგუფი (ხელმძღვანელი - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თამაზ დვალი)
- სერგო ქობულაძის სახ. ხელოვნების ძეგლთა ფოტოფიქსაციის ლაბორატორია (გამგე - მარინა ფანცხავა)

ცენტრის ფუნქციები:

ქართული ხელოვნების (ძველი, ახალი და თანამედროვე ხელოვნების), საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ შექმნილი მხატვრული ნაწარმოებების შესწავლა, ფუნდამენტური მეცნიერული კვლევა; მისი პოპულარიზაცია, სამეცნიერო და საზოგადოებრივი პროექტების დაგეგმვა-განხორციელება, საგამომცემლო საქმიანობა. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა საკონსერვაციო პროგრამების შემუშავება და განხორციელებული პროექტების ექსპერტიზა; ძეგლების ფოტოფიქსაცია; საგანმანათლებლო საქმიანობა; კვლევითი და საკონსერვაციო მეთოდოლოგიის შემუშავება; რეკომენდაციები კულტურის პოლიტიკის მიმართულებით.

- ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევები ხელოვნების ისტორიისა და ზოგადად კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით;
- ძველი, ახალი და თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაცია (სამეცნიერო და პოპულარული გამოცემები, გამოფენები, ვებ-გვერდები, ტურისტულ-საინფორმაციო გამოცემები; მედია პროდუქცია და სხვ.);
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისა და სრულყოფისათვის მეცნიერულად დასაბუთებული თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება;
- ძველი, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ობიექტების ფიქსაცია და ინვენტარიზაცია (მოძრავი და უძრავი ძეგლების პასპორტების შედგენა), კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაციისა და დოკუმენტაციის დიგიტალიზაცია, დაკომპლექტება და არქივირება;
- ხელოვნების ნაწარმოებთა ფასეულობების (ობიექტების) ექსპერტიზა მათი მხატვრული ღირებულებების დადგენის მიზნით;
- კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების (როგორც მოძრავი, ასევე უძრავი) სარესტავრაციო-საკონსერვაციო პროექტებისა და მათი განხორციელების სამუშაოების ექსპერტიზა და მონიტორინგი.

- სასწავლო და საგანმანათლებლო პროცესებში მონაწილეობა (საშუალო სკოლა, უმაღლესი სასწავლებლები - საბაკალავრო და სამაგისტრო კურსები);
- კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებების ფოტოფიქსაცია, დოკუმენტირება, არქივირება და სხვ.
- საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო შეკრებების მოწყობა და მონაწილეობა საქართველოში და საზღვარგარეთ;
- გ. ჩუბინაშვილის ცენტრთან არსებული ს. ქობულაძის სახ. ძეგლთა ფიქსაციის ფოტო-ლაბორატორია აწარმოებს ძეგლთა, ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნების ნაწარმოებთა ფოტოფიქსაციასა და დიგიტალიზაციას. ლაბორატორიაში ინახება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებთა უნიკალური ფოტო-ასახულობანი (სლაიდები, დიგიტალური გამოსახულებანი).

2019 წელს ცენტრში ირიცხებოდა 55 მეცნიერ თანამშრომელი, აქედან: 26 მთავარი მეცნიერ თანამშრომელი; 11 უფროსი მეცნიერ თანამშრომელი; 18 მეცნიერ თანამშრომელი; 1 ლაბორანტი, 8 შტატგარეშე, 2 ასოცირებული თანამშრომელი; 14 ადმინისტრაციის, ბიბლიოთეკის, ფოტოლაბორატორიის თანამშრომელი და დამხმარე პერსონალი.

2019 წელს ცენტრის სამეცნიერო საქმიანობა წარიმართა შემდეგი მიმართულებებით:

1. წინაქრისტიანული ხანის ხელოვნება; 2. შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრება; 3. შუა საუკუნეების ქვის პლასტიკა და ლითონმქანდაკეობა; 4. შუა საუკუნეების კედლის მხატვრობა; 5. შუა საუკუნეების ხელნაწერთა გაფორმება; 6. შუა საუკუნეების ხატწერა და მინანქარი; 7. პატრონაჟი, კულტი და ხელოვნება; 8. კულტურათმშორისი დიალოგი; 9. ახალი და თანამედროვე სახვითი ხელოვნება; 10. ქართული სცენოგრაფია; 11. ახალი და თანამედროვე ქართული არქიტექტურა; 12. ქართული ფოტოხელოვნება; 13. საარქივო მასალის დამუშავება და კვლევა; 14. კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაცია-რესტავრაცია: კვლევა, შეფასება, მონიტორინგი; 15. მთარგმნელობითი და საგამომცემლო საქმიანობა.

1. სამეცნიერო პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორიან გამოცემებში

№	პუბლიკაციის ავტორი/ავტორები	ჟურნალი, ტომი, გვერდი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1	Mariam Didebulidze	Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, vol. 13, no.3, 2019, pp 150-156	ISSN – 0132-1447
2	David Khoshtaria	Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, Vol.13, no 2, 2019	ISSN - 0132 - 1447
3	Tamar Khosroshvili	Review of Historical Sciences Vol. XVIII, no2, 2019	ISSN - 2450-7660, 1644-857X
4	Tamar Khosroshvili	Revue Roumaine d'Histoire de l'Art.Série Beaux-Arts #16, 2019	ISSN -0556-8080
5	Kitty Machabeli	Deltion of the Christian Archaeological Society, 2019, Series 4, volume 40,9,	ISSN 1105-5758. e-ISSN 2241-2190.
6	Mzia Chikhradze, Ketevan Shavgulidze, Mariam Shergelashvili	Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, Vol.13, no 2, 2019	ISSN - 0132 - 1447

2. სხვა პუბლიკაციები:

№	პუბლიკაციის ავტორი/ავტორები	ჟურნალი, ტომი, გვერდი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1	ცისია კილაძე	ACADEMIA, #8, 2019-2020 (მიღებულია დასაბეჭდად)	ISSN 1512-0899
2	მზია ჯანჯალია, მარინე ბულია	საქართველოს სიბეველენი, #22, 2019, გვ. 149-175	ISSN 1512-1321
3	მარინე ყენია	საქართველოს სიბეველენი, #22, 2019, გვ.176-205	ISSN 1512-1321
4	დიმიტრი თუმანიშვილი	საქართველოს სიბეველენი, #22, 2019, გვ. 10-29	ISSN 1512-1321
5	სამსონ ლეჟავა	ACADEMIA	ISSN 1512-0899

		#8, 2019-2020 (მიღებულია დასაბეჭდად)	
6	კიტი მაჩაბელი	საქართველოს სიბველენი, #22, 2019, გვ. 50-62.	ISSN 1512-1321
7	ნათია ებანოძე	ACADEMIA #8, 2019-2020 (მიღებულია დასაბეჭდად)	ISSN 1512-0899
8	ქეთევან მიქელაძე	ACADEMIA #7, 2018-2019	ISSN 1512-0899
9	დიმიტრი თუმანიშვილი	ACADEMIA #7, 2018-2019	ISSN 1512-0899
10	სამსონ ლეჟავა	საქართველოს სიბველენი, #22, 2019, გვ. 340-345	ISSN 1512-1321
11	თამარ დადიანი	საქართველოს სიბველენი, #22, 2019, გვ. 95-112.	ISSN 1512-1321
12	ირინე ელიზბარაშვილი	საქართველოს სიბველენი, #22, 2019, გვ. 206-221	ISSN 1512-1321
13	მანანა სურამელაშვილი	საქართველოს სიბველენი, #22, 2019, გვ. 222-247	ISSN 1512-1321
14	ციცინო ჩაჩხუნაშვილი	საქართველოს სიბველენი, #22, 2019, გვ. 247-264.	ISSN 1512-1321
15	მარიამ გაჩეჩილაძე	ალმანახი „მწიგნობარი“ - 2019	
16	მარიამ გაჩეჩილაძე	ARS GEORGICA ელექტრონული ჟურნალი. სერია B. 2019	ISSN 1512-4088
17	მარიამ გაჩეჩილაძე	ARS GEORGICA ელექტრონული ჟურნალი. სერია B. 2019	ISSN 1512-4088
18	მარიამ გაჩეჩილაძე	ARS GEORGICA ელექტრონული ჟურნალი. სერია B. 2019	ISSN 1512-4088
19	მარიამ გაჩეჩილაძე	ARS GEORGICA ელექტრონული ჟურნალი. სერია B. 2019	ISSN 1512-4088
20	ცისია კილაძე	ARS GEORGICA ელექტრონული ჟურნალი. სერია B. 2019	ISSN 1512-4088
21	მარინა მეძმარიაშვილი	Русский клуб, 2019	ISSN 1512-2972
22	მარინა მეძმარიაშვილი	ARS GEORGICA ელექტრონული ჟურნალი. სერია B. 2019	ISSN 1512-4088
23	სამსონ ლეჟავა	ბველი ხელოვნება დღეს 2019	UDC (უაკი) 72+73/76 (479.22) (051.22) (051.2)
24	სოფიო ჩიტორელიძე	ARS GEORGICA ელექტრონული ჟურნალი. სერია B. 2019	ISSN 1512-4088
25	სოფიო ჩიტორელიძე	„არქივმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა –	ISBN 978-9941-8-0504-2

		ტენდენციები და გამოწვევები“, 2019	
26	დიმიტრი თუმანიშვილი	საქართველოს სიბველენი, #22, 2019, გვ.113-148	ISSN 1512-1321
27	სამსონ ლეჟავა	ACADEMIA, 7, 2018-2019	ISSN 1512-0899

5. საერთაშორისო სამეცნიერო პროექტები

№	დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტში ჩართული პერსონალი/როლი	პროექტის სათაური	პროექტის განხორციელების პერიოდი
1	აშშ-ს საელჩო საქართველოში		დავით ხოშტარია (პროექტის დირექტორი) მკვლევარები: მარიამ დიდებულობე ნატალია ჩიტიშვილი ნათია ნაცვლიშვილი გიორგი პაპაშვილი ციცინო ჩაჩხუნაშვილი ნანა კუპრაშვილი საერთაშორისო კონსულტანტები: სტეფანო ვოლტა (იტალია), მერი ქეი ჯუდი (ამერიკის შეერთებული შტატები)	მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრის კონსერვაცია. პირველი ეტაპი: კვლევა და საკონსერვაციო პროექტის მომზადება	2019-2020
2	შვეიცარიის უნივერსიტეტი, მ. ჯარის ფონდი		ეკატერინე გედევანიშვილი, ი. გიციაშვილი, ნატალია ჩიტიშვილი, ირმა მამასახლისი, თამარ დადიანი	ბერნის შუა საუკუნეების ფორუმი	2019 წლის 17- 22 სექტემბე რი

5.1 ცენტრის თანამშრომლების ჩართულობა, სხვა ინსტიტუციების საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში

1	საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი Chris Blandford Associates (UK) (კრის ბლენდფორდ ასოშიეიტსი, გაერთიანებულ ი სამეფო)		ენდრიუ კროფტი (ხელმძღვანელი) კრის ბლენდფორდი (უფროსი კონსულტანტი); დომინიკ უოტკინსი; ევან მაკარტი; დენ ანდერსონი; ერიკა დიაზ პეტერსენი; ჰარიეტ სტენფორდი პიტერ უაითჰედი; ჯულია ბენეტ სმიტი დავით ხოშტარია (კულტურული მემკვიდრეობის ჯგუფის ხელმძღვანელი) მარინე ბულია - მკვლევარი მანონ ლილუაშვილი - მკვლევარი ქეთევან ყავალაშვილი - მკვლევარი	საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ლანდშაფტის დაგეგმვის გენერალური გეგმა	2018 წლის დეკემბერ ი - 2019 წლის ივნისი
2	ქ. თბილისის მერია		დავით ხოშტარია (ხელმძღვანელი) ნათია ნაცვლიშვილი (მკვლევარი) ქეთევან ყავალაშვილი (მკვლევარი) Chris Blandford Associates (CBA) (UK) (კრის ბლენდფორდ ასოშიეიტსი, გაერთიანებული სამეფო)	ვაკის პარკის რეაბილიტაციის პროექტი	2019
3	Social Sciences and Humanities Research Council of Canada კანადის სოცილურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კვლევის საბჭო	775035	პოლ მენინგი (ხელმძღვანელი) მზია ჩიხრაძე, თეა ტაბატაძე, ნანა ყიფიანი (სახელოვნებათმცოდნეო ანალიზი) თამთა ხალვაში (სოციოლოგიური კვლევა) ჰარშა რამი (ლიტერატურული კვლევა) ზაზა შათირიშვილი (ფილოსოფიურ- ლიტერატურული ანალიზი).	Reassembling the City: Tbilisi from Safavid Persia to Postsocialism ქალაქის ხელახლა აწყობა: თბილისი სასანიდური სპარსეთიდან პოსტსოციალიზ მამდე	2014-2019

6. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტები

№	პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტში ჩართული პერსონალი/როლი	პროექტის სათაური	პროექტის განხორციელების პერიოდი
1	217208 FR/11/12/16	დავით ხოშტარია (ხელმძღვანელი) ნათია ნაცვლიშვილი (კოორდინატორი, ძირითადი პერსონალი) გია ჭანიშვილი (ძირითადი პერსონალი) მანონ ლილუაშვილი (ძირითადი პერსონალი) გიორგი პაპაშვილი (ახალგაზრდა მეცნიერი)	ურბანული გეგმარება და არქიტექტურული პროექტირება საქართველოს ქალაქებში (1801-1918)	2016-2019
2	FR17_221	მარიამ დიდებულობე (ხელმძღვანელი) ნატალია ჩიტიშვილი (კოორდინატორი, ახალგაზრდა მეცნიერი) მარინე ყენია (ძირითადი პერსონალი) დავით ხოშტარია (ძირითადი პერსონალი) ქრისტინე საბაშვილი (ძირითადი პერსონალი)	არქიტექტურის აღქმა და რეპრეზენტაცია შუა საუკუნეების საქართველოში	2018-2020
3	FR17_271	ქეთევან მიქელაძე (ხელმძღვანელი) მარიამ დიდებულობე (ძირითადი პერსონალი); თამარ ხოსროშვილი (კოორდინატორი, ახალგაზრდა მეცნიერი)	შუა საუკუნეების მხატვრები საქართველოში	2018-2020
4	Phd_F_17_153	თამარ ხოსროშვილი დოქტორანტი ძირითადი პერსონალი	საეკლესიო მხატვრობა 1801- 1918 წლების საქართველოში	2017-2019
5	HE-18-339	ეკატერინე კვაჭატაძე (ხელმძღვანელი) გიორგი პაპაშვილი (კოორდინატორი, ახალგაზრდა მეცნიერი) სამსონ ლეჟავა (ძირითადი პერსონალი)	მემორიალური ძეგლები XVIII-XIX საუკუნეების საქართველოში	2018-2021

		ნოდარ არონიშვილი (ძირითადი პერსონალი) მანონ ლილუაშვილი (ძირითადი პერსონალი)		
6	MG – ISE – 18 - 242	ეკატერინე გედევანიშვილი (ხელმძღვანელი) ირინე გიგიაშვილი (თანახელმძღვანელი) ირმა მამასახლისი (კოორდინატორი)	სეზონური სკოლა ტაო - კლარჯეთი - ისტორია და მემკვიდრეობა- მოძრავი და უძრავი ძეგლები	2019
7	FR-18-30-30	მარინე ბულია (ხელმძღვანელი) მზია ჯანჯალია (კოორდინატორი) ნინო ციციშვილი (ახალგაზრდა მეცნიერი)	წმ. დიმიტრის თავყვანისცემა შუა საუკუნეების საქართველოში. უცნობი მოხატულობა დავითგარეჯიდან	2019-2022

6.1 ცენტრის თანამშრომლების ჩართულობა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტებში, სხვა ინსტიტუციებში

1	HE17 28	გიორგი სანიკიძე (ხელმძღვანელი) ნიკოლოზ ნახუცრიშვილი (ძირითადი პერსონალი) ანტონ ვაჭარაძე (ძირითადი პერსონალი) დავით ჩიხლაძე (ძირითადი პერსონალი)	თეირანის ქრისტიანულ სასაფლაოთა კომპლექსის ქართული სექტორი“	2017-2019
2	FR-18-62-62	მაია ციციშვილი (ხელმძღვანელი), ნინო ჭოლოშვილი (ძირითადი პერსონალი) ქრისტინე დარჩია (კოორდინატორი, ახალგაზრდა მკვლევარი), ს. ჭანტურიძე (ახალგაზრდა მკვლევარი)	კარიკატურის ასწლიანი ისტორია საქართველოში (1880-1980)	2019-2022
3	SP-19-118	ნ. ჭოლოშვილი (ხელმძღვანელი), ა. გაბუნია (კოორდინატორი)	XX საუკუნის ქართული ხელოვნება და მისი ისტორიული კონტექსტი (დიმიტრი თუმანიშვილი)	2019-2020
4	FR 217-890	მზია ჩიხრაძე (ხელმძღვანელი) ლანა ქარაია (კოორდინატორი, ახალგაზრდა მეცნიერი) ქეთევან შავგულიძე (ძირითადი პერსონალი)	ინტეგრაცია და იდენტობა	2016-2019

		მარიტა სახლთხუციშვილი (ახალგაზრდა მეცნიერი) მარიამ შერგელაშვილი (ახალგაზრდა მეცნიერი)		

7. სხვა შედეგები:

7.1. პუბლიკაცია საერთაშორისო კონფერენციის მასალებში

№	პუბლიკაციის ავტორი/ები	კონფერენციის სახელწოდება და ჩატარების ადგილი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1	Marina Bulia	David Gareji Multidisciplinary Study and Development Strategy Tbilisi	მიღებულია დასაბეჭდად
2	ქეთევან მიქელაძე	II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „საქართველო-ბიზანტია- ქრისტიანული აღმოსავლეთი“ თბილისი	978-9941-9637-6-6
3	მარიამ გაბაშვილი	საერთაშორისო კონფერენცია „კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში“. ბათუმი	978-9941-9519-0-9
4	მზია ჩიხრაძე	საერთაშორისო კონფერენცია „კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში“. ბათუმი	978-9941-9519-0-9
5	David Chikhladze	David Gareji Multidisciplinary Study and Development Strategy Tbilisi	მიღებულია დასაბეჭდად
6	კიტი მაჩაბელი	საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო-ბიზანტია-ქრისტ. აღმოსავლეთი“ თბილისი	978-9941-9637-6-6

7.2. წიგნების და სხვა ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

№	წიგნის/გამოცემის ავტორები	გამომცემლობა	წიგნის/გამოცემის საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1	ნ.ურუშაძე, მ.ლიპატოვა, ა.რუდნევა, მ.ბოკარიუსი რედაქტორი მარინა მემმარიაშვილი	მოსკოვი BYKC	978-5-907043-45-9
2	Maia Tsitsishvili	პოლონეთი, ვარშავა	
3	Mariam Didebulidze, Dimitri Tumanishvili	NOVA SCIENCE Publishers	
4	Eter Edisherashvili	Böhlau Verlag, Cologne, 2019	9783412511081 3412511080
5	Maia Mania	London, Bloomsbury Publishing PLc	იბეჭდება ავტორის 5 სტატია
6	Manana Suramelashvili	London, Bloomsbury Publishing PLc	იბეჭდება
7	Irina Elizbarashvili	London, Bloomsbury Publishing PLc	იბეჭდება
8	Manana Suramelashvili	Heritage at Risk edited by ICOMOS	ISBN 3-598-24241-7
9	Tamar Khosroshvili	FaRiG - Friends of Academic Research in Georgia, Caroline Adams Essay Prize London	http://farig.org/images/pdfs/2019/Tamar_Khosroshvili/Essay.pdf

7.3. წიგნების და სხვა ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

№	წიგნის/გამოცემის ავტორები	გამომცემლობა	წიგნის/გამოცემის საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1	დავით ხოშტარია გიორგი ჯანიშვილი მანონ ლილუაშვილი ნათია ნაცვლიშვილი	გ. ჩუბინაშვილის ცენტრი	978-9941-8-1918-6
2	მარიამ გაჩეჩილაძე, სოფიო ჩიტორელიზე	გ. ჩუბინაშვილის ცენტრი	978-9941-25-713-1
3	მარიამ გაბაშვილი	გ. ჩუბინაშვილის ცენტრი	978-9941-9675-1-1

4	მზია ჩიხრაძე, ქეთევან შავგულიძე, ლანა ქარაია, მარიამ შერგელაშვილი, მარიტა სახლთხუციშვილი	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	978-9941=13-887-4 (PDF)
5	გიორგი ხოშტარია		იბეჭდება
6	მარიანა ოკლეი, ლიანა ანთელავა	თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	
7	მარიანა ოკლეი, გიორგი ხოშტარია	ხელოვნების სასახლე	978-9941-8-1590-4
8	ნინო ჯიშკარიანი, სამსონ ლეჟავა, ნინო ჭინჭარაული	თბილისი, გამომცემლობა „სვეტი“	978-9941-9543-6-8
9	ირინა ბუცოვა რეჟის გეირო ანდრეი სარაზიანოვი ნანა ყიფიანი ქეთევან კინწურაშვილი თეა ტაბატაძე თამარ ბელაშვილი ნანა შერვაშიძე ყარამან ქუთათელაძე	თბილისი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი	978-9941-9586-7-0

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

დირექტორი – თამარ ბელაშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

პერსონალური შემადგენლობა:

ადმინისტრაცია:

1. ზედგინიძე ლევანი - დირექტორის მოადგილე
2. ბუკია იზა - ფინანსური მენეჯერი
3. სიმსივე ვალიდა - კანცელარიის გამგე
4. ღარიბაშვილი ნანა - საქმის მწარმოებელი

ძველი და შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების განყოფილება

1. ხოშტარია დავით - განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
2. ბულია მარინე - მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
3. გომელაური ნინო - მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
4. ელიზბარაშვილი ირინე - მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
5. მაჩაბელი კიტი - მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
6. მიქელაძე ქეთევან - მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
7. ოქროპირიძე ასმათ - მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
8. სანიკიძე თამაზ - მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
9. დიდებულიძე მარიამ - მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
10. ყენია მარინე - მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
11. ჭიჭინაძე ნინო - მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
12. ხუნდაძე თამარ - მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
13. ხუსკივაძე ლილა - მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
14. ჯანჯალია მზია - მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
15. გაბაშვილი მარიამ - უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
16. გედევანიშვილი ეკატერინე - უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
17. კვაჭატაძე ეკატერინე - უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
18. სურამელაშვილი მანანა - უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

19. ჩაჩხუნაშვილი ციციწო - უფროსი მეცნიერ- თანამშრომელი
20. ჭანიშვილი გიორგი - მეცნიერ- თანამშრომელი
21. აბაშიძე-დადიანი ქეთევან - მეცნიერ- თანამშრომელი
22. არონიშიძე ნოდარ - მეცნიერ- თანამშრომელი
23. დადიანი თამარ - მეცნიერ- თანამშრომელი
24. ლილუაშვილი მანონ - მეცნიერ- თანამშრომელი
25. მანია ირინე - მეცნიერ- თანამშრომელი
26. ნაცვლიშვილი ნათია - მეცნიერ-თანამშრომელი
27. პატაშური გიორგი - მეცნიერ- თანამშრომელი
28. საბაშვილი ქრისტინე - მეცნიერ- თანამშრომელი
29. ჩიტიშვილი ნატალია - მეცნიერ- თანამშრომელი
30. ჩიხლაძე დავით - მეცნიერ - თანამშრომელი
31. ციციშვილი ნინო - მეცნიერ- თანამშრომელი
32. ხოსროშვილი თამარ _ მეცნიერ -თანამშრომელი
33. ხოშტარია თინათინ - მეცნიერ- თანამშრომელი
34. კალანდაძე ვალერი - ლაბორანტი

თანამედროვე ხელოვნების განყოფილება:

1. გაჩეჩილაძე მარიამ - განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ- თანამშრომელი
2. ანდრონიკაშვილი ლალი - მთავარი მეცნიერ- თანამშრომელი
3. გერსამია თამაზ - მთავარი მეცნიერ- თანამშრომელი
4. თუმანიშვილი ელენე - მთავარი მეცნიერ- თანამშრომელი
5. ლეჟავა სამსონი - მთავარი მეცნიერ- თანამშრომელი
6. მანია მაია - მთავარი მეცნიერ- თანამშრომელი
7. მემპრიაშვილი მარინა - მთავარი მეცნიერ- თანამშრომელი
8. ოკლეი მარიანა - მთავარი მეცნიერ- თანამშრომელი
9. ციციშვილი მაია - მთავარი მეცნიერ- თანამშრომელი
10. ხოშტარია გიორგი - მთავარი მეცნიერ- თანამშრომელი
11. ჭოლოშვილი ნინო - უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
12. კილაძე ცისია - უფროსი მეცნიერ- თანამშრომელი
13. მირცხულავა ნანა - უფროსი მეცნიერ- თანამშრომელი
14. ტაბატაძე თეა - უფროსი მეცნიერ- თანამშრომელი
15. ჩიხრაძე მზია - უფროსი მეცნიერ- თანამშრომელი
16. ჩიტორელიძე სოფიო - უფროსი მეცნიერ- თანამშრომელი
17. ლებანიძე დალი - მეცნიერ- თანამშრომელი
18. ჭინჭარაული ნინო - მეცნიერ- თანამშრომელი

19. პაპაშვილი გიორგი - მეცნიერ- თანამშრომელი
20. ქანთარია-ჯაბადარი თეიმურაზ - მეცნიერ- თანამშრომელი

არქივი და ბიბლიოთეკა

1. ჟღენტი გურამ - საარქივო-საბიბლიოთეკო სექტორის გამგე
2. კუპრეიშვილი ბაადურ – არქივარიუსი
3. ლოზჟანიძე აზა – არქივარიუსი
4. მამასახლისი ირმა – ბიბლიოთეკარი
5. კიზირია ლელა - ბიბლიოთეკარი
6. ბედუკაძე ფიქრია - ბიბლიოთეკარი

მეგლთა აღწერილობისა და სამეცნიერო ინფორმაციის ჯგუფი

1. დვალი თამაზ - ჯგუფის ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერ -თანამშრომელი
2. დევდარიანი ფლერ - მთავარი მეცნიერ -თანამშრომელი

ხელოვნების მეგლთა ფოტოფიქსაციის ლაბორატორია

1. ფანცხავა მარინე - ლაბორატორიის გამგე
2. პეტაშვილი მზია - უფროსი არქივარიუსი
3. ვახანია ნიკა – დიგიტალიზაციის სპეციალისტი

შტატგარეშე პერსონალი

1. ყიფიანი ნანა - უფროსი მეცნიერ- თანამშრომელი
2. ედიშერაშვილი ეთერ - მეცნიერ-თანამშრომელი
3. ალხაზაშვილი ნუგზარ - მეცნიერ- თანამშრომელი
4. არჩვაძე მალხაზ – ტექნიკური ზედამხედველობის სპეციალისტი
5. ბაქრაძე მზია – არქივარიუსი
6. მაისურაძე მარინე - მთარგმნელი
7. წილოსანი ლია – კონსულტანტი
8. ხვედელიძე თეა - დამლაგებელი

ასოცირებული თანამშრომლები

1. გივიაშვილი ირინე
2. გაჩეჩილაძე დავით

1. პროგრამული დაფინანსებით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	სვანეთის მოხატულობათა მიმოხილვა (IX-X – XII-XIII სს.) 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).	2019-2020	მარინე ყენია მკვლევარი

ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს სვანური ფერწერული სკოლის განვითარების ორ მნიშვნელოვან ეტაპზე (საწყისი ეტაპი - IX-X – XI ს-ის დასაწყისი; აყვავების ხანა - XI ს-ის II ნახ.-XIII ს-ის დასაწყისი) შექმნილ მოხატულობათა შეძლებისდაგვარად სრული სპექტრი (ინტერიერისა და საფასადო მხატვრობა; კანკელთა მოხატულობანი), მათი თავისებურებანი, მხატვრობის განვითარების ზოგადი ტენდენციები განსახილველ პერიოდში.

მუშაობის ამ ეტაპზე დასრულებულია ნაშრომის შესავალი ნაწილი და პირველი თავი - ადრეულ სვანურ მოხატულობათა ანალიზი. შესავალში მიმოხილულია სვანური ფერწერული სკოლის შესწავლის ისტორია; პირველი თავის სამი ნაკვეთი ეთმობა სვანეთში შემორჩენილ ადრეული ხანის მოხატულობებს - 1. ინტერიერის მამკობი მოხატულობანი; 2. საფასადო მხატვრობის ნიმუშები; 3. მოხატული კანკელები.

სვანეთის განხილული მოხატულობანი ცხადყოფს, რომ ისინი ადრეული ხანის ქართული კედლის მხატვრობის ნიმუშთა ფართო წრეში ექცევა და, სხვა თანადროულ ქართულ მოხატულობებთან ერთად, საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს ამ დროის ქართული მხატვრობის განვითარების საერთო სურათი, ისევე როგორც საქართველოს მჭიდრო კავშირები ამავე პერიოდის აღმოსავლეთ საქრისტიანოს უმნიშვნელოვანეს კერებთან.

ინტერიერის მამკობი არასრული დეკორის ნიმუშებში, ეპოქისთვის ტრადიციულად, წამძღოლ თემად უფლის თეოფანიური დიდება ისახება, მის საერთო კონტექსტში, მაცხოვრის ორბუნზოვნების დოგმატის საგანგებო წინ-წამოწევით, რაც შემდგომ განვითარებას სრული დეკორის ნიმუშებში ჰპოვებს; მნიშვნელოვანია, რომ ამის გვერდით, უკვე ჩნდება ვედრება, როგორც საკონქო თემა, რომელიც თავის მნიშვნელოვანებას სკოლის განვითარების მთელს მანძილზე ინარჩუნებს. ამ დროის მოხატულობათა ერთი გამორჩეულ თავისებურებათაგანია მხატვრობის სრული დეკორის სისტემის დამკვიდრება არასრული დეკორის სისტემიდან ყოველგვარი გარდამავალი საფეხურების გარეშე და მიზანმიმართული მიეზანი მისი საბოლოო ჩამოქნა-ჩამოყალიბების მიმართულებით. სრული მოხატულობანი ხასიათდება პროგრამის აგებით საერთო თეოლოგიური იდეის საფუძველზე გაერთიანებულ, მინიმალური რაოდენობის სცენათა მკაცრი შერჩევით. აღსანიშნავია ყოველ ცალკეულ შემთხვევაში პროგრამის განსხვავებული ნაშანსებითა თუ აზრობრივი მახვილებით გამდიდრება და სცენათა არც მთლად ტრადიციული იკონოგრაფიული სქემების გამოყენება, რაც, სხვადასხვა ფორმისმიერ ხერხებთან ერთად, მხატვრობის პროგრამაში საგანგებო იდეური მახვილების მკაფიო გამოკვეთა-აღქმას უწყობს ხელს.

საფასადო მხატვრობაში შეინიშნება როგორც ანიკონური დეკორის გამოყენება, ისე სიუჟეტური სცენებისადმი მიმართვა და მნიშვნელოვანებით გამორჩეული, აღმოსავლეთი ფასადის გარდა, გვერდითი ფასადის შემკობაც. ყურადსაღებია ისიც, რომ ფერწერული დეკორის ტაძრის რამდენიმე ფასადზე გაშლა

დამახასიათებელი ხდება სკოლის განვითარების მომდევნო ეტაპებზე, ხოლო გარკვეული მიეზანი ამ მიმართულებით უკვე ადრეულ ეტაპებზე იწყება.

ადრეულ მოხატულ კანკელთა არსებობა იმის დასტურია, რომ ფერწერული სკოლის განვითარების საწყის ეტაპზევე ისახება კანკელთა დეკორირების ტრადიცია, რომელიც უწყვეტად შენარჩუნდა ფერწერული სკოლის არსებობის მთელს მანძილზე. აღსანიშნავია აგრეთვე გარკვეული მრავალფეროვნება თემატიკის შერჩევის თვალსაზრისით (როგორც ორნამენტული დეკორის, ისე სიმბოლური გამოსახულებების გამოყენება), რაც ასევე არ კარგავს აქტუალობას მომდევნო ეპოქებშიც.

მოხატულობათა სტილურ თავისებურებებს რაც შეეხება, ისინი იმავე კალატოპში ექცევა, რაც თანადროული მოხატულობანი საქართველოს სხვა რეგიონებში და ნათლად წარმოაჩენს მხატვრობის განვითარების ზოგად ტენდენციებს განსახილველ ხანაში. ნიშანდობლივია, აგრეთვე, სტილის განვითარების საერთო კონტექსტში, გარკვეული შეხების წერტილების დადასტურება ტაო-კლარჯეთის მოხატულობებთან.

2	„სამეფო ოჯახის წევრი ქალები და არქიტექტურული პატრონაჟი შუა საუკუნეების საქართველოში“, 6 - ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.1. ისტორია და არქეოლოგია 6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)	2019-2020	ნათია ნაცვლიშვილი მკვლევარი
---	--	-----------	--------------------------------

პროექტის მთავარი მიზანია სამეფო ოჯახის წევრი ქალების საქტიტორო საქმიანობის შესწავლა შუა საუკუნეების საქართველოს კულტურული, სოციალური, რელიგიური და ეკონომიკური ცხოვრების ფონზე. პროექტის მიზნებიდან გამომდინარე შუა საუკუნეების სამეფო ოჯახის ქალების საქტიტორო საქმიანობა ფართო კონტექსტში იქნება განხილული. კვლევამ პასუხი უნდა გასცეს შემდეგ კითხვებს:

)/ რამდენად იყვნენ სამეფო და მაღალი სოციალური წრის ქალები ფინანსურად დამოუკიდებლები არქიტექტურის პატრონაჟისას?

)/ რა როლს ასრულებდა ქალი ქტიტორი შენობის დიზაინის პროცესში?

)/ მშენებლობის დაფინანსება სამეფო ოჯახის წევრი ქალების პოლიტიკური დღის წესრიგის ნაწილს შეადგენდა თუ მხოლოდ მათ კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული?

)/ რა როლს ასრულებდა არქიტექტურა შუა საუკუნეების ქალი მმართველების პოლიტიკური ძალის შექმნასა და რეპრეზენტაციაში?



2019 წელს პროექტისათვის დავამუშავე საკვლევ საკითხთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი პირველადი წერილობითი წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა, რის შედეგადაც გამოიკვეთა საკვლევ ნაგებობების ჯგუფი (რუისის, ურბნისის, ხცისის, არადეთის, საქაშეთის, ბოლნისის, ხატისსოფლის, სიონის, სვეტიცხოვლის, შიომღვიმის, ქვემო ჭალის, ქვათახევის, ქართლის ახალქალაქის, საპიტიახშოს, წალენჯიხის, კორცხელის, აბელიას, პატარა ონის, ნიკორწმინდის, ალავერდის, მატანისა და ახალი შუამთის ეკლესიები).

2019 წელს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით, 2020 წელს ზემოთ ჩამოთვლილი შენობების ადგილზე შესწავლის მიზნით განხორციელდება სავსე სამუშაოები.

3		2018-2020	მარიამ დიდებულიძე
---	--	-----------	-------------------

	ფონის ელემენტების (არქიტექტურა და პეიზაჟი) მხატვრული გადაწყვეტის თავისებურებანი შუა საუკუნეების ქართულ მხატვრობაში 6.ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)		მკვლევარი
თემის მიზანია შუა საუკუნეების მხატვრობის ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტის განხილვა, როგორიცაა არქიტექტურული და პეიზაჟური ფონები. როგორც ცნობილია, ამ ელემენტების მხატვრული გადაწყვეტა ბევრწილად განაპირობებს ნაწარმოების მსოფლმხედველობით ასპექტს. შუა საუკუნეების ფერწერაში სივრცის ასახვის - პერსპექტივის - თავისებური ფორმა ჩამოყალიბდა, რომელსა პირობითად უკუ-პერსპექტივა დაერქვა, თუმცა ეს ტერმინი სრულად ვერ ასახავს რეალობას. ყოველ კულტურულ/ეროვნულ წრეში ვხედავთ თავისებურ მიდგომას. ამ მხრივ შუა საუკუნეების ქართული მხატვრობა საკმაოდ თავისებურ სურათს გვაჩვენებს, საკმაოდ განსხვავებულს ბიზანტიური ნამუშევრებისგან კონცეპტუალური თვალსაზრსით. ცხადია, განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, თვით ქართულ მხატვრობაშიც ნათლად შეინიშნება მიდგომების ნაირგვარობა და ცვალებადობა. 2019 წლის ეტაპზე ჩატარებულ იქნა შემდეგი სამუშაოები: შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება და დამუშავება; კედლის მხატვრობის ნიმუშების შერჩევა და ანალიზი (X-XI სს.); საველე სამუშაოები. მომზადდა თემის შესაბამისი ნაწილის ტექსტი.			
4	„გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამხრეთამიერკავკასიის ბრინჯაოს სარტყლები წინააზიის კულტურათა კონტექსტში (ძვ.წ. XIV-VI სს)“ 6.ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)	2019-2020	ნინო გომელაური მკვლევარი
ბრინჯაოს სარტყლები გრავირებული დეკორით გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამხრეთ კავკასიის მატერიალური კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. ამ ნივთებს და მათი დეკორით მორთვის ტრადიციას საწყისები წინა აზიის უძველეს კულტურებში ეძებნება. სამხრეთ კავკასიის ნაკეთობების ადგილის განსაზღვრისათვის მათ წინარე და თანადროულ ძეგლთა შორის, მიმდინარე წელს, მოვიძიე და დავამუშავე მასალები ამ ნივთთა გავრცელების ფართო არეალიდან, რომელიც მოიცავს როგორც შუამდინარეთს (შუმერი, ასურეთი), ლევანტს (პალესტინა, იორდანია), ირანსა და ლურისტანს, ურარტუს, ცენტრალურ და დასავლეთ ანატოლიას (ფრიგია, იონია), ასევე ევროპის კულტურებს (კუნძულოვანი და მატერიკული საბერძნეთი, მაკედონია, ჰალშტატი). აღნიშნულ ძეგლთა ფონზე შესაძლებელი გახდა გამოგვეყო განსახილველი ნაკეთობები ტიპოლოგიური და მხატვრული მახასიათებლებით.			

			
5	შუა საუკუნეების ბერძენი მხატვრები საქართველოში 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).	2018-2020	ქეთევან მიქელაძე მკვლევარი
შუა საუკუნეების საქართველოში ადგილობრივ მხატვრებთან ერთად ქრისტიანული აღმოსავლეთის სხვადასხვა რელიგიური და კულტურული ცენტრებიდან ჩამოსული ოსტატებიც მუშაობდნენ. მათ პირობითად ვუწოდებთ ბერძენ მხატვრებს, რადგან „ბერძენი“, ამ შემთხვევაში, გულისმობს არა ეთნიკურ წარმომავლობას, არამედ კულტურულ არეალს. ნაშრომი შემოიფარგლა მონუმენტური მხატვრების იმ ბერძენი ოსტატებითა და მათ მიერ შესრულებული მოხატულობებით, რომელთა ვინაობაც ფერწერული წარწერებიდანაა ცნობილი. ისტორიული ხასიათის - საექტიტორო და საკუთრივ მხატვართა წარწერები ძირითადი და ერთადერთი წყაროა ბერძენი (ისევე როგორც ადგილობრივი) მხატვრების შესახებ. ექვსი ეკლესიის (წალენჯიხა, გელათი /სამი მხატვარი/, ბიჭვინტა, გრემი, ბობნევი, მაღალანთ ეკლესია) ფერწერულმა წარწერებმა რვა ბერძენი ოსტატის სახელი შემოგვინახა. ისინი მოიხსენიებიან საექტიტორო წარწერებშიც და მათი „ხელმოწერებიცაა“ შემორჩენილი. „ხელმოწერას“ ბერძენი ოსტატები ძირითადად მშობლიურ ენაზე აკეთებდნენ, თუმცა არის ქართულ-ბერძნული და მხოლოდ ქართულ ენაზე შესრულებული წარწერებიც. ყველაზე ადრეული, წარწერით დამოწმებული საქართველოში მოღვაწე ბერძენი მხატვარი მანუელ ევგენიკოსია, რომელმაც მე-14 საუკუნის ბოლოს წალენჯიხის ტაძარი მოხატა; ბერძენ მხატვართა ნაკადი საქართველოში განსაკუთრებით მე-16-17 სს-ში გაიზარდა, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. ქტიტორთა თუ მხატვართა წარწერებიდან (ისევე როგორც ქტიტორთა პორტრეტებიდან) ცნობილია ვინ იყვნენ და საზოგადოების რომელ ფენას ეკუთვნოდნენ ბერძენ ოსტატთა ადგილობრივი დამკვეთები; ხშირ შემთხვევაში აღნიშნულია მხატვართა წარმომავლობა - რომელი მონასტრიდან ან ურბანული ცენტრებიდან იყვნენ ისინი ჩამოსულები, რაც მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის საქართველოს კულტურულ ურთიერთობებზე. წარწერათა და მოხატულობათა ანალიზი წარმოაჩენს შუა საუკუნეების დამკვეთის დმოკიდებულებას ჩამოსული მხატვრის მიმართ, მომგებლისა და მხატვრის ურთიერთანამშრომლობას ეკლესიის მოხატვის, იკონოგრაფიული პროგრამის შედგენის დროს; რა სიახლეები ჩამოჰქონდათ ბერძენ ოსტატებს და სხვა. საგანგებო ყურადღება ეთმობა წარწერათა ლოკალიზაციასა და მხატვრულ გადაწყვეტას. 2019 წელს შევავაროვე მასალა ხუთი ბერძენი მხატვრის შესახებ, რისთვისაც ადგილზე შევისწავლე გელათის ღვთისმშობლის ტაძრისა და წალენჯიხის მოხატულობები; დავამუშავე სპეციალური ლიტერატურა და საარქივო მასალა ბიჭვინტის ღვთისმშობლის ტაძრის ეგვტერის მოხატულობისა და მისი ბერძენი მხატვრის შესახებ. გავეცანი და დავამუშავე სამეცნიერო ლიტერატურა პოსტბიზანტიური ხანის ბერძენი მხატვრების, მათი საზოგადოებრივი მდგომარეობისა და სოციალური სტატუსის, მათი წარწერების შესახებ.			



საკვლევ თემაზე მუშაობა დასრულდება 2020 წელს.

6	გ. ჩუბინაშვილი ცენტრში დაცული მხატვარ სერგო ქობულაძის არქივის დამუშავება 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).	2016-2021	მარიამ გაჩეჩილაძე - პროექტის ხელმძღვანელი (მასალის დასკანერება, შესწავლა-კლასიფიკაცია-გაანალიზება, არქივიზაცია) სოფიო ჩიტორელიძე მკვლევარი (მასალის დასკანერება, შესწავლა-კლასიფიკაცია-გაანალიზება, არქივიზაცია) მარინა მეძმარიაშვილი მკვლევარი (ხელნაწერი ტექსტის გაშიფვრა-გაანალიზება, თარგმნა (რუსულიდან-ქართულად)) დალი ლებანიძე მკვლევარი (ხელნაწერი ტექსტის გაშიფვრა-გაანალიზება, თარგმნა (რუსულიდან-ქართულად))
7	ჩუბინაშვილი ცენტრში დაცული მხატვარ ჯემალ ლოლუას არქივის დამუშავება 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).	2017-2021	პრომარიამ გაჩეჩილაძე ექტის ხელმძღვანელი (მასალის დასკანერება, შესწავლა-კლასიფიკაცია-გაანალიზება, არქივიზაცია, პუბლიკაცია) სოფიო ჩიტორელიძე მკვლევარი (მასალის დასკანერება, შესწავლა-კლასიფიკაცია-გაანალიზება, არქივიზაცია)

ჩუბინაშვილის ცენტრში ინახება მხატვარ-გრაფიკოსების **სერგო ქობულაძისა და ჯემალ ლოლუას** არქივები, რომლებშიც დაცულია მხატვრების პირადი და ოფიციალური წერილები, სხვადასხვა ტიპის დოკუმენტაცია, ესკიზები და ა.შ. არქივებში დაცული მრავალრიცხოვანი მასალა მოითხოვს დიდ დროსა და რამდენიმე მეცნიერის ერთობლივ მუშაობას. 2019 წლის მანძილზე მოხდა ორივე მხატვრის არქივის თანმიმდევრული შესწავლა-დამუშავება, რაც გულისხმობს მასალის ციფრულ ფორმატში გადაყვანას, კლასიფიკაციას, დაარქივებას.

მიმდინარე წელს განხორციელდა სერგო ქობულაძის არქივში დაცული გამორჩეული დოკუმენტების ქართულ ენაზე თარგმნა და მომზადდა გამოსაქვეყნებლად (ამ ეტაპზე მოხერხდა მხოლოდ მცირე ნაწილის გამოქვეყნება. იხ.: ელ-ჟურნალი Ars Georgica, სერია B, 2019; georgianart.ge)

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან დადებული მემორანდუმის საფუძველზე შედგა თანამშრომლობა, რის შედეგადაც რესტავრაცია ჩაუტარდა სერგო ქობულაძის 5 ესკიზს (ნამუშევრების აღდგენაზე იმუშავა ხელნაწერთა ინსტიტუტის რესტავრატორმა ქ-ნმა თამარ დვალიშვილმა).

რესტავრირებული ნამუშევრები, სერგო ქობულაძის დაბადებიდან 110 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამოიფინა გ. ჭუბინაშვილის ცენტრის საგამოფენო დარბაზში Ars Georgica (22-31.X.2019).

8	რელიგიური თემა თანამედროვე ქართულ მხატვრობაში (გურანდა ქლიბაძის შემოქმედების მაგალითზე) 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).	2019-2021	დალი ლეხანიძე მკვლევარი
---	--	-----------	----------------------------

რელიგიური, კერძოდ ქრისტიანული თემატიკა ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილია. მისი გააზრება და სიღრმისეული განცდა ყოველი თაობის მოთხოვნილება იყო. ეს თემა კვებავს ჩვენს სულიერებას, მასთანაა დაკავშირებული ჩვენი ეროვნული იდენტობა და სწორედ ქრისტიანული მსოფლგანცდა გვაკავშირებს ჩვენ მთელ სამყაროსთან. ქრისტიანული თემები ბუნებრივად იჭრება თანამედროვე ქართველ მხატვართა შემოქმედებაში. ეს თემა აძლევს მათ, ყველაზე მტკივნეული და



საჭირობოროტო საკითხებზე პასუხის გაცემის საშუალებას.

ალბათ შეუძლებელი იქნებოდა ქართველ მხატვართა დღევანდელი თაობიდან არ გამოეყოთ გურანდა ქლიბაძის რელიგიურ თემატიკაზე შესრულებული ნამუშევრები.

ესაა „ქრისტეს დაბრუნება ეგვიპტიდან“ (2018 წ. ტიპოგრაფიული საღებავი, ქაღალდი, 150 x 180), „წმ. იოსები“ (2019 წ. ტიპოგრაფიული საღებავი, ქაღალდი, 150 x 210) და რამდენიმე „ხარება“ (2019 წელს წელს შესრულებული, ტიპოგრაფიული საღებავი, ქაღალდი, 80 x 95; 75 x 80; 80 x 90; 60 x 75; 80 x 95;). ზოგიერთი მათგანი შავ-თეთრი გრაფიკული ხაზითაა შესრულებული, ზოგი ფერადია.

გამორჩეულია „ქრისტეს დაბრუნება ეგვიპტიდან“, სადაც სრულიად არატრადიციული თემაა წამოჭრილი. სურათზე ნაჩვენებია წმ. ოჯახის დაბრუნება ეგვიპტიდან და აყვანილია ეს მოვლენა ზოგადსაკაცობრიო ჟღერადობამდე. წარმოდგენილია მცირეწლოვანი იესო, რომელიც სიხარულით გვიბრუნდება ჩენ, მორწმუნე ქრისტიანებს რათა აღასრულოს თავისი ღვთიური მისია.

ასევე უჩვეულოა „წმ. იოსები“. იგი მარტოდ მდგომი ფიგურაა და თითქოს მამობრივი სიყვარულის, ერთგულებისა და მფარველობის სიმბოლოდ იქცევა. მისი სახე განზოგადებული და მონუმენტურია.

„ხარებების“ მთელი ციკლი ამ რელიგიური საიდუმლოს რეალური, ცხოვრებისეული კუთხით ჩვენებას ეძღვნება. მხატვრი ცდილობს ყოველ კომპოზიციაში დრამატული სცენა წარმოგვიდგინოს. მათში ვნებათა ძლიერი ღელვაა წინა პლანზე გამოტანილი. უბიწო ღვთისმშობელი და მასთან გამოცხადებული მთავარანგელოზი. ყოველ სურათზე სხვადასხვა განცდებია ნაჩვენები: შიში, გაკვირვება, აღტაცება და ზმანების ხილვა. ყველგან რეალური სახეებია და მათი განცდა ჯერ ყოფითი ბუნებრივობით გვაკვირვებს და შემდეგ, სრულიად ძალდაუტანებლად სასწაულის თანაზიარად გვხდის.

გ. ქლიბაძის ყოველი სურათი შესრულებულია ენერგიული, ექსპრესიული მანერით. მათი პლასტიკა არა მარტო მოძრავი და დაუოკებელია, არამედ შინაარსობრივი ხასიათის ხაზგასმის მკვეთრ სახვით ენას წარმოადგენს.

გ. ქლიბაძემ სრულიად მისეული ხედავ გამოავლინა ყოველ სურათში არა მარტო თემატიკის არჩევით, არამედ შესრულების ოსტატური მანერითაც.

მხატვრის შემოქმედების შესწავლის შემდგომი ეტაპი გულისხმობს მის მხატვრობაზე თვალის მიდევნებას, ახალ მიდევნებას სრულად გააზრებასა და გაანალიზებას.

9	ზემო კალას ერთი კონკრეტული საცხოვრებელი სახლის	2019-2021	მაია მანია
---	---	-----------	------------

	(კალისტრატე ცინცაძის ქუჩა #9) და მისი მიმდებარე ურბანული ქსოვილის დახასიათება 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).		მკვლევარი
საკვლევი საცხოვრებელი სახლი ზემო კალას თითქმის შუაგულში, კალისტრატე ცინცაძის ქუჩის იმ მონაკვეთზე მდებარეობს, სადაც იგი ოქრომჭედლების შესახვევს ესაზღვრება. ერთ სართულიანი ნაგებობა კალისტრატე ცინცაძის ქუჩის განაშენიანების საერთო ხაზიდან განაშენიანების სიღრმეშია მოქცეული, გეგმით რუსული ასო II-ს ფორმას შემოწერს და ზურგით ვერცხლის ქუჩის # 24 სახლს ეკვრის. კალისტრატე ცინცაძის ქუჩის პირზე ძველი აგურის წყობის ზღუდე და მასში ჩართული რკინის ყრუ ჭიშკარი გამოდის, ეზოს ვიწრო სივრცეში მოხვედრისას კი სახლი ყურადღებას იპყრობს ხის დაჩარხულსვეტიანი, რიკულებიანი აივნით, რომელიც ნაგებობას სამხრეთ შემოუყვება. ნაგებობის ძირითადი, სიღრმეში მოქცეული ნაწილი მაღალ სარდაფზე დგას, განაპირა ფლიგელები კი პირველ სართულს შეიცავენ. ორივე მხარის პირველი სართული სარდაფის სართულადაც შეიძლება ჩაითვალოს, ოღონდ ისინი საცხოვრებლად არის გამოყენებული და რაც მთავარია, მისი შემადგენელი სადგომები მიწაში ღრმად არის მოთავსებული. ორივე განაპირა ფლიგელის ნაგებობის აღნიშნულ ნაწილთაგან სიძველით შუა, ძირითადი ნაწილის სარდაფის სართული გამოირჩევა. მისი გარე კედლის ძველი აგურის კარგი წყობა, მცირე ზომის, უმნიშვნელოდ წაგრძელებული ფორმის ღიობები, ამ ღიობთა აგურის წყობის თავსართები და რკინის გისოსები აღნიშნული კედლის ფრაგმენტის ასაკს XIX საუკუნის დასაწყისით ფარგლავენ. მარცხენა ფლიგელის აივნისკენ ხის სწორხაზოვანი მიუყვება. კიბის მოაჯირს, ისევე როგორც აივანს ხის დაცარხული რიკულები აქვს. მარჯვენა ფლიგელის აივანი დღეს შემინულია. მასზეც ხის სწორხაზოვანი კიბე მიდგმული. სახლის ამ ნაწილს მეორე კიბეც აქვს. ჯერჯერობით სახლის ინტერიერის და სარდაფის დათვალიერება ვერ ხერხდება.			
10	თანამედროვე ქართული კერამიკა (საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და კერძო საკუთრებებში დაცული კერამიკული ნიმუშების შესწავლა, ფოტოფიქსაცია 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).	2015-2020	სოფიო ჩიტორელიძე მკვლევარი
 მრავალწლიანი კვლევითი პროექტი „თანამედროვე ქართული კერამიკა“ გულისხმობს პროფესიული კერამიკის ისტორიის ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპების შესწავლას და სათანადო კვლევას. აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებია: ა)სამუზეუმო და კერძო კოლექციებში დაცული მე-20 საუკუნის კერამიკული ნიმუშების გამოვლენა, აღწერა და დაფიქსირება; ბ)მხატვარ-კერამიკოსთა შესახებ არსებული საარქივო დოკუმენტაციის მოძიება-დამუშავება; გ) ინტერვიუები მხატვრებთან; დ) შეგროვებული მასალის სამეცნიერო კვლევა. 2019 წლის განმავლობაში მოხდა: 1. საქართველოს ეროვნული მუზეუმის, დ. შვედრდნაძის სახელობის ეროვნული გალერეის კერამიკის ფონდში დაცული ნამუშევრების ნაწილის შესწავლა-ფოტოფიქსაცია. 2.მხატვარ სერგო ქობულაძის სახელოსნოში დაცული კერამიკის კოლექციის გაცნობა-დამუშავება, ფოტოფიქსირება. 3. მხატვარ ნიკოლოზ გომელაურის შესახებ საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტაციის შესწავლა. ყოველივე ამის საფუძველზე მომზადდა			

მოხსენებები და სტატიები.			
11	ისტორიული მუხრანის ურბანული მემკვიდრეობის კვლევა 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).	2018-2020	ლალი ანდრონიკაშვილი მკვლევარი
სოფელი მუხრანი, ძალზედ საინტერესო მატერიალური მემკვიდრეობით ხასიათდება, რომლის ქრონოლოგიაც შუსაუკუნეებიდან XX საუკუნის დასაწყისამდე აღწევს. ამას ემატება საუკუნეების განმავლობაში ადგილობრივ მოსახლეობაში გამჯდარი წეს-ჩვეულებანი თუ ტრადიციები, რაც სოფლის იდენტურობასა და მის ისტორიულ მეხსიერებას განაპირობებს. სოფელში დღესაც აღინიშნება ქეთევან დედოფლობა, გადმოცემის მიხედვით ქეთევან დედოფალმა ჯვარი სწორედ მუხრანის ეკლესიაში დაიწერა. ისტორიული მეხსიერებით დატვირთული, მასშტაბური დასახლება საბედნიეროდ დღემდე ინარჩუნებს მხატვრულ-არქიტექტურულ თუ ურბანულ გამომსახველობას. სწორედ ამიტომ მისი შესწავლის პროცესში უმნიშვნელოვანესია ყველა ღირებულებითი კომპონენტის დადგენა და გააზრება სოფლის განვითარების საერთო კონტექსტში. კვლევისას გამოიკვეთა სოფლის ისტორიული განაშენიანების ბირთვი, რომელიც ორი - მცირე და დიდი გალავნის ირგვლივ ვითარდება. განაშენიანების ქრონოლოგია შუა საუკუნეებიდან XX საუკუნის დასაწყისამდე პერიოდს მოიცავს. ურბანული ქსოვილი მდიდარია არქიტექტურული და ისტორიული თვალსაზრისით ღირებული ნაგებობებით, რომლებიც აყალიბებენ განაშენიანების ხასიათს. ამავდროულად ძალზედ საინტერესოა თავად ურბანული ქსოვილი, ქუჩათა მორფოლოგია და სტრუქტურა, რაც ამ დასახლების განსაკუთრებულობას ქმნის. ციტადელის კედლებს მიღმა, თლილი ქვებით მოსაზღვრული ცარიელი სივრცე გამოიკვეთა, რომელიც სავარაუდოდ ეკლესიის ან სასახლის საძირკველს უნდა შეიცავდეს. ამ ტერიტორიაზე აუცილებელია არქეოლოგიური კვლევის ჩატარება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ე.წ. დიდი გალავნის მნიშვნელობა გამოიკვეთა, რომელიც წლების განმავლობაში სოფლის განაშენიანებამ შთანთქმა. ძველი გალავნის ფრაგმენტების მეტად გამოვლენის მიზნით, სასურველია მათი შეძლებისდაგვარად გაწმენდა შეუსაბამო მინაშენებისაგან და ხედვითი არელების განთავისუფლება ჩაშენებული მიკროსტრუქტურებისაგან, იმისათვის, რომ კვლევისთვის თვალსაჩინო იყოს გარე გალავნის მასშტაბი და ძირითადი მოცულობა. კვლევა შეეხო აგრეთვე იმ ტრადიციებისა თუ ისტორიებს, რაც დღემდე არსებობს ადგილობრივ მოსახლეობაში. შესასწავლ იქნა ისტორიული უბნების ტოპონიმების წარმომავლობა, მაგალითად, ისეთის, როგორიც არის გემანელთა უბანი - „როზენფელდი“. როგორც გამოჩნდა, მუხრანის უბნებისთვის უმეტესად დამახასიათებელი იყო ეთნიკური დაჯგუფების მიხედვით სახელის დარქმევა _ ებრაელთა უბანი, თათრების უბანი და ა.შ.			
12	ქართული მოდერნისტული მხატვრობა ევროპული მოდერნიზმის კონტექსტში 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).	2018-2023	ცისია კილაძე მკვლევარი
ქართული მოდერნისტული მხატვრობა ევროპული მოდერნიზმის კონტექსტში ვრცელი საკვლევი თემაა და მრავალ საკითხს მოიცავს. კვლევითი პროექტი დაყოფილია თემატიკის მიხედვით. წინა წლებში განხორციელებული კვლევის შედეგები ნაწილობრივ შედის ამ კვლევით პროექტში. თემების ჩამონათვალია: პორტრტი და ავტოპორტრტი; ქალაქისა და ურბანული გართობის თემა, კაფეები, ცირკი, ბაღები და სხვა, ირონია და თამაშის მოტივები, თეატრის როლი მხატვრობაში, ომისა და რევოლუციის თემა, ნატურმორტი, მხატვრული ფორმის საკითხები და სხვა. განხილული იქნება ცნობილი ქართველი მოდერნისტი მხატვრების შემოქმედება ზემოთ აღნიშნული თემების მიხედვით . ესენია: შალვა ქიქოძე, დავით კაკაბაძე, ელენე ახვლედიანი, ვალერიან სიდამონ ერისთავი, ლადო გუდიაშვილი და სხვები.			



2019 წლის მანძილზე მოძიებულ იქნა კვლევისთვის აუცილებელი ვიზუალური მასალისა და ბიბლიოგრაფიის დიდი ნაწილი და ნაწილობრივ დამუშავდა ლიტერატურა, როგორც ქართული ისე უცხოენოვანი ნაშრომები თემების ირგვლივ. მოძიებულ იქნა ევროპულ მხატვრობაში პარალელები ქართული ნიმუშებისთვის, შეირჩა კონკრეტული ნაწარმოებები და მოხდა მათი კლასიფიკაცია. ასევე შედგა კვლევითი პროექტის ზოგიერთი თემის ანალიზი, ჩატარდა ევროპულ ნიმუშებთან შედარებითი კვლევები, გამოიკვეთა მნიშვნელოვანი საკვანძო საკითხები თემების ირგვლივ და დაიწერა კვლევები შალვა ქიქოძის მხატვრობის შესახებ, პორტრტისა და ავტოპორტრეტების შესახებ, ასევე ქალაქისა და ურბანული გართობის თემის შესახებ მოდერნისტულ მხატვრობაში. დაიწერა სტატია - ლხინის სცენები ქართულ მოდერნისტულ მხატვრობაში და წაკიხულ იქნა მოხსენების სახით სამეცნიერო კონფერენციაზე.

კვლევითი პროექტის ამ ეტაპზე გამოკვლეულ იქნა შალვა ქიქოძის მხატვრობის სხვადასხვა ასპექტები, პორტრტის და ავტოპორტრეტის ჟანრი მის მხატვრობაში, ქალაქის და ურბანული გართობის, კაფეების მოტივები, თეატრის როლი და ირონიის და თამაშის თემა მის მხატვრობაში. ეს თემები გაანალიზებულ იქნა როგორც საკუთრივ ქართული მხატვრობის კონტექსტში, ისე ევროპულ მხატვრობასთან მიმართებაშიც. დამუშავდა უცხოური ლიტერატურა და მოხდა ამ ლიტერატურის გამოყენება პედაგოგიური მოღვაწეობის პროცესში. კვლევისას განხილული იქნა სივრცისა და დროის პრობლემები მოდერნიზმში. დაიწერა სტატია - ლხინის სცენები ქართულ მოდერნისტულ მხატვრობაში - სივრცისა და დროის ასპექტები მოდერნისტულ მხატვრობაში, სადაც მცდელობაა გამოვლინდეს სივრცის თავისებური გააზრება ქართველ მოდერნისტ მხატვრებთან აღნიშნული თემატიკის ფარგლებში. კვლევის ეს საკითხები გაგრძელდება სამომავლოდ.

კვლევისას მოძიებული მასალა და გაანალიზებული სამეცნიერო დასკვნები გამოყენებული და წარმოდგენილი იქნა პედაგოგიური მოღვაწეობისას, ლექციების წაკითხვის დროს.

13	გვიანი შუა საუკუნეების ახლად გამოვლენილი სადგომები ლ. გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე არეალში 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).	2017-2020	მანანა სურამელაშვილი მკვლევარი
კვლევითი თემის ფარგლებში ჩატარდა 2019 წლის მანძილზე ლ. გუდიაშვილის მოედანზე მიმდინარე სარეზიდუალური სამუშაოების პროცესში ახლადგახსნილი სამშენებლო ფენებისა და სადგომების ფოტო-ფიქსაცია, გაცნობა, მნიშვნელობის პირველადი შეფასება და ზოგადი დათარიღება. ამ სიახლეთა შორის განსაკუთრებით საყურადღებო აღმოჩნდა ბ. ახოსპირელის ქ. № 7 საცხოვრებელი სახლის (XIX ს-ის ბოლო - 1915 წ.) ეზოში, საკომუნიკაციო სამუშაოების წარმოებისას მიწის საფარს ქვეშ დრმად განთავსებული კვადრატული აგურის კარგი წყობით ნაშენი და ფართომასშტაბიანი, მაღალი შეისრული თაღით აღჭურვილი დაზიანებული კედლის გამოვლენა. სავარაუდოდ, ერთი და იმავე ნაგებობის ნაწილი შეიძლება იყოს აღნიშნული კედელი და 2018 წელს ამავე ეზოს მოსაზღვრე სარდაფში გამოვლენილი ორი შეისრულთაღოვანი და მცირე საჭრაქე ნიშით აღჭურვილი ძველი სადგომის ფრაგმენტი, რომლის შენარჩუნება დიდი სირთულის მიუხედავად, მაინც მოხერხდა. ამას გვაფიქრებინებს ახლო მანძილი მათ შორის, პარალელური ურთიერთმიმართება და თაღების ერთგვაროვანი - შეისრული მოყვანილობა, რაც, იმავე სამშენებლო პერიოდზე - XVII ს-ზე მიუთითებს. ადგილმდებარეობიდან გამომდინარე შეუძლებელი აღმოჩნდა მცირე ზომის ეზოს შუა ხაზზე ვეებერთელა ღრმულისა და თაღიანი			

კედლის გახსნილ მდგომარეობაში დატოვება, რის გამოც იგი სათანადო წესების შესაბამისად შეიფუთა და კვლავ მიწის ქვეშ მოექცა.

ბ. ახოსპირელის ქ. № 4 საცხოვრებელი სახლის (XIX ს. შუა წლები - XX ს. დასაწყისი) ეზოში თხრილის ამოღებისას გაიხსნა ასევე ძველი სამშენებლო პერიოდის, კვადრატული აგურით ნაშენი წრიული სტრუქტურის ფრაგმენტი შიგ მოქცეული სხვადასხვა დიამეტრის მქონე ორდონიანი ორმოთი. იგი



სარეაბილიტაციო არეალში გახსნილი აგურითამოშენებული, წრიული გეგმის მრავალთაგან ერთი, თავისებური გადაწყვეტის მქონე ორმოა, რომლებსაც განსხვავებული დანიშნულება (მარცვლეულის შესანახი, სამაცივრე, საკანალიზაციო და სხვა) შეიძლება ჰქონოდა. თხრილმა ასევე გადაჭრა რიყის ქვით ნაშენი განიერი კედელი, რომელიც, ჩანს, ეზოს აღმაცერად კვეთდა.

აღნიშნულ ორივე მისამართზე გამოვლენილი ძველ ნაგებობათა ფრაგმენტები, როგორც უმთავრესად გვხვდება, XIX ს-ის საცხოვრებელი სახლების

სტრუქტურაში კი არ არის მოქცეული, არამედ ეზოს ფარგლებში, მიწის საფარს ქვეშ ვრცელდება.

გარდა ცალკეული სიახლეების ფიქსაციისა და პირველადი შეფასება-დათარიღებისა საკვლევად შერჩეული იქნა რთული გეგმარებითი სტრუქტურის ორი საცხოვრებელი სახლი - № 7/2 და № 7/3, რომლებიც სამხრეთიდან შემოსაზღვრავს ლ. გუდიაშვილის მოედანს..

ამ შენობათა სარდაფის სართულში გასულ წელს დიდი რაოდენობით გამოვლენილ, ძირითადად XVII-XVIII სს-ის სადგომთა ფრაგმენტებისა და ეზოს სამხრეთ ნაწილში გახსნილ, სავარაუდოდ, XIX ს-ის ცილინდრულკამაროვანი კოლექტორის გარდა, მიმდინარე წელს №7/3 სახლის ეზოში გაითხარა მიწაში ძალიან ღრმად ჩამჯდარი, კვადრატული აგურით ნაშენი საკმაოდ გრძელი კედელი, რომლის ერთ ბოლოში გამოვლინდა ძველი სადგომის კუთხე, ხოლო მეორე ბოლოში დიდი ზომის (30X30 სმ) აგურისსაფეხურებიანი კიბე, რომელიც ეშვებოდა შიგნით. კედლებში დატანებული იყო შეისრულთაღოვანი ნიშები (3) და კარის ლიობი, რაც ცხადს ხდიდა მიწის ქვეშ სხვა სადგომების არსებობას ეზოს წინა ნაწილშიც. გამოიკვეთა, რომ საქმე გვქონდა XVII ს-ის, საკმაოდ მასშტაბურ საცხოვრებელ, თუ სავაჭრო დანიშნულების ნაგებობასთან, რომლის სრულად გამოვლენა, სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ მოხერხდა.

№ 7/2 და № 7/3 საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ეზოს საფარს ქვეშ, 2018-2019 წლებში გამოვლენილ ძველ ნაგებობათა აღნიშნულ ფრაგმენტებს გარდა, ჩატარებულმა კვლევამ ამ ნაგებობათა მიწისზედა სართულების შესწავლისასაც საყურადღებო სურათი გამოავლინა. ერთი მხრივ გამოჩნდა, რომ შენობათა ყოველი შემდგომი სახეცვლისას არ გადაუხვევიათ საერთო მხატვრული კომპოზიციის შექმნის ამოცანიდან, ხოლო მეორე მხრივ, გვიანი შუასაუკუნეების სტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი საცხოვრებელ სართულშიც აღმოჩნდა შენარჩუნებული.

ძირითადი და დამხმარე მკლავისგან შემდგარი ორივე საკვლევი სახლის გეგმა პასუხობს XIX ს-ის მანძილზე ფართოდ გავრცელებული თბილისური საცხოვრებლის სტრუქტურას. ამასთან ერთად, შენობათა ლ. გუდიაშვილის მოედნისკენ გამოშვებული ევროპული ფასადები და სადარბაზოები ორგანულად არის შეთანხმებული ადგილობრივი ტრადიციის მიხედვით გადაწყვეტილ, თბილისურაინერებიან ეზოს ფასადთან.

კედლებში ფიზიკურად შემორჩენილი კვლების შესწავლა-გაანალიზებით და საარქივო ფოტოებზე ასახული ცვლილებების ქრონოლოგიური სურათის შეჯერებით ირკვევა, რომ № 7/2 შენობის ადგილზე გვიანობამდე, 1910-იან წლებამდე შემორჩენილი ყოფილა ერთსართულიანი, სავარაუდოდ XVIII ს-ის

დამდეგის მნიშვნელოვანი საცხოვრებელი სახლი, რომლისგანაც ვფიქრობთ, შემორჩენილი უნდა იყოს პირველი სართულის აღმოსავლეთი ნაპირა კედელი. მიმდინარე წლის ზაფხულში, აღნიშნულ კედელზე ნალესობის მოხსნის შედეგად გამოვლინდა ინტერიერის მხატვრული გაფორმების კარგად ჩამოყალიბებული სიმეტრიული კომპოზიცია, რომელსაც ძველი აგურით ნაშენი ხუთი, ჭერამდე სიმაღლის ნიშა და შუაში განთავსებული ბუხარი ქმნის. აღნიშნული ნიშები აგურის წყობაში ჩატანებული ძელებით ორ არათანაბარ ნაწილად არის გაყოფილი: ზედა რეგისტრს მაღალი, ამჟამად ჩაშენებული, შეისრულთაღოვანი მოხაზულობის ნიშების რიგი ქმნის, ხოლო ქვემოთ დაბალი და განიერი თახჩებია. ბუხრის ღიობის პირი მორღვეულია, დაზიანებულია ასევე პროფილირებულ სწორკუთხა ჩარჩოში მოქცეული დეკორატიული მორთულობის ცალკეული ელემენტები. ეს კედელი ნაგებობის მეტად ღირებულ სიძველეს წამოადგენს და მისი მხატვრული დამუშავება სავარაუდოდ, XVIII ს-ის დამდეგს უნდა ეკუთვნოდეს. რაც შეეხება ბუხარს, მისი გაფორმება ვარდულითა და ლილვებით, ჩანს, მოგვიანებით, XIX ს-შია შესრულებული.

ამრიგად, №2/7 და №7/3 შენობების რთული აგებულება, ორდონიანი სარდაფი, ძველი სამშენებლო ფენები საცხოვრებელ სართულშიც და ქვედა დონეებზეც, როგორც შენობების შიგნით, ასევე ეზოს ტერიტორიაზე მიწის საფარს ქვეშ, ამ ადგილის განაშენიანების ისტორიის საინტერესო, უცნობ ფურცლებს შლის და ნათლად აჩვენებს როგორი აქტიური ცხოვრება ჩქეფდა ამჟამინდელი ლ. გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე არეალში წინა საუკუნეების ნამძილზე და როგორი მრავალფეროვანი ფუნქციით იყო დატვირთული აქ მცხოვრებ მოქალაქეთა ცხოვრება.

14	სამეცნიერო-საცნობარო ენციკლოპედიური ტიპის თორმეტტომიანი გამოცემა "საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა" 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).	2002 – 2030	თამაზ დვალი პროექტის ხელმძღვანელი ფლერ დედარიანი სტატიები კედლის მხატვრობის ძეგლებზე; მზია ბაქრაძე ტექნიკური პერსონალი, რედაქტორი
----	---	-------------	--

სხვა არაფრით წარმოჩინდება ისე ხელშესახებად და თვალნათლად ამა თუ იმ პიროვნების ისტორიული დამსახურება, და არა მარტო ცალკეული პიროვნების, არამედ მთელი ხალხის ცხოვრება თავისი ყველა მხარით, როგორც მატერიალური კულტურის ძეგლებით. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ისტორიკოსისათვის და საერთოდ, ერის წარსული ცხოვრების ყველა მხარის მკვლევართათვის ძირითადი საყრდენი წერილობით საბუთებთან ერთად მატერიალური კულტურის ძეგლებია, ზოგჯერ კი მთელ ეპოქაზე მხოლოდ მათი მეშვეობით გვიხდება მსჯელობა. ამიტომაც, რომ ყოველი ცივილიზებული ერის მეცნიერების პირველი რიგის ამოცანაა ამ ხასიათის ძეგლების აღწერა-შესწავლა და სისტემაში მოყვანა, მათი მეცნიერების სამსახურში ჩაყენება. სწორედ ამისთვისაა გამოიზნული სამეცნიერო-საცნობარო, ენციკლოპედიური ხასიათის მრავალტომიანი გამოცემა – „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა“ – რომლის მომზადებისა და გამოცემის იდეას საფუძველი გასული საუკუნის მიწურულში ჩაეყარა. შესაბამისად, საქართველოს იმჟამინდელი მთავრობის მიერ მიღებული იქნა სპეციალური დადგენილება „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის გამოცემის შესახებ“. გამოცემის სამუშაოების კოორდინაცია იმთავითვე დაევალა ქართული ენციკლოპედიის მთავარ სამეცნიერო რედაქციას, თავად მასალის მომზადება კი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რამდენიმე ინსტიტუტს. მათ შორის: ისტორიის ძეგლებზე – ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს, არქეოლოგიის ძეგლებზე – ამავე ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრს, ხოლო არქიტექტურისა და მონუმენტური ხელოვნების ძეგლებზე – გიორგი ჩუბინაშვილის

სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტს (ამჟამად: გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი). სპეციალურად, „აღწერილობის“ მასალის მომზადებისათვის, ინსტიტუტში შეიქმნა „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის განყოფილება“ (ამჟამად „ძეგლთა აღწერილობისა და სამეცნიერო ინფორმაციის ჯგუფი“), რომელშიც, „აღწერილობის“ მასალის მომზადებასა და გამოცემისათვის, მრავალი წლია მიმდინარეობს მიზანდასახული სამეცნიერო-კვლევითი და სარედაქციო საქმიანობა.

საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, „აღწერილობის“ გამოცემა იმთავითვე დაიგეგმა ტერიტორიული პრინციპით – არსებული სახელმწიფო ადმინისტრაციული დაყოფის გათვალისწინებით. შესაბამისად, საქართველო დაიყო თორმეტ რეგიონად. თითოეულ რეგიონს უნდა მიმდევროდა ერთი წიგნი, რომელშიც შეტანილი იქნებოდა თითოეული ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებული უკლებლივ ყველა ძეგლი.

დღეისათვის გამოცემულია კრებულის ოთხი წიგნი, რომლებშიც მიმოხილულია საქართველოს 13 მუნიციპალიტეტის (ახმეტის, გორის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, დუშეთის, თელავის, თიანეთის, კასპის, მცხეთის, ქარელის, ყაზბეგის, ყვარლის და ხაშურის) 3.713 ისტორიისა და კულტურის ძეგლი, რომლებიც ილუსტრირებულია ნახაზებითა (გეგმები, ჭრილები ფასადები და სხვ.) და ნატურიდან გადაღებული ფოტოსურათებით („აღწერილობის“ უკვე გამოცემულ ოთხ ტომში მოთავსებულია დაახლ. 3.000 ილუსტრაცია). ყოველ წიგნს დასაწყისში წამდგარებული აქვს შესავალი სტატია, რომელიც გვაცნობს მოცემული რეგიონის ისტორიას, თავისებურებებს, მის წვლილსა და ადგილს საქართველოს ისტორიულ, მატერიალურ და კულტურულ ფასეულობათა შექმნაში.

„აღწერილობაში“ მასალა გაწყობილია ანბანით. მუნიციპალიტეტის ყოველ ქალაქსა თუ სოფელს, არსებული მასალიდან გამომდინარე, თან ახლავს საცნობარო სტატია. ადმინისტრაციულ ერთეულებში (ქალაქებში, სოფლებში) არსებული ძეგლები განლაგებულია აგრეთვე ანბანზე. „აღწერილობის“ გამოცემისათვის თითქმის ყველა არქიტექტურულ ძეგლზე, სპეციალურად გამოცემისათვის, ჩატარდა აზომვითი სამუშაოები, ან მოხდა ძველი ანაზომების გადამოწმება-განახლება. რეგიონის შესავალ სტატიებს ახლავს ისტორიული რუკები, ხოლო ყოველი მუნიციპალიტეტის დასაწყისში მოთავსებულია რუკა, რომელზეც დატანილია ის სოფლები და ადგილები სადაც არის ისტორიისა და კულტურის ძეგლი. ყოველ წიგნს თან ერთვის ანბანზე გაწყობილი და დანომრილი, მთლიანად რეგიონის, ცალკეული ძეგლის, კომპლექსის შესახებ არსებული ლიტერატურისა და პერიოდიკის, საარქივო მასალების ბიბლიოგრაფიული ცნობები. ასევე ანბანზე გაწყობილი სამივსტრიქონები – პირთა, გეოგრაფიული და ეთნიკური სახელებისა; სახელიანი ძეგლების, მოხატული ეკლესიების, ნაგებობების, რომლებსაც აქვთ რაიმე სახის წარწერა ან წარწერის ნაშთი და ქრონოლოგიური სამივსტრიქონები.

გამოცემა აუცილებლად შეუწყობს ხელს, არა მარტო სამეცნიერო კვლევისა და ძეგლთა დაცვისა და გამოყენების საქმის სწორად დაგეგმვასა და წარმართვას, არამედ ჩვენი მატერიალური და სულიერი კულტურის, როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ პროპაგანდის საშუალო საქმის გაუმჯობესებას.

15	“თანამედროვე ქართველი ემიგრანტი ხელოვნები”, 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).	2019-2020	მზია ჩიხრაძე მკვლევარი
----	--	-----------	---------------------------

სამეცნიერო კვლევა - “თანამედროვე ქართველი ემიგრანტი ხელოვნები”, შეეხება უცხოეთში მცხოვრები და მოღვაწე ქართველი მხატვრებისა და არტისტების ცხოვრებასა და შემოქმედებას, მოვლენას, რომელიც მრავალწლიად განაპირობებს საქართველოს კულტურულ ინტეგრაციას დასავლეთთან და იმავდროულად, ამდიდრებს ლოკალურ სახელოვნებო სივრცეს განსხვავებული, დასავლეთიდან შემოსული მხატვრული ღირებულებებით.

ჩემი სამეცნიერო ნაშრომი ძირითადად ეყრდნობა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ

დაფინანსებული პროექტის “ინტეგრაცია და იდენტობა” ფარგლებში ჩატარებულ პრაქტიკულ მუშაობას, რომელიც დროსაც მოხდა დასავლეთში მცხოვრები და მოღვაწე ქართველი ხელოვანებისგან ინტერვიუების აღება, მათი მოღვაწეობის გაცნობა-შესწავლა.

ამ ეტაპზე მოხდა პროექტით გათვალისწინებული ქართველი მოდერნისტი ემიგრანტი მხატვრების დასავლურ და ქართულ კულტურასთან კავშირის, დამოკიდებულებების ანალიზი, მათი შემოქმედების დასავლეთ ევროპული და ქართული ხელოვნების კონტექსტში გააზრება. სამეცნიერო კვლევის საფუძველზე გაკეთდა ემიგრანტი მოდერნისტების და თანამედროვე ემიგრანტ ხელოვანთა უცხოეთში მიგრირების მიზეზებისა და გარემოებების ანალიზი, ამ ორი მოვლენის ანალიზი, შედარება, განსხვავებებისა და მსგავსებების დადგენა. კვლევა გრძელდება უკვე პოსტმოდერნიზმთან მიმართებაში.

16	“ქართული სათეატრო მხატვრობა” (1900-1920-იანი წლები) 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).	2018-20121	ელენე თუმანიშვილი მკვლევარი
----	---	------------	--------------------------------

ბევრია დაწერილი და თქმული ქართული თეატრის შექმნის თაობაზე, რომელიც 1850 წ. სახელგანთქმულმა ქართველმა დრამატურგმა, გიორგი ერისთავმა დააარსა. იმხანად არსებული სამოყვარულო დასები მონაწილეობდნენ შინაურ თუ საზოგადო წარმოდგენებში. 1879 წელს კი უკვე თეატრის მუდმივი დასი ჩამოყალიბდა (რომელშიც შედიოდნენ იქამდე სამოყვარულო სპექტაკლებში მონაწილე მსახიობები: ბაბო ავალიშვილი, მაკო საფაროვა, ნატო გაბუნია, ვასო აბაშიძე და სხვანი).

ყოველივე ეს მოწმობს, თუ რაოდენ დიდი იყო ქართული საზოგადოების მოთხოვნა და ინტერესი თეატრისადმი. ამ დიდ ინტერესზე მეტყველებს იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთები, საკმაოდ უხვი რეცენზიებით, რომლებიც ძირითად წარმოდგენას გვიქმნის იმ ხანის სპექტაკლებსა და მათ გაფორმებაზე. ამიტომაც, სწორედ ამ პერიოდის მოკლე მიმოხილვით შევეცდებით იმდროინდელი თეატრალური ცხოვრების სურათის მეტ-ნაკლებად აღდგენას.

1922 წელს რუსეთიდან თბილისს ჩამოსული კოტე მარჯანიშვილით ხდება ძირეული გარდატეხა ქართული თეატრის ცხოვრებაში. ის ქართულ სცენაზე უკვე პროფესიულ რეჟისურას ამკვიდრებს და ამასთან ერთად, პროფესიულ სათეატრო მხატვრობასაც. აქ ყოველი ცალკეული კომპონენტი – პიესა, მსახიობი, მხატვრობა, მუსიკა, განათება ერთ მხატვრულ მთლიანობას ქმნის. ამგვარად, სპექტაკლი მთლიან ანსამბლად იქცევა. ვფიქრობ, ამ კუთხით უნდა განვიხილოთ ამ პერიოდის სათეატრო მხატვრობაც, კერძოდ კი - რეჟისორის და მხატვრის შემოქმედებითი ურთიერთობა.

17	ეკლესიის მოდელები საქტიტორო კომპოზიციებში და მათი მიმართება რეალურ არქიტექტურასთან 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)	2019-2020	ქრისტინე საბაშვილი მკვლევარი
----	---	-----------	------------------------------------

ადრეული შუა საუკუნეების ქართულ საფასადე რელიეფებში მრავალად მოიპოვება საქტიტორო კომპოზიციები; დონორები, ზოგი ცალკე გამოსახული, ზოგი თანამომგებელთან ერთად, ზოგი-თანამეცხედრესთან, ხშირად არიან წარმოდგენილნი ეკლესიის მოდელით, რომელსაც ხან, და უმეტესად, მაცხოვარს მიაგებენ, ხან – ღვთისმშობელ, ხან რომელიმე წმინდანს, ხან ცალკე მდგომ ქტიტორს უჭირავს მთელი ეკლესია, ხან მხოლოდ იგულისხმება მიგების აქტი ცენტრში გამოსახულ ტაძრის ორსავე მხარეს წარმოდგენილ ქტიტორებთან, ხან კი საკმაოდ უცნაურ კომპოზიციაშია ჩართული. მოკლედ რომ ითქვას, საქტიტორო სცენები, ფორმის თუ შინაარსის თვალსაზრისით, საკმაოდ მრავალფეროვნებით გამოირჩევა. თუმცა ჩვენი ინტერესის საგანი არა იმდენად საქტიტორო სცენებია, რამდენადაც კომპოზიციაში ჩართული ტაძრის მოდელები და მასთან დაკავშირებული არსებული თუ



უკვე გამქრალი არქიტექტურული ნაგებობანი; რამდენად ოსტატურად არის ეკლესიის მოდელი გადმოცემული, ასახვას თუ არა რეალურ არქიტექტურას, სიმბოლური ტაძარია მხოლოდ გამოსახული, თუ კონკრეტული ტაძრის რეპლიკა, რამდენად აქტუალურია წმინდა მიწის არქიტექტურა მოდელის გამოსახვისას, როგორ გამოისახება არქიტექტურული ელემენტები სივრცეში, გრაფიკული თუ სივრცობრივი გადაწყვეტისას რამდენად

მნიშვნელოვანია იკონოგრაფია, როგორ ესმის შუა საუკუნეების ადამიანს ასლის მნიშვნელობა. ამ თემის მიზანი ყველა ზემოთ ჩამოთვლილი და სხვა მეტ-ნაკლებად ამასთან დაკავშირებული საკითხების გარკვევის მცდელობაა.

იმდენად რამდენადაც თემის შინაარსი და მასალა ძალიან მრავალფეროვანია და თითოეული ძეგლი საჭიროებს ცალკე კვლევას (და არსებული ძეგლების რაოდენობა , რომელიც ჩვენი კვლევის არეში მოხვდა დაახლოებით ოცამდეა, ამიტომ თემა გარდამავალია და გადანაწილდა ორ წელზე. 2019 წლის განმავლობაში შესრულდა კვლევები ბენისის , ბზის და ყველაანთუბნის რელიეფებთან დაკავშირებით .

18	შუა საუკუნეების საფასადო ქანდაკებისა და ხალხური ტრადიციის მიმართება XVIII-XIX საუკუნეების ქართულ მემორიალურ ძეგლებზე. 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).	2018-2020	ეკატერინე კვაჭატაძე მკვლევარი
----	--	-----------	----------------------------------

სამწლიანი კვლევითი პროექტის მიზანია შვეიცარიული შუა საუკუნეების საფასადო ქანდაკების ხანგრძლივი ტრადიციისა და ხალხური მქანდაკებლობის ხელოვნების მიმართების საკითხები, აგრეთვე ამ ტრადიციის გავლენა გვიანი შუასაუკუნეების, XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის მემორიალურ ძეგლებზე. კვლევამ უნდა გამოავლინოს შუა საუკუნეების ქართული რელიეფური სკულპტურის ძირეული ტენდენციების „სიცოცხლისუნარიანობის“ ხანგრძლივობა როგორც საკულტო, ისე ხალხური ხელოვნების წიაღში; მისი არსებითი თვისებების ასახვა - მოდიფიკაცია გვიანი



ხანის რელიეფურ ძეგლებზე, რომელიც ყველაზე ცოცხლად საფლავის ქვის დეკორში შენარჩუნდა.

მუშაობის ამ ეტაპზე (2019 წ.) განხორციელდა კიდევ რამდენიმე ექსპედიცია სხვადასხვა რეგიონში (იმერეთი, მთიულეთი, სამცხე და სხვ.), მოძიების პროცესშია პარალელური მასალა, მუშავდება სპეციალური ლიტერატურა, მზადდება პუბლიკაცია მე-18 საუკუნის დასაწყისის ხარჭაშნელი ეპისკოპოსის პარტენოზის საფლავის ქვისა და სამვალის შესახებ, რომელსაც წავიკითხავ გ.ჩუბინაშვილის ცენტრის სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც იგეგმება 2020 წლის მარტში.

19	იკვის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები	2016-2021	ეკატერინე გედევანიშვილი მკვლევარი
----	---	-----------	---

	6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).		
	 იკვს წმ. გიორგისადმი მიძღვნილი 2019 წლის სამუშაო უმთავრესად გულისხმობდა ამ ძეგლის პირველი ფენის (მე 12 ს.) სტილისტური პარალელების მოძიებას ქრისტიანული აღმოსავლეთის ხელოვნების კონტექსტში. ე.წ კომნენოსთა ეპოქის ფართო კონტექსტულურ კვლევას. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა იკვს მხატვრობაში ასახული ვნების სცენები, რომელიც ამ ეპოქის ერთ-ერთ ადრეულ ვნების ციკლად შეიძლება ვიგულისხმოთ. წელს მოხდა ე. პრივალოვასა და ნ. ალადაშვილის იკვსადმი მიძღვნილი სავსე სამუშაოების წაკითხვა და დამუშავება. მოვიძიე წმ. გიორგის სცენების ამსახველი აქამდე ფაქტობრივად უცნობი პარალელები (მაგ., მზეწვერის წმ. გიორგის მოხატულობა და სხვა).		
20	საერო ხელისუფალთა ატრიბუტიკა შუა საუკუნეების ქართულ რელიეფებზე 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2019-2021	თამარ ხუნდაძე მკვლევარი
მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის მქონე საქართველოს ვიზუალურ ხელოვნებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს უმაღლეს საერო ხელისუფალთა (მეფე-დედოფალთა, მსხვილ ფეოდალთა) გამოსახულებებს, რომლებიც მათი სოციალური სტატუსის აღმნიშვნელი სამოსითა და ინსიგნიებით წარმოგვიდგებიან. საქართველოში მეფობის კონცეფციის ჩამოყალიბებისა და განვითარების შესაბამისად, სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში ყოველ ატრიბუტს გარკვეული, ზოგჯერ განსხვავებული იდეურ-შინაარსობრივი საზრისი აქვს. პროექტი - „საერო ხელისუფალთა ატრიბუტიკა შუა საუკუნეების ქართულ რელიეფებზე“, მიზნად ისახავს შუა საუკუნეების ქართულ ქვის პლასტიკაში არსებული უმაღლეს საერო ხელისუფალთა გამოსახულებების ატრიბუტიკის (გვირგვინი-თავსაბური, შარავანდი, კვერთხი-სკიპტრა, სამოსი, იარაღი და სხვ.) მეცნიერულ შესწავლას, თითოეული ატრიბუტის წარმომავლობის, სიმბოლურ-იდეური საზრისის, სოციალური დატვირთვის განსაზღვრას; კონკრეტულ შემთხვევებში ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტის წარმოჩენას; სხვა ქვეყნების კულტურული ზეგავლენის გამოკვეთას ამა თუ იმ ატრიბუტის ფორმებსა თუ მხატვრულ გადაწყვეტაზე. პროექტის 2019 წლის ეტაპზე შესრულებულია შემდეგი სამუშაოები: 1. მოძიებულია საკვლევი მასალის ძირითადი ნაწილი - ადრეული შუა საუკუნეების, გარდამავალი ხანისა და განვითარებული შუა საუკუნეების რელიეფები; 2. მასალა დაჯგუფებულია ტიპოლოგიურად და ქრონოლოგიურად; 3. ნაწილობრივ დამუშავებულია ქართული და უცხოური სამეცნიერო (სახელოვნებათმცოდნეო და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი) ლიტერატურა; 4. მიმდინარეობს ისტორიული და ლიტერატურული წყაროების შესწავლა-დამუშავება; 5. ნაწილობრივ მოძიებულია პარალელური მასალა სხვა ქვეყნების სახვითი ხელოვნებიდან. პროექტის ამ ეტაპზე შესწავლილია ადრეული შუა საუკუნეების ქვაჯვარებსა და ტაძართა ფასადებზე გამოკვეთილი ერისმთავართა, პიტიახშთა, მამასახლისთა, ასევე წარჩინებულ მანდილოსანთა რელიეფური გამოსახულებების ატრიბუტიკა. უცხოურ პარალელებთან შედარების საფუძველზე, ნათლად გამოჩნდა,			



რომ ამ ეპოქის ქართველ ხელისუფალთა სამოსისა თუ ინსიგნიების გადაწყვეტაში სასაზღვრო ირანის იკონოგრაფიიდან მომდინარე ნიშნები დომინირებს (მაგ. “ზაფთიანი” თავსაბურები, შრომანისებრი ყვავილი დიდებულთა ხელში და სხვ.). თუმცა, ასევე თვალსაჩინოა ბიზანტიური ხელოვნების გავლენაც, როგორც მხატვრულ შესრულებაში (მაგ. მცხეთის ჯვრის რელიეფები), ისე შესამოსელის დეტალების ფორმებში (მაგ. სამწევრის ფილა - ბიზანტიური ტავლიონი, პენდილიებიანი თავსაბური). განხილული მასალა, საერო პირთა ატრიბუტიკის მეშვეობით, ადრეული შუა საუკუნეების საქართველოში ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ზეგავლენებსა და კავშირებს ათვალსაჩინოებს.

21	„ტაძართა პორტალების რელიეფური დეკორი X-XI საუკუნეების საქართველოში“, 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2019-2020	თამარ დადიანი მკვლევარი
----	--	-----------	----------------------------



2019 წლის განმავლობაში მოხდა განსახილველი მასალის შეგროვება და აღწერა. შოთა რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული საზაფხულო სკოლის ფარგლებში („ტაო-კლარჯეთი, ისტორია და მემკვიდრეობა: უძრავი და მოძრავი ძეგლები“) მოეწყო ექსპედიცია ტაო-კლარჯეთში, ასევე მოხერხდა ჯავახეთის რამდენიმე ძეგლის მონახულებაც (კუმურდო, ფოკა), რამაც შესაძლებლობა მოგვცა ძეგლებზე ადგილზე გვერდშეხება. ამ ეტაპზე გაკეთდა X საუკუნის ძეგლთა გაანალიზება, რომელსაც ზოგადი იკონოგრაფიული ექსკურსი და წინა პერიოდის (VI-IX სს-ის) მასალის მოკლე განხილვა დაერთო. ტაძარში შესასვლელს ქრისტიანობაში განსაკუთრებული სიმბოლური მნიშვნელობა აქვს - ის მიწიერ სამყაროდან ეკლესიის საკრალურ სივრცეში გადასვლას გულისმობს და ქრისტეს სიტყვებს ეხმიანება: „მე ვარ კარი; ვინც ჩემით შევა, ცხონდება: შევა და გამოვა, და ჰპოვებს საძოვარს“ (იოანე, 10:9). პორტალის, როგორც ერთგვარი საკრალური საზღვრის, მნიშვნელობა მის გაფორმებაშიც ჰპოვებდა გამოვლინებას. ადრექრისტიანულ ეპოქაში შესასვლელთა არქიტექტურებისა თუ

ტიმპანების რელიეფური კომპოზიციები ძირითადად ქრისტესა ან ღმრთისმშობლის დიდების, „ჯვრის ამალების“ სცენებს გვთავაზობენ (ქვემო ბოლნისი (VI ს.), ეძანის სიონი (VI ს.), აიაზმა VI ს.), მცხეთის წმ. ჯვარი (VII ს.) და ქრისტეს მეორედ მოსვლის თემაზე ამახვილებენ ყურადღებას. ამგვარად, ადრექრისტიანული კომპოზიციები უმეტესწილად ცხონების იდეას უსვამენ ხაზს. ეს ტრადიცია გრძელდება X-XI საუკუნეებშიც, მაგალითად, ხახულის (X ს.), ნიკორწმინდის პორტალთა ტიმპანებზე (X ს.), რაც მკვლევართა დაკვირვებით, მცხეთის წმ. ჯვრის ტაძრის იკონოგრაფიით, მცხეთური ტრადიციის გაგრძელების სურვილითა და ზოგადი ისტორიული ვითარებით უნდა აიხსნას. პორტალთა სხვა ჯგუფი ხაზგასმულად აპოტროპეული მნიშვნელობის გამოსახულებებით არის შემკული. მაგალითად, ვალეს ტაძარი (X ს.), რომელზედაც წმ. მხედრების წყვილია გამოქანდაკებული. წმ. მხედრის ფიგურას ვხედავთ ტიმპანის ფრაგმენტზე ზოის პეტრე-პავლეს ეკლესიიდან (X-XI სს.). ტიმპანებზე დამცველი ფუნქციის მქონე გამოსახულებების გამოხატვის ტრადიცია აქტიურად XI საუკუნეშიც გრძელდება (ნიკორწმინდა, რგანი, პატარა ონი). ზოგ შემთხვევაში შესასვლელთა ტიმპანებს მხოლოდ ორნამენტებით ამკობენ (მაგ., კუმურდო (X ს.) და XI ს-ის რამდენიმე ძეგლი). ხშირად ორნამენტულ თუ სიუჟეტურ კომპოზიციას ახლავს წარწერებიც, რომლებიც გვამცნობენ ტაძრის აშენების მოკლე ისტორიას და მეფის, ხანდახან ხუროთმოძღვრის, სახელს. პორტალთა წარწერები სავდრებელ ტექსტებს შეიცავენ და ამით სულის ხსნის იდეას გამოხატავენ - ეკლესიის შესასვლელი ხომ სასუფეველის კარიცაა. ფიგურატიულ გამოსახულებებთან ერთად წარწერა/ტექსტი მაყურებელთან არავერბალური კომუნიკაციის კიდევ ერთი საშუალებაა, რომელიც

ტიმპანის კომპოზიციის ნაწილიცაა. ამდენად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იქმნება გარკვეული ფორმულა (სიუჟეტური, ორნამენტული, სინთეზური ხასიათის), რომელიც ტაძრის შესასვლელის ზოგადი სიმბოლური საზრისის კონტექსტში, ამა თუ იმ იდეას მოკლედ, შეკუმშულად გადმოსცემს. ამ ნაშრომის მიზანია ამ ფორმულების ამოკითხვა X-XI საუკუნეების ჩვენამდე მოღწეული ტაძრების მაგალითებზე. ამ ეტაპზე X საუკუნის ძეგლების გაანალიზებაა განხორციელებული. აქ შედის ხახულის, ვალეს, ზზის პეტრე-პავლეს, კუმურდოს ტაძრები, ოშკის პორტალი საღებავით შესრულებული წარწერით, როგორც პარალელური მასალა. ხახულში საკუთრივ ტიმპანის გარდა (რომელზედაც „ჯვრის ამადლების“ სცენას ვხედავთ), შესასვლელის ღიობი სხვა რელიეფური გამოსახულებებითაა შემკული. ამდენად, აქ ტაძრის შესასვლელის გაფორმების ყველაზე გავრცობილი ვარიანტი გვხვდება. ხახულში შემდეგი გამოსახულებებია წარმოდგენილი - წმ. პეტრე სასუფეველის გასაღებით ხელში, რაც კარის, როგორც სასაზღვრო სივრცის მნიშვნელობას უსვამს ხაზს, ასევე ფანტასტიკური ცხოველები, ლომი, რომლებსაც დამცავი ფუნქცია ეკისრებათ, ალექსანდრე მაკედონელის ამადლება, როგორც სამეფო ძალაუფლების სიმბოლო. ვალეს ტაძრის ტიმპანზე წმ. მხედრები არიან გამოსახულნი, ზეციური ამალის წევრები, რომლებიც შუბებით ბოროტებისა და წარმართობის განსახიერებას, დიოკლეტიანესა და ვეშაპის ფიგურებს, განგმირავენ. ამგვარად, აქ მკვეთრად ხაზგასმული აპოტროპეული ფუნქციის გვერდით ქრისტიანობის ტრიუმფის თემაცაა გაჟღერებული. ეს უკანასკნელი მომენტი პორტალის მდიდრული საზეიმო გაფორმებითაც არის გაძლიერებული. ზზის პეტრე-პავლეს დარბაზული ეკლესიის ტიმპანი ბევრად უფრო მოკრძალებულადაა შემკული და მხედარი წმ. გიორგის ფიგურას შეიცავს, აქაც აპოტროპეული ფუნქციაა წამყვანი. კუმურდოში ორნამენტისა და წარწერების სინთეზია მოცემული. ორნამენტი, როგორც წესი, სამოთხის განსახიერებად გვევლინება. თანმხლებ ტექსტში მოცემული მშენებლობის მოკლე ისტორიაც ორნამენტირებული ტიმპანის კონტექსტში საკრალურ შინაარსს იძენს. შესასვლელის ტიმპანზე შესრულებული სავედრებელი სიტყვებიც სულის ხსნის, სიკვდილის მერე სამოთხეში მოხვედრის იმედს განასახოვანებს.

22	ჰუჯაბის ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესია 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2017-2020	ქეთევან აბაშიძე მკვლევარი
----	---	-----------	-------------------------------------

ჰუჯაბის ჯვარგუმბათოვანი ეკლესია შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების საეტაპო ნაგებობაა, რომელიც წარმოგვიდგენს ქართული საეკლესიო აღმშენებლობის გარდამავალ ეტაპს XII-XIII სს-დან XIV საუკუნის ტაძრული ხუროთმოძღვრების მხატვრულ მიდგომაზე.

ტაძარი XIIIს-ის პირველ მეოთხედშია აგებული (ეგებ, XII-XIIIსს-ის მიჯნაზე ან XIIIს-ის 10-იან წლებშიაც კი). დღეს ის სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობს, საქართველოს საზღვრიდან 400-მდე მეტრის დაშორებით. ეს ტერიტორია გეოგრაფიულად ბოლნისის ხეობას წარმოადგენს, რომელიც ისტორიულად მუდამ საქართველოს ეკუთვნოდა, მეტიც, იგი სამეფო დომენს წარმოადგენდა. მდინარე, რომლის ერთერთი შენაკადის ხეობაშია აგებული ტაძარი, ძველი ფოლადაურია. იგი მისი შენაკადით სათავეს ლალვარის ქედიდან იღებს. მდ. ფოლადაურის ხეობა იგივე ბოლნისის ხეობაა.

XIIIს-ის პირველ მეოთხედში, ბოლნისის (მდ. ფოლადაურის) ხეობის დასაწყისში, ძველი დიდი სამონასტრო კომპლექსის ცენტრში, XI-ის დარბაზული ტაძრის გვერდით დიდი, ჯვარგუმბათოვანი ტაძარი აუგიათ. კომპლექსის ცალკეული ნაგებობები და თავად დარბაზული ტაძარი, რომელიც თავისი გაბარიტებით საკმაოდ დიდია, და ამას მისი მინაშენი-ბჭეებიც ემატება უფრო ადრეულ შრეებსაც შეიცავენ. სამონასტრო კომპლექსის განაშენიანების სიდიდე, არსებული ნაგებობების სიმრავლით და ცალკეული ნაგებობის დიდი გაბარიტებით მეტად საყურადღებო მნიშვნელოვან მონასტერს გვისახავს წარმოდგენაში, რომლის შესახებ უკიდურესად ძუნწი წერილობითი წყაროები გაგვაჩნია, ისიც მხოლოდ XVIIIს-დან. გალავან-კოშკებიანი სამონასტრო კომპლექსის დღემდე შემორჩენილი ნაგებობების და მათი სივრცული

განაშენიანების საისტორიო წყაროებთან ერთად გაანალიზება ჰუჯაბის ივერიის ღვთისმშობლის სახელობის მონასტრის ისტორიას წარმოგვისახავს უწყვეტად, დაახლოებით VIII-IXსს-დან XXს-ის დასაწყისის ჩათვლით.

ისტორიულად ბოლნისის (მდ. ფოლადაურის) ხეობა დმანისის შემდეგ მნიშვნელოვან უმოკლეს გზას წარმოადგენდა სომხეთში გასასვლელად. ჰუჯაბის ტაძარი ბოლნისის ხეობის, ანუ მდ. ფოლადაურის ხევის დასაწყისშია აგებული ხოლო ამავე ხეობის ბოლოში წულრულაშენის გუმბათური ეკლესიაა აღმართული. ჰუჯაბი და წულრულაშენი არსებითად ერთი ტიპის ძეგლებს წარმოადგენენ. ეს ტიპი ჩვენში ჯერ კიდევ XIს. შემუშავდა და განსაკუთრებული გავრცელება XIII-ის მეორე ნახევრიდან ჰპოვა XIVს-ის ჩათვლით. ამ ხნის მანძილზე ჯვარგუმბათოვანი ტაძრის ამ ტიპმა ევოლუცია განიცადა – ცნობილია ორი ჯგუფი ე.წ. „ბეთანია–ქვათახევის“ ჯგუფი, რომელშიც ერთიანდებიან XIIს, XII-XIIIსს-ის მიჯნასა და XIIIს-ის პირველ ნახევარში აგებული ტაძრები და „საფარა–ზარზმის“ ჯგუფი, ქართული არქიტექტურის ცხოველხატული სტილის შემდეგი ეტაპი, ე.წ. „ახალი საფეხური“, რომელიც წარმოდგენილია XIII – XIVსს-ით დათარიღებული ტაძრებით. მათ შორის დროის მცირე მონაკვეთში XIIIს-ის პირველ ნახევარში და მის ბოლოს წარმოჩნდა კიდევ ერთი, მცირე ჯგუფი ტაძრების. ისინი ერთგვარ შემაკავშირებელ რგოლს წარმოადგენენ პირველ და მეორე ჯგუფის ტაძრებს შორის. ამ ტაძრების არქიტექტურაში უარყოფილია ძველი მიღებული, მყარი ნორმები და კანონები, თუმცა მათსავე წიაღში წარმოიქმნება ახალი, რაც ამზადებს კიდევ „საფარა–ზარზმის“ სახელწოდებით ახალ საფეხურს. სწორედ ამ ე.წ. გარდამავალ–შუალედურ ტაძრებს განეკუთვნება ჰუჯაბის ტაძარი. ამგვარად, არქიტექტურულ–კონსტრუქციული და მხატვრული–ესთეტიკური გადაწყვეტით XII და XIIIსს-ის ტაძრების ერთიან „ჯაჭვში“ – ბეთანია, ჰნე-ვანქი – „მელიცხოვლის“ ეკლესიის გუმბათი, ქვათახევი, იკორთა, ფიტარეთი, წულრულაშენი, კოჯრის კაბენი, ახტალა, ფუძნარი, ერთაწმინდა, ქართლის მეტეხი, კარდანახის საბა-წმინდა და სხვა, ჰუჯაბის ტაძარი ერთერთი ბოლოში მდგომი ნაგებობაა წულრულაშენთან, ფიტარეთთან და სხვ. ერთად. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ამ ტაძრებიდან ორიგინალობით და ჩანაფიქრის ინდივიდუალობით გამოირჩევა, შიდა სივრცეების, დეკორატიული სისტემის და ასევე ორნამენტაციის გადაწყვეტაში ისინი ეყრდნობოდნენ ძირითადად, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, ერთ „წონხს“, ე.ი. მიდგომა, ძეგლის, როგორც ერთიანი ორგანიზმის 'ჩამოსხმაში', იყო საერთო. ჩანს, შემუშავებული იყო გარკვეული კონცეპცია ტაძრის კონსტრუქციულ–მხატვრული სახის, ხოლო მისი დამუშავება კი თითოეული ხუროთმოძღვრის ინდივიდუალობას წარმოაჩენდა.



ჰუჯაბის ჯვარ–გუმბათოვანი ტაძარი ვრცელი სამონასტრო კომპლექსის დომინანტს, ჭეშმარიტ სულიერ და ფიზიკურ ღერძს წარმოადგენს. იგი, როგორც სამონასტრო სივრცის ცენტრალური ნაგებობა, სამონასტრო განაშენიანების ყველა ნაგებობასთან არის დაკავშირებული და მეტიც, იგი მათ აორგანიზებს და კრავს ერთიანობაში.

23	ბოზნევის იოანე მახარებლის ტაძრის მოხატულობა (XVII საუკუნის ქართული მონუმენტური მხატვრობის ისტორიიდან) 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2017 -2020	თინათინ ხოშტარია მკვლევარი
----	--	------------	---

თემა ეძღვნება ბოზნევის წმ. იოანე მახარებლის ეკლესიის მოხატულობის კვლევას. ბოზნევის წმ. იოანე მახარებლის ეკლესია საქართველოში მეტად გავრცელებული მცირე ზომის დარბაზული ტიპის ნაგებობას წარმოადგენს; გეგმით ოთკუთხოვანია, შიგნით ნახევარწრიული აფსიდით. მოხატულობას ახლავს წარწერა, რომლის მიხედვითაც ის 1683 წლით თარიღდება. საბედნიეროდ ეს ის შემთხვევაა, როდესაც დამკვეთისა და მხატვრის ვინაობა ცნობილია. ჩრდილოეთ კედელზე, მედალიონში ჩასმულ წმინდანებს შუა, ლურჯ ფონზე თეთრად, ბერძნული წარწერაა წარმოდგენილი: „ვედრება ცოდვილისა მომხატველისა, მონისა დანიელისა მთაწმინდელი ბერმონაზვნისა ამ ტაძრის მომხატველისა“. ამგვარად, ტაძრის მომხატველი ათონის წმინდა მთიდან ჩამოყვანილი მხატვარია. დამკვეთად კი იმ დროისთვის ცნობილი მოღვაწე იოსებ თბილელი მოიაზრება, რომლის საექტიტორო პორტრეტიც სამხრეთ-დასავლეთ კედელზეა წარმოდგენილი. ბოზნევის ეკლესიის მოხატულობა ფერთა ნიჭიერი შეხამებით, ავტორის ხატვაში მკაფიოდ გაწაფულ ხელს მოწმობს, რითაც ქართული მხატვრობის თანადროულ ძეგლთა შორის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ნიმუშია. პროექტი მნიშვნელოვანი და დროულია მე-17 საუკუნის ისტორიულ კვლევების კონტექსტში, ვინაიდან ის საშუალებას იძლევა დავინახოთ ამ პერიოდის საქართველოსთვის დამახასიათებელი კულტურული პროცესებიკერძოდ, თვალი გავადევნოთ მის ისტორიულ ვითარებას. კვლევა პირდაპირ კავშირშია ეროვნულ იდენტობასთან. ნაშრომში განხილული ბოზნევის წმ. იოანე მახარებლის სახელობის ტაძრის მოხატულობის ფრესკები სამწუხაროდ დაზიანებული სახით შემოგვრჩა და მათი სრული და ზუსტი იდენტიფიკაციისთვის საჭიროა როგორც შედარებითი ანალიზის მეთოდის გამოყენება, ასევე პარალელების მოხმობა; იკონოგრაფიული და მხატვრულსტილისტური კვლევის მეთოდების მეშვეობით მოხატულობის თეოლოგიური შინაარსის, მისი სტილისტური ინდივიდუალობის და ეპოქალური თავისებურების განხილვა. კვლევის მიზანია ძეგლის მართებული ინდივიდუალობის წარმოჩენა და მისი ადგილის განსაზღვრა, როგორც ქართული მონუმენტური მხატვრობის ისტორიაში, ისე ბიზანტიურ ხელოვნებასთან მიმართებაში. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად სხვადასხვა ავტორების მიერ გარკვეულ დონემდე ძეგლის შესწავლისა, ის საჭიროებს მეტად სიღრმისეულ კვლევას, კერძოდ მხატვრობის დეტალურ აღწერას, ასევე იკონოგრაფიულ - მხატვრული ანალიზის გაღრმავებას; საჭიროა განისაზღვროს თეოლოგიური თუ შინაარსობრივი მხარე და ასევე იკონოგრაფიული ტრადიციები. ეკლესიის მამულების უკეთ გასაცნობად და წარმოსადგენად იოსებ თბილელის რამდენიმე ბიოგრაფიული ცნობაც საკმარისია. იოსებ სააკაძე საეკლესიო მოღვაწე და ამავე დროს პოეტი იყო. აქტიურად მოღვაწეობდა ქვეყნის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში, იბრძოდა ცენტრალური ხელისუფლების გასაძლიერებლად და ახლო კავშირი ჰქონდა ვახტანგ VI-სა და არჩილ II მეფეებთან. იოსებ თბილელის სასულიერო ცხოვრება და ღვაწლი როგორც მიტროპოლიტის, არაერთ მნიშვნელოვან ადგილს უკავშირდება საქართველოში, მაგალითად, როგორიც არის ნიკორწმინდა და აწყური. მისი ცხოვრების ბოლო პერიოდი კი თბილისთანაა დაკავშირებული. მის კალამს ეკუთვნის პატრიოტული, საისტორიო პოემა „დიდმოურავიანი“, სადაც მოთხრობილი და აღწერილია დამპყრობელთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის მედგარი ბრძოლა და გასაჭირი, და გიორგი სააკაძის საგმირო მოღვაწეობა. პოემის შექმნა იოსებს მეფე არჩილ II დაუკვეთა. თბილისის მიტროპოლიტი იმდროინდელ საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, რასაც ანტონ კათალიკოსის სიტყვები ადასტურებს: „საყვარელ იყო მეფეთა მაშინდელისა“.

24	მცხეთის პირველი სვეტიცხოვლის და ადრეული ქართული ეკლესიების შესახებ 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2018-2020	თამაზ სანიკიძე მკვლევარი
----	--	-----------	---



1968-72 წლებში მცხეთის სვეტიცხოველში ცნობილი რესტავრატორის და მკვლევრის, პროფ. ვახტანგ ცინცაძის მიერ, აკად. გიორგი ჩუბინაშვილის მეთაურობით ჩატარდა სარესტავრაციო-საკონსერვაციო და არქეოლოგიური სამუშაოები (ვმონაწილეობდი მეც).

ტაძრის სამხრეთ კართან, ისტორიულ წყაროებში მითითებულ ადგილზე, აღმოჩნდა წმ. ნინოს და წმ. მირიან მეფის სვეტიცხოვლის ნაშთები (თარიღი დადასტურდა მასალის არქეომაგინიტური კვლევებით), რომლის შესახებაც ბ-მა ვახტანგ ცინცაძემ სპეციალური ნაშრომი გამოაქვეყნა (იხ. ქართული ხელოვნება, გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების იტორიის

ინსტიტუტის შრომები, #9, თბ., 1987). ნაშრომში, ისტორიული ფაქტების ფონზე, მოცემულია ნაგებობის აღწერა, გეგმის ანაზომი და მისი მასების სავარაუდო რეკონსტრუქცია, შორეული პარალელების (მცირე აზიურის, ევროპულის) საფუძველზე. მაშინ, როცა უახლოესი ანალოგები აქვეა - უფლისციხეში (რაც გვიან გავაცნობიერე).

წყაროების მიხედვით, მეფე მირიანი, თხოთის მთაზე თეოფანიით შთაგონებული, დაუყოვლებლივ იწყებს ქრისტიანული სალოცავის შენებას. მამასადამე, მეფე შემზადებულია ამისათვის. მან კარგად იცის, რომ ქრისტიანობა რომის იმპერიაში აღიარებულია ოფიციალურ რელიგიად. სრულად აქვს გათავისებული ქრისტიანობის სიკეთე ერისთვის, ქვეყნისთვის და მისთვისაც, ვითარცა მეფისთვის. იცის ისიც, რომ სხვაგან ქრისტიანები წარმართული დროის ბაზილიკურ სტრუქტურას იყენებენ საკუთარი ეკლესიების ასაშენებლად, მაგრამ მას უკვე მონიშნული აქვს ორიენტირი - უფლისციხე.

უფლისციხე ძვ.წ. IV ს-დან წარმოადგენს სატაძრო ქალაქს, მზისა და ცეცხლის სალოცავს, რომლის ძალა და გავლენა მოგვიანებით დამკვიდრებულმა კერპთაყვანისმცემლობამ ვერ გაანელა.

უფლისციხის ტაძრების ზოგადი ხუროთმოძღვრული აღნაგობა და წყობა ორიგინალურია - საქართველოს გარეთ არსად იპოვება (იხ. ჩემი მონოგრაფია და ოთხ ათეულამდე სტატია), და აწ უკვე კერპთა მსხვერველი მეფე სწორედ კერპების უარისმყოფელი უფლისციხიდან იღებს ქრისტიანული ეკლესიის გეგმარებით სქემას (გამარტივებულს). წმ. ნინოს თანადგომით ხის პატარა „სახლს ღმრთისა“ ჩადგამს სამეფო ბაღში, „სამოთხესა მას სამეუფოსა“ და განეფინება ქვეყანას „მზე სიმართლისა - ქრისტე“.

გეგმების მიხედვით სვეტიცხოველიც და უფლისციხის ტაძრებიც ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება. ერთია მოზრდილი, ფართო დარბაზი და მეორე, მასთან კიბეებით დაკავშირებული შედარებით ვიწრო, გრძელი და სამ მონაკვეთად დაყოფილი შენობა. უფლისციხის ტაძრების ზედა მასები და თაღ-კამარები ფაქტობრივად თავდაპირველი სახით არის შემორჩენილი. შესაბამისად, გვაქვს საფუძველი სვეტიცხოვლის კედლებიც მათთან მიმსგავსებულად წარმოვიდგინოთ. უფლისციხეში პირველი დარბაზი თავლია - შეუძლებელია გადახურული ყოფილიყო. სახურავი ვერ ექნებოდა სვეტიცხოვლის ანალოგიურ დარბაზსაც - 1) არ ჩანს გადახურვის საყრდენი ბოძების ჩასადგმელი ღრმულები და 2) დაფარავდა (დაახლოზდა) ცეცხლოვან სვეტს (ვ. ცინცაძეს დარბაზი გადახურულად აქვს წარმოდგენილი). ორივე ძეგლზე მთავარია მეორე დარბაზი (ფუნქციურად, მხატვრულად) - უფლისციხეში პირველისკენ საზეიმო კამაროვანი პორტიკით გახსნილი, რომლის წინ იდგა სამსხვერპლო-საკურთხეველი (მსგავსი ბორისა და დარმაზისხევის ვერცხლის ლანგრებზე გამოსახულ და ვანის კარიბჭის ტაძრის საკურთხეველებისა). სვეტიცხოველში ამ დარბაზის გამორჩეული მნიშვნელობა ხაზგასმულია იმითაც, რომ მისი იატაკი მთელ სიგრძეზე მოგებული იყო საგულდაგულოდ მოჭიქული ბრტყელი აგურებით (პლინთებით). აქვე, მის ცენტრალურ მონაკვეთში დაფიქსირდა კედლებისა და თაღის საყრდენი, „ლიბანის კედარისგან“ გამოთლილი ექვსი სვეტის ჩასადგმელი ღრმულები, ხოლო კიბის ბაქანზე ბაზა, რომელზედაც მეშვიდე, სასწაულმოქმედი „სუეტი იგი უდიდესი... საშუალ ეკლესიისა შესადგმელად გამზადებული“ აღიმართა „ხარისხსა თვისსა“ წმ. ნინოს ლოცვა-ვედრებით და მხოლოდ ამის შემდეგ „მეფემან განასრულა ეკლესია“.

აღნიშნულ პარალელურ ფაქტებს შეიძლება კიდევ რამდენიმე დეტალი დაემატოს, მაგრამ ვფიქრობ, ისედაც ცხადია, რომ წმ. მირიან მეფისა და წმ. ნინოს სვეტიცხოველი უფლისციხის ტაძრების მინაბადს წარმოადგენდა.

და კიდევ: ამ დროს ქვეყანაში ეროვნული სულისკვეთება საგრძნობლად არის გამძაფრებული, რაც პირველი სტეტიცხოვლის უფლისციხესთან მიმართებითაც დასტურდება.

2006 წელს კიდევ ერთხელ აიყარა სვეტიცხოვლის იატაკი. დაიგო ტაძრისთვის სრულიად შეუფერებელი მოყავისფრო მარმარილოს ფილები; ხოლო პირველი ეკლესიის წმინდა ნაშთები, ათეული წლების მანძილზე მინის ქვეშ დაცული და მიმზიდველი, დაბეტონდა სამარადჟამოდ.

25	კარიკატურის ისტორია საქართველოში 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).	2018-2022	მაია ციციშვილი ხელმძღვანელი ნინო ჯოღაშვილი მკვლევარი
----	---	-----------	--

კარიკატურა, როგორც სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი ჟანრი გამორჩეულად საინტერესო ფენომენია, რომლის არსებობის ისტორია რამდენიმე საუკუნეს ითვლის, მიუხედავად ამისა, მას დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა. ქართული კარიკატურა, პრაქტიკულად, უცნობია ფართო საზოგადოებისათვის, დავიწყებული და შეუსწავლელია სამეცნიერო წრეებში.

საქართველოში კარიკატურა არსებობას 1880-იანი წლებიდან იწყებს. ნიშანდობლივია, რომ კარიკატურა, რომელიც თავისთავად უაღრესად საინტერესო მხატვრულ მოვლენას წარმოადგენს, ხელოვნების პარალელურად ვითარდება და მასში მძაფრად ვლინდება ქართული მხატვრობის სხვადასხვა ეტაპის მიმდინარეობებისთვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნები, იქნება ეს რეალისტური მხატვრობა, მოდერნიზმი, სოც-რეალიზმი. ამავდროულად, კარიკატურის განვითარება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბეჭდურ მედიასთან, შესაბამისად, მასში კარგადაა ასახული საქართველოში სხვადასხვა დროს პრესის განვითარება, მისიროლი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, დამოუკიდებელი აზრის ჩამოყალიბებაში, მოწინავე პოლიტიკური ტენდენციების გამოვლენაში. ბეჭდვითი მედია განსაკუთრებით აქტიური იყო თბილისში, რომელიც 1840-იანი წლებიდან ამიერკავკასიის ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრი ხდება. ქართულთან ერთად აქ აქტიურად გამოდიოდა რუსული, გერმანული, თუ იმხანად საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნულ უმცირესობათა ჟურნალ-გაზეთები, ამავე დროს კი ვითარდება რეგიონალური პრესა. ნიშანდობლივია, რომ კარიკატურა იმთავითვე ავლენს განსაკუთრებულ ინტერესს საიმდროოდ აქტუალური სოციალური, პოლიტიკური, კულტურული მოვლენებისა და პრობლემების მიმართ.



1893-1904 წლებში თბილისში გამოდიოდა არაერთი გაზეთი, რომელთა საქმიანობაც მნიშვნელოვან პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს უკავშირდება. პოლიტიკური კარიკატურა განსაკუთრებულ მნიშვნელობას 1905 წლიდან იძენს. ასევე თვალსაჩინოა სოციალური კარიკატურის გააქტიურება პირველი მსოფლიო ომის დროს, რომლის დროსაც საინტერესო პარალელები იძებნება უცხოურ მასალასთან. XX საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოში გამოდიოდა დაახლოებით ოთხმოცდახუთი დასახელების ჟურნალი, გაზეთი და ალმანახი.

კარიკატურა განსაკუთრებით ნაყოფიერი და აქტუალური საქართველოს დამოუკიდებლობის დროს - 1918-1921 წლებში ხდება, ამ დროის პერიოდული გამოცემები სავსეა პოლიტიკურ და სოციალური თემაზე შექმნილი კარიკატურით (არსებობს საგანგებოდ კარიკატურაზე ორიენტირებული გამოცემებიც, მაგალითად, „უმშაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „ნიშადური“, „ხუმარა“, „კვალი“, „ტარტაროზი“ და სხვ. გამოცემათა სახელწოდებებიც კი მიუთითებს მათ მწვავე შინაარსზე). უნდა ითქვას, რომ ჟურნალ-

გაზეთების გარდა დიდია დამოუკიდებელი გრაფიკული ნაწარმოებების (როგორც შავ-თეთრი, ისე ფერადი) მემკვიდრეობა; მრავლადაა შემონახული ასევე საფოსტო ბარათები. კარიკატურაში მუშაობს არაერთი ცნობილი ქართველი თუ იმხანად საქართველოში მცხოვრები უცხოელი მხატვარი, რომელიც იმადროულად აქტიურად თანამშრომლობდა უცხოურ (განსაკუთრებით გერმანულ და რუსულ) პრესასთან (ო. შმერლინგი, ი. როტერი, ნ. კელჩევსკი, ბ. რომანოვსკი, შ. ქიქოძე, მ. შავიშვილი, მ. ჭიაურელი, ვ. ხოჯაბეგოვი და სხვ.). კარიკატურა კარგად წარმოაჩენს ამ პერიოდის საქართველოს და კერძოდ მისი დედაქალაქის - თბილისის მულტიკულტურულ შემოქმედებით გარემოს და მის როლს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში.

2019 წელი - პროექტის I ეტაპი დაეთმო მასალის მოძიებასა და დამუშავებას, რაც გულისხმობდა:

- სამუზეუმო კოლექციებისა და ფონდების დამუშავებას, როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში;
- კერძო კოლექციებში დაცული მასალის მოძიებას;
- საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და სხვა ბიბლიოთეკებში დაცული ბეჭდური მედიის კვლევასა და შესწავლას (1880-1980-იანი წწ.);
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამეცნიერო კვლევით ცენტრში დაცული მასალის მოძიებასა და შესწავლას;
- ფოტოფიქსაციას კვლევისთვის.
- ოსკარ შმერლინგის შემოქმედებისა და მოღვაწეობის კვლევა საქართველოს სახელმწიფო არქივში, ეროვნულ მუზეუმში, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

26	XX საუკუნის დასაწყისის ქართული ხელოვნების მოდერნული პარადიგმები (XX საუკუნის დასაწყისის ქართული ხელოვნების ისტორია) 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2016-2020	თეა ტაბატაძე მკვლევარი
თემის ამოცანაა გამოიკვლიოს ამ პერიოდის ქართული ხელოვნების, მხატვრული ფორმისა და შინა-არსის, მასში გამოვლენილი მხატვრის მსოფლგანცდის თავისებურებები. ანუ, როგორია მოდერნული გარემოსა და მოდერნული დროის მიმართ მხატვრის თვითრეფლექსია და განიხილოს ისინი ზოგად ევროპულ მოდერნულ დისკურსთან მიმართებით. 2018-2019 წლებში განხორცილდა თემის ნაწილის - კოლონიური აზროვნების შესახებ ქართულ მოდერნიზმში - კვლევა. ჩვენი ქვეყნისა და მისი კულტურის ორასწლოვანი კოლონიური მდგომარეობის მიუხედავად, ქართული მოდერნიზმი და ტფილისის ავანგარდი თავისუფალი პერიფერიული აზროვნებისგან და აზროვნებითი კოლონიისგან - ცენტრის ავტორიტარიზმისგან. ქართველი მოდერნისტების თეორიული ტექსტების, პირადი წერილებისა და სხვადასხვა ბიოგრაფიული ფაქტების გარდა, ამგვარი აზროვნება ნათლად ვლინდება შალვა ქიქოძის, დავით კაკაბაძის, კირილე და ილია ზდანევიჩების, ელენე ახვლედიანისა და ლადო გუდიაშვილის ნამუშევრებში სახვით-ფორმალური წყობის, ჟანრული-თემატური არჩევანის, სხვადასხვა მოდერნისტულ-ავანგარდული მიმდინარეობების მიმართ დამოკიდებულებისა და მათი „გამოყენების“ თავისებურებებისა თუ ნამუშევართა შინა-არსობრივი მეტყველების დონეზე.			
27	სივრცის პრობლემა 1910-1920-იანი წლების ქართულ მოდერნიზმში	2012-2022	ნანა ყიფიანი მკვლევარი

	6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია		
	თემა განიხილავს ქართულ მოდერნიზმსა და ავანგარდში სივრცითი აზროვნების თავისებურებას, რომელიც ათვალსაჩინოებს ზოგადად ქართული ესთეტიკური აზროვნების თავისებურებებს. ვიზუალური მასალა შედარებულია ამავე პერიოდის როგორც ევროპულ (გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ, იტალიურ), ისე რუსული მოდერნიზმისა და ავანგარდის მასალასთან. განხილულია და გაანალიზებულია შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა. თემა კვლევის პროცესში გაფართოვდა ჩარჩოები და ვიზუალურ მასალას დაემატა ამავე პერიოდის ლიტერატურული მასალა. პირველ რიგში ეს ეხება ავანგარდული წიგნის (ილია და კირილე ზდანევიჩები, კრუჩონიხი, ტერენტევი), 1925 წლის პუბლიკაციის «H2შO4» ტექსტების ანალიზს და ამ პერიოდში, ანუ 1910-1920-იან წლებში წაკითხული მოდერნისტებისა და ავანგარდის წარმომადგენლების ვერბალური ტექსტების ანალიზს სწორედ სივრცის პრობლემის, წარსულის და აწმყო დროის გააზრების კონტექსტში. ძირითადად ეს ეხება ილია ზდანევიჩის, დავით კაკაბაძის, გრიგოლ რობაქიძის, ცისფერყანწელების ტექსტების ანალიზს და მათ შედარებას ამავე პერიოდის ევროპული პუბლიკაციების ტექსტებთან - (დადაისტები, ფუტურისტები, ვორტიცისტები და სხვ.). ქვე-თემა სათაურით “სივრცის ნაკეცები”. ამავე პროგრამული თემის ფარგლებში ვშიფრავ ილია ზდანევიჩის 1917 წლის ექვთიმე თაყაიშვილის ტაოსა და კლარჯეთის ექსპედიციის და მარის ჩანაწერების ინტერპრეტაციებს (გაშიფვრა პროცესშია) სამომავლო ქვე-თემისთვის „ილია ზდანევიჩი, 1917 წლის ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიცია ტაოსა და კლარჯეთში და ნიკო მარის ჩანაწერების ინტერპრეტაციები ზდანევიჩის მიერ“ ამავე თემის ფარგლებში ამჯერად იწერება ტექსტი „ნიკო ფიროსმანაშვილის ალეგორიულ-სიმბოლური ენა“ და „ილია ზდანევიჩის ონოლატრიული პენტალოგიის ალეგორია“; გეგმაშია: „პეიზაჟის ჟანრი - ბუნების თემა ქართველ მოდერნისტებთან“.		
28	ორნამენტი ქართულ ოქრომჭედლობაში 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2018-2020	ლეილა ხუსკივაძე მკვლევარი
	2019 წლის სამუშაო ითვალისწინებს ჭედური ორნამენტის ადრეულ პერიოდს და მის სიმბოლიკას. შუა საუკუნეების ქართულ ჭედურობაში ორნამენტის როლი დიდადაა განსაზღვრული. უფრო მეტიც, გ. ჩუბინაშვილის თქმით, ქართული ხელოვნების ამ დარგში, სადაც მე1-1-12 საუკუნეების მანძილზე აშკარაა „ცდა სრულ დამოუკიდებლობამდე განვითარებისა - სწორედ ჭედურ სკულპტურაში - დეკორატიულ მომენტს, და კერძოდ, ორნამენტს უნდა დაეკავებინა, არ შეეძლო არ დაეკავებინა მნიშვნელოვანი ადგილი და წონა“ (Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тб., 1959, გვ. 536-537). როგორც ცნობილია, შუა საუკუნეების ორნამენტი, უპირველესად სიმბოლო-ნიშანია. მისთვის სიმბოლოდ წარმოჩენა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე მისი ესთეტიკური მხარისა. ასეთ მიდგომას ვხვდებით შუა საუკუნეების ქართულ ჭედურობაშიც. აქ გამოყენებული სიმბოლოები უნივერსალურია და მიუთითებს იმ კავშირებზე, რომლებიც არსებობს სახვადასხვა ცივილიზაციათა შორის. ამასთანავე ამა თუ იმ ნაწარმოებთა განხილვისას ჩვენ საქმე გვაქვს მათი სემანტიკური საზრისის სხვადასხვა ასპექტის გამოვლინებასთან. ცნობილია, რომ მცენარეული ორნამენტის ძირითადი სიმბოლიკა „სამოთხის ბაღით“ განისაზღვრება. მცენარეული ორნამენტისთვის ეს ჩვეული იდეა სხვადასხვანაირად აისახება სხვადასხვა ნაწარმოებში. სამოთხის ბაღის საინტერესო ვარიანტია წარმოდგენილი ბედოთსოფლის ედურ ფრაგმენტზე, რომელიც მე-9 საუკუნისა უნდა იყოს. გამოსახულების მთელი არე ორნამენტითაა დაფარული. ცენტრში კი მუხლსზევითი ფიგურაა მოცემული. ორნამენტულ მოტივს წრეში მოთავსებული ფოთოლი შეადგენს, მასში ჩაწერილი ნაყოფის სახით. ეს ნაყოფი გირჩად, შესაძლოა ყურძნის მტევნადაც იყოს მიჩნეული და მიაწინებდეს კიდევ		



ნაყოფიერებასა და მარადიულ ცხოვრებაზე. რაც შეეხება ფიგურის გამოსახულებას, ის, სავარაუდოდ, იდენტიფიცირებული იყო წმ. ლუკასთან. სამოთხის ბაღში მახარებლის გამოსახვა სავსებით დასაშვებია ფაქტია. თუმცა ჩემი აზრით, აქ წარმოდგენილი ფიგურა უფრო ქრისტეს გამოსახულებას უნდა შეესაბამებოდეს. ცენტრში წარმოდგენილი, ის სამოთხის ბაღის შუაში მოთავსებულ სიცოცხლის ხის სიმბოლოს მოგვაგონებს. ამ გამოსახულების ნაკვეთები, მკაცრის სიმეტრიის დაცვით, გრძელი თმა, კულულებდ დაყრილი მხრებზე, მისი ჩაცმულობა თუ ჟესტი - მკერდთან მიტანილი მარჯვენა, მარცხენა ხელში კი სახერება თითქოს ხელს

უწყობს ასეთი ვარაუდის დაშვებას. მართალია, მისი უჯვრო შარავანდი გარკვეულ ექვს ბადებს, მაგრამ მსგავსი მცირერიცხოვანი მაგალითების არსებობა, ვფიქრობ იძლევა აღნიშნული ვარაუდის შესაძლებლობას.

ხახულის კარედის გარემოჭედილობის მე-10 საუკუნის დეკორში „სამოთხის ბაღ“-ის თემა სხვა მრავალმხრივი ასპექტითაა დატვირთული. დეკორი შეფოთლილი ხეებისა და მათ შორის მოთავსებული ჯვრებისგან შედგება. სამოთხის ხეების რიცხვი აქ თორმეტია - ასოციაცია თორმეტ მოციქულთან და, ალბათ, სიცოცხლის ხის თორმეტ ნაყოფთანაც. სიცოცხლის ხე კი აქ ჯვრის სახით არის წარმოჩენილი და განიხილება როგორც წინასახე გოლგოთის ხსნის ჯვრსა. ამასთანავე ჯერ კიდევ არქაულ პერიოდში ჯვარი იყო სანყაროს სახე, რომელიც მის ცენტრზე მიუთითებდა. მისი ფუნქცია და თვისებები შემდგომში გადატანილი იყო სამყაროს ცენტრში მდგომ ხსნის ჯვარზე, რომლის წინასახე სიცოცხლის ხეა. ამგვარად, ხახულის აღნიშნულ დეკორში ოსტატმა შემოგვთავაზა კოსმოლოგიური სიმბოლოზმის ქრისტოლოგიური გაგება. რაც შეეხება ზოგადად ამ ნაწილის მთავარ თემას, ის უკავშირდება ხსნისა და გადარჩენის იდეას.

გაცილებით უფრო მარტივად არის აგადაწყვეტილი ამავე ადრეული პერიოდის, კერძოდ, მე-9 საუკუნის ბოლოს შესრულებული მარტვილის მინანქრული ენკოლპიუმი ჭედური ჩარჩო, სადაც მცენარეული ორნამენტი ღეროს დინებაშია ჩართული. ეს ორნამენტაცია ამ ძეგლის ზურგს ამშვენებს. განსხვავებით ზემოაღნიშნული ჭედურობისგან, ის მაინც მომჩარჩოებლის ფუნქციით არის შეზღუდული. თუმცა მთავარი სემანტიკური იდეა აშკარად მნიშვნელოვანია. ამ შემთხვევაში ამ ორნამენტის ტალღოვანი ღერო, რომელიც გაბმით გადადის ერთი მეორეში, უსასრულობის ნიაშანია და, ვფიქრობ, მოძრაობისაც.

ეს მცირერიცხოვანი მაგალითებიც საკმარისი მტკიცებულებაა იმისა თუ რა მრავალფეროვნებითაა გამორჩეული შუა საუკუნეების ჭედური ძეგლების სიმბოლური დატვირთვა.


1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	სვანეთის საცხოვრებელი ხუროთმოძღვრება 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).	2018-2019	ირინე ელიზბარაშვილი მკვლევარი

2018-2019 წლის მანძილზე, თემასთან დაკავშირებით დამუშავებული იყო საარქივო - ბიბლიოგრაფიული მასალა. 2017 და 2018 წლებში სვანეთში მოგზაურობის შედეგად, დამუშავდა მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში არსებული მასალა და გადაღებული იყო ფოტოები. ადგილზე შესწავლილი იყო სვანეთის საერო ხუროთმოძღვრების ნიმუშები. დამუშავდა სვანეთისთვის დამახასიათებელი სამშენებლო ტერმინოლოგია. ლიტერატურის შესწავლისა და მხატვრულ-სტილისტური ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა სვანური საცხოვრებლის სპეციფიკა და ფილოსოფია.

სვანეთი, მაღალმთიანი საქართველოს ულამაზესი კუთხეა განთავსებული კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდზე. ისტორიული და ბუნებრივი პირობების წყალობით იგი საუკუნეთა მანძილზე იზოლირებული იყო უამრავი გამანადგურებელი ისტორიული მოვლენისაგან, რომელიც მეზობელ რეგიონებში მიმდინარეობდა, თუმცა მუდმივი მოზიარე - მონაწილე ქვეყანაში მიმდინარე ისტორიული პროცესებისა. მწელბედობის ჟამს, იგი მკირფასი ნივთების საგანძურს, საცავს წარმოადგენდა მთელი საქართველოსათვის.

სვანეთში წამყვანი, მონუმენტური და მასშტაბური - საერო ხუროთმოძღვრებაა. სვანები უაღრესად მორწმუნე ხალხია. მათი რწმენა სინკრეტულია - ფუნდამენტურ, ქრისტიანულ რწმენასთან ერთად იგი



თავისთავში შეიცავს არქაულ, წარმართულ მითოლოგიის ელემენტებსაც, რაც გავლენას საერო არქიტექტურის შინაარსზედაც ახდენს. სვანთა საცხოვრებელი განსაკუთრებული საკრალური მნიშვნელობისაა. საცხოვრებლის ინტერიერში, უდიდესი როლი, კერძა და ძირითად სივრცეს აკისრია, რაც დიდად ზრდის საცხოვრებელი შენობის რელიგიურ-სულიერ დატვირთვას. საგულისხმოა, რომ საცხოვრებელი ხუროთმოძღვრება არამხოლოდ გარეგნულად გამოირჩევა, უფრო იმპოზანტური და ქმედითია, არამედ მისი უმთავრესი

განსხვავება მის შინაარსში, მრავალწახნაგოვან ფუნქციურ დატვირთვაში ვლინდება. საცხოვრებლის სინკრეტულობა, ამ კავშირების მოწესრიგებული სისტემა, ყველა ნივთის და ადგილის გამორჩეული მნიშვნელობა, ის გარემოება, რომ სწორედ საცხოვრებლის ინტერიერში ტარდება ყველაზე მნიშვნელოვანი რელიგიური რიტუალები - ზრდის მის სულიერებას. საცხოვრებლის სივრცე გაჯერებულია მისტიკური განწყობით და უდიდესი რელიგიური დატვირთვა აქვს. თუ გავითვალისწინებთ ისიც, რომ სვანური ხალხური დღეობათა კალენდარი 120 დღეობას შეიცავს, "რითაც ადამიანის რაობა, მისი საუკუნო მოვალეობა, ერის სულიერი ხედვა და დანიშნულება შეიმეცნება" (ნ.წერედიანი, დასახ. ნაშრ., გვ.6) და რომელთაგან უდიდესი ნაწილი სახლის ინტერიერში ტარდება, გასაკვირი არ არის ამ სივრცის განსაკუთრებული საკრალური მნიშვნელობა. ვერა ბარდაველიძის მიხედვით, უშუალოდ, ისევე როგორც სვანეთის სხვა თემებში შობა - ახალიწლის „ მთელ კვირას სვანებმა დიდი ღიმილი-ეზის(ღუმზირი ადამიანისთვის მისართმევი ღვთაებათა კუთვნილი სალოცავი პურია. იხ.ნ.წერედიანი, დასახ. ნაშრ., გვ.30) გადახდა იცოდნენ, - მათ უნდა მოეხსენებინათ და შესაწირი მიეძღვნათ მთელი სვანეთის და მეზობელი

კუთხეების სალოცავებისთვის, მათი ამშენებლების და ხატ-ჯვრების მომტან-გადმომსვენებელთა სახელზე, ამიტომ, ყოველდღიურად, დილა-სადამოს, თითოეულ ოჯახში უამრავ ღემზირ-ს აცხოზდნენ... ამ დროს გარკვეულ თანმიმდევრობით ხდებოდა სალოცავების მოხსენიება: პირველად უშგულის წმინდანებს ახსენებდნენ, შემდეგ კალის, იფარის, მულახისა და მესტიის სალოცავებს ჩამოსთვლიდნენ, ამათ მიაყოლებდნენ ქვემო სვანეთის ხატებს და ბოლოს სამეგრელოსა და აფხაზეთის სალოცავებზეც გადადიოდნენ... (ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, ტფ., 1939, გვ.74)

როზეტა გუჯეჯიანი იზიარებს კორნელი კეკელიძისა და ვერა ბარდაველიძის მოსაზრებას ამ რიტუალის ქრისტიანულ ლიტურგიასთან კავშირის შესახებ, რამეთუ, სვანეთში შემონახული ლოცვის რიტუალი ჰგავს „ჟამის წირვას“ (რ. გუჯეჯიანი, სარიტუალო პურების ისტორიიდან სვანეთში, სამეცნიერო-საისტორიო ჟურნალი „სვეტიცხოველი“ #1, 2015, გვ.138). ამ აზრს ვერა ბარდაველიძე შემდეგნაერად ავრცობს: სვანური ლოცვის/ლიმზირის ცნება შეესატყვისება სიტყვა „წირვას“, რომელიც თავისთავში შეიცავს წირვასაც და მსხვერპლშეწირვასაც. (ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრომი, გვ.78)

ფიქრობთ, ამგვარად მყარდება მჭიდრო კავშირი სახლსა და ეკლესიას შორის, ნ.წერედიანის თქმით ეს ურთიერთობა „ქეშმარიტების აღქმას გვიადვილებდა“ (ნ.წერედიანი, დასახ. ნაშრ., გვ.10). საცხოვრებელი სივრცის სწორედ ასეთმა მრავალმხრივმა დატვირთვამ განაპირობა ის გარემოება, რომ ზოგადად სვანეთში საცხოვრებელი არქიტექტურა საეკლესიოზე უფრო ეფექტური და თვალშისაცემია ვინაიდან, გარდა ყოფითი და თავდაცვითი მნიშვნელობისა, მისი წამყვანი და ძირითადი დანიშნულება სწორედ რელიგიურ-საკრალურ ფუნქციაში მდგომარეობს. მრავალწახნაგოვანი დატვირთვის მქონე საცხოვრებლის ინტერიერი ზრდის მისი სივრცის მნიშვნელობას. ინტერიერში ჩატარებულ ძირითად რიტუალებში წარმართულ შინაარსთან ერთად წამყვანი ადგილი სალოცავებსა და წმინდანებს უჭირავთ. ანუ ეკლესიის ფუნქციას გარკვეულწილად საცხოვრებლის ინტერიერიც ითავსებს. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ის გარემოებაც, რომ სვანეთში, შედარებით მოკრძალებული ზომის, უგუმბათო ეკლესიები შენდებოდა. ლონგინოზ სუმბაძემ ეს სხვაობა ხატოვნად წარმოაჩინა: „სახლ-კომპები ტაძარივით მონუმენტურია და ტაძარ-ეკლესიები კი სახლებივით ინტიმური“-ო. (ლ.სუმბაძე, უშგული-ხუროთმოძღვრული ფენომენი, საბჭოთა ხელოვნება #11, თბ., 1978, გვ.67) სვანეთის კოხტა, მინიატიურულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებას თავისი გამორჩეული, თვითმყოფადი, განსაკუთრებული ხიზლის მქონე სახე აქვს, ხოლო მათი ფრესკებითა და ჭედური ხატებით მთლიანად შევსებული, უდიდესი მხატვრულ-ისტორიული ღირებულების მქონე ინტერიერი ბუნებრივია, განსაკუთრებული რელიგიური დატვირთვის მატარებელიცაა.

სვანური საცხოვრებლის უნიკალურობა მდგომარეობს ინტერიერის ერთიან გააზრებაში, სადაც გარდა სიმბოლიკით დატვირთული გეომეტრიული ორნამენტით დაფარული ხის არქიტექტურული ელემენტების (ცხოველების სადგომის გამომყოფი ხის ტიხარი - ლეჭუნდრი, დედა ბოძი) სივრცე შევსებულია ყველა სახის ადგილობრივად დამზადებული, ასევე ორნამენტით შემკული ხის ავეჯით - სკამები, სავარძელები, ტახტი კარადა, მაგიდა. ინტერიერის ასეთი გააზრება-გაფორმება სვანურ ტრადიციას წარმოადგენს, რომელიც უცხო არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი კავკასიისთვისაც.

ამგვარად, კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ საოჯახო სოციალური ცხოვრების წესის კონსერვატიულობამ და თავდაცვის ინტერესებმა ხანგრძლივი დროის მანძილზე შეუწყო ხელი მაღალგანვითარებული საცხოვრებელი კომპლექსების ჩამოყალიბებას. ეს მონუმენტური ანსამბლები წარმოადგენს ხალხური სამშენებლო ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშებს, სადაც თვალნათლივ აისახა მთის ხუროთმოძღვრების სპეციფიური ნიშნები და სვანური საცხოვრების გამორჩეული ფუნქციური დატვირთვა.

2	„არ დეკო“ ქართულ ხელოვნებაში (XX საუკუნის 60 წლები) “ 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).	2018-2019	ნანა მირცხულავა მკვლევარი
---	--	-----------	--

2018 წელს დაწყებული, კვლევითი თემა „არ დეკო“ ქართულ ხელოვნებაში“, ითვალისწინებს ქართული ხელოვნების კავშირის მოძიებას XX საუკუნის უკანასკნელ შემაკავშირებელ ინტერნაციონალურ სტილთან, უძველესი კულტურების ეგზოტიკური ნაზავით. დეკადენსის უკანასკნელი ანარეკლის „არ

ნუვოს“(1891-1914) შემდგომ, XX საუკუნის ევროპის „ღრიალა ოცნებებში“(„The Roaring Twenties“), დასავლეთევროპულ უახლეს მიმდინარეობებთან ერთად ჩამოყალიბებული, ტექნიკური პროგრესის ფუნდამენტური ძვრების ამრეკლავი სტილი, საერთაშორისო სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურის ახალი კრიტერიუმებით, გლობალური მნიშვნელობის უნიკალურ სტილურ ფენომენად მოიაზრება.



„არ დეკოს“დაეკისრა მნიშვნელოვანი ფუნქცია,რომლის განხორციელებას ვერ შეძლებდა ვერც-ერთი პარარელურად მიმდინარე მიმართულება. ახალი ფორმების მასებში შეტანის, რეციპენტისთვის გასაგებ ენაზე გადმოცემის მიზნით, მან შეარბილა რადიკალური

მოდერნიზმის ფორმალური მიღწევები, ავანგარდული ხერხების სიმკვეთრე.

დღეს ,დასავლური სამყაროს განსაკუთრებული დაინტერესება თვალსაჩინოვდება, „არდეკოს“ მაგისტრალური ხაზის პარალელურად, განსხვავებულ კულტურულ გარემოში ჩამოყალიბებული სტილის რეგიონალური ვარიანტებისადმი. „არდეკოს“ელეგანტური, გლამურული, ზოგჯერ„ბრუტალური“ სტილური თავისებურებანი იჩენს თავს ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგებში (სტილური თავისებურებების ერთიანობის საფუძვლად მოვიაზრებთ როგორც შედარებით კონტექსტს, ფორმალურ მსგავსებას, მხატვრული გამომსახველობისის ზოგად ნიშნებს, ასევე სხვადასხვა კულტურულ გარემოში არსებულ შინაგან ინტენციებს, რომელიც განსაზღვრავს ერთგვაროვანი მოვლენის წარმოქმნისკენ მიმავალ იმპულსთა ერთიანობას). საკითხი „არ დეკოს“ გავლენის შესახებ თანამედროვე ქართული ხელოვნების განვითარების დინამიკაზე, საგანგებო კვლევის საგანი დღევანდლამდე არ გამხდარა.ფაქტობრივად ეს თემა არ განხილულა არც ერთ ნაშრომში, რომელიც ზოგადად ახალი დროის ქართული მოდერნისტული ხელოვნების შექმნის გზებს ეხება. კვლევითი თემის 2019 წლის ეტაპზე წარიმართა „არ დეკოს“ ,რეგიონალური ქართული ვარიანტის ახლად გამოვლენილი ნიმუშების. კომპლექსური სახელოვნებათმცოდნეო კვლევა- ანალიზი.

3	თავისუფლების მოედნის არქიტექტურული სახეცვლილებები 1991 წლიდან დღემდე. 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)	2017-2019	ციცინო ჩაჩხუნაშვილი მკვლევარი
---	---	-----------	--

წლიური თემის მიზანს წარმოადგენს თავისუფლების მოედნის არქიტექტურული და სივრცული სახის გარდასახვათა შეფასება XX- XXI სს-ის მიჯნიდან ბოლო ხანებამდე, როდესაც განსაკუთრებით დაჩქარდა ჩარევები დედაქალაქის ერთ-ერთი მთავარი მოედნის არქიტექტურულ სტრუქტურაში. ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა აჩვენა, ისტორიულად ჩამოყალიბებული ამ ურბანული სტრუქტურის რღვევის მიზეზები ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იანი წლებშია საძიებელი.

1930-იან წლებამდე მოედნის ცენტრი ეკავა არქიტექტორ ჯოვანი სკუდიერის პროექტით აგებულ თეატრის შენობას, რომლის მშენებლობა 1847-1851 წლებში მიმდინარეობდა. მისი დანგრევის შემდეგ დაირღვა მოედნის სივრცით-არქიტექტურული კომპოზიცია. 1950-60-იან წლებში არქიტექტორული საზოგადოების მხრიდან გამოითქვა მოსაზრებები მოედნის რეკონსტრუქციის და მისი კონფიგურაციის „გამოსწორების“ შესახებ.



1991-1992 წწ-ის მიჯნაზე, ე.წ. თბილისის ომის დროს ხანძრისა და ნგრევის შედეგად დაზიანებული შენობების აღდგენა ვერ მოხერხდა. მიუხედავად იმისა, რომ ამისათვის ყველა წინაპირობა არსებობდა. ვინაიდან შენობები საომარი მოქმედებების დროს დაზიანდა, მათი აღდგენა უნდა მომხდარიყო თავდაპირველი სახით. მით უმეტეს, რომ არსებობდა სათანადო ანაზომები და ფოტომასალები. ასეთივე გადაწყვეტილება იქნა მიღებული მეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს მიერ. რეალურად სხვა პროცესები წარიმართა, რასაც დაზიანებული ნაგებობების სრული დემონტაჟი მოყვა. მოგვიანებით მათი ადგილი „ქორთიარდ მარიოტი“ -ს სასტუმრო კომპლექსმა დაიკავა, რომელიც თითქმის სამჯერ

აღმატება ადრე აქ არსებულ ნაგებობებს. ამის შემდეგ დაიფარა სივრცის მათგან ნაგებობის ხედი მთაწმინდისკენ,

2016-2017 წლიდან თავისუფლების მოედნის მუდმივად ცვალებადი არქიტექტურა ახალ ფაზაში გადავიდა, რაც დაკავშირებულია ყოფილი „ცეკავშირის“ 1971 წელს აგებული შენობის (არქიტექტორები გივი მელქაძე, ნელი ქვარცხავა) ადგილზე წამომართულ ნაგებობასთან, რომელიც „პანორამა თბილისის“ ერთ-ერთ საფეხურს წარმოადგენს. მშენებარე სასტუმრო იკავებს თავისუფლების მოედნის კუთხეს და უზვევს გუდიაშვილის ქუჩისკენ. აშკარად გამოიკვეთა, რომ ამჟამად წარმოებული ფართომასშტაბიანი მშენებლობა კიდევ უფრო უარყოფით გავლენას მოახდენს როგორც თავისუფლების მოედნის, ასევე მიმდებარე ქუჩების სივრცით სტრუქტურაზე, ის „ჩაითრევს“ თავისუფლების მოედნის მიმდებარე ქუჩებსაც. ყველაზე მთავარი ის არის, რომ მოედნის სივრცით გადაწყვეტაში ძალზე შეიკვეცა ლანდშაფტის როლი. ეს ეხება როგორც კონტრეტულად მოედანს და მიმდებარე ქუჩებს.

თავისუფლების მოედანზე ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე მიმდინარე ფართომასშტაბიანმა სამშენებლო სამუშაოებმა დაარღვია დედაქალაქის მთავარი მოედნის და მისი მიმდებარე ქუჩების ისტორიულად ჩამოყალიბებული არქიტექტურული სახე. ამავე დროს უარყოფითი გავლენა მოახდინა შორი ხედების სივრცულ სტრუქტურაზე, მათ შორის – მტკვრის მარცხენა სანაპიროდან.

4	ზოომორფულ გამოსახულებათა იკონოგრაფიის ტრადიციული მოტივები (ზურგისკენ თავმიბრუნებული ცხოველები) - წინაქრისტიანული ხანა და შუა საუკუნეები 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია) 6.5 სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებები	2017-2019	მარიამ გაბაშვილი მკვლევარი
---	---	-----------	---

2019 წელი აღნიშნული კვლევითი თემის დამასრულებელი ეტაპია. ფინალურ ფაზაში მოხდა თემის საკვლევი ტექსტისა და სამუშაო საილუსტრაციო მასალის თავმოყრა, გავრცობა და რეზიუმირება. ვინაიდან საკვლევი თემა მოიცავს ხანგრძლივ პერიოდს წინაქრისტიანულიდან, კერძოდ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანიდან შუა საუკუნეების ჩათვლით, ტექსტი დაიყო შესაბამის თავებად, სადაც მიმოხილულია ზურგისკენ თავმიქცეულ ცხოველთა იკონოგრაფიის მხატვრული თავისებურებები საქართველოში არსებული უძველესი კულტურებისა და შუა საუკუნეების ყველა საფეხურის მიხედვით. ცალკე თავი ეთმობა ასევე ამ იკონოგრაფიული მოტივის უცხოურ პარალელებსაც. ნაშრომი შედგება შემდეგი თავებისგან: ა) შესავალი; ბ) I თავი - კოლხური კულტურის მხატვრული ბრინჯაო. გრავირებული არტეფაქტები; გ) II თავი - ზურგისკენ თავმიქცეული ცხოველების იკონოგრაფია ანტიკური ხანის ლითონმქანდაკელობისა და გრავირებულ

მეგლებზე; დ) III თავი - გვიანანტიკური ხანა - ზურგისკენ თავმიქცეული ცხოველები, როგორც ბრინჯაოს ჭვირული ბალთების რეპერტუარის წამყვანი თემა; ე) IV თავი - იკონოგრაფიული პარალელები - ძველი



აღმოსავლეთის, კრეტა-მიკენისა და სკვითური „ცხოველსახოვანი სტილის“ არტეფაქტების მხატვრული მიმართებანი „ქართულ“ მეგლებთან; ვ) V თავი - ადრექრისტიანული ქვის პლასტიკა - ქვაჯვარები, კანკელის ფილები, კაპიტელები, ეკლესიათა საფასადო რელიეფები; ზ) VI თავი - წმ. ევსტატე პლაკიდას იკონოგრაფიული სქემა ქვაზეკვეთილობაზე, კედლის მონუმენტურ მხატვრობაში და გვიანი შუა საუკუნეების ნაქარგობაში; თ) დასკვნა.

ზემოჩამოთვლილი ნიმუშები ხელოვნების სხვადასხვა დარგს ეკუთვნის და განსხვავებულ ქრონოლოგიურ ეტაპებზეა შექმნილი. თითოეული მათგანი გამორჩეული მხატვრული სტილითაა შესრულებული და შესაბამისად საჭირო გახდა მათი კლასიფიკაცია თანადროული მეგლების

მხატვრული ტენდენციების გათვალისწინებითაც. შედეგად გამოვლინდა რამდენიმე საგულისხმო მიმართულება: ა) ზურგისკენ თავმიბრუნებული ცხოველების ჯგუფი, რომელთა გენეზისი საქართველოს წინაქრისტიანულ კულტურებს უკავშირდება; ბ) მათგან გამოირჩევა კონკრეტული ქვე-ჯგუფები, რომლებიც აღმოსავლური (სასანური) და ნომადური (სკვითურ-სარმატული) ხაზის გაგრძელებას წარმოადგენს. ორივე მიმართულების ფიგურები ლოგიკურად გადადიან ადრექრისტიანულ მეგლებზე ქრისტიანული მსოფლალქმისა და განსხვავებული ესთეტიკის მიუხედავად. ის ვერ ეწინააღმდეგება საუკუნეთა სიღრმეებში ფორმირებულ მხატვრულ ტრადიციებს, რადგან საზოგადოების ან კონკრეტული შემოქმედის მენტალურ ველში არსებული მხატვრული პერცეფციები ძლიერი ინერციით ინარჩუნებს მათ; გ) წმ. ევსტატე პლაკიდას იკონოგრაფიული სქემა, რომელიც ადრეული შუა საუკუნეებიდან ჩნდება და არსებობას განაგრძობს გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით ხელოვნების სხვადასხვა დარგებზე (ქვის რელიეფური პლასტიკა, მონუმენტური მხატვრობა, ნაქარგობა).

5	მხატვარ გივი ვაშაკიძის საარქივო მასალის დამუშავების საფუძველზე მისი შემოქმედების შესწავლა-კვლევა. 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).	2018-2019	მარიამ გაჩეჩილაძე პროექტის ხელმძღვანელი (მასალის დასკანერება, შესწავლა-კლასიფიკაცია-განალიზება, არქივიზაცია, პუბლიკაცია) სოფიო ჩიტორელიძე მკვლევარი (მასალის დასკანერება, შესწავლა-კლასიფიკაცია-განალიზება, არქივიზაცია)
---	--	-----------	--

2018 -19 წლებში განხორციელდა საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი, 1950-60-იან წლების თაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელოვანის, **გივი ვაშაკიძის** შემოქმედების შესწავლა-პოპულარიზაცია. კვლევითი საქმიანობა წარიმართა, მხატვრის ოჯახის მიერ, გ. ჩუბინაშვილის ცენტრისთვის გადაცემული საარქივო მასალების საფუძველზე.

განხორციელდა ნამუშევრების მხატვრის მიერ დაწერილი ლექსებისა და სხვადასხვა ტიპის წერილობითი მასალების სკანერება და ციფრული ვერსიის მოწესრიგება და დაარქივება. დამუშავებული მასალის საფუძველზე მომზადდა მოხსენება, რომელიც წარდგენილ იქნა თსუ-ს საერთაშორისო კონფერენციაზე. იხ., 6.1)

6	მხატვარ გურამ გელოვანის შემოქმედება 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები	2014-2019	ნინო ჭინჭარაული მკვლევარი
---	---	-----------	--

	6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).		
	კვლევითი პროექტი 1950-იანი წლების მხატვრული თაობის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, მხატვარ გურამ გელოვანს (1928-1986) ეძღვნება. კვლევის პროცესში დამუშავებულ იქნა საკმაოდ ვრცელი ბიბლიოგრაფია, რომლის ძირითადი ნაწილი 1940-1980-იანი წლების რიგ საბჭოთა პერიოდულ გამოცემებს ეყრდნობა (მათ შორის, ჟურნალებს „საბჭოთა ხელოვნებას“, „Искусство“, „Творчество“ და სხვ.), ასევე შესწავლილ იქნა საარქივო მასალები (აპ. ქუთათელაძის სახ. თბილისის სამხატვრო აკადემიის დოკუმენტაციის არქივი) და მხატვრის ოჯახისა და სამუზეუმო ფონდებში (დ. შვეარდნაძის სახელობის სურათების ეროვნული გალერეა, შ. ამირანაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების მუზეუმი) დაცული ფერწერული და გრაფიკული არტეფაქტები. მოხდა ამ უკანასკნელი მასალების ფოტოფიქსაცია. მხატვრის შემოქმედების კლასიფიცირებისას გამოიკვეთა არაერთი მახასიათებელი, რომელიც იდეურ-სტილისტურ კავშირში აღმოჩნდა თანადროულ ქართულ და დანარჩენი პოსტსაბჭოთა ქვეყნების კულტურულ ტენდენციებთან. გურამ გელოვანის შემოქმედების განხილვა, ნაწილობრივ, პროპაგანდისტული ხელოვნების კონტექსტში მიმდინარეობდა. კვლევის პროცესში ჩემს მიერ მომზადდა ვრცელი ინტერვიუ გურამ გელოვანის მემკვიდრეებთან (ერთობლივი ინტერვიუ სამსონ ლეჟავასა და ნანი და ეკა გელოვანებთან, 2018) და მხატვრის დაბადების 90 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით გამოცემული ალბომის („გურამ გელოვანი“, 2018) ტექსტი სამსონ ლეჟავასთან თანაცტორობით.		
7	მუხრანის ღმრთისმშობლის და წმ. გიორგის სახელობის ეკლესიათა XIX საუკუნის მოხატულობანი 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).	2018-2019	თამარ ხოსროშვილი მკვლევარი
მუხრანის ღმრთისმშობლის კედლის მხატვრობა 19-ე საუკუნეშია შესრულებული. ეს მოხატულობები დღემდე შესწავლილი არ ყოფილა და არც რაიმე ლიტერატურა არსებობს მათ შესახებ, მხოლოდ ნიკოლოზ ბაგრატიონი (ნიკო ბური) გვაწვდის მცირე ცნობას მუხრანის ღმრთისმშობლის ეკლესიის ქტიტორისა და მომხატველის შესახებ. ამ ცნობის საშუალებით შესაძლებელი ხდება მუხრანის ეკლესიის დათარიღებაც 1860-იანი წლებით. კვლევის ფარგლებში მოვიწახლეთე ორივე ზემოთხსენებული ეკლესია, გადავიღე მოხატულობის ფოტოები, გავაკეთე სკემები. 2018 წელს დიდწილად ვიმუშავე ღმრთისმშობლის სახლობის ეკლესიაზე. მოხდა ორი განსხვავებული იკონოგრაფიის მქონე სცენის იდენტიფიკაცია (უძრები შვილის დაბრუნების ძალზე უცნაური რედაქცია და სცენისა „სიბრძნემან იშენა თავი თვისი“). დადგინდა ეკლესიაში გამოსახული ყველა წმინდანის ვინაობა, სიუჟეტები. წაკითხულ იქნა როგორც მაიდენტიფიცირებელი, ასევე ეკლესიაში არსებული ვრცელი წარწერებიც. გამოიკვეთა მოხატულობის			

პროგრამის საზრისი. 2019 წელი დაეთმო მუხრანის ეკლესიის მოხატულობის შესწავლას 19-ე საუკუნეში მიმდინარე ისტორიულ, კულტურულ, პოლიტიკურ მოვლენათა კონტექსტში. ასევე, მოხდა მისი შედარება მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისისა და დასასრულის მოხატულობებთან, გამოიკვეთა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. ამ დაკვირვებების საფუძველზე განისაზღვრა მუხრანის მოხატულობის ადგილი და როლი მეცხრამეტე საუკუნის მოხატულობათა შორის.

8	თეიმურაზ მურვანიძე-მხატვრის თეატრი. 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).	2019	მარიანა ოკლი მკვლევარი
---	--	------	---



თეიმურაზ (მურაზ) მურვანიძე, გამოჩენილი სცენოგრაფი, მხატვარი, მოქანდაკე, თბილისის საპატიო მოქალაქე, საქართველოს სახალხო მხატვარი. არის ორი სახელმწიფო „პიკასოს, ლინკოლნ ცენტრის, ჩიკაგოსა და სხვა საერთაშორისო პრემიების ლაურეატი. საქართველოს (1963), პოლონეთის (1977), კანადის (1986), საფრანგეთის (1977) და ა.შ.შ -ს (1989) თეატრალური სეზონების საუკეთესო მხატვარი. სანქტ-პეტერბურგის მარიინსკის თეატრის, მონტე-კარლო საერთაშორისო მუსიკალური ასოციაციის, ძველი და ახალი მონტე-კარლოს (1990-1993) მთავარი მხატვარი.

მურაზ მურვანიძე თეატრის მხატვარია. შემოქმედებითი გზა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრიდან დაიწყო და მთელი მსოფლიოს სცენები მოიცვა, რომლის შესახებ ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად არის ცნობილი. მას გაფორმებული აქვს 150-ზე მეტი მუსიკალური სპექტაკლი. თანამშრომლობდა ისეთ გამოჩენილ მოღვაწეებთან როგორც

არიან ვახტანგ ჭაბუკიანი, მიხეილ ლავროვსკი, ოლეგ ვინოგრადოვი, მსტისლავ როსტროპოვიჩი, ბორის პოკროვსკი... სპექტაკლები მისი გაფორმებით დაიდგა სანქტ-პეტერბურგის მარიინსკის თეატრის სცენაზე, მოსკოვის დიდ თეატრში, პარიზის გრანდ ოპერაში, გენუასა და რომის საოპერო თეატრებში, ქალაქ ლოში... იგი მონტე-კარლოში გახდა ფირმა „სამი კარაველას“ მთავარი მხატვარი და დირექტორატის წევრი, რომელთა შორის იყვნენ გენიალური იეგუდი მენუხინი, დირიჟორები ლორინ მახელი და სერ გეორგ შოლტი, ზუბინ მეტა და ჯორჯ პრეტერი, მომღერლები პლასიდო დომინგო და რუჯიერო რაიმონდი.

მხატვარი ყოველ ახალ მუსიკალურ ნაწარმოებს მხოლოდ მისთვის გააზრებულ, ორიგინალურ, ფერადოვან სამყაროს უსადაგებს. სპექტაკლის ხატოვანი პარტიტურა დახვეწილი და მიმზიდველია. დეკორაციების ექსტავაგანტული ირაციონალურობით გამორჩეული მშვენიერება ყოველგვარ ტრადიციულ ესტეტიკაზე უფრო მაღლა დგას. არა ერთმა კრიტიკოსმა მსოფლიოში აღიარა მისი ხელოვნების განუმეორებლობა.

თეიმურაზ მურვანიძე მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული და მსოფლიო სცენოგრაფიული სკოლის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული სახელგანთქმული წარმომადგენელია. მან თეატრში მხატვრის ესტეტიკური მისიის თავისებური, ძალზედ ინდივიდუალური გაგება შემოგვთავაზა. მისი აზროვნებისათვის ნიშანდობლივია სანახაობრიობა, „იმპროვიზაციის“ და თამაშის ელემენტების თანაარსებობა. მასთან ერთმანეთს ერწყმის რაციონალური საწყისი, ემოციური ძალა, გამომგონებლობა და მდიდრული ფერწერული ვიზუალი.

ყველაფერი რაც მის ხელოვნებას ეხება ქართული საზოგადოებისათვის თითქმის ცნობილი არ არის, რაც აბსოლუტურად მიუღებელია ქართული კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის მხრივ.

მურაზ მურვანიძე ის თაობაა, რომელმაც გადრატება შეიტანა ქართული თეატრის სახვით აზროვნებაში ნატურალიზმის ბატონობის შემდგომ. ეს გამოიხატა პირობითი თეატრალური ენის აღდგენაში, განზოგადებული ფორმის მომძლავრებაში, სახვით-პლასტიკური ენის გაძლიერებაში, მეტაფორულ აზროვნებაში. მურვანიძის ხელოვნება ნათელი მაგალითია თუ როგორ ყალიბდება „მხატვრის თეატრი“, როგორ გარდაისახება სცენოგრაფი უბრალო სცენის გამფორმებლიდან სპექტაკლის კონცეფციის თანავეტორად. მაშასადამე მისი ხელოვნება ისტორიის კონტექსტში საეტაპო მნიშვნელობისაა, რაც ახალი ესტეტიკისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებასთანაა დაკავშირებული.

მურვანიძის შემოქმედება არის სხვადასხვა ქვეყნის კულტურის ურთიერთგაზიარების მაგალითი. ინტეგრირება ქართულისა დასავლურთან და პირიქით. ესაა კულტურათაშორისი დიალოგი. ამიტომ განსაკუთრებულად საჭიროდ მიგვაჩნია იმ სცენოგრაფიული ნიმუშების გაცნობა, რომელიც შექმნილი იყო ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ და აბსოლუტურად უცნობ მასალას წარმოადგენს. თუმცა საქართველოში დადგმული სპექტაკლები ქართული ხელოვნების საგანძურის უმნიშვნელოვანესი ნიმუშებია.

სამეცნიერო ნაშრომის შედეგია ქართული სახვითი და თეატრალური ხელოვნების უმნიშვნელოვანესი, ღირსეული, გამორჩეული წარმომადგენლის თეიმურაზ მურვანიძის იმ სპექტაკლებისა გასაჯაროება, რომელიც აქამდე არ იყო შესწავლილი და უცნობია. მურვანიძის მოღვაწეობის ახალი ასპექტების გამოვლენა. მ. მურვანიძის ადგილისა და როლის განსაზღვრა თანამედროვე ქართული სახვითი და თეატრალური ხელოვნების ისტორიაში. ქართული კულტურის თვითმყოფადობის წარმოდგენა.

9	შუა საუკუნეების ტრაპეზები საქართველოში და მათი კურთხევის წესი 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).	2018-2019	ნატალია ჩიტიშვილი მკვლევარი
---	---	-----------	---------------------------------------



წლიური თემა შეეხება შუა საუკუნეების ქვის ტრაპეზებს, მათ ფორმებს, დეკორატიულ შემკულობასა და ტრაპეზთა კურთხევის წესს საქართველოში. ამ მიმართულებით საგანგებო კვლევა ჯერ არ განხორციელებულა, მხოლოდ რამდენიმე, გამორჩეული მაგალითი მოხვდა ყურადღების ცენტრში, კერძოდ კი ის ქვის ტრაპეზები, რომლებიც გამორჩეულია თავიანთი დეკორატიული შემკულობით. ასეთია მაგალითად ქვის ტრაპეზი სოფ. ბურდიანიდან. ტრაპეზმა ყურადღება მიიპყრო თავისი მხატვრული გადაწყვეტით, სადაც მთავარ ფასადზე ფიგურული გამოსახულებებია (მაცხოვრის, ჩვილადი ღმრთისმშობლის, მოქციულთა და წმინდა მამათა ფიგურები) განთავსებული და მხატვრულ-სტილისტური ანალიზით ის VII საუკუნეს მიეკუთვნება (ნ. იამანიძე, ახლად აღმოჩენილი ტრაპეზი სოფელ ბურდიანიდან, *საქართველოს სიძველეები*, 7-8, 2005, გვ. 31-48. თ. დადიანი, ე. კვაჭატაძე, თ. ხუნდაძე, *შუა საუკუნეების ქართული*

ქანდაკება (თბ., 2017), გვ. 272; სურ. 568). მეორე ნიმუში, რომელიც ქვის ტრაპეზადაა იდენტიფიცირებული შედარებით გვიან პერიოდს X-XI საუკუნეებს მიეკუთვნება. იყალთოს ტრაპეზად ცნობილ ფრაგმენტზე საუფლო დღესასწაულები და წმინდა მხედართა ფიგურები ორ რეგისტრადაა განლაგებული (P. O.

Шмерлинг, Плита из церкви св. Степана в селении Икалто. ქართული ხელოვნება, 8-А, 1979, გვ. 121-134; N. Iamanidzé, *Les Installations Liturgiques Sculptées des Églises de Géorgie (VIe-XIIIe siècles)*. Bibliothèque de L'antiquité Tardive, 15, Brepols, 2010; თ. დადიანი, ე. კვაჭატაძე, თ. ხუნდაძე, *შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება* (თბ., 2017), გვ. 272, სურ. 571-573.). სხვა შემთხვევებში ცალკეული ქვის ტრაპეზები დაფიქსირებულია აღწერილობითი ხასიათის წიგნებში, რომლებიც მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს ტრაპეზთა კვლევისათვის.

10	ყანჩათის ჟამნ-გულანის მინიატურების მხატვრული თავისებურებანი 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2018-2019	ნინო ციციშვილი მკვლევარი
----	---	-----------	---

წლიური სამეცნიერო თემა მოიცავდა ყანჩათის ჟამნ-გულანის მინიატურების შესწავლას. 1674 წლის ხელნაწერი ყურადღებას იქცევს, როგორც სხვადასხვა დროის ისტორიული მინაწერების, ისე მეტად



საინტერესო მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით, რც არაერთგზის გამხდარა მეცნიერების (*Е. Такайшвили, "Канчаветский" Жамн-гулани и исторические приписки его кинклосо, Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. 29 Тифлис 1901; გ. ქლენტი, „ყანჩათის ჟამნ-გულანის“ პირველი ოსტატი, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 2, თბ. 1975*) ინტერესის საგანი. ცნობილია და მკვლევარების მიერ დადასტურებული ხელნაწერის მინიატურაში ისლამური აღმოსავლეთის და დასავლეთ ევროპული ხელოვნებისადმი არეკლილი ინტერესი და ისიც, რომ მინიატურები სხვადასხვა ოსტატების მიერაა შესრულებული. თუმცა, ვფიქრობთ, საკითხის გარშემო კიდევ არაერთი საინტერესო ასპექტი იშლება, რაც სიღრმისეულ კვლევას და არსებული ცოდნის ხელახლა გააზრებას მოითხოვს, ვინაიდან, აქამდე ყურადღება მეტწილად მინიატურების ერთი ნაწილისკენ - ძველი აღთქმის სცენებისკენ იყო მიმართული.

სამუშაოს განხორციელების ფარგლებში თემის გარშემო მოხდა შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის მოკრება და დამუშავება, ასევე პარალელური მასალის მოძიება, როგორც თანადროულ ქართულ მინიატურაში, ასევე, სახვითი ხელოვნების სხვა დარგებში (ფერწერული ხატები, ჭედურობა) ზოგადი მხატვრული ტენდენციებისთვის თვალის მიდევნების მიზნით. ერთი მხრივ, თანადროული ისტორიული და მხატვრულ-კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით, XVII საუკუნის ნიმუშში კანონზომიერად მოჩანს ორი: სპარსული და დასავლეთევროპული ტენდენციების გაზიარება. თუმცა, საგულისხმოა რაგვარად ხდება ამ ორი მხატვრული ორიენტირის გადააზრება და სინთეზირება მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების (ერთი მხრივ, ევროპული „ილუზორული ხელოვნებით“ შთაგონებული მოცულობითობისა და პერსპექტივის ჩვენების სურვილი, მეორე მხრივ კი, სიბრტყობრიობა, კომპოზიციის „ხალიჩისებურად“ აგების წესი, ზედხედი, სპარსული სამინიატურო ხელოვნებისთვის დამახასიათებელი ორმანენტული ფორმების გამოყენება) და უჩვეულო იკონოგრაფიული სახეების (მაგ: ქალთევზა შესაქმნეს სცენიდან) გამოყენებით.

ყანჩათის ჟამნ-გულანის მხატვრობა რამდენიმე ოსტატის ხელს ამჟღავნებს. ამათგან გამორჩეულ მხატვრულ ეფექტს ძველი აღთქმის სიუჟეტების ავტორი ახდენს, რომლის ნამუშევრები ხელნაწერის დასაწყისშია თავმოყრილი და ერთგვარად ტონის მიმცემადც მოიაზრება. მის გარდა სახარებისეული სცენებისა და წმიდანთან გამოსახულებებში კიდევ ორი მხატვრის ხელწერა იკითხება, რომელთაგან ერთ-ერთი აშკარად ძველი აღთქმის მხატვრობის შემოქმედს ბაძავს. მათი შედარებისას წარმოიქმნება ვარაუდი მთავარი ოსტატის და შეგირდის ურთიერთობის შესახებ. რიგი ნიმუშებით ხელნაწერის მოხატულობა კიდევ ერთი ვარაუდის - მხატვრული არტელის არსებობის შესახებ გამოთქმის შესაძლებლობასაც იძლევა.

ხელნაწერის მინიატურები მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს XVII საუკუნის კოსტუმის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისითაც (სალომეას გამოსახულება სცენიდან „სალომეას როკვა“ და ყრმის სამოსი წმ. გიორგის სასწაულის სცენაში), რაც თანადროული საქტიტორო გამოსახულებებთან შეჯერებითაც დასტურდება. ყანჩაეთის ჟამნ-გულანის თავისი ეპოქის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუშია, რომლის მოხატულობის საფუძვლიანი და კომპლექსური კვლევა მნიშვნელოვნად ავსებს ცოდნას იმ ხანად საქართველოში არსებული მხატვრულ-კულტურული პროცესების შესახებ. აღნიშნული კვლევის გარშემო იგეგმება სამეცნიერო სტატიის მომზადება/პუბლიკაცია

11	საქართველოს ისტორიული კურორტები: ბორჯომი და აბასთუმანი XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში 6 - ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.1. ისტორია და არქეოლოგია 6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)	2018-2019	დავით ხოშტარია მკვლევარი
----	--	-----------	---

კვლევითი პროექტის საგანს შეადგენდა საქართველოს ორი ცნობილი კურორტის - ბორჯომისა და აბასთუმნის ისტორია, გეგმარება და არქიტექტურა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე პუნქტის ისტორია ძირებით შორეულ წარსულში მიდის, ურბანული თვალსაზრისით ახალი დროის ბორჯომსა და აბასთუმანს ამ ისტორიასთან კავშირი არა აქვს. მათი დაარსება და გაშენება უკავშირდება ბუნებრივ მინერალურ წყლებს, რომლებმაც ისინი XIX საუკუნის შუახანებში კურორტებად აქცია. მათი აღზევება მინერალური წყლების კურორტების (Badekurorte) არაჩვეულებრივი პოპულარობის ეპოქასემთხვევა.



ბორჯომი და აბასთუმანი, ჩრდილოეთ კავკასიის წყლების მსგავსად, ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტები იყო, მაგრამ მათ ჩრდილოეთ კავკასიისაგან ერთი არსებითი ფაქტორი განასხვავებდა - აქ რუსეთის იმპერიის სამეფო გვარის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ ან ისვენებდნენ. კვლევის შედეგად გამოჩნდა, რომ ბორჯომისა და აბასთუმნის კავშირი რუსეთის საიმპერატორო ოჯახთან მათი განვითარებისათვის განმსაზღვრელი გახდა. საერთო ტენდენციები ასევე განსაზღვრა ადგილობრივმა ტრადიციებმა, ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების თავისებურებებმა და მთლიანად რეგიონის გეოპოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მნიშვნელობამ. ამასთან, ბორჯომისა და აბასთუმნის ურბანული გეგმარება, რელიეფიდან გამომდინარე, განსხვავებული იყო - ბორჯომი განვითარდა სამი თავდაპირველი ბირთვის გარშემო, აბასთუმანი გაშენდა წრფივად მდ. ოცხისწყლის გასწვრივ.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ბორჯომისა და აბასთუმნის ისტორიის ძირითადი ასპექტები; გაირკვა თუ რა იყო საერთო საქართველოსა და აღმოსავლეთ ევროპის კურორტების ურბანული განვითარების პროცესში და რა განასხვავებდა მათ რეგიონის სხვა ქვეყნებისაგან,

12	როგორ წავიკითხოთ სურათი 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2018-2019	გიორგი (გოგი) ხოშტარია მკვლევარი
----	---	-----------	---

მხატვრული ნაწარმოების და კერძოდ სურათის აღქმისას პირველ რიგში ნათლად უნდა იქნას გააზრებული ის მადეტერმინებელი ფაქტორები, რომლებიც საბოლოო ჯამში ერთობლივად განსაზღვრავენ მხატვრულ

ფენომენს. გასათვალისწინებელია, რომ ამ ფაქტორთა ბუნება ხშირად ძალზედ განსხვავებული წარმომავლობისაა და შესაბამისად განსხვავებულად მოქმედებენ მხატვრულ ნიმუშებზე, სურათზე, როგორც გარკვეულ მთლიანობაზე, თუკი რა თქმა უნდა მიღწეულია ეს მთლიანობა და ამ მხრივაც საკმაოდ ბევრი რამ არის განსაკუთრებული. როგორც წესი არის სხვადასხვა ხასიათის მხატვრული ქსოვილის მეტ ნაკლები ორგანულობის, ანუ აღმნიშვნელთა შორის აუცილებელი და საყოველთაო კავშირების მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი არსებობები.

აღქმის სწორი მიმართებისთვის გასათვალისწინებელია ეპოქა, ეთნოსი, რეგიონი, სკოლა და ცალკეული ინდივიდი ვინც იძლევა დაკვეთას. იგულისხმება დაკვეთა რომელიც კულტურის, ბუნების სიღრმიდან მომავალი ინფორმაციაა, ის „შუქურაა“ რომელიც იძლევა მიმართულებას, უფრო სწორად განსაზღვრავს მხატვრული ენისგან რა უნდა იქნეს მიღწეული: ეს მარადისობის განცდა ძვ. აღმოსავლეთში, კოსმიური ჰარმონიისა ადამიანი - ანტიკაში. სპირიტუალურ-მარადიული-ტრანსცედენტური სამყარო შუა საუკუნეებში და ა.შ. ეს დაკვეთა ცხადია უფრო ინდივიდუალური ხდება აღორძინებიდან და განსაკუთრებით უახლეს დროში, მაგრამ იგი მარადიულად საჭიროა. მის გარეშე არათუ სურათი არ არსებობს საერთოდ არავითარი შემოქმედება, არავითარი ახლის ქმნადობა, მაგრამ სწორედ თითქოს და აქ არაფერი წინააღმდეგობრივი არაა - სურათი თავისთავში დასრულებული, ავტონომიური ან სულაც დამოუკიდებელი სამყაროა. სამყაროს ხატოვანი ხილვა - ამის გარეშე საერთოდ არ არსებობს შემოქმედება - მისი ფუნქცია გაუგებარი იქნებოდა ახალი, ერთადერთი და მარადიული სამყაროსაკენ მისწრაფების გარეშე.

13	IX-X საუკუნეების გარეჯის მრავალმთის მონასტრების გეოგრაფიისა და სტრუქტურის დადგენის მცდელობა 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2017-2019	დავით ჩიხლაძე მკვლევარი
----	--	-----------	----------------------------

წმ. დავით გარეჯელის ლავრის ფერიცვალებისა და, განსაკუთრებით, "ილარიონის ფილიალის" კომპლექსების შესწავლის შედეგად მიღებულმა ზოგადმა დასკვნებმა და კონკრეტულმა ინდიკატორებმა მოგვცა საშუალება გამოვლენილიყო "ილარიონის ფილიალის" კომპლექსთან



მის ობიექტად ავირჩიეთ წმ. დოდო გარეჯელის მონასტერი, რომლის არქიტექტურამაც, ვფიქრობთ სხვა მონასტრებთან შედარებით უფრო ვრცლად გამოავლინა ამ კომპლექსების თემის განვითარების სხვადასხვა საკითხები.

წმ. დოდო გარეჯელის მონასტრის კომპლექსზე დაკვირვების პროცესში გაირკვა, თუ რა მიმართულებით განვითარდა "ილარიონის ფილიალის" კომპლექსის არქიტექტურული თემა, რა განსხვავებული თვისებები შეიძინა, როგორ და რის გამო იცვლებოდა მისი სტრუქტურული ელემენტები, რავგარი იყო ამ ელემენტების კომპონირების პრინციპები, ქრონოლოგიური თვალსაზრისით რომელი არქიტექტურული ნაკადების ამოკითხვაა შესაძლებელი. ამასთან გამოიყო და ჩამოყალიბდა მათი როგორც საერთო, გამაერთიანებელი პრინციპები, ისევე ინდივიდუალურად მახასიათებელი და ცალკეული,

ტექნიკურ-უტილიტალური ნიშნები.

მიღებულმა შედეგებმა შესაძლებელი გახადა მაღალი სიზუსტით წარმოგვედგინა ამ, გარეჯის უდაბნოს მონასტრებს შორის ერთ-ერთი ყველა დიდი, წმ. დოდო გარეჯელის მონასტრის არქიტექტურული ჩამოყალიბების ეტაპები და გეოგრაფიული განაწილება. ამასთან, ამ მიმართულებით ჩვენი კვლევა დასრულებული არაა, რადგან ცალკე შესწავლას მოითხოვს მონასტრის ცენტრალური ნაწილი, განსაკუთრებით კი ახლად აღმოჩენილი თუ გაწმენდილი ეკლესიები და ქვანახები. სწორედ ამ მიმართულებით გაგრძელდება კვლევა 2019 წლის განმავლობაში.

14	ათონის მთა და შუა საუკუნეების საქართველო: მხატვრულ-კულტურული ინტერაქციები 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2019	ნინო ჭიჭინაძე მკვლევარი
----	--	------	---------------------------------------

კვლევის ერთ-ერთ მიზანს შეადგენდა შუა საუკუნეების ქართულ წერილობითი წყაროებში იმ ტექსტუალური მოწმობების მოძიება, სადაც ლაპარაკია ათონის მთის საეკლესიო ხელოვნების სხვადასხვა დარგის ქმნილებების შესახებ. ნაშრომში თითოეული წერილობითი ცნობა გაანალიზებულია ფართო ისტორიულ-კულტურული, თუ პოლიტიკურ კონტექსტში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საეკლესიო ხელოვნების ქმნილებებთან დაკავშირებულ ისტორიულ პირებს - მაგ. მომგებელ-შემწირველებს, ხატების შემმოსველებს და ა.შ. განხილულია ასევე ათონის მთის მონასტრების ქართველთა პატრონაჟი და მათი სოციალური იდენტობა.

კვლევაში ასევე ჩართულია ათონის სამონასტრო ხელოვნების ქმნილებები, რომლებიც საქართველოსა და ქართველებთან არის დაკავშირებული. განხილულია სხვადასხვა დარგისა და ქრონოლოგიური შუალედის არტეფაქტები.

კვლევაში თავმოყრილია მეტ-ნაკლებად ცნობილი ტექსტუალური და ვიზუალური მასალა, რომელთა მთლიანობაში განხილვა გვაძლევს ათონსა და შუა საუკუნეების საქართველოს შორის კულტურული ინტერაქციების თვალის გადევნების შესაძლებლობას.

15	შუა საუკუნეების ქართული საღვთისმსახურო ნივთების ისტორიისათვის (10-11 სს.) (ბარძიმები) 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2019	კიტი მაჩაბელი მკვლევარი
----	--	------	---------------------------------------

შეგროვილი და გაანალიზებულია მასალა ლიტურგიკული ნივთების (ბარძიმების) გენეზისის დასადგენად (წერილობითი წყაროები, ბარძიმების გამოსახულებები სახვით ხელოვნებაში (კედლის მხატვრობა, რელიეფები, სპილოს ძვლის რელიეფები), უძველესი აღმოსავლურქრისტიანული ბარძიმების აღმოჩენები). განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სირიის როლს ქართული ლიტურგიკული ნივთების მხატვრულ-იდუური სახის ჩამოყალიბებაში. შუა საუკუნეების ქართული ბარძიმების კვლევა ძირითადად ეფუძნება ქართული ჭედური ხელოვნების ორი გამორჩეული ნიმუშის - ბედიის ოქროს ბარძიმისა და ილორის ვერცხლის ბარძიმის მხატვრულ-სტილური, იკონოგრაფიული და თეოლოგიური მხარეების ანალიზს. ქართული საღვთისმსახურო ნივთები განხილულია სირია-



პალესტინისა და ბიზანტიური საეკლესიო ხელოვნებასთან მიმართებაში. გარკვეულია ქართული ლიტურგიკული ნივთების (ბარძიმების) მხატვრული თავისებურებები, დადგენილია მათი ადგილი ქრისტიანული ხელოვნების განვითარების საერთო ისტორიაში.

16	ბათუმის ურბანული გეგმარება 1801-1918 წლებში 6 - ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.1. ისტორია და არქეოლოგია 6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია) 6.5. სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებანი	2019	მანონ ლილუაშვილი მკვლევარი
პროექტის ფარგლებში შევისწავლე 1801-1918 წლებს შორის ბათუმის ურბანული დაგეგმარების ისტორია და მასთან დაკავშირებული საკითხები. საველე სამუშაოს, მრავალფეროვანი პირველადი წყაროებისა თუ სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლის შედეგად წარმოჩინდა ბათუმის ქალაქგეგმარების ხასიათი და თავისებურებები. ნათლად გამოიკვეთა განსხვავებები ოსმალურ ქალაქსა და რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ (1878) ბათუმის ურბანულ განვითარებაში განხორციელებული ცვლილებები. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ბათუმი ურბანულ კომპაქტურობას მოკლებული სოფლური ტიპის დასახლებაა, სადაც მწვანეში ჩაფლული ხის სახლები ერთმანეთისგან მოშორებით დგას. 1858 წელს რუსეთის სანაოსნო საზოგადოების დაარსებამ ხელი შეუწყო ვაჭრობის გამოცოცხლებას და ეკონომიკურ წინსვლას. 1860-იან წლებში ხელისუფლებამ ბათუმის გასავითარებლად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. ამ დროიდან გაფართოვდა ქალაქი ნავსადგურის ჩრდილო-დასავლეთით. „ახალი ქალაქი“ სტიქიურად გაშენებული ძველი უბნისგან განსხვავებით წინასწარ შემუშავებული გეგმით გაშენდა და მისი ურბანული სტრუქტურა რეგულარულ ბადისებრ პრინციპს დაეფუძნა. 1878 წელს ბათუმი რუსეთის იმპერიას ბერლინის ტრაქტატის საფუძველზე შეუერთდა. ამ დროიდან ქალაქის განვითარებაში ახალი ეტაპი იწყება. ის გაფართოვდა, გაჩაღდა აქტიური მშენებლობა და მოსახლეობაც სწრაფად გაიზარდა. უკვე 1890-იან წლებში განაშენიანების ხასიათით ქალაქში თვასაჩინო იყო ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ნაწილები: ძველი, თურქული - ჭუჭყიანი და ნახევრადდანგრეული და ახალი, ევროპული - თუმცა კვლავ მშენებარე. ნავთობის ექსპორტმა ბათუმი, ბაქოსთან ერთად, სამხრეთ კავკასიის ყველაზე სწრაფად მზარდ და ეკონომიკურად აღმავალ ქალაქად აქცია. მიუხედავად სწრაფი ინდუსტრიალიზაციისა და მოდერნიზაციისა, ბათუმმა სხვა ყოფილ ოსმალურ ქალაქებზე მეტად შეინარჩუნა ადმოსავლური ელფერი, რომელიც ცხადია, პირველ რიგში, ქალაქის ძველ უბანში შეიგრძნობოდა.			
17	კირანცის მოხატულობა და მისი ადგილი შუა საუკუნეების ქართულ მხატვრობაში 6 - ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია) 6.5. სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებანი	2019	მარინე ბულია მკვლევარი მზია ჯანჯალია მკვლევარი



XII საუკუნის II ნახევრის ქართული მხატვრობის რთულსა და არაერთმნიშვნელოვან სახეს, შეიძლება ითქვას, რომ მყარი ადგილობრივი ტრადიციისა და თანადროული ბიზანტიური მხატვრობის სხვადასხვა



ნაკადებისადმი ცხოველი ინტერესის ერთობლიობა განსაზღვრავს. ამ ხანის გამორჩეულ ნიმუშთა შორისაა ოდესღაც ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი, ახლა კი ჩრდილოეთ სომხეთში მდებარე ქალკედონურ მონასტერთაგან ერთ-ერთის, ქართული სამეფო კარის ადგილობრივ დიდმოხელეთა, ცნობილი ივანე მხარგრძელისა და მისი ვაჟის, ავაგის სამფლობელოში მდგომი, დღეს კირანცად ცნობილი მონასტრის მთავარი ტაძრის მოხატულობა.

კკირანცის მხატვრულ გადაწყვეტას ანალოგები რეგიონის თანადროულ მოხატულობებში (ახტალა, ქობარი) არ ეძებნება. მასში ბიზანტიური სივრცის სხვადასხვა ტრენდებიც ჩანს და მათ მიმართ შერჩევითი და შემოქმედებითი დამოკიდებულებაც. ამ მოხატულობის პროგრამულ გადაწყვეტასა და მხატვრულ კონცეპტს დროითა და გეოგრაფიული

თვალსაზრისით განსხვავებულ წრეებში ეძებნება მსგავსება. თუ მოხატულობის პროგრამული ნიშნები ადრეპალეოლოგოსური ხანის ბიზანტიისა და ბალკანეთის ქვეყნების ტრენდების შესატყვისია, კირანცის მსგავსი მხატვრული ხედვა, რომელიც ფიგურათა სიბრტყობრივი და ხაზობრივი გადაწყვეტის უპირატესობასა და მოცულობის ნიშნებისა და განწყობის ერთგვარ ნაივურობაში გამოიხატება, ლათინთა მმართველობის ქვეშ მყოფი ბერძნული მიწებისა და კვიპროსის XIII საუკუნის მოხატულობებში შეიძლება ინახოს. შეიძლება ითქვას, რომ კირანცის მოხატულობის არსებითი ნიშნები ლათინთა დომინაციისა და ადრეპალეოლოგოსური ხანის ბიზანტიური სივრცისთვის დამახასიათებელ რთულ კულტურულ ინტერაქციებს ეხმიანება (კირანცის მოხატულობის სტილურ კონცეპტს ქართულ მხატვრობაში XIII საუკუნის II ნახევარსა XIII-XIV სს მიჯნაზე ეძებნება პარალელები. კერძოდ, სამცხეში, საფარის წმ. საბას ტაძრის ძირითადი, XIII საუკუნის მეორე ნახევრის მოხატულობის ნაწილსა და 1300იანი წლების ჭულეს მხატვრობაში, სადაც მხატვრული გადაწყვეტის არსებითი მახასიათებელი სწორედ ახლებური ნაივურობაა, არა ემპირიული ფორმებისადმი, არამედ ემპირიული ემოციებისადმი გამოვლენილი ინტერესი). ქართული კულტურის წიაღში იმ ტენდენციების ასახვა, რომლებიც აღმოსავლეთქრისტიანულ, ჯვაროსნულ და ისლამურ კულტურულ სივრცეთა გადაკვეთებს გულისხმობდა არ არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ საუკუნეების მანძილზე იგი კულტურათაშორისი ურთიერთობისა და მთავარ ქრისტიანულ ცენტრებთან, მათ შორის წმინდა მიწასთან, უწყვეტი და აქტიური კავშირის პირობებში ყალიბდებოდა.

კკირანცის მოხატულობა, რომელიც შუა საუკუნეების რელიგიური მხატვრობის კანონიკურ, თითქოსდა მკაცრად სტანდარტიზებულ სფეროში დამკვეთის ინდივიდუალური გემოვნების თვალსაჩინოებასთან ერთად, მისი არჩევანის თავისუფლებას, დღევანდელი გაგებით კონსერვატიულისა და პროგრესულის გაუმიჯნავ თანაარსებობას, პროგრამული და მხატვრული გადაწყვეტის ნიშნების ესოდენ მოულოდნელ კომბინაციათა შესაძლებლობას ცხადყოფს, მკაფიოდ ათვალსაჩინოებს ახალ დროში დამკვიდრებულ აღქმაზე დაყრდნობით შუა საუკუნეების ხელოვნების ნიმუშთა განხილვისა და შეფასების პირობითობას და გვიბიძგებს დაფიქრდეთ თუ რამდენად ემთხვევა ზოგადად შუასაუკუნოვან ნიმუშთა ჩვენეული აღქმა და შეფასება ძველი დამკვეთებისა და მაყურებლებისას? აუცილებლად ნიშნავდა კი მაღალი/ელიტური ხელოვნება დღევანდელ წარმოსახვაში დამკვიდრებულ კონსტანტინოპოლურ სტანდარტს? იზომებოდა კი ეს სტანდარტი დღეს გაზიარებული ესთეტიკური ნიშნებით? თუ სხვა საკითხებს, რომლებიც განსაკუთრებულად აქტუალური გახდა თანამედროვე ბიზანტინისტურსა თუ მედიევისტურ კვლევებში.

18	უცხოელი და ქართველი მხატვრების თვალთ დანახული თბილისი/საქართველო 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები	2017-2019	გიორგი პაპაშვილი მკვლევარი
----	--	-----------	---

	6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).		
	საქართველოს და რუსეთის მუზეუმში მოძიებული და სისტემატიზებულია თბილისისა და საქართველოს ამსახველი მხატვრობა, როგორც განსხვავებული კულტურული მიმართების („ჩემი“-„უცხო“) მხატვრული გამოვლინება, გამოვლენილი და სისტემატიზებულია მხატვრები. აღნიშნული ნაშრომი ანბანურ-გეოგრაფიული ცნობარის ხასიათისაა და შესაძლოა გამოყენებულ იქნას საფუძვლად შემდგომი კვლევებისათვის		
19	"თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის შენობის არქიტექტურისა და მშენებლობის შესახებ" 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).	2019	თამაზ გერსამია მკვლევარი
თბილისში, კარგარეთლის ქუჩა, # 6 მდებარე სახლი, ვგულისხმობთ შენობის მარცხენა ნაწილს, უდაოდ ძველი თბილისის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო შენობაა, რომელმაც დღემდე შეინარჩუნა ისტორიულ-არქიტექტურული მნიშვნელობა. მას მინიჭებული აქვს არქიტექტურული ძეგლის სტატუსი. ამჟამად ეს საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოს და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის შენობაა. 2010-11 წლებში მუზეუმის შენობაში განხორციელდა მნიშვნელოვანი სარეაბილიტაციო სამუშაოები. მას წინ უსწრებდა თბილისის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის მიერ ჩატარებული შენობის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა. კერძოდ, გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ თავდაპირველ შენობას (იმ დროს ყრუ-მუნჯების სკოლა-ინტერნატს) მარჯვენა მხრიდან 1930-იან წლებში ახალი კორპუსი მიაშენეს, თუმცა ჩვენი აზრით მისი არქიტექტურიდან გამომდინარე ეს კორპუსი სხვა პერიოდს მიეკუთვნება. ამის დასადაგენად გადავწყვიტეთ საკუთარი კვლევის ჩატარება. მაგრამ, ჩვენთვის მოულოდნელად, ეს აღმოჩნდა საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესი, ვინაიდან მოგვიხდა მუშაობა ეროვნული არქივის სხვადასხვა არქივებში და ამავე დროს გაცნობა იმდროინდელი ე.ი. 1930-იანი წლების პრესასთან. მაგრამ, ამან შედეგი არ გამოიღო და იძულებული გავხდით იმ დასკვნამდე მივსულიყავით, რომ საჭიროა ძიება დაგვეწყო სულ თავიდან, რაც ნიშნავდა 1895 წლის 16 ივნისიდან (ძვ. სტილით). ამ დღეს ემილია ფრანცის ასულმა ტიტელმა მიმართა თხოვნით თბილისის გამგეობას რათა ნება დაერთოთ ააშენოს ორსართულიანი სახლი-"ოსობნიაკი", თბილისის მე-10 ნაწილში, ბაღის ქუჩაზე, საკუთარ ნაკვეთზე. ამ სახლის პროექტი, რომლის ავტორია არქიტექტორი პავლე შტერნი დამტკიცებულია 1895 წლის 27 ივნისს (ძვ. სტილით), რაც შეიძლება ითქვას კარგად ცნობილი ფაქტია. მაგრამ, კვლევის გაგრძელების შემდეგ აღმოვაჩინეთ ამავე სახლის მეორე პროექტის არსებობაც. ამ შემთხვევაში უკვე ვიკენტი ალექსანდრეს ძე სკარჟინსკი 1901 წლის 27 აგვისტოს (ძვ. სტილით) მიმართავს თხოვნით თბილისის გამგეობას რათა დართონ ნება აღნიშნული სახლის გადაკეთებაზე. ეს პროექტი დამტკიცებულია 1901 წლის 12 სექტემბერს (ძვ. სტილით), ხოლო მისი ავტორი არის არქიტექტორი ალექსანდრე როგოისკი. ამ პროექტის მიხედვით შენობამ სერიოზული რეკონსტრუქცია განიცადა. არსებულ სახლს გაუკეთდა მიშენება ეზოს მხრიდან, სახლის ნაკვეთის ფართის მომატების ხარჯზე. გარდა ამისა გადაკეთება შეეხო სახლის არსებულ ნაწილსაც. შეიძლება ითქვას, რომ ამ გადაკეთების შედეგად სახლმა მიიღო თავისი საბოლოო არქიტექტურულ-მხატვრული სახე. სამწუხაროა, რომ მრავალი წლების მანძილზე უცნობი რჩებოდა ამ სახლის ერთ-ერთი ავტორის - ალექსანდრე როგოისკის ვინაობა, რაც ეჭვსგარეშეა, რომ აღდგენილი უნდა იყოს. რაც შეეხება მიშენებას რომელიც განხორციელდა საბჭოთა პერიოდში ე.ი. საკითხს რომლის გამო წამოიწყო ეს კვლევა,			

გაირკვა, რომ ე.წ. საყოფაცხოვრებო კორპუსის პროექტი, რომელიც მიაშენეს ყრუ-მუნჯების სკოლა-ინტერნატს, დამტკიცებულ იქნა 1952 წლის 27 სექტემბერს. ავტორია არქიტექტორი გალინა გრესელ-კოშუტი.

20	ვასილი შუხაევის მოღვაწეობა საქართველოში 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).	2019	მარინა მეტმარიაშვილი მკვლევარი
----	---	------	--

ცნობილი რუსი მხატვარი ვასილი შუხაევი(1887-1973) - ნეოკლასიციზმის გამოჩენილი წარმომადგენელია. მოღვაწეობდა სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგებში-ფერწერაში, გრაფიკაში, თეატრისა და კინო მხატვრობაში. 1910-1930 ან წწ. ცხოვრობდა და მუშაობდა რუსეთში და საფრანგეთში, სადაც შექმნა ფერწერული პორტრეტების, პეიზაჟების და თეატრალური კოსტუმების დიდი რაოდენობა. 1914 წელს მიეკუთვნება მისი ცნობილი ორმაგი პორტრეტი „არლევინი და პიერო“ სადაც მხატვარმა გამოსახა საკუთარი და ახლო მეგობრის ა. იაკოვლევის პორტრეტები. საფრანგეთში ცხოვრების დროს შუხაევმა გაიცნო და ქართველი მხატვრები ელენე ახვლედიანი, ლადო გუდიაშვილი, დავით კაკაბაძე და სხვები /1937-1948 წწ. ვასილი შუხაევი ცოლთან ერთად გაატარა მაგადანში, სადაც იყო გადასახლებული/ მაგადანის შემდეგ შუხაევი ჩამოდის საცხოვრებლად თბილისში. ამ დროიდან მხატვრის ცხოვრებაში ახალი შემოქმედებითი ეტაპი იწყება. ვასილი შუხაევი ასწავლის ხატვას და ფერწერას თბილისის სამხატვრო აკადემიაში, მონაწილეობას იღებს გამოფენებში. აღსანიშნავია, რომ ამ დროს იცვლება მხატვრის პალიტრა და წერის მანერა. ქართველი ინტელიგენციის პორტრეტები, ბუნების გამოსახულება უფრო ოპტიმისტური და მრაველფეროვანი ხდება. 1950-იან წლებს მიეკუთვნება ვ. შუხაევის მიერ დაწერილი ქართული პეიზაჟების მრავალრიცხოვანი ტილო, ქართველი მეცნიერებისა და მსახიობების - ვ. ანჯაფარიძის, თ. ჭავჭავაძის, მხატვის მეგობრის გამოჩენილი ქართველი მხატვრის ელენე ახვლედიანის გრაფიკული პორტრეტები და ბევრი სხვა. ვასილი შუხაევის მხატვრული მემკვიდრეობა დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. ამ მხატვრის ნაწარმოებების გარკვეული ნაწილი ინახება კერძო კოლექციებში, როგორც საქართველოში ასევე ჩვენი ქვეყნის გარეთ. ამ მასალის შესწავლა მოითხოვს შემდგომ მუშაობას.



21	ნიკო ფიროსმანი და ახალი დროის ევროპული მხატვრობა 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).	2019	სამსონ ლეჟავა მკვლევარი
----	--	------	-----------------------------------

პროექტი გულისხმობს ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედებაში ევროპული მხატვრობის კორიფეებთან მიმართების კვლევას. გაანალიზებულია ნიკო ფიროსმანაშვილის მიმართებანი ჯერ ჯოტოს ხელოვნებასთან - თავისი „არქეტიპული“ მონუმენტალიზმით, ზღვრული ლაკონიზმითა და ერთგვარი „პირველადობით“ ფორმადქმნისა; დიეგო ველასკასისეულ - „ბოდეგონესის“ სახის რიგ ქმნილებებთან; ფრანსისკო დე სურბარანთან - დიდი სიბრტყეების დაუფლების შეუდარებელი უნარიანობის კონტექსტში; პოლ სეზანთან - უბრალო საგნის „ამაღლებული“ წარმოჩინების თვალსაზრისით. რაულ დიუფისთან - ცინცხალი ფერწერული იმპროვიზაციულობისა და სპონტანურობის ასპექტით; ფერნან ლეჟესთან - უკიდურესი გასადავებისაკენ მისწრაფებით; ანრი მატისთან - ფერის „პირველადი“ ჟღერადობის კუთხით. ნაჩვენებია,



რომ ანრი რუსოსთან შედარებით ნიკო ფიროსმანაშვილის ხელოვნება უპირატესია, სადაც თავად ფრანგი მკვლევარი ასაბუთებენ. გამოკვეთილია, რომ ფიროსმანაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ იგი აქტიური ფიგურაა მიხეილ ლარიონოვისათვის, კირილ ზდანევიჩისათვის, დავით კაკაბაძისათვის, ალბერ მარკესათვის და თავად პიკასოსთვისაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს ავანგარდისტულ ნაკადში უშუალოდ შერთულ ხელოვანად. ამ ნაშრომის გზისგამკვლევა გოგი ხოშტარას მოსაზრებანი ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედებაზე.

22	მხატვარ გივი ვაშაკიძის საარქივო მასალის დამუშავების საფუძველზე მისი შემოქმედების შესწავლა-კვლევა. 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).	2018-2019	მარიამ გაჩეჩილაძე პროექტის ხელმძღვანელი (მასალის დასკანერება, შესწავლა-კლასიფიკაცია-გაანალიზება, არქივიზაცია) სოფიო ჩიტორელიძე მკვლევარი (მასალის დასკანერება, შესწავლა-კლასიფიკაცია-გაანალიზება, არქივიზაცია)
----	--	-----------	--

ჩუბინაშვილის ცენტრში დასამუშავებლად და შესასწავლად მხატვრის ოჯახის მიერ იყო მოწოდებული მასალების დასახმარებლად მომართა მხატვარ **გივი ვაშაკიძის** ოჯახმა, რათა პროფესიონალთა მიერ მოხდეს საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი, 1950-60-იან წლების თაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელოვანის შემოქმედების შესწავლა-პოპულარიზაცია.

ამ ეტაპზე მოვახდინეთ ოჯახისგან დასამუშავებლად მოტანილი ნამუშევრების ნაწილის, დასკანერება და ციფრული ვერსიის მოწესრიგება, ცენტრის თანამედროვე ხელოვნების განყოფილებაში არსებულ არქივში შესანახად.

შედგა ინტერვიუ მხატვრის დასთან - დოდო ვაშაკიძესთან და რძალთან - თამარ უგრეხელიძესთან. ინტერვიუებმა საშუალება მოგვცა კიდევ უფრო მეტი ინფორმაცია მიგვეღო მხატვრის როგორც პირადი ასევე შემოქმედებითი ცხოვრების შესახებ.

(2019 წელს, დამუშავებული მასალის საფუძველზე მომზადდა სტატია რომელიც იბეჭდება ელ-ჟურნალში Ars Georgica, 2019)

გივი ვაშაკიძე 1960-იანელთა თაობის ქართველ ხელოვანთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომლის შემოქმედებაც ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებადაა ცნობილი.

გივი ვაშაკიძის შემოქმედება მოიცავს დაზგურ ფერწერასა და გრაფიკას, შესრულებული აქვს ასევე ილუსტრაციები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მის მიერ შექმნილი 134 ილუსტრაცია შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსნისთვის. არცერთ სხვა მხატვარს დღემდე ასე სრულად არ დაუსურათებია ეს პოემა. გივი ვაშაკიძის შემოქმედება მკაფიო ინდივიდუალიზმით გამოარჩევს, აქვს სამყაროს აღქმის ზერეალური, ეზოთერული, სრულიად განსხვავებული ფილოსოფიური ხედვა. ადამიანის ყოფის გადმოცემა ამ წარმოსახვით, ირეალურ სამყაროში სომბოლურად გააზრებული ნახატისა და ფერის საოცარი მეტყველებით ხდება. გივი ვაშაკიძის შემოქმედებამ საერთაშორისო დონეზეც ჰპოვა აღიარება. მისი ნამუშევრების გამოფენები გაიმართა გერმანიაში (მიუნხენი - 1989-1990, 1996; ბერლინი - 1990), ლატვიაში (რიგა - 1979), ავსტრიაში (ტიროლი - 1991), რუსეთში (მოსკოვი - 2002), აზერბაიჯანში (ბაქო - 2003) და ყველგან დიდი გამოხმაურება ჰპოვა. მის შესახებ დაიბეჭდა რამდენიმე სტატიები ადგილობრივ პრესაში. რამდენიმე პუბლიკაცია ქართულ პრესაშიც გამოქვეყნდა, არსებობს ასევე 1988 წელს გამოცემული, მცირე ზომის, 23 გვერდიანი კატალოგი.

ნამუშევრები დაცულია: ავსტრიის, გერმანიის, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, სეგ, ქ. გლონის მუზეუმში, ქ. ებესტისა და ქ. ფატერშტეტენის მერიებში, საქართველოს, იტალიის, ჰელსინკის, რუსეთის კერძო მუზეუმებში, ჯოხთაბერიძის პირად ფონდში. ახლადგახსნილ ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმში მის ნამუშევრებს ერთი დარბაზი აქვს დათმობილი (თბილისი, რუსთაველის პრ. 7)

p.s. ჩუბინაშვილის ცენტრის საგამოფენო დარბაზში „Ars Georgica“ მოეწყო მხატვრის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა (2019 წლის 21 – 28 ივნისი)

23	„ქართული მოხატული ისტორიული საბუთების შესწავლის ისტორია, კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგია და სამომავლო პერსპექტივები“ 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).	2019	ეთერ ედიშერაშვილი
----	---	------	-------------------

თემის ფარგლებში მოკვლეული იქნა მოხატულ ქართულ ისტორიულ დოკუმენტაციასთან დაკავშირებული ქართული და უცხოური სამეცნიერო ლიტერატურა. დამუშავდა ნაშრომები და გამოვლინდა ავტორები, რომლებიც როგორც პირდაპირ, ასევე ირიბად არიან დაკავშირებული აღნიშნული საკითხის შესწავლასთან. როგორც კვლევამ აჩვენა, მოხატული საბუთების კვლევის ისტორიის პირველი ნაბიჯები როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში ისტორიული კვლევების კუთხით გადაიდგა და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ტექსტთან შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა საბუთების მხატვრულ გაფორმებას. ყურადღების მიღმა დარჩენილი მხატვრობა შუა საუკუნეების ქართულ სახვით ხელოვნებაში ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად შესწავლილი აღმოჩნდა. მოხატული ისტორიული საბუთების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მცირე მასალა (1970-80-იან წლებში გამოქვეყნებული

ელენე მაჭავარიანისა და სარა ბარნაველის წერილები, 2011 წელს დარეჯან კლდიაშვილის რედაქტორობით გამოცემული მოხატული ისტორიული დოკუმენტების კატალოგი, 2019 წელს ნინო ჩიხლაძის მიერ წარმოდგენილი მოხსენება იმამ-ყულიხანის სიგელის შესახებ) მნიშვნელოვანია და საგულისხმო ორიენტირად ჩნდება სამომავლო სამუშაოსთვის, თუმცა, მოხატული საბუთების მრავალმხრივი პრობლემატიკა და თანამედროვე სტანდარტები მასალის უფრო საფუძვლიან კვლევას ითხოვს. მოხატული ისტორიული საბუთების, როგორც შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნების ნაკლებად შესწავლილი დარგის



შესწავლის მნიშვნელოვანება და პერსპექტივა არაერთი ასპექტით განისაზღვრება. სიგელების არცთუ მრავალრიცხოვანი ნიმუშების მხატვრობა თვალსაჩინო წარმოდგენას ქმნის თანადროულ ქართულ ხელოვნებასა და კულტურაში მიმდინარე მრავალფეროვან პროცესებზე. საბუთების მინიატურა ისტორიულ ქრონიკებთან და ტექსტებთან ერთად დამატებით წყაროს წარმოადგენს. სიგელების მინიატურების ეკლექტიური და არაერთგვაროვანი მხატვრული ფენომენის კვლევა, სადაც პირდაპირ ირეკლება თანადროული პოლიტიკური, კულტურული მოვლენები, და მინიშნებები ჩნდება გამცემისა თუ ადრესატის ურთიერთობასა თუ ფსიქოლოგიურ პორტრეტზე, მნიშვნელოვანია ქართული საერო და საეკლესიო ელიტის კულტურული თუ პოლიტიკური ორიენტაციის, მხატვრული გემოვნებისა და სოციალური იერარქიის

შესასწავლად. მოხატული ისტორიული საბუთების თანამედროვე კვლევის მეთოდოლოგია მის ინტერდისციპლინურ მეთოდს ემყარება, რომელიც თავის მხრივ ნიმუშის შემადგენელი კომპონენტების – მხატვრობა, ტექსტი, მასალა – საფუძვლიანი ანალიზისა და ურთიერთმეჯერების პრინციპზეა დაფუძნებული. თითოეული ნიმუშის კვლევის შემთხვევაში მის მხატვრულ მახასიათებლებს, საბუთის ისტორიულ და წყაროთმცოდნეობით მონაცემების წარმოჩენას და მათ ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში შესწავლას გულისხმობს.

24	ურბანული გეგმარება და არქიტექტურული პროექტირება თბილისში (1801-1918) 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2017-2019	გიორგი ჭანიშვილი მკვლევარი
----	---	-----------	--

თემა წარმოადგენს II ეტაპს რამდენიმე მკვლევარის მიერ შესასრულებელი პროექტისა „ურბანული გეგმარება და არქიტექტურული პროექტირება საქართველოს ქალაქებში (1801-1918)“.

I ეტაპზე თემაში განხილული იყო XIX და XX-ის დასაწყისის თბილისის ურბანული განვითარების ისტორია. ქალაქმშენებლობის სხვადასხვა ასპექტები: მშენებლობის ისტორია, არქიტექტურული საკითხები და მათი კავშირი ეთნიკურ იდენტობასთან. თემის მიზანია მეტი ნათელი მოეფინოს ამ დროის ქალაქმშენებლობის ისტორიას.

II ეტაპზე წარმოჩინდა ამ ეპოქის თბილისის ურბანული განვითარების მსგავსება აღმოსავლეთი ევროპის დედაქალაქებთან და ამგვარი ვითარების განმაპირობელი გარემოებები, რაზეც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მსგავსმა ისტორიულმა ბედმა. ამავე ეტაპზე შეივსო და დაზუსტდა საარქივო მონაცემები.

ქალაქთა წარმოშობა და მათი გენეზისი ძირითადად ერთმანეთის მსგავსია, თუმცა განსხვავება გამოიხატება რამდენიმე გარემოებით - დაარსებისა და განვითარების ეპოქით, გეოგრაფიული სარტყელითა და



გეომორფოლოგიური რელიეფით, გეოპოლიტიკური მდებარეობითა და ისტორიული გზით. ქალაქთა უმრავლესობის ურბანული განვითარებაც დიდწილად ემსგავსება ერთმანეთს, მით უმეტეს, თუ დაახლოებით ერთგვაროვან გეოგრაფიულ სარტყელში მდებარეობენ და ისტორიული თავგადასავალითაც არ განსხვავდებიან დიდად.

ამ მიმართებით თბილისის განვითარება XIX-ში თანხვედრა სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ქალაქებისას, რომლებიც ერთი მხრივ ოსმალეთის იმპერიის სხვა ქალაქებისგან თითქმის არც

განსხვავდებოდნენ, თუმცა ამასთან ეროვნული თვითგამორკვევისა და თვითდამკვიდრების პროცესში მყოფნი, თანდათან იბრუნებდნენ ევროპული ქალაქების იერს. მაგალითად 1830-იანი წლების ბელგრადის აღწერისას ევროპელი მოგზაურები მიუთითებდნენ ოსმალეთის იმპერიის გავლენის ქვეშ არსებული ბელგრადის (იმპერიის საზღვრისპირა ისტორიული სიმაგრის) ვიწრო ქუჩაბანდების და განაშენიანების კონტრასტს, იქვე, დუნაის აღმა, მის მარჯვენა შენაკად სავას მეორე (ჰაბსბურგების იმპერიის) ნაპირზე მდებარე „ევროპულ“ ზემონთან მიმართებაში. რაც ჩვენს შემთხვევაში ეხმიანება ოდნავ მოგვიანებით თბილისურ გაზეთში დაბეჭდილ სიტყვებს: „თბილისი... ერთგვარი იანუსია, რომელიც ერთი სახით აზიისკენ არის მიმართული, მეორეთი – ევროპისაკენ“.

ამგვარი კონტრასტი განპირობებულია ცივილიზაციის განვითარების პროცესის თავისებურებით, რაც თავის მხრივ განსაზღვრულია თანადროულ-ეპოქური გარემოებებით.

ჩვენი ინტერესის საგანია სწორედ ამ პერიოდის თბილისი და მისი ურბანული განვითარების თავისებურობანი. ზემოთ აღნიშნა თბილისის ამ პერიოდის განვითარების მსგავსება სამხრეთ-

აღმოსავლურ ევროპულ ქალაქებთან. გარკვეული მსგავსება გააჩნდა მას ამიერკავკასიის სხვა მთავარ ქალაქებთანაც, რადგან ერთი გეოგრაფიული სარტყელისა და მეტ-ნაკლებად მსგავსი ისტორიის გარდა, ზოგადად ერთ პოლიტიკურ სივრცეში - რუსეთის იმპერიის ფარგლებში ვითარდებოდნენ. თუმცა თბილისს გააჩნდა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნები, რაც განპირობებული იყო სპეციფიკური წინაისტორიით.

25	გეოგრაფიული გარემო და არქიტექტურა (საქართველო და სომხეთი). 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2017-2019	ასმათ ოქროპირიძე მკვლევარი
----	---	-----------	--

პროექტის თემა წარმოადგენს მრავალწლიანი კვლევის გაგრძელებას. კერძოდ, 2011-2012 წლებში პროგრამული დაფინანსებით ჩატარდა კვლევა თემაზე: „მცხეთის ჯვარი და აია სოფია“. შედეგად წარმოჩინდა ქართული და ბიზანტიური საეკლესიო ხუროთმოძღვრების ეროვნული თავისებურებები მათი მსოფლმხედველობრივ-ლიტურგიული ერთიანობის პირობებში. კერძოდ, გამოიკვეთა, რომ ქართული და ბერძნული (ბიზანტიური) ტაძარი, როგორც თავისებური „მაკროსტრუქტურა“ მონუმენტური აბსტრაქციაა იმ გეოგრაფიული გარემოსი, სადაც იქმნება არქიტექტურა. შესაბამისად, ქართული „გეორგიანული“ კულტურა სამყაროს ოთხი სტიქიიდან უფრო მიწისა და ცეცხლის დომინირებას გამოხატავს, ბერძნული კი – ჰაერისა და წყლისა. ამან ასახვა ჰპოვა ტაძრების მხატვრულ მეტყველებაში. კერძოდ, ქართული ხუროთმოძღვრება ირჩევს კედლის უწყვეტობას, ხოლო ბერძნული კი პირიქით – რაც შეიძლება მეტად „ხსნის“ კედელს, რათა „უზრუნველყოფს“ ჰაერის სტიქიის შეუზღუდავობა და ა.შ. ამ კონტექსტში, ბუნებრივია, გაჩნდა კითხვა, თუ რა განსხვავებაა ქართულ და მეზობელ სომხურ არქიტექტურას შორის. მითუმეტეს, რომ მათ შორის არის მსგავსება, როგორც ტიპოლოგიური, ასევე მხატვრული, რაც ზოგადრეგიონალური ერთობის გამომხატველია, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის არის გამოკვეთილი ეროვნული განუმეორებლობა ორივე ამ კულტურისა. წარმოდგენილი ორწლიანი თემა ეფუძნება როგორც პირად ანალიზებს, ასევე, რა თქმა უნდა, სამეცნიერო ლიტერატურის დასკვნებსაც, მაგრამ ამოსავალი (დომინანტი) არის ისევ გეოგრაფიული გარემო, როგორც პირველადი იმპულსი და მისი ასახვა ხუროთმოძღვრებაში. ამ თვალსაზრისით ქართული ეკლესიის მხატვრული მეტყველება ეფუძნება მიწის სტიქიის მეტაფორულ განზოგადოებას, სომხური კი – კლდისა, რადგან ეს უკანასკნელი არის საფუძველი სომხეთის ტერიტორიისა. შესაბამისად, ორივე ქვეყნის ეკლესიები განსხვავებულ მიდგომას ამჟღავნებს კედლის უწყვეტობის მიმართ.

26	ზემო სვანეთის საეკლესიო ხუროთმოძღვრება და მისი მიმართება ტრადიციულ არქიტექტურასთან 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	2017-2019	გიორგი პატაშური მკვლევარი
----	---	-----------	---

ზემო სვანეთის საეკლესიო ხუროთმოძღვრება ტიპოლოგიურად ერთგვაროვანია. აქ ძირითადად, გავრცელებულია დარბაზული ეკლესიები.

გუმბათური ტაძრები შედარებით გვიან ჩნდება და ისიც მხოლოდ ერთი ნიმუშითაა წარმოდგენილი. ნაშრომში განხილულია ზემო სვანეთის ტაძრების

დამახასიათებელი თავისებურებები - არქიტექტურული ფორმების გენეზისი, მწირი დეკორის ხასიათი; სვანეთის ტაძრების კავშირი და მიმართება ბარის ხუროთმოძღვრებასთან.



27	სამეკლესიანი ბაზილიკების ტიპი საქართველოში 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების	2017-2019	ნოდარ არონიშვიძე მკვლევარი
----	---	-----------	--

	ისტორია	
	სამეკლესიანი ბაზილიკის განმარტებასთან დაკავშირებით, რომელიც გ. ჩუბინაშვილს უკავშირდება და მეტწილად ფუნქციური მნიშვნელობით იხსნება, ჩნდება განსხვავებული მოსაზრებებიც, რომელთა ნაწილიც, სამწუხაროდ, წერილობითი გამოკვლევის სახით არ ფიქსირდება და მხოლოდ სამეცნიერო წრის საუბრების თუ თეორიული მსჯელობის საგნად რჩება. წინამდებარე ტიპითან დაკავშირებულ ახლებურ თუ, უბრალოდ, განსხვავებულ განმარტებათა ნაწილს კი, გამოკვლევათა სახით წარმოდგენილს, ვხვდებით სხვადასხვა სტატიის სახით, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებითი გარდაქმნისთვის ყოველ ამ მოსაზრებას საკმაო ოდენობით აკლია სამეცნიერო არგუმენტაცია და, ამდენად, დამაჯერებლობაც. ჩვენი ფიქრით, უპირველესად საკვლევი ზემოხსენებულ მოსაზრებათა ორი მიმართულება - ტიპის განმარტების `ფუნქციური` მხარე და მისი `გენეზისის` საკითხი. სამეკლესიან ბაზილიკათა, დღემდე მიღებულ, ფუნქციურ განმარტებათა მიღმა გვხვდება ტიპის `გასხნის` სრულებით განსხვავებული შეხედულებები, რაც გენეზისის საკითხებს უკავშირდება. ამგვარად, თემის უმთავრეს ხაზს სწორედ წინამდებარე ტიპთან დაკავშირებული, დიდწილად ურთიერთმსხვაობარი, მოსაზრებების შეჯერება-შეჯამება, კრიტიკული ანალიზი და შემდგომ კი მოცემული საკითხების ახლებური გააზრება წარმოადგენს.	

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1. ცენტრის პროექტები

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	წმ. დიმიტრის თაყვანისცემა შუა საუკუნეების საქართველოში. უცნობი მოხატულობა დავითგარეჯიდან 7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი 7.6 ჰუმანიტარული მეცნიერებანი FR-18-30-30	2019-2022	მარინე ბულია (ხელმძღვანელი) მზია ჯანჯალია (კოორდინატორი) ნინო ციციშვილი (ახალგაზრდა მეცნიერი)

საქართველოში წმ. დიმიტრის თაყვანისცემასთან დაკავშირებული საკითხები, ისევე როგორც შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში შემორჩენილი წმინდანის გამოსახულებები, საგანგებო კვლევის საგანი არასდროს გამხდარა, რადგან ჩვენში არსებული, დღემდე ცნობილი მასალა, ერთი შეხედვით, არაფრით ყოფილა გამორჩეული. დავითგარეჯის დოდორქის მონასტერში ახლახანს აღმოჩენილი, უცნობი მოხატულობა. რომელიც სავარაუდოდ, XII-XIII სს-თა მიჯნაზეა შესრულებული და ძირითადად, წმ. დიმიტრის ცხოვრების, საქართველოსთვის უნიკალური, ნარატიული ციკლისგან შედგება, არსებითად ცვლის ჩვენში ამ წმინდანის გამოსახულებებთან დაკავშირებით დამკვიდრებულ ცოდნას, ამასთან კი ზოგადად ცვლის წმინდა დიმიტრის ციკლების გავრცელების დღემდე დადგენილ არეალსა და ქრონოლოგიას. ის ადასტურებს, რომ ამგვარი ციკლები გავრცელებული იყო არა მარტო საბერძნეთსა და

სლავურ ქვეყნებში, არამედ აღმოსავლეთსაქრისტიანოს სხვა რეგიონებშიც; ამასთან, ის ერთი საუკუნით წინ გაუსწრებს არც თუ მრავალრიცხოვან ბიზანტიურ ანალოგებს და კედლის მხატვრობაში დღესასწაულებული ყველაზე ადრეული ციკლი გამოდის. ამგვარად, ახლად აღმოჩენილი მოხატულობა არა მარტო ქართული კედლის მხატვრობის, არამედ ბიზანტიური კვლევებისთვისაც იძენს საეტაპო მნიშვნელობას.



XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე უნიკალური ციკლის შექმნა, მასში წმინდანის რელიქვიების ასევე უმაღალითო გამოსახულებების ჩართვა, ამასთან კი თანადროულ მოხატულობებსა თუ ხელოვნების სხვა დარგების ნიმუშებში წმინდანის ცალკეული გამოსახულებების გამრავლება ნათლად მიგვანიშნებს ამ ხანებში წმ.

დიმიტრისადმი განსაკუთრებულ ინტერესს და თავისთავად ბადებს საქართველოში მის თავყვანისცემასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლის აუცილებლობას. ამგვარი კვლევა ახლებურად წარმოაჩენს საქართველოს როლს წმ. დიმიტრის გამოსახულებებისა და რელიქვიების გავრცელებაში და ქართულ-ბიზანტიური ისტორიული და კულტურულ-რელიგიური ურთიერთობების დღემდე შეუსწავლელ, მეტად საყურადღებო საკითხებს წამოჭრის.

პროექტი დოდორქის ახლად აღმოჩენილი მოხატულობის ფუნდამენტურ სახელოვნებათმცოდნეო კვლევას, საქართველოში წმინდა დიმიტრის თავყვანისცემის ისტორიის შესწავლასა და ქართული და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისთვის ამ ახალი, სრულიად უცნობი მასალის წარდგენას ისახავს მიზნად.

პროექტის მიმდინარეობის პირველ ეტაპზე შეგროვდა და დამუშავდა საკვლევ საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა; წარიმართა სავსე სამუშაოები, რა დროსაც განხორციელდა დოდორქის მოხატულობის ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია; აღინუსხა და პალეოგრაფიულად გამოკვლეულ იქნა დოდორქის სამლოცველოში შემორჩენილი ნაკაწრი და ფრესკული წარწერები; მომზადდა და საერთაშორისო კონფერენციაზე „დავით გარეჯი. მრავალდარგობრივი კვლევა და განვითარების სტრატეგია“ წარდგენილ იქნა მოხსენება: *წმინდა დიმიტრი თესალონიკელის ცხოვრების ციკლი და მისი წმინდა ნაწილები დოდორქის მონასტერში* (მარინე ბულია). წმინდა დიმიტრის თავყვანისცემასთან დაკავშირებული საეკლესიო სიძველეები (ჭედური და ფერწერული ხატები, მინიატიურები, რელიკვიები, სანაწილეები და ა.შ) მოძიებული, სისტემატიზირებული და გამოკვლეული იქნა თბილისის, ქუთაისისა და თელავის სამუზეუმო კოლექციებსა და არქივებში (კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი (ერმაკოვის სახ. ფოტოარქივი და შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმის ფონდები), თელავის ისტორიული მუზეუმი (მივლინება პროექტის ფარგლებში: ა/წ 21-25 მაისი), ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი (მივლინება პროექტის ფარგლებში: ა/წ 15-19 ივლისი))

2	არქიტექტურის აღქმა და რეპრეზენტაცია შუა საუკუნეების საქართველოში 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია 2 6.1.1. ისტორია 7.6.1. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები: ჰუმანიტარული მეცნიერებები FR2017/ FR17_221	2018-2020	მარიამ დიდებულიძე (ხელმძღვანელი) ნატალია ჩიტიშვილი (კოორდინატორი, ახალგაზრდა მეცნიერი) მარინე ყენია, (ძირითადი პერსონალი) დავით ხოშტარია (ძირითადი პერსონალი)
---	--	-----------	---

			ქრისტიანე საზაშვილი (ძირითადი პერსონალი)
		წარმოდგენილი პროექტის მიზანია ჩატარდეს კვლევა, რომელიც გაარკვევს თუ როგორ აღიქვამდნენ არქიტექტურას შუა საუკუნეების ქართველები და ახსნის მისი რეპრეზენტაციის დანიშნულებასა და ფორმებს. კვლევამ პასუხი უნდა გასცეს შემდეგ შეკითხვებს: როგორ აღიქვამდნენ შუა საუკუნეების ქართველები არქიტექტურას? შეიძლება თუ არა ლაპარაკი არქიტექტურის აღქმის სპეციფიკურად ქართულ თავისებურებებზე? რა იყო არქიტექტურის რეპრეზენტაციის მიზნები? რა გავლენას ახდენდა ისინი მასალაზე, ტექნიკასა და მხატვრულ ფორმაზე? როგორ წამოადგენდნენ შუა საუკუნეების ქართველები არქიტექტურას? როგორი იყო რეპრეზენტაციის შინაარსობრივი, იკონოგრაფიული და ესთეტიკური	თავისებურებები მხატვრობაში, ქვის ქანდაკებაში, ლითონმქანდაკელობაში? როგორ განვითარდა რეპრეზენტაციის ზოგადი, სპეციფიკური და სიმბოლური ტიპები ხელოვნების სხვადასხვა სფეროში? როგორი იყო ურთიერთკავშირი რეპრეზენტაციის ტიპს, დანიშნულებას, მასალასა და სტილს შორის? რამდენად განსხვავდება არქიტექტურის ქართული რეპრეზენტაციები მონათესავე ნიმუშებისაგან ბიზანტიურ, სომხურ, დასავლეთევროპულ და ისლამურ ხელოვნებაში? პროექტი მოიცავს ექვს კვლევით თემას: 1. არქიტექტურის აღქმა შუა საუკუნეების საქართველოში; 2. არქიტექტურული ნახაზები; 3. არქიტექტურული ფონები კედლის მხატვრობაში, ხატწერაში, წიგნის მინიატურასა და ჭედურ ხელოვნებაში; 4. არქიტექტურის რეპრეზენტაციები საქტიტორო გამოსახულებებში; 5. ეკლესიათა მოდელები როგორც აკროტერიონები და საფლავის ძეგლები; 6. არქიტექტურის რეპრეზენტაცია შეჯამება. 6. არქიტექტურის რეპრეზენტაცია: შეჯამება. საპროექტო კვლევა მეტ შუქს მოჰფენს ზოგადად შუა საუკუნეების არქიტექტურასა და ხელოვნებას და კერძოდ, არქიტექტურის შუასაუკუნეობრივ კონცეფციასა და მისი რეპრეზენტაციის ფორმებს. პროექტის შედეგი იქნება არა მხოლოდ ფაქტების დაგროვება, არამედ მეთოდოლოგიურად ინოვაციური გამოკვლევა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს შუა საუკუნეების ქართული სულიერი და მხატვრული კულტურის უფრო ღრმა გაგებას. საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა ამ საკითხთან დაკავშირებული სპეციალური ლიტერატურის მოძიება და დამუშავება; მომზადდა ინგლისურენოვანი სამეცნიერო სტატია რეფერირებული ჟურნალისთვის "მოამბე", არქიტექტურის შუასაუკუნეობრივი აღქმისა და რეპრეზენტაციის სხვადასხვა საკითხის გასარკვევად. მიმდინარეობდა სავსელ სამუშაოებიც. შედგა მივლინებები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, რომელთა განმავლობაშიც ჯგუფის მკვლევრებმა საპროექტო კვლევის თემატიკის თვალსაზრისით ადგილზე შეისწავლეს ძეგლები. სამუშაოები მიმდინარეობდა რეგიონალურ მუზეუმებშიც. უკვე წლის დასაწყისში ცხადად გამოიკვეთა, რომ იმის წარმოსაჩენად, თუ თუ როგორ აღიქვამდნენ და გამოსახავდნენ არქიტექტურას შუა საუკუნეების ქართველები, საგანი განხილული უნდა იყოს ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ფართო ფონზე, აღმოსავლეთ საქრისტიანოსა და ისლამური სამყაროს სხვა ქვეყნების ხელოვნებასთან შედარებით კონტექსტში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო მივლინება საბერძნეთში 2019 წლის ოქტომბერში. მივლინების დროს კვლევითი ჯგუფის წევრები გაეცნენ ბიზანტიური ხელოვნების ძეგლებს ათენში, სალონიკში, კასტორიაში, მეტეორაში, დაფნოში და დელფის მიდამოებში (ჰოზიოს კლუკასი), რაც მათ საშუალებას მისცემს უკეთ წარმოაჩინონ შედარებითი ასპექტი.

3	შუა საუკუნეების მხატვრები საქართველოში 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია) 6.5. სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებანი FR17_271	2018-2020	ქეთევან მიქელაძე (ხელმძღვანელი) მარიამ დიდებულიძე (ძირითადი პერსონალი) თამარ ხოსროშვილი (კოორდინატორი)
პროექტი მიზანად ისახავს შუა საუკუნეების ეკლესიის მომხატველ ოსტატთა ფართო სოციალურ-კულტურულ კონტექსტში კვლევას. მხატვრის საზოგადოებრივი მდგომარეობის, მისი სოციალური სტატუსის, ქტიტორისა და მხატვრის ურთიერთდამოკიდებულებისა და თანამშრომლობის წარმოჩენას; როგორ აღიქვამდა და აფასებდა შუა საუკუნეების მხატვრი საკუთარ თავსა და თავის საქმეს და როგორ აღიქვამდნენ მას და მის მიერ შექმნილ ნაწარმოებებს მისი დამკვეთნი. ეს საკითხები გაშუქებული იქნება მე-9/10-მე-17 საუკუნეების კედლის მხატვრობისა და მხატვრის სახელის შემცველი ისტორიული წარწერების ანალიზის საფუძველზე; განხილული იქნება საქართველოში სხვადასხვა დროს უცხოეთიდან ჩამოსული მხატვრებიც. კვლევის შედეგები გამოქვეყნდება ელექტრონულ ნაშრომში. 2019 წელს შესრულდა გეგმით გათვალისწინებული შემდეგი სამუშაო: მოიწყო სამეცნიერო ექსპედიციები იმერეთში, რაჭაში, სამეგრელოში, გურიასა და ქართლში, რომლის დროსაც ადგილზე შევისწავლეთ თორმეტი მოხატულობა (ოზბა, წითელხევი, ილემი, გელათი (ღვთისმშობლის ტაძრის და წმ. ელიას ეკლესიის მოხატულობები), ჩხარი, ზემოკრიხი, ნიკორწმინდა, წალენჯიხა, მარტვილი, ერკეთი, ერთაწმინდა); წაკითხული, გადმოწერილი და დაზუსტებულია ქტიტორთა და მხატვართა წარწერები; გადაღებულია ფოტოები; დამუშავდა საარქივო მასალა, შედგა თითოეული მოხატულობის ანოტაცია. პროექტის წევრებმა დაამუშავეს სამეცნიერო თემები. ერთ-ერთი საკითხი მოხსენების („ბოზნევის წმ. იოანე მახარებლის ეკლესიისა და მაღალანთ ეკლესიის კანკელის მოხატულობათა ქტიტორები და მხატვრები“) სახით წარმოდგენილი იყო საერთაშორისო კონფერენციაზე („საქართველო-ბიზანტია-ქრისტიანული აღმოსავლეთი“, თბილისი, 2019).			
4	მემორიალური ძეგლები XVIII-XIX საუკუნეების საქართველოში 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია) HE-18-339	2018-2021	ეკატერინე კვაჭატაძე (ხელმძღვანელი) გიორგი პაპაშვილი (კოორდინატორი) სამსონ ლეჟავა (ძირითადი პერსონალი) ნოდარ არონიშვილი (ძირითადი პერსონალი, ახალგაზრდა მეცნიერი) მანონ ლილუაშვილი (ძირითადი პერსონალი, ახალგაზრდა მეცნიერი)





სამწლიანი პროექტის მიზანია მემორიალურ ძეგლთა (საფლავის ქვები, მემორიალური ქანდაკება, ობელისკები, მეხსიერების ადგილებზე აღმართული მონუმენტები და სხვ.) საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოძიება, აღნუსხვა, დეტალური ფოტოფიქსაცია, კლასიფიკაცია, ტიპოლოგიზაცია, ანალიზი. პროექტი ითვალისწინებს საქართველოში შუა საუკუნეებიდან მრავლად შემონახულ მემორიალურ ძეგლთა მოკვლევასა და შესწავლას, უმეტესწილად, ფოკუსირებულია, ამ თვალსაზრისით

ყველაზე უფრო უხვი და მრავალფეროვანი მასალის მქონე ეპოქა: XVIII-XIX სს., XX საუკუნის 20-იან წლებამდე. მრავალსახოვანია ჩვენში მემორიალურ ძეგლთა ფორმები (არქიტექტურულად გადაწყვეტილი ძეგლები, საფლავის ქვები, ცხენისა და ცხვრის ქანდაკებები, ობელისკები და სხვ.), მისი დეკორი (ანტროპომორფული, ზოომორფული, ორნამენტული რელიეფური გამოსახულებები, სოციალური და პროფესიული თემატიკის ამსახველი სიუჟეტები და სხვ.) და გამოსახულებათა სიმბოლური ენა. პროექტი, ძირითადად, განიხილავს ქრისტიანულ მემორიალურ ძეგლებს, თუმც, ამავედროულად მოიცავს საქართველოს კულტურულ სივრცეში თანაარსებულ სხვა კონფესიის მემორიალურ ნიმუშებსაც. ამ ეტაპზე, პროექტის დაწყებიდან 16 თვის მანძილზე განხორციელდა მრავალი ექსპედიცია საქართველოს რეგიონებში: იმერეთის, სამცხის, თეთრიწყაროს, მთიულეთის, კასპის მუნიციპალიტეტებში და სხვა. მოხდა მოპოვებული ძეგლების დეტალური ფოტოფიქსაცია, აღნუსხვა-აღწერა, აზომვა, მათი მდებარეობის GPS კოორდინატების დაზუსტება. მიმდინარეობს სამეცნიერო ლიტერატურის, საარქივო და სამუზეუმო მასალათა მოძიებისა და შესწავლის პროცესი. აგრეთვე მუშავდება შემდგომ განსახორციელებელი ექსპედიციების გეგმა-გრაფიკი, მზადდება პუბლიკაციები და დაწყებულია სამეცნიერო კონფერენციების მოსამზადებელი სამუშაოები.

პროექტის მონაწილემ, გიორგი პაპაშვილმა, პროექტის ფარგლებში, წაიკითხა მოხსენება ცენტრალური ევრაზიის კვლევების საზოგადოების (CESS) მე-20 ყოველწლიურ კონფერენციაზე (10-13 ოქტომბერი, 2019), მოხსენების სათაურია: „მეხსიერების ხატები: საფლავის ქვები და ფოტოგრაფია მე-19 საუკუნის მიწურულის სამხრეთ საქართველოში“. პროექტის ხელმძღვანელმა ეკატერინე კვაჭატაძემ საფლავის ქვების თემაზე ინტერვიუ მისცა რადიო თავისუფლების ჟურნალისტს, რომელიც 2019 წლის 3 აპრილს გამოქვეყნდა სახელწოდებით „ძველი სასაფლაოები ნადგურდება“. აგრეთვე, ტელემაუწყებელ „იმედის“ გადაცემა „იმედის დილა“-ში 2019 წლის 26 ივლისს, 9:47 სთ გავიდა სიუჟეტი „კუკიის საფლავების იდუმალი ესთეტიკა“, რომელშიც ეკატერინე კვაჭატაძე საუბრობს კუკიის სასაფლაოს მხატვრულ ღირებულებასა და საფლავის ქვებისთვის ძეგლის სტატუსის მინიჭების მნიშვნელობაზე.

2.2 ცენტრის თანამშრომლების მონაწილეობა სხვა ინსტიტუციების პროექტებში

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	XX საუკუნის ქართული ხელოვნება და მისი ისტორიული კონტექსტი (დიმიტრი თუმანიშვილი) 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)	2019-2020	ნინო ჭოდოშვილი (ხელმძღვანელი) ა. გაბუნია (კოორდინატორი)

	SP-19-118		
პროექტი გულისხმობს გამოჩენილი მეცნიერის დიმიტრი თუმანიშვილის რადიო გადაცემათა ციკლის აუდიო ჩანაწერების გამოცემას. გაშიფრული ტექსტების პირველადი რედაქტირება განხორციელდა ავტორის მიერვე მის გარდაცვალებამდე. 2019 წელს განხორციელდა გაშიფრული ტექსტების რედაქტირება. გამოცემაში თავმოყრილი იქნება დიმიტრი თუმანიშვილის გაშიფრული და რედაქტირებული ტექსტები მე-XX საუკუნის ქართულ ხელოვნებაზე, სადაც განხილულია ამ პერიოდის სახვითი ხელოვნების ძირითადი ტენდენციები, ისტორიული, სოციალური თუ კულტურული კონტექსტები, გამოკვეთილია ქართული ხელოვნების განვითარების მაგისტრალური ხაზი, მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლის მომსწრე და მონაწილეც თავად ავტორი იყო.			
2	კარიკატურის ასწლიანი ისტორია საქართველოში (1880-1980) 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია) FR-18-62-62	2019-2022	მაია ციციშვილი (ხელმძღვანელი), ნინო ჭოდოშვილი (ძირითადი პერსონალი) ქრისტინე დარჩია (კოორდინატორი, ახალგაზრდა მკვლევარი), ს. ჭანტურიძე (ახალგაზრდა მკვლევარი)
კარიკატურა, როგორც სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი ჟანრი გამორჩეულად საინტერესო ფენომენია, რომლის არსებობის ისტორია რამდენიმე საუკუნეს ითვლის, მიუხედავად ამისა, მას დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა. ქართული კარიკატურა, პრაქტიკულად, უცნობია ფართო საზოგადოებისათვის, დავიწყებული და შეუსწავლელია სამეცნიერო წრეებში. პროექტის მიზანია ქართული კარიკატურის ასწლოვანი ისტორიის კვლევა. 2019 წელი - პროექტის I ეტაპი დაეთმო მასალის მოძიებასა და დამუშავებას, რაც გულისხმობდა: - სამუზეუმო კოლექციებისა და ფონდების დამუშავებას, როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში; - კერძო კოლექციებში დაცული მასალის მოძიებას; - საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და სხვა ბიბლიოთეკებში დაცული ბეჭდური მედიის კვლევასა და შესწავლას (1880-1980-იანი წწ.); - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამეცნიერო კვლევით ცენტრში დაცული მასალის მოძიებასა და შესწავლას; - ფოტოფიქსაციას კვლევისთვის. - ოსკარ შმერლინგის შემოქმედებისა და მოღვაწეობის კვლევა საქართველოს სახელმწიფო არქივში, ეროვნულ მუზეუმში, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.			



2.3 ცენტრის პროექტები

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	სეზონური სკოლა ტაო - კლარჯეთი - ისტორია და მემკვიდრეობა- მოძრავი და უძრავი ძეგლები 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია) MG – ISE – 18 -242	2019	ეკატერინე გედევანიშვილი (ხელმძღვანელი) ირინე გივიაშვილი (თანახელმძღვანელი) ირმა მამასახლისი (კოორდინატორი)
პროექტი განხორციელდა შ.რუსთაველის ფონდისა და მაქს პლანკის ფლორენციის ხელოვნების ინსტიტუტის , ბაზელის უნივერსიტეტისა და ფრიბურგის უნივერსიტეტის თანადაფინანსებით. პროექტის უმთავრესი მიზანი იყო უცხოელი და ახალგაზრდა ქართელი მკვლევარებისთვის ისტორიული ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე არსებული მემკვიდრეობის წარმოდგენა ფართო ისტორიულ და კულტურულ კონტექსტში. ექსპედიცია გულისხმობდა არა მხოლოდ ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე არსებული ძეგლების განხილვას , არამედ ამ მემკვიდრეობასთან უშუალოდ დაკავშირებულ მოძრავი თუ უძრავი ძეგლების წარმოდგენასაც იქნება ეს მანგლისის თუ კუმურდოს ტაძრები თუ ანჩისხატისა და ხახულის ხატი და სხვა. ყოველ ძეგლზე მიმდინარეობდა სამეცნიერო დისკუსიები, რაც ახალი მეთოდოლოგიური საკითხების გაცნობასაც გულისხმობდა.			
2	საეკლესიო მხატვრობა 1801-1918 წლების საქართველოში დოქტორანტთა საგანმანათლებლო პროგრამა 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია) PhD_F_17_153	2017-2019	თამარ ხოსროშვილი (მკვლევარი, დოქტორანტი)
კვლევის ამ ეტაპზე მოვიწახვლე, ფოტომასალა გადავიღე და ვიმუშავე აბასთუმნის ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიის მოხატულობაზე, ასევე, სოფელ სეფეში მდებარე ეკლესიაში, რომელშიც დავით გეგლიძის მიერ მოხატული კანკელია დაცული. პარალელურად გავეცანი ამ ეკლესიების შესახებ არსებულ ლიტერატურას და დავამუშავე ესა და სხვა საანგარიშო პერიოდში არსებული მასალა . დასაბეჭდად გამზადდა უცხოენოვანი სტატია "The Aspects of Identity in 19th and Early 20th Century Church Wall Paintings in Georgia" რომელიც სულ მალე დაიბეჭდება რეფერირებად ჟურნალში Revue Roumaine d'Histoire de l'Art.Série Beaux-Arts.			



ამ პერიოდის განმავლობაში, გარდა ქართული მასალის შესწავლისა, დავამუშავე უკვე ჩემს ხელთ არსებული და ახლად მოძიებული მასალა 1801-1918 წლებში აღმოსავლეთ სამართლმადიდებლოს საეკლესიო მხატვრობებში მიმდინარე პროცესები. ამ მიზნით ვიყავი საბერძნეთში (თესალონიკი, მეტეორა, ათენი) და მოვინახულე პოსტ-ბიზანტიური და 19-ე საუკუნის საეკლესიო მონუმენტები, ვეწვით რამდენიმე მუზეუმს სადაც ამავე პერიოდის მასალაა დაცული (ხატები, ხელნაწერები, ბეჭდური ხატები).

გავცანი ამ ეკლესიების შესახებ არსებულ ლიტერატურასა და მეცხრამეტე საუკუნისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის პრესას. ვიმუშავე არქივში და შევაგროვე მასალა მეცხრამეტე საუკუნისა და მეოცე საუკუნის დასაწყისში წარმოებული საეკლესიო მონუმენტების, განხორციელებული რესტავრაციების, ამ პერიოდში მოღვაწე ქართველი თუ უცხოელი მხატვრების შესახებ.

3	ურბანული გეგმარება და არქიტექტურული პროექტირება საქართველოს ქალაქებში (1801-1918) 6 ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.1. ისტორია და არქეოლოგია 6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია) 6.5. სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებანი 7 საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები 217208 FR/11/12/16	2016-2019	დავით ხოშტარია (ხელმძღვანელი) ნათია ნაცვლიშვილი (კოორდინატორი, მკვლევარი) გია ჭანიშვილი (მირითადი პერსონალი) მანონ ლილუაშვილი (მირითადი პერსონალი) გიორგი პაპაშვილი (ახალგაზრდა მეცნიერი)
---	--	-----------	---

კვლევითი პროექტი „ურბანული გეგმარება და არქიტექტურული პროექტირება საქართველოს ქალაქებში (1801-1918)“ მიზნად ისახავდა 1801-1918 წლების საქართველოს ხუთი ძირითადი ქალაქისა (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი, ახალციხე) და ორი საკურორტო ქალაქის (ბორჯომი, აბასთუმანი) ურბანული დაგეგმარებისა და არქიტექტურული სახის მრავალმხრივი სურათისა და თითოეული მათგანის თავისებურებების წარმოჩენას. პროექტის მეთოდოლოგია დაეფუძნა ქალაქების, როგორც სივრცეში ურთიერთმოქმედი სხვადასხვა პროცესების რთული შედეგის გაგებას. დაგეგმარება და მშენებლობა განხილული იქნა როგორც კულტურით, იდეოლოგიით, პოლიტიკითა და ეკონომიკით განპირობებული აქტივობები. შესწავლილი იქნა თუ როგორ აისახა გეგმარებასა და არქიტექტურაზე ინდუსტრიალიზაციის, მოდერნიზაციისა და ევროპეიზაციის პროცესები. კვლევაში გამოყენებული იქნა ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიური მიდგომა, რაც გულისხმობდა ცოდნის სხვადასხვა სფეროს - ურბანული დაგეგმარების ისტორიის, არქიტექტურის ისტორიის, პოლიტიკური ისტორიის, სოციალური და კულტურული კვლევების სინთეზს.

საპროექტო კვლევის ძირითადი შედეგია XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ქალაქმშენებლობის მრავალმხრივი სურათის წარმოჩენა. ვრცელი და მრავალფეროვანი პირველადი წყაროების საფუძველზე პირველად იქნა შესწავლილი საქართველოს ძირითადი ქალაქებისა და კურორტების ურბანული განვითარება. ძალიან მნიშვნელოვანი შედეგი იყო თითოეული ქალაქის სპეციფიკის დადგენა. პროექტის განხორციელების შედეგად გამოიკვეთა ურბანული ისტორიის ძირითადი ასპექტები; გაირკვა თუ რა იყო საერთო საქართველოსა და აღმოსავლეთ ევროპის ქალაქების ურბანული განვითარების პროცესში და რა განასხვავებდა მას რეგიონის სხვა ქვეყნებისაგან, დადგინდა, რომ XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში ურბანული ტენდენციების განმსაზღვრელი იყო: 1. შუა საუკუნეებიდან მომდინარე ურბანული ქსოვილის სპეციფიკა და მისი შესაბამისობა ახალი დროის

მოთხოვნებთან, 2. ცალკეული ქალაქების ინდუსტრიალიზაციისა და მოდერნიზაციის ტემპები, 3. ბუნებრივი პირობები (მდებარეობა, რელიეფი, კლიმატი, ფლორა), 4. ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების თავისებურებები, 5. მთლიანად რეგიონის გეოპოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი და სასარგებლოა სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისათვის – ისტორიკოსებისთვის, არქიტექტორებისთვის, ურბანისტებისთვის, არქიტექტურის ისტორიკოსებისათვის და კულტურის მკვლევართათვის. კვლევა ხელს შეუწყობს დისკუსიებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მოდერნულობის აღმოცენება არადასავლურ ქვეყნებში, ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების გავლენა ქალაქმშენებლობაზე, კულტურული ურთიერთგაცვლის გზები და სხვა.

2.4 ცენტრის თანამშრომლების მონაწილეობა, სხვა ინსტიტუციების პროექტებში

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	თეირანის ქრისტიანულ სასაფლაოთა კომპლექსის ქართული სექტორი 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია) HE17 28	2017-2019	გიორგი სანიკიძე (ხელმძღვანელი) ნიკოლოზ ნახუცრიშვილი (ძირითადი პერსონალი) ანტონ ვაჭარაძე (ძირითადი პერსონალი) დავით ჩიხლაძე (ძირითადი პერსონალი)

ქ. თეირანის დუღაბის რუსული მართლმადიდებლური სასაფლაოს დოკუმენტაციით, აქ ქართველთა 34 საფლავია. სასაფლაოს ტერიტორიაზე ქართველთა საფლავები საერთო სისტემის გარეშე არიან განაწილებული. საფლავების უმეტესობაზე ერთადერთ დეკორატიულ გაფორმებას საფლავის ჯვრები წარმოადგენენ. საფლავების საერთო რიცხვიდან მხოლოდ 6 საფლავია მხატვრულად მეტ-ნაკლებად გაფორმებული. მათგან ერთი საფლავი კლასიკურ, ორი ნეო-ბაროკულ და ორიც კონკრეტული სტილის გარეშე, ფერით გამორჩეული მასალითა და გეომეტრიულად გათამაშებული მოყვანილობითაა გაფორმებული. ჩამოთვლილ საფლავთა დეკორატიულ გადაწყვეტაში ქართული ხელოვნების მკაფიო ელემენტები არაა წარმოდგენილი, თუმცა ერთ-ერთ ნეო-ბაროკალურად გაფორმებული საფლავის თავქვის რევერსზე ქართული ეკლესიების საფასადო გაფორმების ელემენტების ალუზიები შეგვიძლია ამოვიკითხოთ.

მხატვრულ – ისტორიული თალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი საფლავი აკაკი ხოშტარისა მელულის, მინადორა ხოშტარისა განსასვენებელია. ცნობის მიხედვით ა. ხოშტარიამ შეიძინა მიწის ნაკვეთი და მასზე აკლდამის კომპლექსი ააგო. ის შედგებოდა საკუთრივ აკლდამის, აწ გამქრალი შადრევნისა და ქვის განიერი სავარძლისგან. აკლდამა ორი ნაწილისგან შედგება – მიწის ზედა ნაგებობისგან, რომელიც ჯვარ-გუმბათური ეკლესიის მოდელს წარმოადგენს, და მიწისქვეშა, ორკამერიანი კრიპტისგან. ეკლესიის მოდელის გაფორმება ერთის მხრივ ამჟღავნებს მის კავშირს ქართულ არქიტექტურულ ტრადიციასთან,

მეორეს მხრივ კი გამოკვეთს რიგ თავისებურებებს, რომლებიც აღნიშნული ტრადიციისთვის უცხო იქნებოდა. ეს წინააღმდეგობა მიგვითითებს ოსტატზე, რომელიც იცნობს ქართულ არქიტექტურას, თუმცა კი მისგან დისტანცირებულია. ირიბად ამას ადასტურებს კომპლექსის მეორე ელემენტი, სავარძელი, რომელიც ევროპული სტილების ეკლექტური შერწყმითაა გაფორმებული. სამწუხაროდ კომპლექსის ავტორის ვინაობა უცნობია, თუმცა არსებობს ქართველი ირანისტის, ჯემშიდ გიუნაშვილის მოსაზრება, რომ აკლდამის ავტორი ირანში მოღვაწე არქიტექტორი ნიკოლოზ მარკოვია. მის ამ მოსაზრებას ის გარემოებაც ამყარებს, რომ ნ. მარკოვი თბილისში დაიბადა და გაატარა მოზარდობა, ხოლო მისი საფლავი აკლდამიდან რამდენიმე ნაბიჯის დაცილებით მდებარეობს.

დულაბის სასაფლაოზე ქართველთა მხატვრულად გაფორმებულ საფლავებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მათ გაფორმებაში არა რაიმე სტილური ერთობა და ისინი ორი გამონაკლისის გარდა ევროპული სტილების ნაირსახეობებს წარმოადგენენ. ქართული მხატვრული მოტივების სიმცირის ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ირანის ტერიტორიაზე ერთადერთი მკაფიოდ გამოხატული ეთნიკურ-რელიგიური იდენტობის ნიშნების მქონე ნაგებობა – მინადორა ხოშტარიას აკლდამის კომპლექსის ეკლესიის მოდელი. მით უფრო სამწუხაროა, რომ 2002–3 წლების უხარისხო რესტავრაციის შედეგად ძველი უკიდურესდ მძიმე მდგომარეობაშია.

2	ინტეგრაცია და იდენტობა 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია) 6.5. სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებანი FR 217890	2016-2019	მზია ჩიხრძე (ხელმძღვანელი) ლანა ქარაია (კოორდინატორი, ახალგაზრდა მეცნიერი) ქეთევან შავგულიძე (ძირითადი პერსონალი) მარიტა სახლთხუციშვილი (ახალგაზრდა მეცნიერი) მარიამ შერგელაშვილი (ახალგაზრდა მეცნიერი)
---	---	-----------	---

სამწლიანი კვლევითი პროექტი (2016-2019) “ინტეგრაცია და იდენტობა”, რომელიც შეეხებოდა უახლესი ქართული ხელოვნების ისტორიის ისეთ მოვლენას, რაც დღესაც სამეცნიერო კვლევების მიღმა რჩება, ესაა ქართველი მხატვრებისა და არტისტების შემოქმედება უცხოეთში. მოვლენა, რომელიც მრავალწლიად განაპირობებს საქართველოს კულტურულ ინტეგრაციას დასავლეთთან და იმავდროულად, ამდიდრებს ლოკალურ სახელოვნებო სივრცეს განსხვავებული, დასავლეთიდან შემოსული მხატვრული ღირებულებებით.

პროექტით დაგეგმილი იყო უცხოეთში მიგრირებულ ქართველ მხატვრთა და მათი ნამუშევრების მონაცემთა ბაზის შექმნა-ინტერნეტში განთავსება; შერჩეული მხატვრებისა და არტისტების შემოქმედების მხატვრული და ფასეულობით-მსოფმხედველობრივი შეფასება; იმის დადგენა, თუ რამდენად ორგანულად ერწყმინა საქართველოდან იმიგრირებული ხელოვანნი დასავლურ გარემოს, როგორია მათი ცნობიერი დამოკიდებულება ქართული მხატვრული ტრადიციის მიმართ; მეორე მხრივ კი, რეალურად, რამდენად სპეციფიკურად – “ქართულად” წარმოჩინდება მათი ხელოვნება ასეთი კულტურული ინტეგრაციის პირობებში. საბოლოოდ უნდა დადგინდეს ემიგრანტ მხატვართა როლი ქართული თანამედროვე ხელოვნების ისტორიაში, გამოიკვეთოს რაოდენ მნიშვნელოვარ როლს თამაშობენ ეს ხელოვანები საქართველოს დასავლეთთან კულტურული ინტეგრაციის მიმართებით.

პროექტის შედეგები მონაცემთა ბაზისა და სტატიების სახით განთავსდა ვებ-გვერდზე და მისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

პროექტის პირველ ეტაპზე მივლინებით ვიმყოფებოდით გერმანია-ავსტრიასა და შვეიცარიაში, სადაც შევხვდით იქ მოღვაწე ქართველ ხელოვანებს, ავიღეთ ინტერვიუები, გავეცანით მათ მოღვაწეობას და

გადავიღეთ ნამუშევრები.

პროექტის შემდეგი ეტაპი ითვლისწინებდა ამერიკაში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტ ხელოვანებთან შეხვედრებს, მათთან ინტერვიუებს, მათი ცხოვრება-მოღვაწეობისა და შემოქმედების დეტალების გაცნობას. აღნიშნული სამუშაოები ჩავატრეთ 2019 წლის იანვარში, შედეგად დაიწერა რამდენიმე ნაშრომი და სტატია.

შემდეგ გვქონდა მივლინება საფრანგეთში, ჰოლანდიაში, ბელგიაში, სადაც ასევე გავეცანით იქ მცხოვრები და მოღვაწე ქართველი არტისტების შემოქმედებას. მათთან ჩატარებული ინტერვიუებისა და საუბრების შედეგად მივიღეთ სრული ინფორმაცია ჩვენი საკვლევი თემის მთავარ კითხვებზე - რატომ, რა პირობებში მოხდა მათი ემიგრირება უცხოეთში, როგორ მოხდა მათი დამკვიდრება ახალ ადგილზე, როგორ ხდება მათი ინტეგრირება დასავლურ გარემოში, რა კავშირებს ამყარებენ ისინი ადგილობრივ მხატვრულ ძალებთან და რა კავშირებს ინარჩუნებენ ქართულ სახელოვნებო გარემოსთან, რამდენად თვლიან საკუთარ შემოქმედებას ქართული სახელოვნებო სივრცის ნაწილად და როგორ აფსებენ დღეს მომდინარე მხატვრულ პროცესებსა და საქართველოს მსოფლიო სახელოვნებო სივრცესთან ინტეგრირების საკითხებს.

2019 წელს სამეცნიერო ჯგუფმა ჩაატარა კვლევა საფრანგეთსა და ბელგიაში მცხოვრებ ქართველ ხელოვანთა შემოქმედების, დასავლურ კულტურასთან ინტეგრაციის და ქართულ მხატვრულ რეალობასთან კავშირზე და ჯგუფის ყველა წევრმა მიიღო მონაწილეობა სამეცნიერო ესეების დაწერაში. მომზადებული მთელი მასალა დახარისხდა, გაანალიზდა, მომზადდა ფუნდამენტური ნაშრომისთვის. გამზადდა სამეცნიერო ნაშრომი “ინტეგრაცია და იდენტობა”, რომელიც წარმოადგენს სამეცნიერო ნაშრომების კრებულს. ფუნდამენტური კვლევის შედეგად დაწერილი ნაშრომები გაერთიანდა სამეცნიერო მონოგრაფიაში. მონოგრაფია განთავსდა ინტერნეტში. მ. შერგელაშვილმა და მ. ჩიხრაძემ წაიკითხეს მოხსენება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე “ქართული კულტურა და XX საუკუნე”, რომელიც გაიმართა 2019 წლის 19-20 სექტემბერს.

ფუნდამენტური კვლევის შედეგად შეიქმნა საქართველოდან უცხოეთში მიგრირებული ხელოვანების მონაცემთა ბაზა, სადაც შევიდა როგორც პროექტის მიმდინარეობისას დაწერილი სამეცნიერო ნაშრომები, ისე თითოეული არტისტის შესახებ ბიოგრაფიული და ვიზუალური ინფორმაცია. მონაცემთა ბაზა ორენოვანია (ქართულ-ინგლისური) და შესაბამისად, საშუალებას აძლევს ყველა დაინტერესებულ ადამიანს, გაეცნოს ვებ გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას. ვებ გვერდი განახლებადია და მუდმივად მოხდება მისი ახალი ინფორმაციით შევსება, რაც საშუალებას მისცემს დაინტერესებულ საზოგადოებას მუდმივად ადევნოს თვალყური უცხოეთში მოღვაწე ქართველ ხელოვნთა მოღვაწეობას და მათ შემოქმედებით განვითარებას.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. ცენტრის პროექტები

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	„მარიამ დედოფალი და სამეფო არქიტექტურული პატრონაჟი გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში“, 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები	2019-2020	ნათია ნაცვლიშვილი (მკვლევარი)

	6.1. ისტორია და არქეოლოგია 6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია), Friends of Academic Research in Georgia (FaRiG), გაერთიანებული სამეფო		
	კვლევის საგანია ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ქალი ქტიტორის - მარიამ დადიანის (1599/1609-1682) არქიტექტურული პატრონაჟი გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში. 1638 წელს მარიამ დადიანი სპარსეთის ვასალ როსტომ მეფეზე (მეფობდა 1633-1658 წლებში) დაქორწინდა და ქართლის დედოფალი გახდა. მან მუსლიმ მეფესთან ქორწინების შემდეგ არამართო ქრისტიანობა შეინარჩუნა, არამედ შეძლო მეფესთან გათანაბრებული უფლებებიც ჰქონოდა. წერილობითი წყაროებისა და სამშენებლო წარწერების მიხედვით მარიამმა ქართლის სამეფოში არაერთი ეკლესია ააშენა და აღადგინა (ბოლნისი, რუისი, ურბნისი, სვეტიცხოველი, საქაშეთი, არადეთი და სხვა). როსტომ მეფის გარდაცვალების შემდეგ მარიამი ცოლად გაჰყვა ვახტანგ V-ს (მეფობდა 1658-1675 წლებში), ქართლის კიდევ ერთ მუსლიმ მეფეს. ამ ქორწინების საშუალებით მან შეინარჩუნა დედოფლის სტატუსი და განაგრძო სააღმშენებლო საქმიანობა. ისლამური სამყაროსგან განსხვავებით, სადაც „ქალები უმეტესწილად აშენებენ როგორც ქვრივები და დედები და არა როგორც ცოლები“ (P. Blessing), მარიამი ორივე მუსლიმი ქმრის სიცოცხლეშივე აქტიური ქტიტორი იყო, რაც განაპირობა როგორც მისმა ძლიერმა პიროვნულმა თვისებებმა, ისე შუა საუკუნეების საქართველოს კულტურულმა ტრადიციამ და პოლიტიკურმა სიტუაციამ. კვლევის მიზანია ქართლის დედოფლის - მარიამ დადიანის არქიტექტურული პატრონაჟის შესწავლა და მისი, როგორც, ქალის როლის გამორკვევა მის მიერ დაფინანსებული შენობების არქიტექტურული სახის შექმნაში.		
2	მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრის კონსერვაცია. პირველი ეტაპი: კვლევა და საკონსერვაციო პროექტის მომზადება დამფინანსებელი: აშშ-ს საელჩო საქართველოში	2019-2020	დავით ხოშტარია (პროექტის დირექტორი) მკვლევარები: მარიამ დიდებულისძე ნატალია ჩიტიშვილი ნათია ნაცვლიშვილი გიორგი პაპაშვილი ციცინო ჩაჩხუნაშვილი ნანა კუპრაშვილი საერთაშორისო კონსულტანტები: სტეფანო ვოლტა (იტალია), მერი ქეი ჯუდი (ამერიკის შეერთებული შტატები)
პროექტი ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის კულტურული მემკვიდრეობის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, მსხვილი გრანტის ფარგლებში. მისი მიზანია მცხეთის ჯვრის ტაძრის			



დაზიანებული საფასადო წყობის რესტავრაცია და კონსერვაცია. 14 საუკუნის წინ აგებული ტაძრის საფასადო წყობის ქვები სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებით ძლიერ დაზიანებულია და სპეციალისტების სასწრაფო შველას საჭიროებს. პროექტის განხორციელების შემდეგ ტაძრის საფასადო ქვის წყობის დაცულობა და სტაბილურობა დიდი ხნით იქნება უზრუნველყოფილი. ამჟამად ხორციელდება პროექტის პირველი ეტაპი, რომელიც ითვალისწინებს დეტალურ ინტერდისციპლინარულ კვლევასა და კონსერვაციის პროექტის მომზადებას. ამ ეტაპის პირველ თვეებში (ოქტომბერი-დეკემბერი) მზადდება ისტორიულ-არქიტექტურული და გეოლოგიური კვლევები, ტარდება მიკრობიოლოგიური ანალიზი. მომზადებული მასალა შემდგომში საფუძვლად დაედება ძეგლის ფიზიკურ სამუშაოებს. პროექტს ახორციელებს გ. ჩუბინაშვილის ეროვნული ცენტრის ექსპერტების ჯგუფი მოწვეულ ადგილობრივ და უცხოელ სპეციალისტებთან ერთად.

3.2 ცენტრის თანამშრომლების მონაწილეობა, სხვა ინსტიტუციების პროექტებში

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	თბილისი II - თრელიგორების ნასახლარი, თრელის და ნაქულბაქევის სამაროვნები გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში“ საპუბლიკაციოთ მომზადება და ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა. შელბი უაითისა და ლეონ ლევის პროგრამა არქეოლოგიური პუბლიკაციებისთვის (აშშ)	2019-2020	პიტერ ლიმინგი, მიხეილ აბრამიშვილი (რედაქტორები) ნინო ახვლედიანი, ირინე სულთანაშვილი, სალომე მარკოზია (პროექტის ასისტენტები), ნინო გომელაური (პუბლიკაციის თანაავტორი)



1. შეირჩა საკვლევი მასალა თრელისა და ნაქულბაქევის სამაროვნებიდან - თიხისა და ლითონის არტეფაქტები გრაფიკული გამოსახულებებით, ბრინჯაოს მცირე პლასტიკა.
2. მოხდა ამ არტეფაქტთა იდენტიფიცირება მუზეუმში დაცულ ტექსტურ დოკუმენტაციასთან, საველე ჩანაწერებთან, ფოტოებთან და გრაფიკულ ჩანახატებთან.
3. შერჩეული მასალა შეყვანილ იქნა თბილისის არქეოლოგიური მემკვიდრეობის მონაცემთა ელექტრონული ბაზაში.
4. მოძიებულ იქნა საკვლევ არტეფაქტთა თანადროული პარალელური მასალა სამხრეთ კავკასიისა და წინა აზიის მასშტაბით. გამოიკვეთა მათი გავრცელების არეალი და კულტურული კუთვნილება.

3.3. ცენტრის პროექტები

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	ბერნის შუა საუკუნეების ფორუმი შვეიცარიის უნივერსიტეტი, მ. ჯარის ფონდი 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები	2019 წლის 17- 22 სექტემბერი	ეკატერინე გედევანიშვილი, ირინე გივიაშვილი, მანუელა სტუდერი, ტომას კაფენბერგერი, ნატალია ჩიტიშვილი, ირმა მამასახლისი, თამარ დადიანი
2019 წელს რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული საზაფხულო სკოლის მონაწილეებმა მიიღეს მონაწილეობა ბერნის შუა საუკუნეების ფორუმში, სადაც ქართულ ხელოვნებას ცალკე სხდომა დაეთმო. საქართველოს წარმომადგენელმა ხუთი მეცნიერი, რომლებიც 2018 წლის ნოემბერში გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე იყვნენ შერჩეულნი (სესიის ორგანიზატორები : მანუელა სტუდერი და ტომას კაფენბერგერი) . იგეგმება აღნიშნული შრომების დაბეჭდვა.			

3.4. ცენტრის თანამშრომლების მონაწილეობა, სხვა ინსტიტუციების პროექტებში

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	Reassembling the City: Tbilisi from Safavid Persia to Postsocialism ქალაქის ხელახლა აწყობა: თბილისი სასანიდური სპარსეთიდან პოსტსოციალიზმამდე. 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 775035 Social Sciences and Humanities Research Council of Canada კანადის სოცილურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კვლევის საბჭო, კანადა	2014-2019	პოლ მენინგი (ხელმძღვანელი) მზია ჩიხრაძე, თეა ტაბატაძე, ნანა ყიფიანი (სახელოვნებათმცოდნეო ანალიზი) თამთა ხალვაში (სოციოლოგიური კვლევა) ჰარშა რამი (ლიტერატურული კვლევა) ზაზა შათირიშვილი (ფილოსოფიურ-ლიტერატურული ანალიზი).

თბილისის კულტუროლოგიური, ანტროპოლოგიური, სოციოლოგიური და მხატვრული განვითარების კვლევა-ინტერდისციპლინური ანალიზი. პროექტის ფარგლებში უნდა მოხდეს თბილისური ავანგარდისა და ქართული მოდერნიზმის შესწავლა და ამ კვლევის საფუძველზე უნდა გაკეთდეს ვებ-გვერდი, უკვე არსებული საიტის “Modernism.ge“ უფრო დახვეწილი და გამდიდრებული ვერსია, რომელიც ბმულით დაუკავშირდება პროექტის ვებ გვერდს.

მაქსიმალურად სრულყოფილი ვებგვერდი ხელს უწყობს ცოდნის გავრცელებას ქართული ხელოვნების ამ უმნიშვნელოვანეს ფენომენზე, ქართული მოდერნიზმისა და თბილისური ავანგარდის პოპულარიზაციას. ეს კი ტექნიკურად გამართული, ადვილად ოპერირებადი, ინფორმაციულად მდიდარი და მაქსიმალურად სრულყოფილი ვებგვერდის მეშვეობით ხდება.

გამომდინარე პროექტის მიზნებიდან და ამოცანებიდან, მოხდა თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორიაში უმნიშვნელოვანესი, უნიკალური ეტაპის, 1910-1930-იანი წლების ქართულ მოდერნიზმზე/ავანგარდზე შექმნილი და 2011 წლიდან მოქმედი ვებ-გვერდის - <http://www.modernism.ge> სრულყოფა, მონაცემთა ბაზის განახლება-შეცვლა; მასში ახალი ვიზუალური და ბეჭდვითი დოკუმენტაციის განთავსება და ა.შ., ვებგვერდზე განთავსდა 1910-1920-იან წლების ქართული მოდერნიზმის/ავანგარდის შესახებ დამატებითი ინფორმაცია - ვიზუალური, ტექსტუალური მასალის სახით; მაქსიმალურად გაფართოვდა ვებგვერდზე უკვე არსებული ინფორმაცია ვიზუალური ხელოვნების, კინოსა და თეატრის ისტორიის, არტისტული კაფეების ცხოვრების, საქართველოში ზემოთ დასახელებული ამოცანებიდან გამომდინარე სამუშაო ჯგუფის წევრებმა ვიმუშავეთ საქართველოს არქივებსა და ბიბლიოთეკებში, კერძოდ, ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი არქივში, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ხელოვნების სასახლის - თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ბიბლიოთეკასა და არქივში, საქართველოს ეროვნულ არქივში, შ.ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის (საქართველოს ეროვნული მუზეუმი) არქივი. აღნიშნულ ორგანიზაციებში მოვიძიეთ, გამოვკვლიეთ, დავამუშავეთ და დავახარისხეთ პრესა, დოკუმენტალური, ფოტო-ვიზუალური მასალა. მათგან ავარჩიეთ ის მნიშვნელოვანი მასალა, რომელიც საინტერესო და საჭირო იყო ჩვენი ვებ გვერდისთვის, რათა გაფართოვდეს საინფორმაციო მონაცემთა ბაზა თემატურად რამდენიმე მიმართულებით (გამოფენები, დოკუმენტაცია, კინომასალა...). ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით შეიკო ინფორმაციები სიგიზმუნდ ვალიშვესკის, მიხეილ ჭიაურელის, ემა ლალაევას, ირინა შტენბერგის, კლარა კვესის შესახებ.

პროექტით ასევე გათვალისწინებული იყო მივლინება უცხოეთში, რათა გამოგვევლინა იქ დაცული მასალა ქართული მოდერნიზმისა და ავანგარდის შესახებ.

გამომდინარე იქიდან, რომ ქართველი მოდერნისტების დიდი უმრავლესობა 1910-1920-იან წლებში გაემგზავრა ევროპაში, მათ შორის, პარიზში და მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ძიებები სწორედ იქ წარმართეს, ინტეგრირდნენ ადგილობრივ სახელოვნებო სივრცესთან და შექმნეს ძალიან სინტერესო ხელოვნება, გაჯერებული როგორც ქართული ეროვნული ნიშნებით, ისე დასავლური მხატვრული ნოვაციებით. აღნიშნული ხელოვნების ნაწილი საქართველოში დაბრუნდა 1920-იანი წლების ბოლოს, ნაწილი კი სამუდამოდ დარჩა უცხოეთში. სწორედ მათზე და მათ შემოქმედებაზე არსებული მასლის მოსაძიებლად ამა წლის 05-19 ნოემბერს გავემგზავრეთ პარიზში, სადაც ვიმუშავეთ ადგილობრივ მუზეუმებში, არქივებსა და კერძო კოლექციებში. მოვიძიეთ ვიზუალურ-დოკუმენტური მასალა, გადავიღეთ ვებ გვერდისთვის საჭირო დოკუმენტაცია და დამუშავება, გადარჩევის შემდეგ განვათავსეთ ვებზე <http://www.modernism.ge>

კერძოდ, პარიზში ვიმუშავეთ შემდეგ ინსტიტუტებში:

პომპიდუს ცენტრის რუსული ხელოვნების განყოფილება, ფოტო-დოკუმენტაციის ფონდი; საფრანგეთის მიტერანის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკის რიშელიეს ბიბლიოთეკის იშვიათი წიგნებისა და ხელნაწერების განყოფილება (ო. შუმანსკაიას, ვ. ჟედრინსკის, სოფია დელონეს ფონდები); სორბონის უნივერსიტეტის ჟაკ დუსეის ლიტერატურის ბიბლიოთეკის ხელნაწერების არქივი; ნიკოლაი ჩერეპნინის კერძო არქივი; კორლიაკოვის, თურმანიძე-ბოჭორიშვილის, ფადავას კერძო არქივები. ასევე დავუკავშირდით ჟაკ დალკროზის რიტმული ცეკვის ინსტიტუტის არქივს ჟენევაში. ზემოთ დასახელებული

ინსტიტუტებში და კერძო არქივებში მოვიძიეთ ახალი, ჯერაც უცნობი მასალა, მათ შორის, ქართველი ავანგარდისტი პოეტის ილია ზდანევიჩის მიმოწერა დასავლელ ავანგარდისტ შემოქმედებთან, მაგ., ტრისტან ცარასთან, ფრანსის პიკაბიასთან, ჟან კოქტოსთან და სხვ., კერძო კოლექციებში გადავიღეთ დავით კაკაბაძის, ზიგა ვალიშევსკის, ფელიქს ვარლას და სხვათა ნამუშევრები, ფაღაველის კერძო კოლექციიდან შევიძინეთ ილია ზდანევიჩის საჯარო გამოსვლების, მეჯლისების, ლექციების აფიშები და პროგრამების ფოტოასლები, ასევე თურმანიძე-ბოჭორიშვილის კერძო კოლექციიდან შევიძინეთ უიშვიათესი ჟურნალების ასლები, ესენია: “წინსვლის ემბლემა” - მოწაფეთა სალიტერატურო ჟურნალი 1918 N2, რომლის გამოცემაშიც მონაწილეობდნენ პირველი გიმნაზიის მოწაფეები: სიმონ ჩიქოვანი, ბესო ჟღენტი, აკაკი ბელიაშვილი და სხვები. ასევე შევიძინეთ „ოქროს ვერძი“ - ყოველკვირეული ქართული ლიტერატურული ჟურნალი. გამოდიოდა 1913 წელს ქუთაისში (სულ 5 ნომერი, 19 მაისი — 30 ივნისი). მისი რედაქტორ-გამომცემელი იყო ბესარიონ ჯაიანი, ფაქტობრივი რედაქტორი - პაოლო იაშვილი, მონაწილეობდნენ გალაკტიონ ტაბიძე, ტიცინი ტაბიძე, სერგო კლდიაშვილი, ლეო ქიაჩელი, პაოლო იაშვილი, გრიგოლ რობაქიძე და სხვები. ეს არის ახალი, ნოვატორული მიმართულების ჟურნალი. „ჟურნალი შეიძლება ჩაითვალოს სიმბოლიზმისკენ მიდრეკილ გამოცემად“. „ოქროს ვერძი“ “ცისფერყანწელების” პერიოდულ ორგანოთა წინამორბედად მიიჩნევა. მოვიძიეთ მასალა ალექსანდრე ვონ ზალცმანის შესახებ: მის მიერ გაფორმებული თეატრალური წარმოდგენების ფოტოები (ჰელერაუს რითმული ცეკვის სკოლის დადგმების), თავად მხატვრის ფოტოები, მისი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების ფოტოასლები. მოვნახეთ 1920-1930-იანი წლების კინო აფიშები და გადავიღეთ მათი ასლები. ილია ზდანევიჩის კლუბის პრეზიდენტმა ფრანსუა მერემ მოგვანოდა დოკუმენტური და ფოტო მასალა, რომელიც მოიცავს ილია ზდანევიჩის ფოტოებს, მის მიერ შესრულებული ქსოვილების ჩანახატებს, ილიაზდის მიერ ტაო-კლარჯეთში 1917 წლის ექსპედიციაში გადაღებულ ფოტოებს, ძეგლების გეგმების ნახაზებს, ჩანახატებს და ჩანაწერებს, ილიაზდის წიგნის “ბუსტროფედონი სარკეში” მაკეტის ფოტოასლს.


საქართველოში დაბრუნების შემდეგ ზემოთ ჩამოთვლილი მასალა კიდევ ერთხელ დამუშავდა, გადაირჩა, დახარისხდა და აიტვირთა ვებ გვერდზე (<http://www.modernism.ge>).

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

(ჩუბინაშვილის ცენტრის გამოცემები)

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	დავით ხოშტარია გიორგი ჭანიშვილი მანონ ლილუაშვილი ნათია ნაცვლიშვილი	საქართველოს ქალაქების ურბანული განვითარება 1801- 1918 წლებში, 978-9941-8-1918-6	თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი	324



ოთხი ავტორის მიერ მომზადებული მონოგრაფია წარმოადგენს საქართველოს ქალაქების დაგეგმვის, არქიტექტურული პროექტირებისა და მშენებლობის ისტორიის ფართო კუთხით დანახვის მცდელობას. ბოლო დრომდე ურბანული ისტორია არსებითად გაიგივებული იყო ქალაქმშენებლობის ისტორიასთან. შესაბამისად, სამეცნიერო კვლევებშიც ურბანული განვითარების შესწავლა დიდწილად ქალაქების გენერალური გეგმების ტექნიკური ანალიზით შემოიფარგლებოდა. 2000-იანი წლების დასავლელ ავტორთა ნაშრომებმა გააფართოვა ურბანული დაგეგმარების ისტორიის კვლევის ფარგლები და ის უფრო ფართო კონტექსტში წარმოაჩინა. თანამედროვე ურბანული კვლევების მეთოდოლოგია ეფუძნება ქალაქის, როგორც სივრცეში ურთიერთმოქმედი სხვადასხვა პროცესების რთული შედეგის გაგებას, ხოლო დაგეგმარება და მშენებლობა განიხილება როგორც პოლიტიკით, ეკონომიკით,

ტექნოლოგიებით, კულტურითა და იდეოლოგიით განპირობებული საქმიანობა. პროექტის თემა აქტუალურია საქართველოში მიმდინარე კულტურულ და ურბანულ პროცესებთან მიმართებითაც. უკანასკნელ წლებში შესამჩნევად გაიზარდა მკვლევართა და ფართო საზოგადოების ინტერესი XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის ურბანული დაგეგმარებისა და არქიტექტურისადმი, რაც გამოჩნდა როგორც სამეცნიერო კვლევებში, ისე თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ახალციხისა და აბასთუმნის ისტორიულ უბნებში განხორციელებული სარესტავრაციო სამუშაოებისა და მიმდინარე ფართომასშტაბიანი პროექტების ირგვლივ გაშლილ მწვავე დისკუსიებში.

წიგნში შევიდა ნარკვევები საქართველოს ხუთი ქალაქის - თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთისა და 26 ყწს7 ყყდა ახალციხის და ორი კურორტის - ბორჯომისა და აბასთუმნის შესახებ. ქართულად სრული სახით ყველა ეს გამოკვლევა პირველად ქვეყნდება. კვლევები აჩვენებს ურბანული განვითარების გზებსა და თავისებურებებს XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში.

წიგნი მნიშვნელოვანი და სასარგებლოა სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისათვის - ისტორიკოსებისთვის, არქიტექტორებისთვის, ურბანისტებისთვის, არქიტექტურის ისტორიკოსებისათვის და კულტურის მკვლევართათვის. კვლევა ხელს შეუწყობს დისკუსიებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მოდერნულობის აღმოცენება არადასავლურ ქვეყნებში, ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების გავლენა ქალაქმშენებლობაზე, კულტურული ურთიერთგაცვლის გზები და სხვა. პროექტის ძირითადი დასკვნები გამოდგება საუნივერსიტეტო კურსებში ან ფართო მკითხველისათვის გამიზნულ წიგნებში. შესაძლებელია კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენება ქალაქების მენეჯმენტში, ასევე ურბანისტებისა და არქიტექტორების მიერ.

2	მარიამ გაბაშვილი	ლითონმქანდაკელობის ისტორიისათვის წინაქრისტიანულ საქართველოში (ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული საგანძურის კვალდაკვალ). To the History of Metalworking in Pre-Christian Georgia (Following the Treasure Preserved in Oni Local Lore Museum) ISBN 978-9941-9675-1-1	გ. ჩუბინაშვილის ცენტრი	160 გვ.
---	---------------------	--	---------------------------	---------

აღნიშნული წიგნი ორენოვანია - ქართულ-ინგლისური. მასში მიმოხილულია ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული უნიკალური მხატვრული ლითონის არტეფაქტები, რომელიც წინაქრისტიანული ხანის არქეოლოგიურ ძეგლებს წარმოადგენს. წიგნში წარმოდგენილი მასალა ქვეყნდება პირველად. წიგნი შედგება წინათქმის, შესავლისა და შემდეგი თავებისგან: ა) ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსების ისტორია და არქეოლოგიური კოლექციები; ბ) სამთამადნო საქმიანობა და მელითონეობა რაჭაში; გ) ლითონმქანდაკელობის ნიმუშების კლასიფიკაცია, აღწერილობა და მხატვრულ-

იკონოგრაფიული დახასიათება; დ) ბრინჯაოს სწორკუთხა ჭვირული ბალთები; ე) ჭვირული ბალთები ჯიხვის ფიგურული გამოსახულებით; ვ) საკიდები; ზ) ფიბულები და საკინძები; თ) ბრინჯაოს სამაჯურები; ი) სასაფეთქლე-საყურეები; კ) ბრინჯაოს კოლხური ცულები; ლ) ბრინჯაოს მილხეიები და მძივის ბურთულა; მ) ზარები; ნ) ბრინჯაოს კელტი, ლაგმები და პინცეტი; ო) იმპორტირებული არტეფაქტები; პ) ბიბლიოგრაფია; ჟ) შემოკლებანი; რ) ილუსტრაციები.

ლითონმქანდაკელობის ნიმუშები სხვადასხვა პერიოდის მოიცავს, მათ შორის ძვ.წ. II ათასწლეულის ნივთებს ვხვდებით, ასევე გვიანბრინჯაო-ადრერკნის ხანის ნიმუშები და გვიანანტიკური ხანის არტეფაქტები. ისინი ცნობილია როგორც სამარხეული ინვენტარიდან, ასევე შემთხვევითი აღმოჩენებით. ნივთები აღიწერა, აიზომა და დაფიქსირდა მათი მუზეუმში შემოსვლის წყარო. მოხერხდა უმრავლესი მათგანის მიახლოებითი ქრონოლოგიის დადგენა მოხმობილი მდიდარი პარალელური მასალის მიხედვით. გარდა იმისა, რომ ეს არტეფაქტები არქეოლოგიური მონაპოვარია, მოხდა მათი სახელოვნებათმცოდნეო კუთხით გაშუქება და ამ მიმართულებით მათი ადგილის მიჩენა საქართველოს ლითონმქანდაკელობის ძველ ისტორიაში. ილუსტრაციები წიგნს ერთვის ცალკე ტაბულების სახით, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს, რომ ისინი უფრო მკაფიოდ და ფართო მასშტაბით დაათვალიეროს. წიგნის ორენოვანი ტექსტი ასევე საშუალებას მისცემს უცხოელ მკვლევარებსა თუ დაინტერესებულ პირებს გაეცნონ ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულ უნიკალურ მასალას, რომელიც ლითონის მხატვრული დამუშავების ბრწყინვალე საგანძურია.

4.2 ჩუბინაშვილის ცენტრის თანამშრომლების ავტორობით გამოცემული წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მარიამ გაჩეჩილაძე, სოფიო ჩიტორელიძე	ოთარ ჯიშკარიანი ISBN978-9941-25-713-1	თბილისი	ტექსტი 25 გვერდი; 252 ილუსტრაცია.



XX ს-ის 50-იანი წლების თბილისმა უაღრესად საინტერესო კულტურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ამ პერიოდის თბილისის არქიტექტურა, სახვითი თუ გამოყენებითი ხელოვნება ერთგვარ პიკს აღწევს თავისი განვითარების კუთხით. 1950-იანელთა თაობის ქართველ ხელოვანთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლია საქართველოს დამსახურებული მხატვრი **ოთარ ჯიშკარიანი**. დაზგური და წიგნის გრაფიკის, პლაკატისა და შრიფტის ხელოვნების განვითარებაში შეტანილი განუმეორებელი წვლილის გარდა, მნიშვნელოვანია მისი აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობაც. მას ეკუთვნის მხატვრის კვირეულთან დაკავშირებით პირველი გაზეთის „მხატვარი“-ს (1971წ.) გამოცემის ინიციატივა, ასევე გამომცემლობა „მერანი“-ს (დღევანდელი ამავე სახელწოდების მქონე სავაჭრო ცენტრი რუსთაველზე) საგამოფენო დარბაზის გახსნა.

წლების განმავლობაში იყო გამომცემლობების, „ნაკადული“, „მერანი“, „ხელოვნება“ მთავარი მხატვარი. არის მრავალი შრიფტის ავტორი, მათ შორის ლიტერატურული ჟურნალების: „ცისკარი“, „ლიახვი“, „კრიტიკა“ გარეკანის შრიფტების ავტორი.

1963-80 წლებში მიღებული აქვს მრავალი საკავშირო ჯილდო და დიპლომი.

წიგნში განხილულია ოთარ ჯიშკარიანის ცხოვრება და შემოქმედებითი მოღვაწეობა.

უხვად ილუსტრირებულ წიგნში მაქსიმალურადაა თავმოყრილი მხატვრის დაზგური გრაფიკისა და წიგნის მხატვრობის ამსახველი მასალები; მხატვრის პირად არქივზე დაყრდნობით პირველად გამოქვეყნდა 50-60-იანი წლების თბილისისა და იმ პერიოდში კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების ფოტოები და სხვადასხვა ტიპის დოკუმენტური მასალები; გამოცემის ტექსტუალური მასალა ორენოვანია (ქართული, ინგლისური).

2	მზია ჩიხრაძე, ქეთევან შავგულიძე, ლანა ქარაია, მარიამ შერგელაშვილი, მარიტა სახლთხუციშვილი	ინტეგრაცია და იდენტობა 978-9941=13-887-4 (PDF)	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა, 2019	127
---	---	---	--	-----

სამეცნიერო ნაშრომების კრებული-მონოგრაფია “ინტეგრაცია და იდენტობა” დაწერილია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული ფუნდამენტური კვლევების პროექტის - “ინტეგრაცია და იდენტობა” (გრანტი N217890) ფარგლებში. ნაშრომის ავტორები არიან თსუ-სთან ასოცირებული მეცნიერები: მზია ჩიხრაძე - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ქეთევან შავგულიძე - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, მარიამ შერგელაშვილი - ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი, მარიტა სახლთხუციშვილი - ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი, ლანა ქარაია - ხელოვნების ისტორიის დოქტორანტი.

სამეცნიერო ნაშრომში გამოყენებულია სახელოვნებათმცოდნეო კვლევის მეთოდი, ინტერვიუ-სოციოლოგიური გამოკითხვა, საარქივო კვლევა და მხატვრული ნაწარმოებების მეცნიერული ანალიზი, შედეგად, ნაშრომი იძლევა მოცემული მხატვრებისა და არტისტების შემოქმედების მხატვრული და ფასეულობით-მსოფლმხედველობრივ შეფასებას, ანალიზს, თუ რამდენად ორგანულად ერწყმიან საქართველოდან იმიგრირებული ხელოვანნი დასავლურ გარემოს, როგორია მათი ცნობიერი დამოკიდებულება ქართული მხატვრული ტრადიციის მიმართ და რამდენად სპეციფიკურად - “ქართულად” წარმოჩინდება მათი ხელოვნება დასავლეთთან კულტურული ინტეგრაციის პირობებში. ნაშრომში გამოკვეთილია ემიგრანტ მხატვართა როლი ქართული თანამედროვე ხელოვნების ისტორიაში, ნაჩვენებია, თუ რაოდენ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ისინი საქართველოს დასავლეთთან კულტურული ინტეგრაციის მიმართებით, მოცემულია მოდერნიზმის და პოსტმოდერნიზმის ფილოსოფიურ-კულტუროლოგიური შეფასება, გამოკვეთილია ქართველ მოდერნისტ ემიგრანტ მხატვართა და პოსტმოდერნისტ ხელოვნთა იდენტიფიკაციის საკითხები, მათი მხატვრული თუ იდეოლოგიური ღირებულებების მსგავსება-განსხვავებულობა და მათი შემოქმედებისა და თვითაღქმის მიმართება იმ ეპოქასთან, რომელშიც ისინი მოღვაწეობენ.

ნაშრომის დასაწყისში ავტორები იძლევიან გერმანია-ავსტრიასა და შვეიცარიაში მიგრირებული არტისტების ცხოვრება-მოღვაწეობის კულტურულ-სოციოლოგიურ ანალიზს. შემდეგ მიმოიხილავენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, მცხოვრები ქართველი ხელოვანების მოღვაწეობისა და შემოქმედების დეტალებს, შემდეგ კი საფრანგეთში, ჰოლანდიაში და ბელგიაში მცხოვრები და მოღვაწე ქართველი არტისტების შემოქმედებას. ინტერვიუებისა და არტისტებთან საუბრების შედეგად, ასევე მათი შემოქმედების შესწავლა-ანალიზის საფუძველზე ნაშრომში გაცემულია პასუხები კითხვებზე: რატომ, რა პირობებში მოხდა ამ ხელოვანების ემიგრირება უცხოეთში, როგორ მოხდა მათი დამკვიდრება ახალ ადგილზე, როგორ ხდება მათი ინტეგრირება დასავლურ გარემოში, რა კავშირებს ამყარებენ ისინი ადგილობრივ მხატვრულ ძალებთან და რა კავშირებს ინარჩუნებენ ქართულ სახელოვნებო გარემოსთან, რამდენად თვლიან საკუთარ შემოქმედებას ქართული სახელოვნებო სივრცის ნაწილად და როგორ აფასებენ დღეს მიმდინარე მხატვრულ პროცესებსა და საქართველოს მსოფლიო სახელოვნებო სივრცესთან ინტეგრირების საკითხებს.

მონოგრაფიაში შესულია 10 სამეცნიერო ნაშრომი. ნაშრომს წინ უძღვის პროექტის ხელმძღვანელის მიერ დაწერილი შესავალი წერილი, სადაც აღწერილია პროექტის მნიშვნელობა, მიზნები და ამოცანები.

მონოგრაფიაში შესულია სამეცნიერო სტატიები: მარიამ შერგელაშვილი - “კულტურული ინტეგრაცია და ქართული ხელოვნება (უცხოეთში მიგრირებული ქართველი ხელოვნების ცხოვრება-მოღვაწეობის ანალიზი - ავსტრია-გერმანია, შვეიცარია)”; მარიტა სახლთხუციშვილი - “ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები თანამედროვე ქართველი არტისტების შემოქმედების და ემიგრაციასთან დაკავშირებული საკითხების ანალიზი”; მარიტა სახლთხუციშვილი და ლანა ქარაია - “ინტეგრაცია და იდენტობა (საფრანგეთში, ბელგიაში, ჰოლანდიასა და ინგლისში მცხოვრები ქართველი ხელოვნების ცხოვრება-შემოქმედების ანალიზი)”; ქეთევან (ქეთი) შავგულიძე - „ორმაგი აგენტები“- „გადალახეთ საზღვრები, ამოავსეთ თხრილები“; ქეთევან შავგულიძე და მზია ჩიხრაძე - “ნიუ იორკი, “ხელოვნების ახალი დედოფალი”, მზია ჩიხრაძე - “ფიქრის ჟესტები”, მარიტა სახლთხუციშვილი - “გლობალური კონტექსტი და იდენტობის საკითხი ემიგრირებული ქართველი თანამედროვე არტისტების შემოქმედებაში“, მარიამ შერგელაშვილი - “ალტერნატიული ფემინური ნარატივები - დიფუზიის ეფექტი”, მზია ჩიხრაძე - “მოდერნიზმი და იდენტობა”, ქეთევან შავგულიძე - “ჩვენი დროის რეალიზმი”.

სამეცნიერო კვლევის შედეგად გაკეთებულია ქართველ ემიგრანტ მხატვართა ცხოვრება-მოღვაწეობის ფუნდამენტური შესწავლა-ანალიზი, რაც უახლესი ქართული ხელოვნების ამ მნიშვნელოვანი მოვლენის კვლევის პირველი მცდელობაა საქართველოს ხელოვნების ისტორიაში. პროექტის მონაწილეების მიერ დადგინდა უცხოეთში მცხოვრებ და მოღვაწე ქართველ არტისტთა სია, მოხდა მათი ნამუშევრების აღწერა, დაფიქსირდა მათი მდგომარეობა და პოზიცია საერთაშორისო სახელოვნებო სივრცეში, განსაზღვრა მათი ხელოვნების ადგილი, როგორც დასავლურ ხელოვნებასთან მიმართებით, ისე ქართული უახლესი ხელოვნების განვითარების თვალსაზრისით. ყოველივე ეს კი მნიშვნელოვანი შენატანია თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორიაში.

3	მარიანა ოკლეი, ლიანა ანთელავა	თეიმურაზ მურვანიძე.	თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	196
---	--	--------------------------------	---	-----

ქართული სცენოგრაფიის ეს ჭეშმარიტი „რაინდი“ გვხიზლავს არა მარტო უსაზღვრო ნიჭიერებით,

არამედ გარეგნობითაც, რომელიც ჰარმონიულად ერწყმის მის შინაგან თვისებებს. მურაზ მურვანიძე ე.წ. „სამოციანელთა“ თაობის წარმომადგენელია. ეა არის დიდი გარდატეხის პერიოდი ქართულ სახვით ხელოვნებაში. იცვლება ხელოვნებისადმი დამოკიდებულება. მხატვარს ეძლევა მეტი თავისუფლება პირადი აზროვნების, დამოკიდებულების გამოვლენის შესაძლებლობა. ინგრევა სტერეოტიპები. თავიდანვე მხატვრის შემოქმედების მთავარი საზრისი ხდება უნივერსალური თემების „გადახალისების“ მცდელობა და აქედან შექმნილი სხვადასხვა დროითი პლასტების თანაარსებობის შეგრძნება-ტრადიცია-ნოვატორულობა. ახალის შექმნა უკვე არსებულის გადათამაშების და სხვაგვარად აწყობის საშუალებით ხორციელდება. ახალი აზროვნება, გემოვნება, მსოფლმხედველობა, შეგრძნებები ძველის პირისპირ დგება, თუმცა ეს უკანასკნელი განაგრძობს უმნიშვნელოვანესი როლის თამაშს ახლის მოძიებაში. მხატვარი მიმართავს კლასიკის ალეგორიული ენის გამოყენებას, ძველი კულტურის სიმბოლიკას და ამის საფუძველზე ქმნის ახალ „ინდივიდუალურ“ მითოლოგიას, რომელიც მის პირად მოგონებებთან და ასოციაციებთან არის კავშირში. ის მიმართავს სხვადასხვა ისტორიული და თანამედროვე სუბკულტურების ციტირებას და ამკვიდრებს ახალ სტილისტურ აზროვნებას.

მხატვრის შემოქმედება შეიძლება „გეოგრაფიულად“ დავაჯგუფოთ: თბილისი, სანქტ პეტერბურგი, მოსკოვი.... დასავლეთ ევროპა: ლონდონი, პარიზი, მილანი, გენუა, მონტე-კარლო, სევილია, ჰამბურგი, ვარშავა... ჩრდილოეთ ამერიკა: ნიუ-იორკი, ლოსანჯელესი, სანფრანცისკო, ვანკუვერი....

წარმოუდგენელია ჩამოთვლა ყველა იმ ნამუშევრებისა, რომელიც მურვანიძემ მსოფლიო სხვადასხვა სცენაზე განახორციელა. თანამშრომლობა მორის ბეჟართან, მსტისლავ როსტროპოვიჩთან, ბორის

პოკროვსკისთან, რუდოლფ ნურიევთან, ოლეგ ვინოგრადოვთან.....

მისი ცხოვრების მოტოდ წარმოგვიდგება პასტერნაკისეული ფრაზა „შემოქმედების არის მიზანი-თვითშეწირვა და არა ხმაური“.

არსებულ რეალობაში, სადაც გადაადგილებულია და გადასხვაფერებულია ღირებულებათა სისტემა, მომძლავრებულია ეკლექტური გემოვნება, გარეგნულ ეფექტებზეა გათვლილი შემოქმედებითი პროცესი, თანამედროვე ხელოვნების სიღრმისეულად გააზრება ზევრი ჩვენთაგანისათვის ხდება პრიორიტეტული. მურვანიძის მთელი შემოქმედება ამ კუთხით არის ძალიან ფასეული

4	მარიანა ოკლეი, გიორგი ხოშტარია	სოლიკო ვირსალაძე 978-9941-8-1590-4	ხელოვნების სასახლე	200
---	---	---------------------------------------	-----------------------	-----



სოლიკო ვირსალაძე... იშვიათად მოიძებნება ხელოვანი, რომელიც თავისი კოლეგების, მკვლევარებისა და სათეატრო ხელოვნების მოყვარულთა ასეთ ერთსულოვან აღფრთოვანებას იწვევს. მისი მოღვაწეობა სხვადასხვა ეპითეტებით არის შემკული: „თეატრის ჯადოქარი“, „თეატრის რომანტიკული რაინდი“, „ფერთა სიმფონია“... მთელი ცხოვრება იგი უანგაროდ ემსახურებოდა თეატრს და თავისი შემოქმედების განვითარების გზაზე სიმონ (სოლიკო) ვირსალაძე ჩამოყალიბდა როგორც მუსიკალური თეატრის მხატვარი, რომლის ძირითადი სფეროა ოპერა და ბალეტი

.სოლიკო ვირსალაძე მხატვარი - ფერმწერია. მისი ფერწერა ცხოველხატულია და მრავალფეროვანი თავისი ნიუანსირებითა და გრადაციულობით. ის გამოირჩევა ფერადოვანი წყობის, ფერთა შეთანხმების სილამაზითა და დახვეწილობით. თვითოეული ფერადოვანი

გამა უამრავ ელფერს იძენს, რაც გამოგონებელ შთაბეჭდილებას ახდენს. ფერი მოძრავია და მთელი სასცენო სივრცე ამ ფერადოვანი ტყვეობითაა მოცული. ვირსალაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა განათების პარტიტურას. ყოველთვის თვითონ აყენებდა სინათლეს და აღწევდა ჯადოსნური განათების გამომსახველობას. ეს იყო თავისებური განათების დრამატურგია. ვირსალაძე იყო უაღრესად მუსიკალური ადამიანი. მუშაობის დაწყების წინ ის ისმენდა შესაბამის მუსიკალურ ნაწარმოებს და მთლიანად ითავისებდა მას, წვდებოდა მის აზრსა და ხასიათს, ესკიზებზე მუშაობისას რთავდა მომავალი სპექტაკლის მუსიკას და ამბობდა, რომ ეს მუსიკალური ფონი მას ძალიან ეხმარება. მისი ფერწერული სახეები მუსიკიდან არის დაბადებული. ვირსალაძე იყო თეატრის ადამიანი და ეს იყო მისი მთელი ცხოვრება.

ი. გრიგოროვიჩის ბალეტები ძნელი წარმოსადგენია ვირსალაძის დეკორაციების გარეშე. აქ ფერწერა და ქორეოგრაფია ერთმანეთთან გადაჯაჭვულია. ამაში ვლინდება სოლიკო ვირსალაძის ფენომენი. მისი დეკორაციების გამომსახველობა პირდაპირ დამოკიდებულებაშია საბალეტო სპეციფიკასთან. მხატვარი ყოველთვის უზრუნველყოფს ცეკვისათვის მაქსიმალურად თავისუფალი სივრცის არსებობას. ესკიზებში ჩანს სპექტაკლის ცხოველხატული ეფექტები, რომელიც ფერისა და განათების მეშვეობით მიიღწევა. მათი ცვალებადობა მოქმედების ვითარებასთან დაკავშირებით ამჟღავნებს მხატვრის „სიმფონიური“ აზროვნების უნარს. იგი რჩება ფერწერული დეკორაციების ერთგული, ამასთან ძლიერდება ემოციური შემოქმედების ძალა. ფერწერული პანოები და კონსტრუქციული ელემენტები ან მარტო ფერწერული „ტილოები“ სცენური სივრცის ზუსტ ორგანიზაციას უზრუნველყოფს. ფერადოვანი რიტმი უშუალო კავშირშია მოქმედების, ცეკვის რიტმთან. მუსიკალურ მოტივში მხატვარი გულისხმობს ფერის განყენებულ არსს. ფერს შეუძლია ამა თუ იმ მუსიკალური შეთანხმების ხასიათის, განწყობის წარმოჩენა. ვირსალაძის სივრცულ-ფერწერული

გაფორმების სისტემა თავდაპირველად ასევე განყენებულ ფორმაშია ნაგრძნობი, რომელიც შემდგომში თანდათანობით „იმოსება“, აქტიური ხდება და განუსაზღვრელ მრავალფეროვნებაში გადადის.

1960-1980-იანი წლები სოლიკო ვირსალაძის შემოქმედების განსაკუთრებულ აღმავლობად ითვლება. ამ დროს იქმნება ყველაზე მნიშვნელოვანი საბალეტო სპექტაკლების გაფორმება: ს. პროკოფიევის „ქვის ყვავილი“ (1957), ა. მელიქოვის „ლეგენდა სიყვარულზე“ (1965), პ. ჩაიკოვსკის „მაკნატუნა“ (1966), ა. ხაჩატურიანის „სპარტაკი“ (1968), პ. ჩაიკოვსკის „გედის ტბა“ (1969), პ. ჩაიკოვსკის „მძინარე მზეთუნახავი“ (1973), ს. პროკოფიევის „ივანე მრისხანე“ (1975), ს. პროკოფიევის „რომეო და ჯულიეტა“ (1978), დ. შოსტაკოვიჩის „ოქროს ხანა“ (1982), ა. გლაზუნოვის „რაიმონდა“ (1984).

ყველა ეს ნამუშევრები არის ცალკე აღებული ხატოვანება. მხატვარი ქმნის სპექტაკლს - ხატს. ლაკონიზმი, ზოგ შემთხვევაში კი მინიმალიზმიც მეტაფორულად მრავლისმთქმელია, ზრაპრული და კონკრეტულიც. „ქვის ყვავილში“ მალაქიტის ზარდახშა, „ლეგენდაში“ აღმოსავლური შირმა, რომელიც წიგნს გვაგონებს, „მაკნატუნაში“ ნადვის ხე,

მთელი სამყაროა - ეს ფაქტობრივად სიმბოლოებია, რომელშიც ყველაფერია ჩადებული. სპექტაკლის დრამატურგიული საწყისი, მოქმედების ადგილის აღნიშვნა, ეპოქის ამოკითხვა, ასოციაციური მსჯელობა და ამავე დროს მდიდარი ფერადოვნება თავისი ნიუანსირებით, ქმნის განწყობას, ემოციურ მდელვარებას და მუსიკალური ინტონაციების ვიზუალიზაციას. ამიტომ არის, რომ ეს სპექტაკლები დღესაც საოცრად თანამედროვედ ჟღერს. მთავარი ისიცაა რომ ვლინდება მხატვრის უდიდესი კულტურა და ერუდიცია

.მაღალი ტრაგიზმითა და ფსიქოლოგიზმით გამოირჩევა ბალეტები „სპარტაკი“ და „ივანე მრისხანე“. აქ დეკორაციული სისტემა სპექტაკლში ქორეოგრაფიასთან ერთიან რიტმში მოქმედებს. საბალეტო პარტიტურა ფილოსოფიურად არის გააზრებული. მხატვარი იძლევა ეპოქის განზოგადებულ სახეს მონუმენტალიზმის მაქსიმალური შენარჩუნებით.

შოსტაკოვიჩის ბალეტში, „ოქროს საუკუნე“, დეკორაციები აბსტრაქტულია. მხატვარი 20-იანი წლების ხელოვნების სტილისტურ თავისებურებას მიმართავს. აქ მძლავრად იგრძნობა მოდერნისტული ესტეტიკის გავლენა, მისი „არომატი“ და ელეგანტურობა.

ოსტატი არასდროს დალატობდა თეატრალური ხელოვნების პირობით ბუნებას. ათწლეულობის განმავლობაში იხვეწებოდა და მდიდრდებოდა მისი მხატვრული ხერხები, ინდივიდუალური სტილი და კონცეპტუალური გააზრება.

5	ნინო ჯიშკარიანი, სამსონ ლეჟავა, ნინო ჭინჭარაული	„მხატვარ გურამ გელოვანის შემოქმედება“ 978-9941-9543-6- 8	თბილისი, გამომცემლობა „სვეტი+“	132
---	---	--	--------------------------------	-----

ალბომი „მხატვარ გურამ გელოვანის შემოქმედება“ ეძღვნება საქართველოს დამსახურებული მხატვარის, გურამ გელოვანის (1928-1986), დაბადების 90 წლისთავს. გურამ გელოვანი ე. წ. "ორმოცდაათიანელთა" თაობის გამორჩეული ფიგურაა, რომლის მეტად საინტერესო და არისტოკრატიზმით აღბეჭდილი შემოქმედება არასოდეს გამოცემულა ნაბეჭდი პუბლიკაციის სახით. აღნიშნული პუბლიკაცია მნიშვნელოვანი შენამენი იქნება ე. წ. პოსტ-სტალინური ლბერალიზაციის შემდგომი ხანის ოფიციალური ხელოვნების კვლევითი სტრატეგიებისათვის.



გურამ გელოვანის ფიგურატიული ფერწერა აღიარებულ იქნა 1950-1960-იანი წლების როგორც ქართული, ისე საბჭოთა მხატვრობის მეტად საგულისხმო მოვლენად, რომლის ნიჭიერება და მხატვრული ხედვის მასშტაბურობა გულგრილს არ ტოვებდა სპეციალისტებსა და დარგის პროფესიონალებს, როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს მიღმა.

სამწუხაროდ მხატვრის შემოქმედება, რიგ მიზეზთა გამო, ბოლო სამი ათეული წელია დავიწყებას მიეცა, რაც ამ რანგის ხელოვანთან მიმართებაში მეტად გულდასაწყვეტი გარემოებაა. თუმცა აღნიშნული გამოცემა

საბჭოთა პერიოდის ნაკლებად შესწავლილი და მეტად ვრცელი მხატვრული მემკვიდრეობის თანამედროვე თვალთახედვით გააზრების საშუალებას იძლევა. მნიშვნელოვანია ალბომში მოცემული მასალების საგანმანათლებლო როლი, განსაკუთრებით

დარგის სპეციალისტებისა და სამხატვრო სასწავლებელთა მოსწავლე-პედაგოგებისათვის.

ალბომის მომზადება-გამოცემაზე იმუშავა გრაფიკოსმა ნინო ჯიშკარიანმა. ალბომში წარმოდგენილია ვრცელი შესავალი წერილი, რომელშიც შესავალი ტექსტის ფორმატისთვის ყოვლისმომცველად არის გაშლილი მხატვრის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიპეტიები (ტექსტის ავტორები: სამსონ ლეჟავა, ნინო ჭინჭარაული).

6	ირინა ბუცოვა რეჟის გიგო ანდრეი სარაბიანოვი ნანა ყიფიანი ქეთევან კინწურაშვილი თეა ტაბატაძე თამარ ბელაშვილი ნანა შერვაშიძე ყარამან ქუთათელაძე ნანა შერვაშიძე ყარამან ქუთათელაძე	კირილე ზდანევიჩი 1892-1969 ცხოვრება და შემოქმედება 978-9941-9586-7-0	თბილისი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი	316
---	---	---	--	-----

წიგნის ავტორები არიან ქართველი, ფრანგი და რუსი მეცნიერები, რომლებიც კირილე ზდანევიჩის ხელოვნებას იკვლევდნენ. მათ ტექსტებში კირილე ზდანევიჩის შემოქმედების სხვადასხვა ასპექტია განხილული: დაზგური გრაფიკა და ფერწერა, არტისტული წიგნი, კედლის მხატვრობა. წიგნში შესულია მხატვრის შესახებ მოპოვებული უახლესი ინფორმაცია. წიგნი უზადაა ილუსტრირებული და ბევრი ნამუშევარი პირველად არის გამოქვეყნებული.

7	გიორგი ხოშტარია	ნიკო ფიროსმანიშვილი ის მხატვრული მეთოდი	მომზადებულია დასაბეჭდად	140
---	------------------------	--	--------------------------------	-----

წიგნი ეხება ნიკო ფიროსმანიშვილის მხატვრული მეთოდის განსაზღვრას.

I თავი - მიუხედავად ვრცელი ლიტერატურისა ფიროსმანიშვილის მხატვრული მეთოდი დამაკმაყოფილებლად გახსნილი არ არის.

მეთოდი როგორც აბსოლუტურად ურთიერთგანსაზღვრული საწყისებისგან შემდგარი მთლიანობა აგებულია მხატვრულ ლოგიკაზე: ასახვის საგანის სპეციფიკა, შერჩევა-განზოგადება, მასალა და ა.შ.

II თავი - ხდება ეპოქის დახასიათება მე-19 ს-ის დასასრულისა და მე-20-ს დასაწყისის მხატვრული ცხოვრების დახასიათება და ფიროსმანაშვილის მოკლე ბიოდრაფიული ფაქტები. ლიტერატურის განხილვა ჩვენთვის საყურადღებო აქცენტების გამოყოფით. მაგ.: მხატვრული სახის ტიპოლოგია, ლაკონიზმის როლო, განსახვავებული შეფასებით და ა.შ.

III თავი - მხატვრული ნაწარმოების მოდელი რომლის სააფუძველზეც ხდება ნიმუშების წყობისეული ანალიზი. დასაბუთება რატომ არის საჭირო ახალი შეფასება - რას ვიღებთ წარსულიდან პოზიტიურს და როგორ ვითარდება.

IV თავი - განიხილება: ნატურმორტი, პორტრეტი - ტიპი, ქეიფის სცენები, მრავალ სცენიანი კომპოზიციები, ანიმალისტური ნაწარმოებები.

V - დასკვნა.

P.S. წიგნი ამგვარივე სტრუქტურით დასაბეჭდად მზად იყო 2018 წელსაც. ამჟამინდელი ვარიანტი კიდევ უფრო მეტად არის გადამუშავებული და შევსებული.

8	თამარ ბელაშვილი	ბათუმი Art	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტრო	216
---	-----------------	------------	---	-----



წიგნი ორი ნაწილისგან შედგება. ერთი, სადაც მოთხრობილია ისტორია ბათულის შესახებ, ის გამორჩეული ხელოვანები, უცხოელი თუ ქართველი ავტორები, რომლებიც სხვადასხვა დროს სტუმრობდნენ ქალაქს. განხილულია ფიროსმანის ნამუშევარი „ბათუმი“ და ის სპეციფიკური მახასიათებლები, თუ როგორ ხედავს მხატვარი მას. რაკურსი, რომლითაც ქალაქი ფიროსმანს აქვს დახატული მხოლოდ მატარებლიდან შეიძლება დაენახა, სადაც გამცილებლად მუშაობდა. უკვე წიგნის მეორე ნაწილში მოთხრობილია თანამედროვე ხელოვანების მიერ დანახულ-აღქმულ ბათუმზე. ის მხატვრები, რომლებიც წარმოშობით იქიდან არიან, რომლებიც აჭარის მხატვრულ სკოლას მიეკუთვნებიან და რომლებიც გამორჩეულად სახასიათო, მკაფიოდ ინდივიდუალურ ნამუშევრებს ქმნიან. სულ ერთია იქნება ეს ქანდაკება, ქუჩის მხატვრობა, ფერწერული თუ დაზგური გრაფიკა. ჯამში ალბათ მაინც ერთიანი სურათი იკვრება სხვადასხვა ტაობის ხელოვანების მიერ დანახულ-ნაოცნებარი ბათუმისა. წიგნს გამორჩეული დატვირთვა აქვს კულტურული ტურიზმის თვალსაზრისითაც.

9	თამარ ბელაშვილი	მერაბ ბერძენიშვილის სახლ-მუზეუმი ISBN-978-9941-27-914-0	თბილისი, Favorite	222
---	-----------------	--	-------------------	-----



მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილის შემოქმედებას არაერთი გამოცემა ასახვას. თუმცა აღნიშნულ წიგნში ხელოვანი მის სახელოსნოში თავმოყრილი ნამუშევრების ფონზე წარმოდგენილი. ეს ის სივრცეა სადაც მისი სხვადასხვა ქანდაკებები, სხვადასხვა ადგილას განთავსებული საქართველოსა თუ ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ერთად იყრის თავს. აქ გარდა ქანდაკებისა მისი გრაფიკული და ფერწერული ნამუშევრებია წარმოდგენილი უხვად. ის კოლექციები, განსაკუთრებით იარაღის, რაც მთელი ცხოვრებია ხიბლავდა, რასაც აგროვებდა და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან თავად, როგორც მოქანდაკეს ხშირად უხდებოდა ლითონთან მუშაობა, შესაბამისად ლითონის წრთობისადმი, მაინც გამორჩეული პროფესიული ინტერესი ქონდა. მერაბ

ბერძენიშვილს მოგონებების მცირე კრებული აქვს გამოცემული. ამ მცირე პროზაულ ჩანახატებში ფრაგმენტულად, თუმცა მაინც მაკაფიოდ ინაკვეთება ხელოვანის შემოქმედებითი და ცხოვრებისეული ეპიზოდები. უკვე დასრულებულ ნამუშევრებთან ერთობლიობაში, მსგავსი მასალა, კიდევ უფრო საინტერესოდ და მრავალფეროვნად წარმოაჩენს მერაბ ბერძენიშვილის შემოქმედებას.

10	თამარ ბელაშვილი	ვახტანგ ქოქიაშვილი 1930-2010 ISBN-978-9941-8-0528-8	თბილისი, Favorite	176
----	-----------------	--	-------------------	-----



ვახტანგ ქოქიაშვილი 60-იანი წლების ქართული ხელოვნების იმ თაობას განეკუთვნება, რომელთაც არაერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპის გავლა-გადალახვა მოუხდათ. ის ნაკლებად მუშაობდა ფერწერაში, თუმცა აქვს ადრეული ფერწერული ტილოები და ენკაუსტიკის ტექნიკით შესრულებული ნამუშევრები. ვახტანგ ქოქიაშვილი ქართულმა საზოგადოებამ მეტად გაიცნო, მისი მოზაიკური პანოების, ვიტრაჟების და ასამბლიაჟების საშუალებით. სწორედ მას ეკუთვნოდა სასტუმრო ივერიის ვიტრაჟული კედელი, რომელიც ინტერიერის ერთ-ერთ მთავარ შემამკობელს ქმნიდა. ნამუშევარი აქვს საზოგადოებრივი სივრცეების მორთულობაზე,

როგორც საქართველოში, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. მისი ავტორობით შესრულდა, არქიტექტორ გ.ბათიაშვილთან ერთად ფუნიკულიორის ქვედა სადგურის ვიტრაჟი, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ამშვენებდა ქალაქს. გვიან პერიოდში ავტორი ბევრს მუშაობდა დაზგურ გრაფიკაში და განსაკუთრებით კი იტაცებდა პოპ-არტის მოცულობითი ვერსია, ასამბლიაჟები. გამომსახველობითობის ეს ხერხი, ალბათ მაინც მის განსაკუთრებულ სწრაფვას უნდა უკავშირდებოდეს აშშ-ს ხელოვნებისადმი, რაც ახალგაზრდობიდან გამოარჩევდა, თუმცა დიდი ხნის მანძილზე სრულყოფილი წვდომა ამ მასალაზე, ცხადია არ ქონდა. აუცილებლადაა აღსანიშნავი, მისი ერთ-ერთი სრულიად გამორჩეული მახასიათებელი. ხელოვანი, რომელიც მუდმივ ექსპერიმენტებს ატარებდა. იგულისხმება მინის, პლასტმასისა და ლითონის შენადნობ-შენარევების მიღების მცდელობები. სწორედ ამ ექსპერიმენტების შედეგად იქმნებოდა მოგვიანებით მისი ცნობილი, თუ ნაკლებად ცნობილი ნამუშევრებიც. სამუწუხაროა, რომ დღეს ამ ნამუშევრების დიდი ნაწილი განადგურებულია და ეს კიდევ ერთი საკითხია, რომელსაც წიგნში შეხვდებით. დამოკიდებულება ახლო წარსულის ხელოვნებასთან, რომელიც ისტორიულ-პოლიტიკური შეხედულებების ცვლის შედეგად გადასხვაფერდა.

11	თამარ ბელაშვილი	რუსთაველის თეატრის სცენოგრაფია 1950-2000 ISBN-978-9941-8-1839-4	თბილისი, რუსთაველის თეატრი	220
----	-----------------	---	----------------------------------	-----



წიგნში ასახულია რუსთაველის თეატრის სცენაზე განხორციელებული სპექტაკლების სცენოგრაფია 1950-2000 წლების შუალედში. თანმიმდევრობა, თუ როგორ იქნებოდა წარმოდგენილი მასალა, შეირჩა ქრონოლოგიის მიხედვით. შესაბამისად ამან შესაძლებლობა შექმნა ერთდროულად ნაჩვენები ყოფილიყო თუ როგორ იცვლებოდა სხვადასხვა დროს მხატვრული ტენდენციები, როგორ იცვლებოდა ერთი და იგივე მხატვრების შემოქმედებითი მახასიათებლები, რამდენად თამამად და თავისუფლად ამბობდა თეატრი სატქმელს სხვადასხვა დროს და რა მდენად იყო ეს ყოველივე თანხვედრაში იმ პროცესებთან, რაც იმავე პერიოდის ევროპულ და

ამერიკულ სცენოგრაფიაში ხორციელდებოდა. მსგავსი გამოცემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ

ერთიანი სურათის შესაქმნელად, რასაც XXს.-ის ქართული სცენოგრაფია ქვია.

4.3 . სახელმძღვანელოები

წამყვანი ორგანიზაცია: თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

პარტნიორი ორგანიზაცია: ჩუბინაშვილის ცენტრი

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	
1	მერილინ სოქსთედი, მაიკლ ვ. ქოთრენი თარგმანი: თეა ტაბატაძე, რედაქტორი: ანა კლდიაშვილი	ხელოვნების ისტორია (XVI - XVII სს ევროპა) ISBN 978-9941-8-1005-3	თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემია, თბილისი	144

წიგნი წარმოადგენს ხელოვნების ისტორიის სახელმძღვანელოს (ART HISTORY) ბოლო, 2014 წლის, მე-5 გამოცემას. იგი შეიცავს ხელოვნების ისტორიის შესახებ უახლეს ინფორმაციას და ითვალისწინებს მისი შესწავლის თანამედროვე მეთოდებს, წიგნის სტრუქტურა და შინაარსი ხელოვნების ისტორიის სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებს ეყრდნობა.

სახელმძღვანელო, ასევე, მოიცავს მრავალფეროვან საილუსტრაციო მასალას, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ძირითადი ცნებებისა და ტერმინების განმარტებებსა და სტუდენტებისთვის - საკვანძო საკითხებთან დაკავშირებულ შეკითხვებსა და დავალებებს

4.4. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	კ.მაჩაბელი, დ.თუმანიშვილი, მ.ჯანჯალია, მ.ბულია,მ.ყენია, ი.ელიზბარაშვილი, მ.სურამელაშვილი, ც.ჩაჩხუნაშვილი, ი.მამასახლისი, თ.დადიანი, ს.ლექვაძე, ი.ხუსკივაძე, ლ.ხუსკივაძე, ნ.გიორგობიანი, მ.ჭიჭილეიშვილი, თ.ზედგინიძე, თ.მელივა, შ.ლექვაძე, მ.კვიციანი, მ.კუხუაძე,	საქართველოს სიძველენი	თბილისი, ჩუბინაშვილის ცენტრის გამომცემლობა	364

ჩუბინაშვილის ცენტრის სამეცნიერო შრომების კრებული „საქართველოს სიძველენის“ 2019 წლის ნომერი მოიცავს სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის პუბლიკაციებს, როგორც საკუთრივ დარგის მტავარი მიმართულებით, ასევე მომიჯნავე მიმართულებებითაც. ის ყოველწლიური გამოცემაა რომელშიც ტავმოყრილია, როგორც დამოუკიდებელი კვლევები, ასევე წლის განმავლობაში ჩუბინაშვილის ცენტრის ყოველწლიურ სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები.				
2	გ.ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის ელექტრონული ჟურნალი	ARS GEORGICA. ელ.მისამართი: georgianart.ge	თბილისი	
2019 წელს მომზადდა და აიტვირთა ჟურნალის ახალი ნომერი. ჟურნალში თანამედროვე ხელოვნების საკითხებთან ერთად წარმოდგენილია ინტერვიუები და მოგონებები ცნობილ ქართველ ხელოვანებთან და არტისტებთან.				

4.5 ცენტრის ტანამშრომლების პუბლიკაციები სხვა ინსტიტუციების კრებულებში

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	სოფიო ჩიტორელიძე	„არქივმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები“; ISBN 978-9941-8-0504-2	თბილისი, საქართველოს ეროვნული არქივი	10

„კერამიკა“ მხატვარ რომუალდ ცუხიშვილის შემოქმედებაში



მხატვარი კერამიკოსი რომუალდ ცუხიშვილი 1960–იანი წლების დასაწყისიდან გამოდის შემოქმედებით ასპარეზზე და დღემდე აგრძელებს აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას. რ. ცუხიშვილი მრავალმხრივი შემოქმედი, დეკორატიულ–გამოყენებითი ხელოვნების გარდა მუშაობს ფერწერასა და გრაფიკაში. მხატვრის მოღვაწეობის ძირითადი სფერო კი მხატვრული კერამიკაა. კერამიკოსს შექმნილი აქვს, როგორც მონუმენტური ისე მცირე ზომის დეკორატიული და ყოფითი დანიშნულების ნიმუშები. მუშაობს ფაიფურის, წითელი თიხისა და შამოთის მასალებით. რ. ცუხიშვილმა 1963 წელს, დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. მხატვრის სადიპლომო ნაშრომი –

პანო „ქვევრების რეცხვა“, რომელიც კერამიკოსმა ქ. თბილისის #1 ღვინის ქარხნის ეზოსთვის შეასრულა ერთ–ერთი პირველი მნიშვნელოვანი ნამუშევარია, როგორც მხატვრის შემოქმედებაში, ასევე ქართული მონუმენტური ხელოვნების ისტორიაში. მომდევნო 1970–იან წლებში კერამიკოსმა თანაავტორ მხატვრებთან ერთად კიდევ რამდენიმე მონუმენტური კერამიკის ნიმუში შექმნა. მათ შორის: იმუშავა წყაროზე ბორჯომის პარკისთვის, გააფორმა ლიკანის სანატორიუმის კლუბი–სასადილო. მხატვრის შემოქმედებაში ასევე მნიშვნელოვანია მცხეთის კინოთეატრი–მუზეუმისათვის შექმნილი ორი პანო – „საქართველო“ და „ბერიკაობა“. მხატვარს ეკუთვნის ექსტერიერის გასაფორმებელი მცირე ზომის

კერამიკული პანოები: „ძველი თბილისი“, „თუშეთი“, „მოზამბიკური ცეკვა“ და სხვ. პანოებისათვის დამახასიათებელი სიუჟეტური თხრობაა სახასიათო მხატვრის მიერ შექმნილი დეკორატიული თეფშებისთვისაც, რომელთა შორის აღსანიშნავია: „იმერეთი“, „თუშეთი“, „კალოზე“, „ნატურმორტი“ და სხვ.

საინტერესო ნიმუშებს წარმოადგენს ძველი თბილისის მკვიდრთა და საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელთა სკულპტურული სახასიათო ტიპაჟები: „მეფოვე“, „მეარღნე“, „კახელი“ და სხვა. მცირე ზომის ქანდაკებებთან ერთად ხელოვანმა განახორციელა რამდენიმე მოცულობითი-პლასტიკური კომპოზიცია. მათ შორისაა: „ორშიმო“ და „ვარძია“.

მხატვრის კერამიკული ნაკეთობების განსხვავებული მასალა, შესრულების ტექნიკური ხერხები, ფორმები, შინაარსი მხატვრის ფართო ინტერესებისა და შემოქმედებითი შესაძლებლობების მაჩვენებელია. მხატვრის ინდივიდუალური სახასიათო ხელწერით შექმნილ ნამუსვრებს გამოარჩევს პროფესიონალური ხედვა და შესრულება, რითაც კერამიკოსის შემოქმედებას თვითმყოფადი ადგილი უკავია მე-20-ე საუკუნის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ისტორიაში.

2	მარიამ გაჩეჩილაძე	ალმანახი „მწიგნობარი“	თბილისი, მწიგნობართა ასოციაცია	13
---	-------------------	--------------------------	-----------------------------------	----

ოთარ ჯიშკარიანის წიგნის მხატვრობა

XX ს-ის 50-იანელთა თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ხელოვანის, მხატვარი-გრაფიკოსი ოთარ ჯიშკარიანის საქმიანობის მთავარ სფეროს წიგნის მხატვრობა წარმოადგენს. ხელოვანს სამ ასეულამდე წიგნი აქვს გაფორმებული.

გარდა წიგნის გრაფიკისა ო. ჯიშკარიანს განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი ქართული ასო-ნიშნების ფორმათა მხატვრულ დახვეწასა და შრიფტების მრავალფეროვანი გარნიტურებს შექმნაში. მის მიერაა შედგენილი ალბომი „ანბანთქება“. თვითოეული ასო-ნიშანისთვის „სადიდებელი“ მხატვრული კომპოზიცია შედგენილია ასომთავრულის, ნუსხა-ხუცურისა და მხედრულის დახვეწილი შეხამებით ერთმანეთთან და ქართული არქიტექტურული ძეგლების ფორმებთან, ასტროლოგიურ სიმბოლოებთან და ორნამენტის დეტალებთან.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ ო. ჯიშკარიანი ბევრი სასიკეთო ღონისძიების დაგეგმვის ინიციატორი იყო. მან შემოიკრიბა მეგობრები, მხატვრები და სხვა პროფესიის შემოქმედი ადამიანები და ტრადიციად აქცია საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში „შემოქმედებითი სტუმრობა“. ამ ნაბიჯით, მისმა თაობამ დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს მაღალმთიანი, მივიწყებული კუთხეების „მხატვრულად გააცოცხლებაში“. ოთარ ჯიშკარიანის შემოქმედება გარდა ფერწერისა და გრაფიკისა მონუმენტურ ფერწერას, კერძოდ კი მოზაიკასაც შეეხო. ქალაქ ორჯონიკიძეში სასტუმრო „ვლადიკავკაზის“ გაფორმებაში მონაწილეობდნენ ქართველი მხატვრებმა დ. დუნდუამ, ლ. შენგელიამ, ო. ჯიშკარიანმა. მათვე შეასრულეს ინტერიერები და ჭედური კომპოზიციები, რომლებშიც ეროვნული მოტივები შერწყმულია თანამედროვეობასთან.

4.6. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მზია ჯანჯალია, მარინე ბულია	კირანცის მოხატულობა - ძირითადი საკითხები ISSN 1512-1321	საქართველოს სიბველენი, #22, 2019	თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი	20

XII საუკუნის II ნახევრის ქართული მხატვრობის რთულსა და არაერთმნიშვნელოვან სახეს შეიძლება ითქვას, რომ მყარი ადგილობრივი ტრადიციისა და თანადროული ბიზანტიური მხატვრობის სხვადასხვა ნაკადებისადმი ცხოველი ინტერესის ერთობლიობა განსაზღვრავს. ამ ხანის გამორჩეულ ნიმუშთა შორისაა ოდესღაც ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი, ახლა კი ჩრდილოეთ სომხეთში მდებარე ქალკედონურ მონასტერთაგან ერთ-ერთის, ქართული სამეფო კარის ადგილობრივ დიდმოხელეთა, ცნობილი ივანე მხარგრძელისა და მისი ვაჟის, ავაგის სამფლობელოში მდგომი, დღეს კირანცად ცნობილი მონასტრის მთავარი ტაძრის მოხატულობა.



კირანცის მხატვრულ გადაწყვეტას ანალოგები რეგიონის თანადროულ მოხატულობებში (ახტალა, ქობარი) არ ეძებნება. მასში ბიზანტიური სივრცის სხვადასხვა ტრენდებიც ჩანს და მათ მიმართ შერჩევითი და შემოქმედებითი დამოკიდებულებაც. ამ მოხატულობის პროგრამულ გადაწყვეტასა და მხატვრულ კონცეპტს დროითა და გეოგრაფიული თვალსაზრისით განსხვავებულ წრეებში ეძებნება მსგავსება. თუ მოხატულობის პროგრამული ნიშნები ადრეპალეოლოგოსური ხანის ბიზანტიისა და ბალკანეთის ქვეყნების ტრენდების შესატყვისია, კირანცის მსგავსი მხატვრული ხედვა, რომელიც ფიგურათა სიბრტყობრივი და ხაზობრივი გადაწყვეტის უპირატესობასა და მოცულობის ნიშნებისა და განწყობის ერთგვარ ნაივურობაში გამოიხატება, ლათინთა მმართველობის ქვეშ მყოფი ბერძნული მიწებისა და კვიპროსის XIII საუკუნის მოხატულობებში შეიძლება ინახოს. შეიძლება ითქვას, რომ კირანცის მოხატულობის არსებითი ნიშნები ლათინთა დომინაციისა და ადრეპალეოლოგოსური ხანის ბიზანტიური სივრცისთვის დამახასიათებელ რთულ კულტურულ ინტერაქციებს ეხმიანება (კირანცის მოხატულობის სტილურ კონცეპტს ქართულ მხატვრობაში XIII საუკუნის II ნახევარსა XIII-XIV სს მიჯნაზე ეძებნება პარალელები. კერძოდ, სამცხეში, საფარის წმ. საბას ტაძრის ძირითადი, XIII საუკუნის მეორე ნახევრის მოხატულობის ნაწილსა და 1300იანი წლების ჭულეს მხატვრობაში, სადაც მხატვრული გადაწყვეტის არსებითი მახასიათებელი სწორედ ახლებური ნაივურობაა, არა ემპირიული ფორმებისადმი, არამედ ემპირიული ემოციებისადმი გამოვლენილი ინტერესი). ქართული კულტურის წიაღში იმ ტენდენციების ასახვა, რომლებიც აღმოსავლეთქრისტიანულ, ჯვაროსნულ და ისლამურ კულტურულ სივრცეთა გადაკვეთებს გულისხმობდა არ არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ საუკუნეების მანძილზე იგი კულტურათაშორისი ურთიერთობისა და მთავარ ქრისტიანულ ცენტრებთან, მათ შორის წმინდა მიწასთან, უწყვეტი და აქტიური კავშირის პირობებში ყალიბდებოდა.

კვირანცის მოხატულობა თავისი დროის არა-რიგითი მოვლენაა, რომლის დამკვეთიც უთუოდ მმართველი ელიტის ასევე არა-რიგითი ფიგურა უნდა ყოფილიყო, თავისი სპეციფიკური გამოცდილებითა და მკაფიოდ გამოხატული აღმოსავლური გემოვნებით (ეს ტაძრის არქიტექტურულ გადაწყვეტაშიც აშკარადაა გამოვლენილი და მხატვრობაშიც). ასეთ ფიგურად ამ მიწების მფლობელის, ავგ მხარგრძელის ქალიშვილი, ხუაშაგი გვესახება, რომელიც ოჯახურ ტრადიციებთან მიჯაჭვულობასთან ერთად, აღმოსავლურ გარემოსთან ხანგრძლივი კავშირითაც იქცევს ყურადღებას. ხუაშაგი მონღოლთა კარის მეტად გავლენიანი მოხელის, სიმდიდრით, აღმშენებლობითა და ხელოვნების პატრონაჟით ცნობილი სპარსი წარჩინებულის საჰიბ დივანის ხოჯა შამშადინის ცოლი იყო. ის 1280-იანი წლების მეორე ნახევარში, ირანში ხანგრძლივი ხოვრების შემდეგ, მას მერე, რაც მისი მეუღლე სიკვდილით დასაჯეს, ვაჟთან ერთად სამშობლოში დაბრუნდა და მამისეული ქონების დაბრუნებას შეუდგა.

კვირანცის მოხატულობა, რომელიც შუა საუკუნეების რელიგიური მხატვრობის კანონიკურ, თითქოსდა მკაცრად სტანდარტიზებულ სფეროში დამკვეთის ინდივიდუალური გემოვნების თვალსაჩინოებასთან ერთად, მისი არჩევანის თავისუფლებას, დღევანდელი გაგებით კონსერვატიულისა და პროგრესულის გაუმიჯნავ თანაარსებობას, პროგრამული და მხატვრული გადაწყვეტის ნიშნების ესოდენ მოულოდნელ კომბინაციათა შესაძლებლობას ცხადყოფს, მკაფიოდ ათვალსაჩინოებს ახალ დროში დამკვიდრებულ აღქმაზე დაყრდნობით შუა საუკუნეების ხელოვნების ნიმუშთა განხილვისა და შეფასების პირობითობას და გვიბიძგებს დავფიქრდეთ თუ რამდენად ემთხვევა ზოგადად შუასაუკუნოვან ნიმუშთა ჩვენეული აღქმა და შეფასება ძველი დამკვეთებისა და მაყურებლებისას? აუცილებლად ნიშნავდა კი მაღალი/ელიტური ხელოვნება დღევანდელ წარმოსახვაში დამკვიდრებულ კონსტანტინოპოლურ სტანდარტს? იზომებოდა კი ეს სტანდარტი დღეს გაზიარებული ესთეტიკური ნიშნებით? თუ სხვა საკითხებს, რომლებიც განსაკუთრებულად აქტუალური გახდა თანამედროვე ბიზანტინისტურსა თუ მედიევისტურ კვლევებში.

2	მარინე ყენია	ყოვლადწმინდა ღმრთისმშობელი და სვანეთის შუასაუკუნოვანი მხატვრობა ISSN 1512-1321	საქართველოს სიძველენი, #22, 2019	თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი	19
---	--------------	---	--	---------------------------------------	----

წერილი ეძღვნება ღმრთისმშობლის სახის ასახვას შუა საუკუნეების სვანეთის მხატვრობაში და იმაში გარკვევას, თუ რამდენად სამართლიანია ჩვენს მეცნიერებაში დამკვიდრებული და საყოველთაოდ გაზიარებული დებულება, რომ სვანთა რელიგიური წარმოდგენების თავისებურებებიდან გამომდინარე, დედა ღვთისას არ ენიჭებოდა რაიმეგვარად გამორჩეული მნიშვნელობა წმ. მთავარანგელოზთა, წმ. გიორგისა თუ წმ. ბარბარესთან შედარებით და, შესაბამისად, მას უმნიშვნელო ადგილი ეკავა სვანეთის ხელოვნებაში.

სვანეთის მოხატულობებში წარმოდგენილ ღმრთისმშობლის სახეთა იკონოგრაფიულ ტიპებსა და მათ თავისებურებებზე, მოხატულობათა ერთიან დეკორატიულ სისტემაში ამ გამოსახულებათა ადგილზე, მათ სხვადასხვაგვარ საღვთისმეტყველო საზრისსა და მთლიანი პროგრამის შინაარსთან მიმართებებზე დაკვირვება ადასტურებს, რომ სურათი ასეთი ერთმნიშვნელოვანი არ არის.

ღმრთისმშობლის სახე სვანეთში მრავალგვარ კონტექსტში, სხვადასხვა შინაარსობრივ აქცენტებადაა მოხმობილი. მისი დიდების საკონქო თემად გამოყენების მაგალითებიც არსებობს, საკურთხეველის მოხატულობათა კედლის რეგისტრებში წარმოდგენის შემთხვევებიც, დარბაზის მოხატულობაში ცალკე ან წმ. ანასთან წყვილში, "ხატებად" გამოსახვის ნიმუშებიც და საუფლო სცენებში უჩვეულოდ ჩართვის მაგალითებიც. მის მრვალრიცხოვან გამოსახულებებს, რომლებიც იკონოგრაფიული ტიპების მრავალფეროვნებით გამოირჩევა (ნიკოპეა, ოდიგიტრია, ელეუსა, პლატიტერა, გალაქტოტროპუსა) მეტად მნიშვნელოვანი ადგილი აქვს მიკუთვნებული არა მარტო ეკლესიების ინტერიერის

მოხატულობათა პროგრამებში, არამედ ფასადების ფერწერულ დეკორშიც. მეტად საგულისხმოა, აგრეთვე, ღმრთისმშობლის იკონოგრაფიული ტიპების მრავალფეროვნება და მისი სახის დიდი "პოპულარობა" სვანეთის ხატწერასა თუ ჭედურ ხელოვნებაშიც.

წერილში განხილული მასალა ნათლად ადასტურებს, რომ სვანური ფერწერული სკოლის განვითარების მთელს მანძილზე - IX-X საუკუნიდან მოყოლებული, ვიდრე XVII საუკუნის ჩათვლით - ღმრთისმშობლის მნიშვნელოვანება არათუ დამცრობილ-უგულებელყოფილი, არამედ საგანგებოდაა აქცენტირებული.

3.	კიტი მაჩაბელი	ლიტურგიკული ხელოვნების ერთი ნიმუში საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან ISSN 1512-1321	საქართველოს სიბველენი, #22, 2019	თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი	9
----	---------------	--	--	--	---



სტატიაში განხილულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი) დაცული ქრისტოლოგიური რელიეფური სცენებით შემკული ბრინჯაოს საცეცხლური. ეს არის ამ ლიტურგიკული ნივთის პირველი პუბლიკაცია.

საცეცხლურის მხატვრულ-იკონოგრაფიულმა კვლევამ საშუალება მოგვცა თვალი გაგვედევნებია ქრისტიანულ ქვეყნებში აღმოსავლურქრისტიანული იკონოგრაფიის

გავრცელებისა და ადგილობრივ ოსტატთა მიერ მისი შემოქმედებითი გამოყენების პროცესისათვის. ბრინჯაოს საცეცხლური თავისი მხატვრულ-სტილური ნიშნებით მე-10-11 საუკუნეთა ადგილობრივ მხატვრულ სახელოსნოს ქმნილებაა, რომელიც სახარების სცენების შერჩევასა და ნარატიული სცენების იკონოგრაფიაში ზუსტად იმეორებს მე-6-7 სს. სირიულ-პალესტინურ მოდელებს. ქართველი ოსტატი ერთგულია წმინდა მიწიდან მომდინარე მხატვრული ტრადიციისა, რომელსაც იგი იყენებს ადგილობრივი მხატვრული პრინციპებისა და მიდგომების შემოქმედებითად გამოყენებით.

4	ცისია კილაძე	ლხინის სცენები ქართულ მოდერნისტულ მხატვრობაში - სივრცსა და დროის ასპექტები ISSN 1512-0899	ACADEMIA, #8, 2019-2020	თბილისი, სამხატვრო აკადემია	მიღებულია დასაბუქდად
---	--------------	--	----------------------------	-----------------------------------	-------------------------



ლხინის თემა ქართულ მოდერნისტულ მხატვრობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და პოპულარული თემაა. ალბად მაშინვე ნიკო ფიროსმანის მხატვრობა გაგვხსენდება. სადაც ლხინი წარმოგვიდგება როგორც უნივერსალური, საკრალური მოვლენა, სიმბოლური მნიშვნელობის რიტუალი, რომელსაც არც დასაწყისი აქვს და არც ბოლო. ფიროსმანის წვეულება ყოველთვის ღია ცის ქვეშაა, ჰაერზე, ვენახში, მინდორში, დუქანთან ოღონდ არა ინტერიერში. მოქეიფენი განსაზღვრულ ადგილას არასდროს არიან, გარემო პირობითია. ეს ეპიკური მოვლენაა, იმპერსონალური, მარადიული და უსასრულო. ფიროსმანის შემდგომ მოდერნისტ მხატვრებთან

მსოფლგანცდა მკვეთრად იცვლება. სამყაროს მთლიანობა და მუდმივობა, მარადიულობის შეგრძნება ირღვევა და ერთგვარი კონტრასტები, წინააღმდეგობის განცდა ჩნდება, მატულობს

სუბიექტივიზმი და სამყაროს ერთიანობაც თითქმის მოზაიკასავით იშლება სხვადასხვა ასპექტებად. ფიროსმანის იმპერსონალური ზედროული დღეობებისგან განსხვავებით მოდერნიზმის მხატვრები პერსონალურ სივრცეს და დროის განსხვავებულ, ზოგჯერ პარადოქსულ და სინთეტურ სპექტრს გვიჩვენებენ. თუმცა მაინც ლხინის როგორც ერთგვარი მისტიკის ჩვენება გრძელდება. ყველა მხატვარი სუბიექტურ ჭრილში ახდენს მის ტრანზფორმაციას, თუმცა მიუხედავად ამისა რჩება მთავარი ხაზი - ლხინი როგორც სამყაროს ფილოსოფიური სახე, რომელიც შუა საუკუნეებიდან და ფიროსმანიდან მოდის. როგორც სიმბოლო შესაქმნის მეშვიდე დღისა, როდესაც წუთისოფლის დაუნდობელი დინებისგან შესვენება და მარადიულის, აბსოლუტური რეალობის გახსენება ხდება. გარდა ამისა დღესასწაულის თემა თვით ქართული მოდერნიზმის სიმბოლოდაც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რაკილა ლხინი ქართული კულტურის დიაობასაც ასახავს. ქართულ-ტფილისურმა ავანგარდმა ხომ სადღესასწაულო სუფრასავით მოიკრიბა განსხვავებული კულტურები და დაპირისპირებულთა ერთიანობა შექმნა.

5	სამსონ ლეჟავა	ნიკო ფიროსმანაშვილი და ძველი აღმოსავლეთის ხელოვნება (საკითხის დასმისთვის) ISSN 1512-0899	ACADEMIA, #8, 2019-2020	თბილისი, სამხატვრო აკადემია	მიღებულია დასაბეჭდად
სტატიაში განიხილება ძველი აღმოსავლეთის ხელოვნების მიმართება ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედებასთან. ნაშრომში გ. ჩიტაიას, ვ. კოტეტიშვილის, ნ. ბერძენიშვილის, გ. ხოშტარიას, კ. ზდანევიჩის კვლევებზე დაფუძნებით, ნაჩვენებია ნიკო ფიროსმანაშვილისა და ასევე, მემორიალური ძეგლების (საფლავის ქვები) მიმართებანი ძველი აღმოსავლეთის ხელოვნებასთან, თუმცა ამასთანავე, გაანალიზებულია შუა საუკუნეთა ხელოვნების როლიც (კერძოდ განსაკუთრებით - ხატწერისა).					
6	დიმიტრი თუმანიშვილი	თანამედროვე ხატწერის პრობლემებზე ISSN 1512-1321	საქართველოს სიბეველნი, #22, 2019	თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი	20
წინამდებარე ტექსტი ჩანაწერია დიმიტრი თუმანიშვილის საჯარო მოხსენებისა, რომელიც მან 2019 წელს გიორგი ჩუბინაშვილის ცენტრში წარმოადგინა და რომელიც თანამედროვე საეკლესიო ხელოვნებისთვის მეტად მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებს ეხება. როგორი უნდა იყოს თანამედროვე ხატი და მისი სამეტყველო ენა, რა კრიტერიუმებით და ფორმისმიერი ნიშნებით განისაზღვრება მისი ხატობა, რა სხვაობაა ხატსა და რელიგიურ სურათს შორის, როგორია ხატის აღქმა და ფუნქცია დასავლეთსა და აღმოსავლეთსაქრისტიანოში, რა განაპირობებს სხვადასხვა დროის საეკლესიო მხატვრობის განსხვავებულობას და რა კრიტერიუმებით იზომება ამა თუ იმ დროის ოსტატობა, სავალდებულოდ უნდა მისდევდეს თანამედროვე ხატმწერი ძველ მოდელებს, თუ თავისუფალი იყოს გამომსახველობითი ხერხების არჩევანში, როგორ ვიპოვოთ ის მიჯნა ხორციელსა და სულიერს შორის, რომელიც ხატმწერს დაეხმარება შექმნას განდვრთობილი სხეულის დღევანდელი ხატი, რომელსაც თანამედროვე ადამიანი თავისად აღიქვამს – ამ და თანამედროვე ხატწერასთან დაკავშირებულ სხვა არაერთ მნიშვნელოვან საკითხზე მსჯელობს თავის მოხსენებაში დიმიტრი თუმანიშვილი.					
7	ქეთევან მიქელაძე	ელენე ვინოგრადოვას სტატიის -	ACADEMIA,	თბილისი,	6

		„გელათის ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთი ეგვტერის მოხატულობები და XIV საუკუნის ბიზანტიური მხატვრობა“ - თაობაზე ISSN 1512-0899	7, 2018-2019	სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	
ელენე ვინოგრადოვას სტატიის (Росписи юго-восточного придела собора в Гелати и византийское искусство XIV в., Лазаревские чтения. Искусство Византии, Древней Руси, Западной Европы, 6 (XXXVII), материалы научной конференции, 2013, М., «КДУ», «Университетская книга», 2018, გვ. 56-92) მიზანს გელათის ღმრთისმშობლის შობის ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთი ეგვტერის (დავით ნარინის ეგვტერი) მოხატულობის დათარიღება წარმოადგენს. ავტორი არ ეთანხმება აქამდე მიღებულ თარიღს - მე-13 ს-ის ბოლოს (1292-1293) და მოხატულობას მე-14 ს-ის ბოლოს (1370-1387) მიაკუთვნებს. მხატვრობის დათარიღებისა და ინტერპრეტაციის მისი ვერსია იმდენადაა მოკლებული სამეცნიერო საფუძველს, რომ მასთან კამათს აზრი ეკარგება. წარმოდგენილი წერილი ეძღვნება არა ე. ვინოგრადოვასთან დისკუსიას, არამედ მის მიერ ციტირებისა და ფაქტობრივი მასალის მოხმობისას დაშვებულ ისეთ უხეშ შეცდომებს, რომელებიც მიუღებელია კვალიფიციური სამეცნიერო პუბლიკაციისთვის. ე. ვინოგრადოვა სტატიაში თავისი შეთხზული მოსაზრებების ავტორად მასახელებს. თვალსაჩინოებისთვის წარმოვადგენ ამონარიდებს მისი სტატიიდან და მის მიერვე ციტირებული ჩემი ნაშრომებიდან: 1. ე. ვინოგრადოვა, გვ. 60: “დასავლეთ კედელზე გამოსახული იყო ორმაგი პორტრეტი: სამეფო კაბით მოსილი დავითი, რომელსაც ცის სეგმენტში გამოსახული ქრისტე აკურთებს..., მარჯვნივ გადმოცემული ფიგურისგან უმნიშვნელო ფრაგმენტილა შემორჩა. უწინ მას დავით ნარინის მეუღლედ მიიჩნევდნენ, მაგრამ ქ. მიქელაძემ მამაკაცის თავსაბურავის გარჩევა მოახერხა. მისი აზრით, აქ გამოსახული იყო ნარინის ბიძაშვილი და თანამოსაყდრე (1245-59 წწ.) ერთიანი საქართველოს სამეფო ტახტზე, დავით ულუ (ქ. მიქელაძე, დავით ნარინის ეგვტერის მოხატულობა, ლიტერატურა და ხელოვნება, 2, 1999, გვ. 105-106)”. სინამდვილეში ჩემს სტატიაში წერია: “ქვემოთ კედელზე...დავით ნარინის პორტრეტია ქრისტეს ფიგურისკენ ვედრებად ხელგაწვდილი; მარჯვნივ მხოლოდ შარავანდის ბუნდოვანი მოხაზულობა იკითხება. თ. ვირსალაძე მას დედოფლის გამოსახულებად მიიჩნევს, რაც ჩვენთვისაც სავსებით მისაღებია; იგივეს ვიმეორებ უფრო ქვემოთაც (ქ. მიქელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 102; 107). ნათელია, რომ აქ არც მამაკაცის თავსაბურავზეა საუბარი და არც დავით ულუზე, არამედ დედოფალზე. ამ საკითხს სხვა ჩემს ნაშრომებშიც ვეხები, მათ შორის, იმ სტატიაშიც (ქ. მიქელაძე, XIII-XIV საუკუნეების საძვალეთა მოხატულობის ზოგიერთი თავისებურება, ძეგლის მეგობარი, 3, 1999, გვ. 30), რომელიც ვინოგრადოვასთვისაცაა ცნობილია (ე. ვინოგრადოვა, დასახ. ნაშრ. გვ. 57, შენ. 3). 2. ე. ვინოგრადოვა, გვ. 60-61: “...აქ რომილიდაც მეფეა (თ. ვირსალაძის თანახმად, ის კვლავ დავით ნარინია) გადმოცემული, რომლისგანაც ამჟამად ცოტა რამ გადარჩა“ და იქვე, შენიშვნაში - თ. ვირსალაძის “ატრიბუციას ქ. მიქელაძეც იზიარებს“ (გვ. 61, შენ.23) და ისევ ჩემი სტატიაა (ქ. მიქელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 105-106) დამოწმებული, რომელშიც მე პორტრეტის იდენტიფიკაციისგან თავს ვიკავებ: ‘საკითხი იმის შესახებ, თუ სახელდობრ ვინ იყო გამოსახული, ჯერჯერობით, ღიად რჩება’ (ქ. მიქელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 106). თუმცა სხვა ჩემს ნაშრომებში ვივარაუდებ, რომ პორტრეტზე გამოსახული უნდა ყოფილიყო ვახტანგ II, დავით ნარინის ვაჟი, მაგრამ ე. ვინოგრადოვამ ამის ამოკითხვა ვერ შეძლო მის მიერვე ციტირებულ წიგნში (გელათი, თბილისი, 2007, გვ.262). 3. ე. ვინოგრადოვა, გვ. 57, შენ. 4: “ქ. მიქელაძე... აღნიშნავს, რომ თ. ვირსალაძის მოსაზრებით, აქ მოხატულობის ორი ფენა იყო, რომელთაგან ერთს ის 1292-1293 წწ-ით ათარიღებდა, ხოლო დავით ნარინის სამონაზვნო პორტრეტს უფრო მოგვიანო, მისი გარდაცვალების შემდგომ ხანას და ფერწერის სხვა ფენას მიაკუთვნებდა, მაგრამ თ. ვირსალაძის ნაშრომებში...ასეთი შეხედულება ვერ ვნახეთ“; მითითებულია ჩემი ორი პუბლიკაცია (ქ. მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 114; გელათი..., გვ. 10). თ. ვირსალაძის შრომებში ამ მოსაზრებას ნამდვილად ვერ ნახვდა, მაგრამ ვერც ჩემს პუბლიკაციებში მიაგნებდა მას. ჩემი სტატიის მითითებულ გვერდზე (ქ. მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 114) ლაპარაკია დავით ნარინის ეგვტერის მოხატულობის ზედა ფენასა (მე-13 ს. ბოლო) და თავდაპირველი (მე-12 ს.)					

მხატვრობის ფრაგმენტებზე.

ე. ვინოგრადოვა მეტად მწირ ცოდნას ავლენს გელათის (საერთოდ შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის) მოხატულობათა შესახებ; ის ჯეროვნად არც ფაქტობრივ მასალას იცნობს, არც სამეცნიერო ლიტერატურას. საკმარისია დავასახელოთ რამდენიმე მაგალითი: მან არ იცის, რომ მოხატულობის სამი ფენა დავით ნარინის ეგვტერსა და ტაძრის სამხრეთ კარიბჭეში და ყველას მე-14 ს-ს მიაკუთვნებს; ეგვტერის არკოსოლიუმში მკურნალთა ფიგურებს ხედავს, თუმცა იქ ნალესობის კვალიც კი არ არის შერჩენილი; მე-16 ს-ის გამოსახულებებს ზოგჯერ მე-14 ს-ად მიიჩნევს და სხვა. ზემოთ ჩამოთვლილსა და სხვა არაერთ ამგვარ შეცდომას ე. ვინოგრადოვას ტექსტი ყალბი ინფორმაციის გავრცელების კატეგორიაში გადაჰყავს და შეუძლებელს ხდის სამეცნიერო დისკურსს. თავს უფლებას მივცემ ვურჩიო მას მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოს საქმეს, სათანადოდ მოემზადოს და ნუ შეეჭიდება იმას, რისი ცოდნაც და გამოცდილებაც აკლია.

8	დიმიტრი თუმანიშვილი	საბჭოური არქიტექტურის გაგებისთვის ISSN 1512-0899	ACADEMIA, 7, 2018-2019	თბილისი, სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	12
---	--------------------------------	---	-----------------------------------	---	----

ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმის შენობის ფასადი სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ განიხილება, როგორც შუა საუკუნეების ეროვნული ხუროთმოძღვრების თანამედროვე „რენაიმაციის“ წარმატებული შემთხვევა. ფასადის პროექტი 1923 წელს იყო შემუშავებული, თუმცა, როგორც ირკვევა,



ამგვარი გადაწყვეტა ჯერ კიდევ 1920 წელს იყო შემოთავაზებული, გიორგი ჩუბინაშვილის ინიციატივით. ასეთნაირად კი გამოდის, რომ დამოუკიდებლობის ხანაში (1918-1921) დაწყებული ძალისხმევა საბჭოთა დროსაც გაგრძელებულა.

როგორც ჩანს, შეცვლილ პოლიტიკურ გარემოში, დუმილი იმაზე, რაც წინა ხანაში შეიქმნა, დაწყებული კულტურული მუშაობის გადარჩენის საშუალებას წარმოადგენდა. ის, რომ მუზეუმის ფასადი მის „მინაარსზე“, როგორც ეროვნული წარსულის, მემკვიდრეობის საცავზე, მიმანიშნებელი უნდა ყოფილიყო, შემდეგით დასტურდება: მისი წინამორბედი - კლასიციზტური სტილის ნაგებობა (არქ. ა. ზალცმანი, ლ. ბილფელდი), რომელიც კავკასიის მუზეუმს ეკუთვნოდა, კავკასიას სიმბოლურად, კლასიკურ ანტიკურ სამყაროს უკავშირებდა, მაშინ როდესაც ნაგებობის „ისლამური“ იერსახე, რომლის განხორციელება 1910 წელს დაიგეგმა (არქ. მ. ნეპრინცევი), მთლიანობაში მას „რუსულ აღმოსავლეთს“ უკავშირებდა.

9	სამსონ ლეყავა	კონფერენცია „ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება“ (წარსული აწმყო მომავალი) 1512-0899	ACADEMIA, 7, 2018-2019	თბილისი, სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	13
---	----------------------	--	-----------------------------------	---	----

წერილში განხილულია შედეგები კონფერენციისა „ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება“ (წარსული აწმყო მომავალი), რომელიც გ. ჩუბინაშვილის ცენტრში ჩატარდა 2018 წლის 20-21 ნოემბერს. განხილულია კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები და ის ძირითადი საკითხები, რომლებიც ხალხური ხუროთმოძღვრების წარსულსა და დღევანდელ მდგომარეობას უკავშირდება. კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების თავისებურებებსა და მის გენეზისს, ასევე კვლევის სამომავლო მიზნებსა და სტრატეგიებს.

10	Mariam Didebulidze	Representation of Architecture in Medieval	Bulletin of the Georgian National Academy of Sciences,	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა	6
----	-------------------------------	---	---	---	---

		Georgian Murals ISSN – 0132-1447	vol. 13, no.3, 2019	ეროვნული აკადემია	
ბოლო ათწლეულებში საგრძნობლად გაიზარდა ხელოვნებათმცოდნეთა ინტერესი შუა საუკუნეების სახვით ხელოვნებაში არქიტექტურის გამოსახვის მიმართ, ვინაიდან, როგორც ცნობილია, მისი მხატვრული გადაწყვეტა ბევრ წილად ასახავს ოსტატის, კულტურული გარემოს, ეპოქის მსოფლმხედველობას. თუმცადა ქართულ მეცნიერებაში ეს საკითხი სათანადოდ შესწავლილი არ არის. წარმოდგენილი სტატიის მიზანია დადგინდეს არქიტექტურის გამოსახვის სპეციფიკური ხასიათი შუა საუკუნეების ქართულ მხატვრობაში და გამოიკვეთოს როგორც საზიარო, ასევე განსხვავებული ნიშნები ბიზანტიური მხატვრობის ნამუშევრებთან. მხატვრობაში ხუროთმოძღვრების გამოსახვის ხასიათისა და შინაარსის ანალიზის საფუძველზე გამოყოფილ იქნა ექვსი ფუნქციური ჯგუფი, სახელდობრ: 1. არქიტექტურა ზოგადად; 2. რეალურად არსებული ნაგებობების გამოსახულებანი, როგორც საქტიტორო პორტრეტების შემადგენელი ნაწილი; 3. არსებული ნაგებობების გამოსახულებანი ისტორიული შინაარსის სცენებში; 4. ქალაქ იერუსალიმის გამოსახულებები; 5. ზეციური იერუსალიმის გამოსახულებები; 6. უფლის საფლავის გამოსახულებანი. სტატიაში განხილულია დასახელებული ჯგუფების შესაბამისი გამოსახულებანი ქართულ კედლის მხატვრობაში, როგორც ამ ხელოვნების თავისებური ხასიათის დადასტურება. ქართული ფერწერის ნაწარმოებების განხილვა განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ცხადყოფს, რომ მათი სივრცითი გადაწყვეტა განსხვავებულია იმ ქრისტიანული ქვეყნების ხელოვნებისგან, რომლებსაც უფრო ძლიერი ელინისტურ-რომაული კულტურული ტრადიცია ჰქონდათ – ქართული ნიმუშების უფრო მიდრეკილია სიბრტყოვანებისკენ. საგანგებო ყურადღება ეთმობა ეკლესიათა მოდელების გამოსახვას, რომლებსაც ქტიტორები მიაერთმევენ ზეციურ მფარველებს. არქიტექტურული ანტურაჟის მნიშვნელოვნება განხილულია რამდენიმე კონკრეტული ნიმუშის საფუძველზე, რომლებიც მოწმობს შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების სპეციფიკურ ხასიათს და შუა საუკუნეების ოსტატთა და მათი დამკვეთების მხატვრული და სახითმეტყველებითი მიდგომების საგულისხმო ხედვას გვთავაზობს.					
11	David Khoshtaria	Persian Master Builders in the Cities of the Nineteenth-Century Georgia ISSN - 0132 - 1447	მოამბე Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, Vol.13, no 2, 2019	თბილისი, საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემია	5
XIX საუკუნის საქართველოში მომუშავე მშენებელთა შორის სპარსელები მნიშვნელოვან ჯგუფს შეადგენდნენ. ისინი ცნობილი იყვნენ, როგორც აგურით შენების აღიარებული ოსტატები. მათ არსებითი წვლილი შეიტანეს ადმინისტრაციული შენობების, ყაზარმების, საავადმყოფოების, ქარვასლებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში. სპარსელ ოსტატთა საქმიანობის მეორე სფერო ინტერიერების გაფორმება იყო. ისინი იყენებდნენ სეფიანთა და ყაჯართა დროის დეკორატიული ხელოვნების მდიდარ რეპერტუარს – ნაძერწ ორნამენტს, მხატვრობას, სარკეებს. მათ დამკვეთთა შორის იყვნენ მაღალი რანგის მოხელეები, მდიდარი ვაჭრები, წარჩინებულები და რუსეთის სამეფო ოჯახის წევრებიც კი. „სპარსული სტილის“ ინტერიერების შემკობაში წამყვან როლს სპარსეთიდან მოწვეული ოსტატები ასრულებდნენ, თუმცა იყვნენ ადგილობრივი ხელოსნებიც. სპარსელები ასევე ჩართულნი იყვნენ ჰიდროტექნიკური ნაგებობების – არხების, ჭების, კაშხლების მშენებლობაში.					
XIX საუკუნის I ნახევარში სპარსელი მშენებელი ოსტატების საქმიანობის არეალი აღმოსავლეთ საქართველოთი იფარგლებოდა. მათი უმეტესობა თბილისში მუშაობდა. მომდევნო ათწლეულებში,					

სპარსეთიდან მასობრივი ემიგრაციის კვალდაკვალ, მათი ჯგუფები შავიზღვისპირა ქალაქებშიც – ბათუმსა და ფოთშიც გაჩნდა.

12	მანანა სურამელაშვილი	მუცო - მთის ტრადიციული გამაგრებული დასახლების უნიკალური ნიმუში ISSN 1512-1321	საქართველოს სიძველენი, №22, 2019	თბილისი, ბ. ჩუბინაშვილის ცენტრი	16
----	---------------------------------	---	--	--	----

საქართველოს ჩრდილოეთ მაღალმთიან საზღვრისპირა ზოლში შემორჩენილია არაერთი ისტორიული გამაგრებული დასახლება, რომელთა დაცვა მნიშვნელოვან საზრუნავს წარმოადგენს. ეს დასახლებები მთელი ისტორიის მანძილზე ასრულებდა ქვეყნის ჩრდილოეთი საზღვრის დაცვის ფუნქციას. მათგან ზოგიერთმა სოფელმა საბოლოოდ დაკარგა ამ რიგის დასახლებისთვის დამახასიათებელი სახე (მაგ. ზემო რაჭის სოფელი ღები), ბევრი მათგანი კი, - განადგურების პირასაა (პირიქითა ხევსურეთისა და თუშეთის არაერთი ნასოფლარი).

მუცო პირიქითა ხევსურეთის ერთ-ერთ არქაულ გამაგრებულ დასახლებას და მნიშვნელოვან



სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა, რომელიც მდ. ანდაქისა და მისი შენაკადი – მუცოს წყლის ხერთვისში აღმართული მაღალი კლდის ციცაბო ფერდზე მდებარეობს (ზღ. დ-დან 1880 მ). ხეობიდან მთის წვერამდე გაყვანილი ფიქლის ფილებით მოგებული გზა, კლდეში ნაკვეთი საფეხურები, ბაქნები და ტერასები, დასახლების შიგნით დაქსელილი ქუჩა-კიბეები, სახლებს შორის დაკიდული გადასასვლელები, რაზეც კედლებში შემორჩენილი კოჭის ბუდეები მიუთითებს, - აჩვენებს, რომ მუცო კარგად მოწყობილი

დასახლება ყოფილა.

მუცოში განსხვავებული სტრუქტურის ორი უბანი გამოიყოფა. განაშენიანების ძირითად ბირთვს შეადგენს მთელ ჩრდილო კავკასიაში გავრცელებული ხალხური საცხოვრებლის ტიპი - ციხე-სახლი, რომელიც კლიმატურ-გეოგრაფიულ პირობებთან და მეურნეობის დარგებთან შეთანხმებულ მრავალფუნქციურ, კომპლექსს წარმოადგენს. ციხე-სახლებისა და კოშკებისგან შემდგარი ურბანული განაშენიანება უსამკაულო, შიშველი კედლების ასკეტური სისადავით იქცევეს ყურადღებას.

დასახლების მიდამოებში განაწილებულია მიწისზედა აკლდამებისგან შემდგარი სამი სამაროვანი.

განაშენიანებიდან დაშორებით, მთის თხემს აგვირგვინებს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი, საკრებულო - „ბროლისკალო“, რომელიც მონოლითურ კლდოვან კონცხში გამოკვეთილი სამკუთხაზურგანი მონუმენტური სავარძლით დასრულებულ მოსწორებულ, ვრცელ ბაქანს წარმოადგენს. ბაქნის ბოლოს განთავსებულია მთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლი – „წმინდა გიორგის ჯვარი“. თხემს ჩრდილოეთით ასრულებს კოშკის, ციხე-სახლისა და ეკლესიისგან შემდგარი ციტადელი, რომლის წარმოშობას ხალხური ზეპირსიტყვიერება ლეგენდარულ გმირს – თორღვა ძაგანისძეს უკავშირებს.

კოლექტიურ თავდაცვაზე ორიენტირებული მუცოს კომპაქტური სტრუქტურა, საყრდენი კედლებით შემაგრებული კარგად მოწყობილი ურბანული ქსელი, ძირითადად ორ-სამსართულიანი, ვერტიკალური გეგმარების ციხე-სახლების მარტივი აგებულება, შეუვიწროებელი, თანაბარი სილუეტის კოშკები ფართო ღიობებით გახსნილი ბოლო, საბრძოლო სართულით, რომელიც მშვილდ-ისრის, შურდულის და ქვების გამოყენებით ბრძოლისთვის იყო მხოლოდ ხელსაყრელი, ადრე შუა

საუკუნეებით დათარიღების საფუძველს იძლევა. ამასვე აჩვენებს საკრებულოს გადაწყვეტის აშკარა არქაულობა; დასახლების ხანდაზმულობის დამადასტურებელია, ასევე, სამაროვნების სიმრავლე (სამი) და შესანიშნავი წყობით ნაშენი აკლდამები. ციტადელი კი, როგორც თემისგან განცალკევებული პიროვნების რეზიდენცია, სავარაუდოდ, განვითარებულ შუა საუკუნეებში უნდა იყოს გაჩენილი და მისი წარმოშობა მუცოს ისტორიის ხანმოკლე ეპიზოდს უნდა უკავშირდებოდეს. განუმეორებელი ლანდშაფტით და არქიტექტურულ ნაგებობათა თვითმყოფადობით გამორჩეული მუცო ბუნებისა და ადამიანის ერთობლივ, უნიკალურ ქმნილებას წარმოადგენს

13	ციცინო ჩაჩხუნაშვილი	ძველი დიკლო და სოფელი დიკლო – ორი განსხვავებული ურბანული სტრუქტურა თუშეთში. ISSN 1512-1321	საქართველოს სიძველენი, № 22, 2019	თბილისი, ბ. ჩუბინაშვილი ს ცენტრი	13
----	--------------------------------	---	--	---	----

დიკლო ჩაღმის თემის სოფელია თუშეთში, ხოლო ძველი დიკლო – საზღვრისპირა ნასოფლარი, რომელიც შეფენილია დიკლოსწყლის და ანდის ყოისუს შეერთების ზევით ამართულ კონცხზე. დაახლოებით სამი საუკუნე იქნება რაც ძველ დიკლოში მუდმივად აღარავინ ცხოვრობს. საცხოვრისის საბოლოოდ დატოვების სავარაუდო დროის პერიოდი XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII მეორე ნახევარს არ უნდა აღემატებოდეს. ძველი დიკლოდან წარმომდგარი სოფელი დიკლო მისგან 2-3 კილომეტრითაა დაშორებული. ადგილმონაცვლეობის დროს ძველ დიკლოში დარჩა ბიჭეხგორის მთავარი სათემო სალოცავი, რომლის სახელსაც იღებს ნასოფლარი და მთა. მოსახლეობისაგან დაცლის შემდეგ დიდოეთის საზღვარზე მდებარე ძველმა დიკლომ, გარდა საკრალური მნიშვნელობისა, გარკვეულად, თავდაცვითი ფუნქციაც შეინარჩუნა.



ბუნებრივი და ხელოვნული წინააღმდეგობით ორ ნაწილად გაყოფილი დასახლება პირობითად კონცხის და დასავლეთ ფერდობის განაშენიანებად, ანუ ზედა და ქვედა უბნად შეიძლება განვიხილოთ. ძველი დიკლოს ზედა უბნის გეგმარებითი სტრუქტურა დიდი სიმჭიდროვით ხასიათდება. მისი მთელი პერიმეტრი შევსებულია ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული გეგმარების და ფართობის მქონე ტერასულად განლაგებული მიჯრით მიდგმული ნაგებობებით. სამშენებლო მასალად გამოყენებულია სხვადასხვა ზომის ფიქლის ქვა, რომელიც უხსნაროდ, მშრალად არის ნაწყობი. ნასოფლარიდან მოშორებით, ძველი დიკლოდან სოფელ დიკლოში მიმავალი ბილიკის სახლოვეს დგას ბიჭეხგორის წმინდა გიორგის ჯვარის საერთო სათემო სალოცავის 36 სმ. სიმაღლის მკვრივი კოშკი.

ადგილი, სადაც ძველი დიკლო მდებარეობს, იმ პერიოდიდან უნდა ყოფილიყო სამოსახლოდ შერჩეული, როდესაც საამისო კლიმატური პირობები შეიქმნა. სტრატეგიულ და მიუზვალ ადგილებში მდებარე ასეთ გამაგრებულ დასახლებებს ბუნებრივი რელიეფი არ აძლევდა დიდად გაშლის საშუალებას, რის გამოც ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე უცვლელი რჩებოდა თავდაპირველი გეგმარება. თუმცა, როგორც ცოცხალ დასახლებას ახასიათებს, პერიოდულად მიმდინარეობდა ნაგებობების განახლება., მაგრამ მიუხედავად იქ არსებული ცალკეული შენობის მოგვიანო თარიღისა, დასახლების გეგმარება და სტრუქტურა მის სიძველეზე მიუთითებს.

სოფელ დიკლოს თავდაპირველი ურბანული სტრუქტურა სახეცვლილია. აქაური მოსახლეობა ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუა წლებამდე ქვის კოშკურ სახლებში ბინადრობდა. აქვე ყოფილა ციხე-გალავანი და მის წინ მდებარე ხალხის შესაკრები მოედანი. ამჟამად სოფელ დიკლოს სახლების

უმეტესობა ძველი ფენების მომცველ შენობებს წარმოადგენს, რომლებიც მშვიდობიან დროში სახეცვლილი. მათი შემოქმედებითად გადაკეთება-გარდასახვა ადგილობრივი ოსტატების და მოწვეული რაჭველი ხელოსნების დიდ ფანტაზიასა და ნიჭზე მეტყველებს.

1836 წლის დასასრულს და 1837 წლის დამდეგს იმიერკავკასიელთა კოალიციური ლაშქარი დიდოელი ალდამის ხელმძღვანელობით შემოიჭრა ამ სოფლებში. სოფლის მოსახლეობას მაშველი ძალის გარეშე მოუწია წინააღმდეგობის გაწევა, რასაც დიდი მხვერპლი მოჰყვა

14	ირინე ელიზბარაშვილი	ჟონთიო, პირიქითა თუშეთის გამაგრებული დასახლება. ISSN 1512-1321	საქართველოს სიძველენი, #22, 2019	თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი	10
----	----------------------------	--	--	--	----

ჟონთიო, პირიქითა თუშეთის კიდურა დასახლებაა, მთის ფერდს მოფარებული, იგი მიახლოვებისას უცებ იშლება მნახველის წინაშე. მისი მასშტაბურობა, გრანდიოზულობა და მონუმენტურობა გამორჩეულს ხდის ჟონთიოს სხვა თუშურ დასახლებებს შორის. მნიშვნელოვანმა სასაზღვრო სტრატეგიულმა დანიშნულებამ, გარკვეულწილად განაპირობა დასახლების გეგმარებითი სტრუქტურის გამორჩეული ხასიათი.

ჟონთიო გრანდიოზული, ურბანული ტიპის დასახლებაა, რომელიც მაღალი მთის ჩრდილოეთ ფერდზეა განფენილი და მდინარის პირამდე ჩადის. განაშენიანება მიმართულია სამხრეთით, მდინარე ქვახიდისწყლისკენ. შენობები ტერასულად არის განლაგებული და მთის ფერდს რკალისებრად, განში მიუყვება. სოფლის განაშენიანება ორი ძირითადი უბნისგან შედგება.

ქუჩით გამიჯნული ორი უბნის გარდა, დასახლების ზედა ნაწილში ყველაზე მაღალ ადგილას, ბორცვის თავში, თითქმის ერთ ჰორიზონტალურ დონეზე, ხაზგასმულად გამოყოფილი ორი მოცულობაა. აღმოსავლეთით საგუშაგო კოშკი, ე.წ. „დათოს ციხე“, დასავლეთით კი ციხე-სახლი, რომელიც „დახურული ციხის“, სახელით არის ცნობილი. სოფლის ქვედა ნაწილში, დასახლების საპირისპირო მხარეს, მისგან ოდნავ მოცილებული, მდინარის გაღმა, კლდოვან ბორცვზე, ორი შეტყუებული ციხე-სახლი, ე.წ. „ჭალის ორი ციხეა“ დაცული, რომელიც ერთიან, კომპაქტურ კომპოზიციას წარმოადგენს. მდინარის პირას აღმართულ კლდოვანი კონცხის მცირე ფართს მთლიანად ავსებს ერთ მუჭად შეკრული ციხე-სახლები. მათი მოცულობათა ერთიანობა ციხესიმაგრის შთაბეჭდილებას ტოვებს

ჟონთიოს განაშენიანების სტრუქტურა, მსგავსად ჰედოსი - არქაულია. თუკი დართლოში, ფარსმასა და გირევი უფრო ადრეული ნაგებობები დასახლებიდან მოცილებულ, გამოყოფილ, კომპაქტურ



ჯგუფებს ან სოფლის ახალ განაშენიანებაში შემორჩენილ ძველ ნაგებობათა ერთობლიობას წარმოადგენს, ჟონთიო მთლიანად ერთიანი, მძლავრი და დიდი, 5-7 სართულიან ციხე-სახლებისგან შედგენილი დასახლებაა. უკვე ეს, ერთი მხრივ, დასახლების მნიშვნელობაზე, მასშტაბზე და დაცვით ფუნქციაზე მიგვანიშნებს, მეორე მხრივ, მის სიძველეზე მეტყველებს. საგულისხმოა, რომ პირიქითა თუშეთის ოთხივე დასახლებაში საცხოვრებელი უჯრედის ძირითად ტიპს სწორედ ასეთი, მაღალი, მრავალსართულიანი, მოცულობრივი ჩარდახიან

ზოლის ქვეყნების ტერიტორიაზე არსებულ მთელ რიგ დასახლებებში გვხვდება. საბედნიეროდ, ეს ის შემთხვევაა, როცა კედლების მუდმივი განახლებისას, შენარჩუნებულია დასახლებათა გეგმარება, , ქუჩათა ქსელი, თავად შენობების მასშტაბი და მოცულობა. ახალი დეტალები და არქიტექტურული ელემენტები კი ორგანულად არის ჩაწერილი ამ არქაულ სტრუქტურაში.

15	მარიამ გაბაშვილი	უძველესი ზოომორფული მოტივის მხატვრული რემინისცენციები შუა საკუნების ქართულ ქვაზეკვეთილობაზე ISBN 978-9941-9519-0-9	საერთაშორისო კონფერენციის „კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში“. მასალები	თბილისი გამომცემლობა „უნივერსალი“	5
----	---------------------	---	---	---	---

შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნების კვლევისას ხშირად დგება საკითხი იმის შესახებ, გვხვდება თუ არა წინაქრისტიანული ხანისთვის დამახასიათებელი მხატვრული თემები თუ იკონოგრაფიული მოტივები. და თუ გვხვდება, როგორი სახისაა ისინი, პირდაპირ გადმოსული, ტრანსფორმირებული თუ რემინისცენციული. ვინაიდან ზოომორფულ მოტივებს ორსავე ხანაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და ორივეგან არქეტოპულ პარადიგმებად შეიძლება მოვიაზროთ, უნდა განისაზღვროს მათი მხატვრული და სიმბოლური მნიშვნელობა. კვლევისას გამოვლინდა, რომ ზოომორფული ხატები, სადაც ცხოველები ზურგისკენ მიქცეული თავებით არიან გამოსახულნი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იკონოგრაფიული მოტივია საქართველოს წინაქრისტიანული ხანის ხელოვნებაში, რომელმაც არსებობის ხანგრძლივი გზა განვლო - გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანიდან გვიანანტიკური ხანის ჩათვლით. გარდა ამისა, ისინი გვხვდება სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგში - როგორც გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, სადაც ისინი ლითონზე გრავირების სახით არიან წარმოდგენილნი, ასევე ლითონმქანდაკეობაში. ეს მოტივი სპორადულად გვხვდება ასევე კერამიკულ მოხატულობაში და გლიპტიკაზეც.



სწორედ ცხოველთა ამგვარმა იკონოგრაფიულმა სახემ განაგრძო არსებობა ქართული ქრისტიანულ ხელოვნებაში ქვაზეკვეთილობაზე, კერძოდ, რელიეფურ პლასტიკაში, სადაც ისინი ინერციითა თუ სხვა რაიმე მიზეზით უფრო მეტი რაოდენობით გვხვდება ადრექრისტიანულ ძეგლებზე. ესენია: ქვაჯვარები, კანკელის ფილები, კაპიტელები. უფრო ნაკლებად რაოდენობითაა ისინი წარმოდგენილი განვითარებული შუა საუკუნეების საფასადო წყობასა და მორთულობაში. აღსანიშნავია, ისეთი მნიშვნელოვანი თემა, როგორიცაა წმ. ევსტატე პლაკიდას ნადირობა, სადაც ეს მოტივი, სწორედ ამ კონკრეტულ სცენაში იმავე პლასტიკური გამომსახველობით და მხატვრული მიდგომითაა შესრულებული, როგორსაც მას წინაქრისტიანულ ნიმუშებზე ვხვდებით. მიუხედავად ქრისტიანული ხელოვნების სრულიად განსხვავებული მსოფლმხედველობისა და ესთეტიკისა, ზურგისკენ თავმოქცეული ცხოველების იკონოგრაფია მაინც ინარჩუნებს თავის ინდივიდუალურ მხატვრულ სახეს, რომელშიც უძველესი პარადიგმების მრავალშრიანი კონტექსტიც შეიძლება

16	მარიამ გაჩეჩილაძე	გივი ვაშაკიძის შემოქმედება ISSN 1512-4088	ARS GEORGICA ელექტრონული ჟურნალი. სერია B.	თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი (www.georgianart)	11 (მიღებულია გამოსაქვეყნებ ლად)
----	----------------------	---	--	---	---

			2019	.ge)	
სტატიში ხდება გივი ვაშაკიძის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების მოკლე მიმოხილვა. გრაფიკული და ფერწერული ნამუშევრების ქრონოლოგიური მიმოხილვით გამოიკვეთება მხატვრის შემოქმედების განვითარების ძირითადი ხაზი. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მის მიერ შესრულებულ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანის“ ილუსტრირებას. სტატიის მიზანია ფართო საზოგადოებას გააცნოს მისი ინდივიდუალური, სრულიად გამორჩეული ხედვითა და წერის მანერით ხელწერით შესრულებული ილუსტრაციები. ხაზგასმითაა გამოკვეთილი გივი ვაშაკიძის მიერ შეტანილი წვლილი ამ დიდებული პოემის მხატვრულ გაფორმებაში.					
17	მარიამ გაჩეჩილაძე	ხელოვანის თვალთ დანახული ეროვნული მოძრაობის პროცესები ინტერვიუ ლევან დავითაშვილთან (1989 წლის 9 აპრილის მოვლენების გახსენება) ISSN 1512-4088	ARS GEORGICA ელექტრონული ჟურნალი. სერია B. 2019	თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი (www.georgianart.ge)	(მიღებულია გამოსაქვეყნებლად)
სტატია ეხება შემოქმედის, ლევან დავითაშვილის თვალთ დანახულ იმ პროცესებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ.					
18	მარიამ გაჩეჩილაძე	ხელოვანის თვალთ დანახული ეროვნული მოძრაობის პროცესები ინტერვიუ გურამ წიბახაშვილთან (1989 წლის 9 აპრილის მოვლენების გახსენება) ISSN 1512-4088	ARS GEORGICA ელექტრონული ჟურნალი. სერია B. 2019	თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი (www.georgianart.ge)	(მიღებულია გამოსაქვეყნებლად)
1989 წლის ტრაგიკული მოვლენებიდან 30 წელი შესრულდა. 9 აპრილი არის უდიდესი ცვლილებების დაწყების თარიღი არა მარტო ქართველი ერის უახლეს ისტორიაში არამედ იქცა დღედ, საიდანაც დაიწყო საბჭოთა იმპერიის ნგრევის შეუქცევადი პროცესები. სტატის მიზანს წარმოადგენს ამ პროცესების დანახვა ხელოვანი ადამიანების თვალთ. ხელოვანებისა რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ იყვნენ ამ ისტორიულ მოვლენის უშუალო მონაწილეები და თვითმხილველნი. (ინტერვიუ მხატვარ ლევან დავითაშვილთან შედგა 2019 წელის 26 მარტს, ხოლო ფოტოხელოვან გურამ წიბახაშვილთან 2019 წელის 3 აპრილის)					
19	მარიამ გაჩეჩილაძე	ინტერვიუ ვახტანგ მუსხელიშვილთან ISSN 1512-4088	ARS GEORGICA ელექტრონული ჟურნალი. სერია B. 2019	თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი (www.georgianart.ge)	(მიღებულია გამოსაქვეყნებლად)
ვახტანგ მუსხელიშვილი თანამედროვე ქართული და ამერიკული ხელოვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. უკვე მრავალი წელია იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ კი სიეტლში ცხოვრობს.					

მისი ნამუშევრები ინახება ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, გერმანიის, ესპანეთისა და საქართველოს სახელმწიფო და კერძო კოლექციებში.

ვახტანგ მუსხელიშვილი ხშირად სტუმრობს თავის სამშობლოსაც. სწორედ ერთერთი ამგვარი სტუმრობისას შედგა ინტერვიუ, რომლის მიზანს წარმოადგენს ფართო საზოგადოებას გააცნოს თანამედროვე მხატვრულ პროცესებში აქტიურად ჩართული ხელოვანის მიერ გააზრებული მსოფლიო და ქართული ხელოვნების დღევანდელი მდგომარეობა და მომავალი განვითარების მისეული ხედვა.

20	ცისია კილაძე	ეროვნული გალერეის ექსპოზიციათა ისტორიიდან ISSN 1512-4088	ARS GEORGICA ელექტრონული ჟურნალი. სერია B. 2019	თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი (www.georgianart .ge	(მიღებულია გამოსაქვეყნებ ლად)
----	--------------	---	--	---	-------------------------------------

ეროვნული გალერეის ამჟამინდელი შენობა თავდაპირველად სამხედრო-ისტორიული მუზეუმი, ე.წ. "სახალხო დიდების ტაძარი" რუსული იმპერიალიზმის მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენდა. მისი ექსპოზიცია XIX სუკუნეში კავკასიაში თურქეთისა და ირანის ექსპანსიასთან დაკავშირებულ ომების ისტორიას ასახავდა, რუსის ჯარის „გმირობას“ კავკასიასა და აზიის მეზობელ ნაწილებში, რუსეთის იმპერიის მიერ წარმოებული სამხედრო მოვლენებისა და იმ მოღვაწეთა სახელების უკვდავსაყოფად, რომელთაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ამ მხარის დაპყრობაში. მიუხედავად გამოფენის ამგვარი იპერიალისტური კონცეფციისა, პარადოქსია, რომ დიდების ტაძრის არსებობამ ქართულ რეალობაში სრულიად საპირისპირო შედეგები გამოიღო. 1888 წელს დაარსებულმა ამ მუზეუმმა მალევე დაკარგა თავისი ფუნქცია და ყოველგვარი აღმზრდელობით-იდეოლოგიური მნიშვნელობა და თანდათან იქცა



შენობად, სადაც ეწყობოდა ადგილობრივ მხატვართა გამოფენები, სავაჭრო-სამრწევლო ნაწარმისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპონატების ჩვენება. 1890 - 1900 იან წლებში აქ თბილისელ მხატვართა ნამუშევრების გამოფენები იმართებოდა. ეს გამოფენები მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა უნდა ყოფილიყო იმდროინდელი თბილისური საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით ქართული დაზგური მხატვრობის განვითარებისთვის. ხოლო 1920 იან წლებში რუსული იარაღის „დიდების

ტაძარი“ ქართული კულტურის ავანგარდულ ცენტრად გადაიქცა, სადაც მოდერნისტ მხატვართა გამოფენები ეწყობოდა და მე-19 საუკუნისთვის ტიპიური სალონური სახის ექსპოზიცია ავანგარდულ სახეს იძენს. თუმცა საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის, სოციალისტური რეალიზმის დამკვიდრების შედეგად ბუნებრივია ექსპოზიციათა ავანგარდული მოწყობის ტენდენციებიც, რომელიც 20-იან წლებში ისახებოდა ხელოვნურად და ტრაგიკულად დასრულდა.

21	მზია ჩიხრაძე, ქეთევან შავგულიძე, მარიამ შერგელაშვილი	ქართველი ემიგრანტი ხელოვანები თანამედროვე ხელოვნების მრავალფეროვან სამყაროში ISSN - 0132 - 1447	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მოამბე“	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	5
----	--	---	---	---	---

თანამედროვე ქართული სახელოვნებო პროცესების შესაფასებლად და გასაანალიზებლად უმნიშვნელოვანესია საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე შემოქმედთა შესწავლა და მათი როლის

გადააზრება საქართველოს დასავლეთთან ინტეგრაციის პროცესში. შოთა რუსთაველის თანამედროვე ხელოვნების ფუნდამენტური კვლევის საგრანტო პროექტის „ინტეგრაცია და იდენტობა“ ფარგლებში შესრულებული ნაშრომი „ორმაგი აგენტები“ სწორედ ამ თემას ეძღვნება. ნაშრომში განაზოგადებულია ემიგრაციის პრობლემატიკა და განიხილულია ინტეგრაციის მიზეზ-შედეგობრივი საკითხები დასავლეთში მოღვაწე ხელოვანთა შემოქმედების, მათი პიროვნული და შემოქმედებითი იდენტობის ფორმირების მაგალითზე. აღნიშნული საკითხი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც არ არსებობს სისტემური კვლევა ქართველი ემიგრანტი ხელოვანების შემოქმედებაზე როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო სახელოვნებო სამეცნიერო წრეებში. ემიგრანტი არტისტების შესახებ მსჯელობისას წარმოდგენილია თანამედროვე ხელოვნების სახასიათო თეზები, პოსტმოდერნისტული კონცეპტები, რომელთა ფარგლებშიც ნათლად იკვეთება ეროვნული იდენტობის საკითხის მნიშვნელობა და რაობა XXI საუკუნის გლობალურ კონტექსტში. ამ საერთაშორისო კულტურულ პროცესში ქართველი ემიგრანტი ხელოვანების როლი ნიშანდობლივია იმდენად, რამდენადაც საქართველოს უახლესი ისტორია პოსტსაბჭოთა პერიოდის გადააზრების მცდელობას და დასავლურ სამყაროსთან ინტეგრირებას გულისხმობს.

22	მზია ჩიხრაძე	ქართული სოციალისტურ-რეალისტური ხელოვნება და იდენტობის ძიება 978-9941-9519-0-9	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის “კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში” მასალები	ბათუმი, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის გამომცემლობა	5
----	---------------------	---	---	---	---

1910-1920-იან წლებში საბჭოთა კავშირში განხორციელებული ავანგარდული პროექტი საზოგადოებაზე ჰეგემონიას გულისხმობდა. ამ პროექტის მიხედვით ხელოვანს უნდა გარდაეკმნა ცხოვრება საკუთარი კანონებისა და წესების მიხედვით. ავანგარდის წარმომადგენლების ხელისუფლებისადმი სწრაფვა და მათი გრანდიოზული პროექტი, რომ შეეცვალა პრიონება და მთელი სამყარო, საშიში გახდა საბჭოთა სახელმწიფოსთვის. განსაკუთრებით კი იმ პირობებში, როცა ბევრი ავანგარდისტი ხელოვანი მაღალ პოლიტიკურ იერარქიულ საფეხურზე აღმოჩნდა. სტალინმა ცხადად დაინახა ეს საშიშროება და მალევე გაახმოვანა ახალი ტერმინი ახალი ხელოვნებისთვის “სოციალისტური რეალიზმი”, რომელიც აუცილებელი მიმდინარეობა გახდა მთელი საბჭოთა კავშირში ხელოვნებაში. საბჭოთა ხელოვნება დაუპირისპირდა ავანგარდის “ფორმალიზმს”. სოციალისტური რეალიზმი აღიარებდა სოციალისტური შინაარსს და რეალისტურ ფორმას, რომელსაც უნდა აესახა გმირული წარსული, აწმყო და მომავალი, რასაც სოციალისტური ქვეყნის მშრომელთა მასები ქმნიდნენ. 1920-იანი წლების ბოლოდან და განსაკუთრებით, 1930-იანი წლების დასაწყისში სოციალისტური რეალიზმის დიქტატურა ქართულ ხელოვნებაშიც დამყარდა.

სოციალისტური რეალიზმის პირობებშიც არიან მხატვრები, რომლებიც ახრებენ თავიანთი მხატვრული ენის მძაფრად ამეტყველებას. ალექსანდრე ციმაკურიძე, ელენე ახვლედიანი და სხვები მიმართავენ ნეიტრალურ თემებს, როგორიც იყო, მაგალითად, პაიზაჟი და ამ ჟანრში ცდილობენ მხატვრული ენის სპეციფიკის გამოვლინებასა და მაქსიმალურ აჟღერებას. მათ შემოქმედებაში ფერისადმი დამოკიდებულება, კომპოზიციური წყობა, ფორმისა და ხაზის გამომსახველობა ქართული მხატვრობის ტრადიციებს ავლენს და, იმავდროულად, თანამედროვე ჟღერადობას იძენს, რადგან გამომსახველობითი ენის სპეციფიკას უფრო აქტიურად იყენებს და გამოავლენს. ხშირად ეროვნული და ევროპული ხელოვნების მხატვრული ტრადიციების შერწყმა საინტერესო ნაზავს ქმნის.

1930-იანი წლების ბოლოს ქართულ ხელოვნებაში მიმდინარე პროცესები არ იყო მარტივი. მიუხედავად იმისა, რომ 1910-იან წლებში დაწყებული მხატვრული პროცესები ხელოვნურად იქნა

შეჩერებული და ძალისმიერად იქნა გადაყვანილი სოციალისტური რეალიზმის რელსებზე, ამ ჩარჩოებშიც კი მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდებოდა. ქართულ სახელოვნებო სცენაზე იყვნენ გამორჩეული შემოქმედნი, ვინც პოლიტიკურ-იდეოლოგიური წნეხის ქვეშ, ერთიანი, ჰომოგენური სოციალისტურ-რეალისტური ხელოვნების ფარგლებშიც კი მოახერხეს თავიანთი მხატვრული ინდივიდუალობის მოძებნა. სწორედ მათი ხელოვნების დამსახურება იყო, რომ ქართულ საბჭოთა ხელოვნებას თავისი გამორჩეული ეროვნული ნიშნები და თავისებურებები ახასიათებდა.

ამ მხრივ შეიძლება საბჭოთა ქართული კინოს გამოყოფა, რომელმაც ძალიან სპეციფიკური ფორმა მიიღო და დიდ წარმატებას მიაღწია მსოფლიო ხელოვნების არენაზე.

23	მარინა მეძმარიაშვილი	Лев Баяхчев-творящий с любовью ISSN 1512-2972	«Русский клуб» 2019	თბილისი, Русский клуб	4
----	-----------------------------	---	-------------------------------	---------------------------------	---

ცნობილი ქართველი მხატვარი ლევ ბაიახჩევი - სამოციანელების თაობას მიეკუთვნება. ამ თაობის მხატვრებს ახასიათებდა ახალი, თანამედროვე მხატვრული გამოხატვის, ფორმების, კოლორიტის ძიებები. ლევ ბაიახჩევი იყო მოხიბლული სამყაროს მრავალფეროვანი და მდიდარი სილამაზით: ძველი თბილისის ქუჩები და სახლები, ბუნების მუდმივი ცვლილება, ადამიანების ხასიათისა და გარეგნობის თავისებურება - ეს ყველაფერი მხატვრის შესწავლის, დაკვირვების და გამოსახულების საგნად იქცევა. ბაიახჩევი მუშაობდა სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგებში-ფერწერაში, გრაფიკაში, კანდაკებაში და სხვადასხვა ჟანრებში-პორტრეტი, ნატურმორტი, პეიზაჟი - ყველგან ეძებდა და პოულობდა მხატვარი შთაგონებისა და სილამაზის წყაროს. ლევ ბაიახჩევის ნამუშევრები ინახება როგორც საქართველოს მუზეუმების კოლექციებში, ასევე უცხოეთში-რუსეთში, სომხეთში, ამერიკის, გერმანიისა და საფრანგეთის კერძო კოლექციებში.

24	მარინა მეძმარიაშვილი	სერგო ქობულაძის მოხსენების მოკლე მიმოხილვა ISSN 1512-4088	ARS GEORGICA ელექტრონული ჟურნალი. სერია B. 2019	თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი (www.georgianart.ge)	5
----	-----------------------------	---	---	--	---

თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორის სერგო ქობულაძის მოხსენების მოკლე მიმოხილვა. კონფერენცია ჩატარდა სსრკ სამხატვრო აკადემიის პრეზიდიუმისა და თბილისის სამხატვრო აკადემიის დირექციის ორგანიზებით - 1955 წლის 30-31 მაისს(მოხსენება ინახება საქართველოს სახალხო მხატვრის სერგო ქობულაძის არქივში)

25	სამსონ ლეჟავა	ოქროს საწმისი და დარბაზული ხუროთმოძღვრება UDC (უაკი) 72+73/76 (479.22) (051.22) (051.2)	„ძველი ხელოვნება დღეს“ 2019-2020	თბილისი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო	
----	----------------------	--	--	--	--

სტატიაში განიხილება ოქროს საწმისის მისტერიის მიმართებული დარბაზულ ხუროთმოძღვრებასთან (კერძოდ დედა-ბოძთან); კოლხური ოდა-სახლის აჟურულ ჭვირულ დეკორთან; ლითონის სვანურ კერასთან. ნაჩვენებია, რომ ამ მაგალითებში დაქარაგმებულია ოქროს საწმისის მისტერიის საზრისი, ოღონდ შეფარულად, რამდენადმე შენიღბულად.

26	სოფიო ჩიტორელიძე	მხატვარ სერგო ქობულაძის სახელოსნოში დაცული	„Ars georgica“ ელექტრონული ჟურნალი	თბილისი, გ. ჩუბინაშვილის სახ. ცენტრი	6
----	-------------------------	---	--	--------------------------------------	---

		კერამიკული ნიმუშები ISSN 1512-4088	სერია B, 2019	(www.georgianart .ge)	
მხატვარ სერგო ქობულაძის სახელოსნოში დაცული კერამიკა, თავისი შემადგენლობით, მრავალფეროვანია. მოიცავს როგორც ეთნოგრაფიულ და პროფესიულ კერამიკის ნიმუშებს, ისე, ქარხნულ ტირაჟირებულ ნაწარმსაც. კოლექციის მთავარ ღირებულებას კი მხატვრის მიერ შექმნილი კერამიკული მედალიონები წარმოადგენს. სახელოსნოში დაცული ეთნოგრაფიული ჭურჭლის ნაწილი მე-19 საუკუნით თარიღდება, ხოლო უმრავლესობა მე-20 საუკუნეშია დამზადებული. წარმოდგენილია მოუჭიქავი და ფერადი (ერთი ფერის) ჭიქურით დაფარული წყლის ტოლჩები, დოქები, მაწვნის ქილა, განსხვავებული ზომის ქოთნები და ა. შ. პროფესიონალი კერამიკოსების შესრულებული ნამუშევრებიდან აღსანიშნავია 1950-იან წლებში შექმნილი, ფერადი ანგობით მოხატული და გამჭვირვალე ჭიქურით დაფერილი ფიალები, მინიატურული ლარნაკები. კოლექციის ერთ-ერთი გამორჩეული ნაკეთობაა 1950-იან წლებში შექმნილი ზაქრო მაისურაძის პანო „ქალი შველით“. სახელოსნოში ასევე ინახება კერამიკოსების ნიკოლოზ გომელაურის, სულხან სულხანიშვილის, ნანა კიკნაძის, მერაბ ქობულაძის და სხვათა კერამიკული ნამუშევრები. აღსანიშნავია მოქანდაკე-კერამიკოს ბორის შებუევის მიერ შესრულებული მხატვარ სერგო ქობულაძის ბარელიეფური პორტრეტი. სახელოსნოს კერამიკული კოლექციიდან განსაკუთრებულ ყურადღებას მხატვარ სერგო ქობულაძის მიერ კერამიკული მასალით შესრულებული სამედალო ნიმუშები იმსახურებს, რომლებსაც ხელოვანის გამორჩეულ შემოქმედებით მემკვიდრეობაში მოკრძალებული ადგილი ეთმობა. შეიძლება ითქვას, რომ იგი, ძირითადად, მხატვრულ-ტექნოლოგიური ექსპერიმენტებით შემოიფარგლა. გრაფიკოსი-მხატვარი სერგო ქობულაძე დიდი ინტერესით სწავლობდა სხვადასხვა თიხის ქიმიურ შედგენილობასა და ნაკეთობის დამზადების ტექნოლოგიურ მეთოდებს. მხატვრული გამომსახველობის მისაღწევად, ხელოვანი ეძებს ფორმას, ფერს, ფაქტურას. ამისთვის სხვადასხვა კერამიკულ მასალას და ტექნოლოგიურ მეთოდს მიმართავს და ამგვარი ცდების საფუძველზე, ერთი და იმავე ფიგურის უამრავ ვარიანტს ქმნის. ასეთია ანტიკური მოტივებზე შექმნილი მედალიონი „ათენა პალადა“. მხატვრის მიერ შესრულებულ მეორე ნიმუშს, პლაკეტი „გოგონას თავი“ წარმოადგენს. მხატვარმა, აღნიშნული ნაკეთობის, ასევე, რამდენიმე განსხვავებული ნიმუში შექმნა. აქვე აღვნიშნავთ, რომ მხატვარი მედალის კლასიკურად მიჩნეულ ფორმას არ ქმნის, იგი უფრო სამკაულად გამიზნულ დეკორატიული ტიპის ბარელიეფ-მედალიონებს გვთავაზობს. სამედალო ნიმუშები ცალმხრივია, თითოეულ ნაკეთობას, უკანა მხარეს, ჩაჭდევით დასმული აქვს დამლა-მონოგრამა, რომელზედაც მხატვრის სახელის და გვარის ინიციალები იკითხება. მხატვარ სერგო ქობულაძის სახელოსნოში წარმოდგენილი მრავალფეროვანი მასალა, მათ შორის, კერამიკული კოლექცია, ხელოვანის ფართო ინტერესეგების კიდევ ერთი დასტურია. ერთ სივრცეში ამ რანგის მხატვრების ნამუშევრების თავმოყრა კი, გარკვეულწილად, ზრდის მის მნიშვნელოვნებასაც. სახელოსნოში წარმოდგენილი კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშები საინტერესოა მნახველისთვის, ხოლო ქართული კერამიკის მკვლევარი სპეციალისტებისთვის, იგი მნიშვნელოვანი ინფორმაციისა და ღირებულების მატარებელია.					
27	დიმიტრი	კიდევ ერთხელ გელათური	საქართველოს	თბილისი,	30



	თუმანიშვილი	ხუროთმოძღვრების თაობაზე ISSN 1512-1321	სიძველენი, #22, 2019	გ. ჩუბინაშვილის ცენტრი	
წერილი ეხება მკვლევართა მიერ (რ. მეფისაშვილი, ლ. რჩეულიშვილი) კარგა ხნის წინ შემჩნეულ და სხვადასხვაგვარად განმარტებულ 12 საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრებისთვის იმ მეტად უჩვეულო თავისებურებებს, რომლებსაც თვალი გაედევნება გელათის მონასტრის ღმრთისმშობლის შობის სახელობის მთავარი ტაძრის ფასადებზე. კერძოდ, რთულად პროფილირებული სვეტისთავებისა და სარკმელთა საპირეების რაობას, რომლებიც სრულიად მოკლებულია გეომეტრიულ თუ მცენარეულ ორნამენტებს.					
28	თამარ დადიანი	ნიკორწმინდის ტაძრის რელიეფები ISSN 1512-1321	საქართველოს სიძველენი, #22, 2019	თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი	14
სტატია ეხება ნიკორწმინდის წმ. ნიკოლოზის სახ. ტაძრის ქვის რელიეფებს. 2018 წლის გაზაფხულზე დაწყებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგადად აღმოჩენილ იქნა ახალი რელიეფური გამოსახულებები და ორნამენტები, დაფიქსირდა აღმ. და დას. მკლავთა ამალელებაც, რაც შუა საუკუნეებშივე ჩატარებული რეკონსტრუქციაზე შეიძლება მეტყველებდეს. ამ აღმოჩენებმა ტაძრის არქიტექტურის ახლებური გააზრებისა და ცალკეული ნაწილების გადათარიღების საკითხიც წამოწიეს წინ. ამ თვალსაზრისით დადგა ტაძრის შესამკობი რელიეფების გადააზრების აუცილებლობაც. წერილში მოცემულია რელიეფების იკონოგრაფიული ანალიზი ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში. ნიკორწმინდის იკონოგრაფია მეორედ მოსვლისა და სულის ხსნის თემებს ეხება და სცენების მოკლე, ლაკონიურ რედაქციებს გვთავაზობს. ტაძრის ოთხივე ფასადზე განთავსებული ყველა სცენა (განკითხვის დღე მაცხოვრის ამალეების იკონოგრაფიით, ქრისტე მსაჯული, ფერისცვალება, წმ. მმხედრები, მთავარანგელოზები, ჯვრის ამალეება) აზრობრივად უკავშირდება ერთმანეთს და ერთი ზოგადი იდეის განსახიერებას წარმოგვიდგენს. წერილში მოცემულია ქტიტორთა ვინაობის დაზუსტების მცდელობაც ტაძრის რამდენიმე წარწერის გააზრების გზით. წერილი რამდენიმე ნაწილად იყოფა. ცალკეა გაანალიზებული ტიპპანთა ქვედა რელიეფები, რომლებიც აჩვენებენ დიდ სტილურ მსგავსებას მომიჯნავე რეგიონების (იმერეთისა და ლეჩხუმის) თანადროულ ქანდაკებასთან. ამგვარი სტილური მსგავსება აქ მომუშავე სახელოსნოზე მეტყველებს. ცალკეა გამოყოფილი რელიეფების მეორე ჯგუფი, რომელიც ტაძრის ზედა ნაწილებს ამკობს. როგორც ახალმა აღმოჩენებმა აჩვენა, ფრონტონები ამალელებული ყოფილა და შესაბამისად რელიეფებიც უფრო გვიან უნდა შესრულებულიყო. ამ თვალსაზრისით დადგა ზედა რელიეფების თარიღის დაზუსტების საკითხიც. როგორც ჩანს, მშენებლობა ეტაპობრივად მიმდინარეობდა (სავარაუდოდ, აქ მომხდარი რაიმე ინციდენტის (მიწისძვრა?) გამო) და ფრონტონების კომპოზიციების შესასრულებლად ოსტატთა სხვა ჯგუფი იყო მოწვეული, რაზეც რელიეფების მკვეთრად განსხვავებული ხელწერა და სტილი მეტყველებს. თუმცა გამოსახულებათა შედარებითი ანალიზი (მათი შედარება წინა პერიოდის ძეგლებთან, განსაკუთრებით ოშკის ქანდაკებებთან, ასევე გუმბათის ორნამენტებთან და XII-XIII სს-ის ხელოვნებასთან) ცხადყოფს, რომ ეს რელიეფებიც XI საუკუნეშივე უნდა ყოფილიყო შესრულებული, შეიძლება ერთი ათწლეულით გვიან. ამას ადასტურებს იკონოგრაფიული პროგრამის ლოგიკური ერთიანობაც და ტაძრის საერთო მხატვრული გაფორმების მთლიანობა, როდესაც ქვედა რეგისტრების კლასიკური და მშვიდი კომპოზიციები უპირისპირდება ზედა ექსპრესიულად და უფრო მხსვილი ფორმებით შესრულებულ სცენებს.					
29	სამსონ ლეჟავა	ოქროს საწმისი და დარბაზული	საქართველოს სიძველენი,	თბილისი, გ. ჩუბინაშვილის	14


		ხუროთმოძღვრება ISSN 1512-1321	#22, 2019	ცენტრი	
--	--	---	-----------	--------	--

წერილობითი წყაროების, სამეცნიერო გამოკვლევებისა და ეთნოლოგიური მონაცემების ანალიზის საფუძველზე, წერილში წარმოდგენილია ავტორის მცდელობა წარმოაჩინოს ოქროს საწმისის მითის, დედა ზოდის და კოლხური ოდა სახლის ცალკეულ ორნამენტულ სახეთა შორის არსებული არსობრივი კავშირი.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

ცენტრის თანამშრომლების ავტორობით გამოცემული წიგნები:

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Maia Tsitsishvili	Georgian Modernism (1910-1930)	პოლონეთი, ვარშავა	310
		პუბლიკაცია ეძღვნება ქართულ მოდერნისტულ მხატვრობას 1910-1930 წწ-ში. განხილულია მხატვრების: ელენე ახვლედიანის, გიგო გაბაშვილის, ირაკლი გამრეკელის, ლადო გუდიაშვილის, ილია და კირილე ზდანევიჩების, მოსე თოიძის, დავით კაკაბაძის, ქეთევან მაღალაშვილის, პეტრე ოცხელის, ვალერიან სიდამონ-ერისთავის, ნიკო ფიროსმანაშვილის, შალვა ქიქოძის, დიმიტრი შევარდნაძის და სხვ. მოდერნისტული პერიოდის შემოქმედება. ტექსტი გვ.3-24; 293-310; ილუსტრაციები გვ. 25-291		
2	Mariam Didebulidze, Dimitri Tumanishvili	GEORGIA. History, Culture, Ethnography Christian Era	NOVA SCIENCE Publishers	pp.75-114.
		გამოცემა ეძღვნება ქრისტიანობის ხანის საქართველოს ისტორიას, კულტურასა და ეთნოგრაფიას. შუ საუკუნეების ხელოვნებისადმი მიძღვნილ მონაკვეთში წარმოდგენილია ამ ხანის ქართული ხელოვნების განვითარების გზები და მისი თავისებურებები. განმაზოგადებელ ტექსტს ერთვის ანოტაციები, რომლებშიც განხილულია არქიტექტურის, მხატვრობის, ჰედურობისა თუ ხელოვნების სხვა დარგების საუკეთესო ნიმუშები.		


5.2 კრებულები

ცენტრის თანამშრომლების ავტორობით გამოცემული კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნ.ურუშაძე, მ.ლიპატოვა, ა.რუდნევა, მ.ზოკარიუსი და სხვა რედაქტორი მარინე მეძმარიაშვილი	Василий Шухаев Судьба, искусство, на-следие 978-5-907043-45-9	მოსკოვი БУКС	377

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	K. Machabeli	La representation du Pouvoir aux frontières orientales de l'em-pire Byzantin: Le Portrait d'Ašot Kuxi de Tbeti à Géorgie ISSN 1105-5758. e-ISSN 2241-219	Deltion of the Christian Archae- ological Society (DXAEM), 2019, Series 4, volume 40,9	Athens	11



სტატიაში განხილულია შუა საუკუნეების ქართული მონუმენტური საერო პორტრეტის გამორჩეული ნიმუში - აშოტ კუხის სკულპტურული პორტრეტი ტბეთის ტაძრიდან (საქართველოს ეროვნული მუზეუმი). აშოტ კუხი, კლარჯეთის სამთავროს ხელისუფალი (891-918წწ.), ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოს წევრი, ერისთავთ-ერისთავის («ერისთავთ-ერისთავთა») ტიტულს ატარებდა. ტბეთის ტაძრის სამხ. ფასადზე აშოტ კუხის ჰორელიეფური ფიგურა ქტიტორის ტრადიციულ პოზაში იყო წარმოდგენილი. გაწვდილ ხელებში მას ტაძრის მოდელი ეკავა. სტატიაში წარმოდგენილია საქტიტორო პორტრეტის მხატვრულ-სტილური ანალიზი და მისი სოციალურ-პოლიტიკური ასპექტები. აშოტ კუხის სკულპტურული პორტრეტი მისი პოლიტიკური ამბიციების ვიზუალიზაციაა, რომელშიც ბიზანტიის საიმპერიო დოქტრინის გავლენა იჩენს თავს,

	არქიტექტორი და არქიტექტურის მკვლევარი მარიამ ჯანდიერი.	The Blumsbury	London,	400 სიტყვა
--	---	---------------	---------	------------

2	მაია მანია	არქიტექტორი ქეთევან სოკოლოვა-ქურდიანი. არქიტექტორი ვალერია (ლელი) ჰაჯიბეილი-ჩხენკელი. არქიტექტორი თინათინ ფანიაშვილი.	Global Encyclopedia of Women in Architecture 1960 - 2015	Bloomsbury Publishing PLc	120 სიტყვა (იბეჭდება)
The Bloomsbury Global Encyclopedia of Women in Architecture 1960 - 2015-თვის, რომლის გამომცემელ-რედაქტორები არიან ლორი ბრაუნი და კარენ ბერნსი მზადდება მასალა მსოფლიოს სასშტაბით მე-20-ე საუკუნეში მოღვაწე ქალი-არქიტექტორების შესახებ. ენციკლოპედიის გამოცემა დაგეგმილია 2020 წლისათვის. საქართველოს ქალი-არქიტექტორებიდან შეირჩა 6 არქიტექტორი, რომელთაგან 4 არქიტექტორის შესახებ ჩავატარე საარქივო-ბიბლიოგრაფიული კვლევა, თბილისის ჰვადასხვა არქივებსა და კერძო კოლექციებში მოვიძიე მათ მიერ შედგენილი პროექტები, ანაზომები და სხვა. ჩემს მიერ ჩატარებული კვლევა სავსე პირობებში ნაგებობების შესწავლასაც მოიცავდა. შედეგად ბლუმსბერის (Bloomsbury) ენციკლოპედიის გამომცემლებს გავუზიარე ტექსტები შემდეგი არქიტექტორების შესახებ: არქიტექტორი და არქიტექტურის მკვლევარი მარიამ ჯანდიერი (1905-1989, 100 სიტყვა); არქიტექტორები - ქეთევან სოკოლოვა-ქურდიანი (1905-1988, 120 სიტყვა); ვალერია (ლელი) ჰაჯიბეილი-ჩხენკელი (1914-1995, 120 სიტყვა) და თინათინ ფანიაშვილი (1917-2009, 120 სიტყვა). ტექსტები თარგმნილია ინგლისურ ენაზე და საბოლოო სახით საილუსტრაციო მასალასთან ერთად გაგზავნილია გამომცემლებთან.					
3	მანანა სურამელაშვილი	რუსუდან (რუდა) მეფისაშვილი	The Blumsbury Global Encyclopedia of Women in Architecture 1960 - 2015	London, Bloomsbury Publishing PLc	(იბეჭდება)
4	Manana Suramelashvili	The unique cultural-historical significance of the Khada valley ISBN 3-598-24241-7	Heritage at Risk edited by ICOMOS	სტატიების კრებულის ელექტრონ ული გამოცემა, ICOMOS	3
5	ირინე ელიზბარაშვილი	რუსაუდან გვერდწითელი	The Blumsbury Global Encyclopedia of Women in Architecture 1960 - 2015	London, Bloomsbury Publishing PLc	(იბეჭდება)
6	Tamar Khosroshvili	The Aspects of Identity in 19th and Early 20th Century Church Wall Paintings in Georgia	Caroline Adams Essay Prize http://farig.org/images/pdfs/2019/Tamar_Khosroshvili/Essay.pdf	FaRiG - Friends of Academic Research in Georgia	9
1801-1918 წლებში საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. ამ პერიოდში					

რამდენიმე ძალზე ცნობილი და მნიშვნელოვანი ეკლესია მოიხატა საქართველოში: 1814 წელს ანჩისხატის ტაძარი თბილისში; 1823 წელს წმ. ნინოს ეკლესია ბოდბეში; 1850-იან წლებში თბილისის სიონი; 1860-იან წლებში ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია მუხრანში; 1889 წელს თბილისის მამადავითი; 1890-იან წლებში თბილისის სამება; 1890-იანი წლების ბოლოს აწ დაწერული ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესია თბილისში; 1899-1905 წლებში წმ. იოანე ნათლისმცემლისა და ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესიები შიომღვიმეში; 1902-1904 წლებში ალექსანდრე ნეველის ეკლესია აბასთუმანში .ამ მოხატულობებში მძაფრად აისახა საქართველოს რუსეთის კოლონიად ყოფნის პირობებში მიმდინარე რთული პროცესები. ზოგი იმპერიის პირდაპირი დაკვეთით სრულდებოდა და ხან სრულად, ხანაც ნაწილობრივ იმპერიალისტური ინტერესების გამტარებელი იყო, თუმცა მათ შორის ისეთი ნიმუშებიც შეიქმნა, რომლებიც მხოლოდ ნაციონალური იდეოლოგიით არის გამსჭვალული და ეროვნული იდენტობის გამყარებას ემსახურება.

7	Tamar Khosroshvili	Visualised Imperialism and National Identity (Some examples of church paintings in Georgia from 1801 to 1918 ISSN: 2450-7660, 1644-857X	Review of Historical Sciences (Przeglądu Nauk Historycznych)	პოლონეთი, ქ. ლოდის უნივერსიტეტი	12
---	---------------------------	--	--	---------------------------------------	----



სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია მ. საბინინის მიერ შექმნილ ხატზე: „საქართველოს ეკლესიის დიდება“, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, საქართველოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის დროს არის შექმნილი. ერთი მხრივ ქართველი წმინდანების გამოსახულებებით შექმნილი ეს სიმბოლური გამოსახულება, რუსეთის იმპერიის იდენტობის მუდმივ შეხსენებადც გვევლინება. სტატიაში, ამ ხატთან ერთად რამდენიმე ამ დროს შესრულებული მოხატულობაც არის განხილული ამ კონტექსტში.

8	Tamar Khosroshvili	The Aspects of Identity in 19th and Early 20th Century Church Wall Paintings in Georgia 0556-8080 (Print); 2067-5127 (Online)	Revue Roumaine d'Histoire de l'Art.Série Beaux-Arts	G. Oprescu Institute of Art History	9
---	---------------------------	---	--	--	---

სტატიაში განხილულია მე-19 და მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში შექმნილი მოხატულობები, რომლებშიაც მძაფრად აისახა რუსული კოლონიალიზმის ხანაში მიმდინარე რთული მხატვრულ-კულტურული თუ პოლიტიკური პროცესები. ზოგი მოხატულობა იმპერიის პირდაპირი დაკვეთით სრულდებოდა და ხან სრულად, ხანაც ნაწილობრივ იმპერიალისტური ინტერესების გამტარებელი იყო, თუმცა მათ შორის ისეთი ნიმუშებიც შეიქმნა, რომლებიც მხოლოდ ნაციონალური იდეოლოგიით არის გამსჭვალული და ეროვნული იდენტობის გამყარებას ემსახურება.

9	Eter Edisherashvili	Political and Artistic Trends in Late Medieval and Early Modern Georgian Illuminated Charters 9783412511081 3412511080	Beihefte zum Archiv fA1/4r Diplomatie, Schriftgeschichte, Siegel- und Wappenkunde, Illumierte Urkunden. Beiträge aus Diplomatie, Kunstgeschichte und Digital Humanities	Böhlau Verlag, Cologne, 2019	26
---	----------------------------	---	--	------------------------------	----

პუბლიკაციაში განხილულია მე-14-19 საუკუნეებში ქართველი მეფე-მთავრების მიერ გაცემული მხატვრულად გაფორმებული ისტორიული საბუთები. წერილის მიზანი იყო ამ მხატვრული მოვლენის შიგნით მიმდინარე პროცესების წარმოჩენა, რაც თითოეული ეპოქის ნიმუშების მხატვრულ-სტილური მახასიათებლები განხილვისა და მათი თანადროული ისტორიულ-კულტურული მოვლენების ფონზე შეჯერებით გახდა შესაძლებელი. ისტორიული დოკუმენტების მხატვრობის და თანადროული ეპოქის სახვითი ხელოვნების პროცესების ურთიერთმიმართებაზე მსჯელობისას ვლინდება საბუთების მხატვრული გაფორმების თავისებურებანი, მისი კავშირი თანადროულ მინიატურასა თუ სახვითი ხელოვნების სხვა დარგებთან. ამ ყოველივესთან ერთად, საბუთების მხატვრობის კომპლექსური განხილვისას თვალსაჩინოდ წარმოჩინდება საბუთების გამცემი ისტორიული პირების (მეფეების, მთავრების) ფსიქოლოგიური პორტრეტები, მათი მხატვრული გემოვნება და კიდევ ერთხელ წარმოჩინდა მათი პოლიტიკური თუ კულტურული ორიენტაცია.



6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნინო ჭიჭინაძე	ღვთისმშობელი აგიოსორიტისას თაყვანისცემის შესახებ შუა საუკუნეების საქართველოში	თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი 08.05.19
მოხსენებაში განხილულია დედაღვთისას ერთ-ერთი იკონოგრაფიული ტიპი, რომელიც „აგიოსორიტისას“ სახელით არის ცნობილი. ამ გამოსახულების არქეტიპს უკავშირებენ მარიოლოგიურ რელიკვიას მის სამოსს, მავედრებელი დედაღვთისას - აგიოსორიტისას იკონოგრაფიული თემა ჩვენში გამორჩეული მნიშვნელობისა იყო. მოხსენება ეხება აღნიშნული სახატე თემის ისტორიასა და თაყვანისცემას შუა საუკუნეების საქართველოში.			
2	მარინე ბულია	წმ. დიმიტრი თესალონიკელის ცხოვრების ციკლი და მისი წმინდა ნაწილები დოდორქის მონასტერში	თბილისი, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი საერთაშორისო კონფერენცია „დავით გარეჯი. მრავალდარგობრივი კვლევა და განვითარების სტრატეგია“ 2019, 18-20 აპრილი



მოხსენებაში განხილულია დოდორქის მონასტერში ორიოდ წლის წინ აღმოჩენილი სამლოცველოს 12-13 საუკუნეთა მიჯნის მოხატულობა, რომელიც ძირითადად, წმ. დიმიტრის ცხოვრების, საქართველოსთვის უნიკალური, ნარატიული ციკლისგან შედგება. ეს ციკლი მრავალმხრივ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი არა მხოლოდ ქართული, არამედ ბიზანტიური კვლევებისთვისაც. ის არსებითად ცვლის ჩვენში ამ წმინდნის გამოსახულებებთან დაკავშირებით დამკვიდრებულ ცოდნას, ამასთან კი ზოგადად ცვლის წმინდა დიმიტრის ციკლების გავრცელების დღემდე

დადგენილ არეალსა და ქრონოლოგიას. ის ადასტურებს, რომ ამგვარი ციკლები გავრცელებული იყო არა მარტო საბერძნეთსა და სლავურ ქვეყნებში, როგორც ეს აქამდე იყო მიღებული, არამედ აღმოსავლეთსაქრისტიანოს სხვა რეგიონებშიც; ამასთან, ის ერთი საუკუნით წინ უსწრებს არც თუ მრავალრიცხოვან ბიზანტიურ ანალოგებს და კედლის მხატვრობაში დღესარსებული ყველაზე ადრეული ციკლი გამოდის.

ამასთან, ბიზანტიური მოდელებისა და წმ. ეფთვიმე მთაწმინდელის თარგმნილი, წმინდანის ცხოვრების ქართული რედაქციის საფუძველზე შექმნილი წმ. დიმიტრის ცხოვრების სცენები ტექსტისა და გამოსახულებისა და ბიზანტიური და ქართული მხატვრული ტრადიციების ურთიერთმიმართებისა და ერთობლიობის საინტერესო ნიმუშიცაა.

მნიშვნელოვანია სამლოცველო თავისი ფუნქციითაც. წმინდანის წამების სცენაში უჩვეულოდ ჩართული წმ. დიმიტრის დიდი რელიკვიის, სასწაულმოქმედი ქლამინდის უნიკალური გამოსახულება მიგვანიშნებს, რომ სამლოცველო „მონუმენტურ რელიკვარიუმს“ წარმოადგენდა და საგანგებოდ ამ დიდი სიწმინდისთვის იყო შექმნილი.

3	კიტი მაჩაბელი	ღმრთისმშობელი- ოდიგიტრია ქართულ ჭედურ ხელოვნებაში	თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, სამეცნიერო კონფერენცია „ღმრთისმშობლის სახე ქართულ სახვით ხელოვნებაში“. 7 მაისი, 2019
---	---------------	---	---

მოხსენებაში ”ღმრთისმშობელი-ოდიგიტრია ქართულ ჭედურ ხელოვნებაში“ განხილულია მე-10-11 სს-თა მიჯნის ქართული ჭედური ხატების ჯგუფი ღმრთისმშობლის ერთი იკონოგრაფიული ტიპით - „აღსაყდრებული ოდიგიტრია“, რის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები ქართულ ხელოვნებაში ბიზანტიაში გავრცელებული ღმრთისმშობლის იკონოგრაფიული ტიპებისაგან განსხვავებული, აღმოსავლურ ქრისტიანულ ცენტრებში პოპულარულ ინტერპრეტაციასთან კავშირების შესახებ.

4	კიტი მაჩაბელი	„მცხეთა- გვიანრომაულ და სასანურ იმპერიათა შორის (გვიანანტიკური ტორეტიკა არმაზისხევიდან)“	თბილისი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო VI კონფერენცია 2019, 29 მაისი
---	---------------	--	--

„მცხეთა- გვიანრომაულ და სასანურ იმპერიათა შორის“ - მოხსენებაში არმაზისხევის ტორეტიკის უმდიდრესი საგანძურის მხატვრულ-ისტორიული ანალიზის საშუალებით გარკვეულია ჩვ. წ.-ის პირველ საუკუნეთა იბერიის ძირითადი მხატვრული ტენდენციები. ნაჩვენებია ამ ეპოქის ქართულ ხელოვნებაზე

ხმელთაშუაზღვისპირეთის და სასანური ირანის კულტურათა გავლენების როლი, რაც მკაფიოდ აისახა ლითონის მხატვრული დამუშავების ხელოვნებაში.

5	კიტი მაჩაბელი	მხატვრული ტრადიციების გადა- აზრება შუა საუკუნეების ქარ-თულ ლიტურგიკულ ნივთებში	თბილისი, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო-ბიზანტია-ქრისტ. აღმოსავლეთი“ 2019, 19 ივნისი
---	---------------	--	--

„მხატვრული ტრადიციების გადააზრება შუა საუკუნეების ქართულ ლიტურგიკულ ნივთებში“. მოხსენებაში მე-10-11 სს-თა პირფასი ლითონის ლიტურგიკული ნივთების მაგალითზე გარკვეულია ტრადიციული ფორმების, სტრუქტურისა და იკონოგრაფიისადმი ერთგულების ფარგლებში ტრადიციისა და ინოვაციის, იკონოგრაფიული სქემების რეინტერპრეტაციის პრობლემა.

6	კიტი მაჩაბელი	„ხელოვნება და მეხსიერება: Spolia ბიზანტიასა და საქართველოში“	ბათუმი, საერთაშორისო კონფერენცია „ბიზანტიანოლოგია საქართველოში - 5“ 2019, 12 ოქტომბერი
---	---------------	---	---

„ხელოვნება და მეხსიერება: Spolia ბიზანტიასა და საქართველოში“ - მოხსენების მიზანია ქვემო ქართლის ხუროთმოძღვრული ძეგლების (მე-9-11სს.) მაგალითზე Spolia-ს გამოყენების პრინციპების, მისი მხატვრულ-ისტორიული და იდეოლოგიური საფუძვლების გარკვევა.

7	ქეთევან მიქელაძე	ბოზნევის წმ. იოანე მხარებლის ეკლესიისა და მაღალანთ ეკლესიის კანკელის მოხატულობებითა ქტიტორები და მხატვრები	თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საერთაშორისო კონფერენცია: „საქართველო- ბიზანტია-ქრისტიანული აღმოსავლეთი“, 18-20 ივლისი, 2019
---	---------------------	---	---



შუა საუკუნეების ქტიტორთა და მათი საქტიტორო საქმიანობის შესახებ ცნობები ქართულ ნარატიულ წყაროებშიც მოგვეპოვება და ეპიგრაფიკაც. ეკლესიის მომხატველ ოსტატზე კი თითქმის არაფერია ცნობილი. მათ შესახებ ინფორმაციას მხოლოდ ისტორიული ხასიათის (ქტიტორთა და მხატვართა) წარწერები გვაწვდის, რომლებშიც მხატვარია დასახელებული. ასეთი წარწერები არცთუ ხშირად გვხვდება და, ჩვეულებრივ, მხოლოდ მხატვრის სახელის აღნიშვნით შემოიფარგლება; არ მოგვეპოვება ცნობები დამკვეთისა და მხატვრის ურთიერთობების შესახებაც, რა მონაწილეობას იღებდა ქტიტორი ნაწარმოების შექმნაში ან რამდენად დამოუკიდებელი იყო მხატვარი სამუშაოს შესრულების დროს და სხვა. ცალკეულ შემთხვევებში, ამ მხრივ, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის და ამდიდრებს ჩვენს ცოდნას საქტიტორო და მხატვართა წარწერები და მოხატულობათა იკონოგრაფიული პროგრამები.

ეს საკითხები განხილულია ერთ პერიოდში, მე-17 საუკუნის ორი ძეგლის - ბოზნევის წმ. იოანე მხარებლის სახელობის ეკლესიისა და წინარეხის მაღალანთ ეკლესიის კანკელის მხატვართა წარწერებისა და მოხატულობათა იკონოგრაფიული ანალიზის მაგალითზე.

ქტიტორებმა – თბილისის ეპისკოპოსმა იოსებმა (იოსებ თბილელი, /სააკაძე/) და სვეტიცხოვლის ქადაგმა ნიკოლოზ მაღალაძემ მოხატულობები ბერძენ მხატვრებს – ათონის მთის ბერ-მონაზონ, დანიელს (ბოზნევი)

და აპოსტოლეს (მაღალაანთ ეკლესიის კანკელი) დაუკვეთეს. ამდენად, საგულისხმო მასალას გვაწვდის ეს მიხატულობები შუა საუკუნეების საქართველოში ბერძენი მხატვრების მოღვაწეობისა და მათი ადგილობრივ ქტიტორებთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის შესახებაც. მოხსენების თაზისები გამოქვეყნდა: II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - "საქართველო-ბიზანტია-ქრისტიანული აღმოსავლეთი" მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 2019, გვ. 41-42.			
8	მარინე ყენია	ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი და სვანეთის შუასაუკუნოვანი მხატვრობა	თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, სამეცნიერო კონფერენცია - „ღმრთისმშობლის სახე ქართულ სახვით ხელოვნებაში“. 8 მაისი 2019
მოხსენების სრული ტექსტი გამოქვეყნდა ჟურნალში საქართველოს სიძველენი, 22. იხ. პუნქტი 4.5.			
9	მარიამ გაბაშვილი	უძველესი ზოომორფული მოტივის მხატვრული რემინისცენციები შუა საკუნეების ქართულ ქვაზეკვეთილობაზე	ბათუმი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში“ 19-20 ოქტომბერი, 2019
10	მარიამ გაჩეჩილაძე	სეგო ქობულადის პირად არქივთან და სახელოსნოს შენარჩუნებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები	თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, საქართველოს სახალხო მხატვრის სერგო ქობულადის დაბადებიდან 110 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია 22-23 ოქტომბერი, 2019
მოხსენების მიზანს წარმოადგენდა კონფერენციის მსმენელთათვის, საქართველოს სახალხო მხატვრის, სერგო ქობულადის სახელოსნოში არსებული მდგომარეობის გაცნობა (თბილისი, უზნაძის ქ. # 4). სახელოსნოს სივრცე დღემდე იმ სახითაა შემონახული, როგორც ის მხატვრის სიცოცხლეში იყო, თუმცა დღეს სავალალო მდგომარეობაშია, რადგან მოსალოდნელია მისი გაიყიდვა და ამით ქვეყანა სამუდამოდ დაკარგავს თანამედროვე ქართული კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვან კერას. მსმენელთათვის მოხდა იმ ხედვებისა და პერსპექტივის გაცნობა, რასაც მოცემულ სივრცეში სახელოსნო-მუზეუმის დაარსების შემთხვევაში მიიღებს საქართველო. ვიზუალურ მასალაზე დაყრდნობით იქნა ნაჩვენები, თუ რამდენად მნიშვნელოვანი გახდება ეს კულტურული კერა, როგორც ქართული საზოგადოებისთვის, ასევე ჩვენს ქვეყანაში სტუმრად მყოფი ხელოვანებისა და სამოგზაუროდ ჩამოსული ტურისტებისათვის; ხელს შეუწყობს ჩვენი კულტურის პოპულარიზაციას და ქვეყანას მატერიალურ შემოსავალსაც მოუტანს.			
11	ცისია კილაძე	ლხინის სცენები ქართულ მოდერნისტულ მხატვრობაში და სივრცისა და დროის ასპექტები	თბილისი, აპ. ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემია, რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი სამეცნიერო კონფერენცია

			5-6 ივნისი, 2019
მოხსენების ტექსტი იბეჭდება ჟურნალში ACADEMIA , #8, 2019-2020.			
12	ცისია კილაძე	ეროვნული გალერეის ექსპოზიციათა ისტორიიდან	თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, საქართველოს სახალხო მხატვრის სერგო ქობულაძის დაბადებიდან 110 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია 22-23 ოქტომბერი, 2019
13	მზია ჩიხრაძე	კულტურული ინტეგრაციისა და იდენტობის საკითხები - ქართველი ხელოვანების ემიგრაციის ეტაპები მოდერნიზმიდან პოსტმოდერნიზმამდე	თბილისი, თბილისის მუზეუმების გერთინების საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “ქართული კულტურა და XX საუკუნე”, 19-20 სექტემბერი, 2019
14	მზია ჩიხრაძე	ქართული სოციალისტურ- რეალისტური ხელოვნება და იდენტობის ძიება	ბათუმი, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში”, 19-21 ოქტომბერი, 2019
15	თამაზ გერსამია	"თბილისის ერთი სახლის თარიღის დადგენისათვის"	თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, საქართველოს სახალხო მხატვრის სერგო ქობულაძის დაბადებიდან 110 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია 22-23 ოქტომბერი, 2019
16	გიორგი ხოშტარია	ემანუელ კანტი და ჩვენ	თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, საქართველოს სახალხო მხატვრის სერგო ქობულაძის დაბადებიდან 110 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია 22-23 ოქტომბერი, 2019
მოხსენების ჩანაწერი იხ.: https://www.youtube.com/watch?v=Ru2r2hi2BWM&t=196s			
17			თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი,

	მარინა მეძმარიაშვილი	სერგო ქობულაძის საკავშირო სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენების შესახებ	საქართველოს სახალხო მხატვრის სერგო ქობულაძის დაბადებიდან 110 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია 22-23 ოქტომბერი, 2019
18	სოფიო ჩიტორელიძე	1960-იანი წლების ქართული მხატვრული კერამიკა	თბილისი, თბილისის მუზეუმების გაერთიანება, საერთაშორისო კონფერენცია „ქართული კულტურა და XX საუკუნე“ 19-20 სექტემბერი, 2019

1960-იანი წლების კერამიკას გამორჩეული ადგილი უკავია XX საუკუნის ქართული პროფესიული კერამიკის ისტორიაში. აღნიშნულ ათწლეულში ახალი მხატვრული სახით წარმოჩნდა მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ქართული კერამიკული ხელოვნება. ამავდროულად საფუძველი ჩაეყარა ჩვენი დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნებისთვის უცნობ მხატვრულ მიმართულებებსაც.

1960-იანი წლების კერამიკის აღმავლობა რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. მათ შორის: აღნიშნული პერიოდის მხატვრულ კერამიკას ნაყოფიერი ნიადაგი მოუშადა 1920-1950-იან წლებში წარმართულმა დარგის სამეცნიერო კვლევებმა, ტექნოლოგიურმა ექსპერიმენტებმა და მხატვრულმა ძიებებმა. მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის კვლევის კომპლექსური მიდგომა რამაც, კერამიკოსებს საშუალება მისცა ძველი ნიმუშების შესწავლის შედეგად აღედგინათ ნაკეთობათა დეკორატიული შემოკების არაერთი დავიწყებული მეთოდი, დადგინდა სხვადასხვა საღებავისა და ჭიქურის რეცეპტი. შესწავლილი იქნა ნიმუშთა შებოღვის ტექნიკაც, რომლითაც მიღებული მუქი შეფერილობის კეცი 1960-წლების კერამიკის მხატვრული სახის მკვეთრად სახასიათო ნიშანია.

დასახელებული წლების კერამიკის განვითარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონა 1958 წელს სამხატვრო აკადემიის კერამიკის ფაკულტეტთან არსებული ტექნოლოგიური ლაბორატორიის სასწავლო ექსპერიმენტულ სახელოსნოდ გადაკეთებას. სახელოსნო იმ დროისთვის ახალი ტექნიკური დანადგარებით მოეწყო, რაც აკადემიის სტუდენტებსა და იქ მოღვაწე კერამიკოსებს ახალ შემოქმედებით შესაძლებლობებს სთავაზობდა. სახელოსნოში თავი მოიყარა ძველი და ახალი თაობის გამორჩეულმა, ინდივიდუალური ხელწერის მქონე კერამიკოსთა ჯგუფმა, რომელთა შემოქმედებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, როგორც საკუთრივ 1960-იანი წლების, ისე საერთოდ ქართული კერამიკის ისტორიაში.

1960-იანი წლების კერამიკაში წამყვანი როლი კვლავ მცირე ზომის საყოფაცხოვრებო და დეკორატიულ ჭურჭელს აქვს (სხვადასხვა დანიშნულების სერვიზები, დოქები, წყლის და ლუდის ნაკრებები, ხილის ლანგრები, დეკორატიული თეფშები და ლარნაკები). ამასთანავე, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სიუჟეტურ, ანიმალისტურ, დეკორატიულ პლასტიკას.

მოხსენებაში აღნიშნული პერიოდის მხატვრული კერამიკა განხილულია საქართველოს სამუზეუმო ფონდებში დაცული ექპონატებისა და კერძო კოლექციებში არსებული ნიმუშების შესწავლის საფუძველზე. ისტორიული ფაქტების სიზუსტისათვის მოძიებულია საარქივო დოკუმენტაცია. შეგროვებული მასალის სათანადო შესწავლითა და სამეცნიერო კვლევით გამოიკვეთება აღნიშნული პერიოდის ძირითადი მხატვრული მიმართულებებისა და სტილის მრავალფეროვნება, წარმოჩნდება სხვადასხვა თაობის მხატვრის შემოქმედებითი წვლილი და ა.შ., რაც ცხადყოფს 1960-იანი წლების მხატვრული კერამიკის ადგილს, როგორც თანამედროვე ისე, საერთოდ ქართული კერამიკული ხელოვნების ისტორიაში.



19	სოფიო ჩიტორელიძე	კერამიკოსი ნიკოლოზ გომელაური (1981-1961)	თბილისი, საქართველოს ეროვნული არქივი, საერთაშორისო კონფერენცია „არქივმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები“ 26–28 სექტემბერი, 2019
მხატვარი ნიკოლოზ გომელაური 1940 – იანელ კერამიკოსთა თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. ხელოვანი აკადემიის პირველკურსდამთავრებულ მხატვრებთან ერთად სათავეში ედგა კერამიკული დარგის განვითარების საქმეს და გარკვეული როლი შეასრულა თანამედროვე პროფესიული კერამიკის ჩამოყალიბების ისტორიაში. შემოქმედებით საქმიანობასთან ერთად იგი წლების განმავლობაში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას და პროფესიული კადრების აღზრდის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. თანამედროვე ქართული კერამიკის ისტორიისთვის მნიშვნელოვანია ნ. გომელაურის ტექნოლოგიური ძიებები და მიგნებები. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მატერიალური მასალების შესწავლის საფუძველზე მან დაამუშავა და პრაქტიკულად განახორციელა მხატვრული კერამიკის შემკობის ზოგიერთი ისეთი ტექნიკური მეთოდი, რომელიც მანამდე უცნობი იყო ქართული მხატვრული კერამიკის ისტორიისთვის. მან ასევე დაადგინა კერამიკული კეცის მოსახატი საღებავის რეცეპტები, რითაც გაამდიდრა კერამიკული შემღებავი მასალების პალიტრა. კერამიკოსი არ შემოფარგლულა ვიწრო, კონკრეტული თემით. ბრინჯაოსა და რკინის ხანის კერამიკული ნაწარმიდან მოყოლებული, მან იმუშავა იმ პერიოდის საქართველოში ახლად დანერგილი მასალის - ფაიფურ-ფაიანსის მხატვრული შემკობის მეთოდებზედაც. კერამიკული მემკვიდრეობის შესწავლისას ხელოვანი შეეხო ისეთ ტექნიკური ხერხების დამუშავებას, როგორიცაა დაშტამპვის, ჩადრმავებული-გრავირებული, სგრაფიტოს, გაკრიალებისა და სხვა მეთოდებს. გარდა ამისა, დიდი ყურადღება დაუთმო ანგობირების ტექნიკის შესწავლას, იმუშავა ფაიფურ-ფაიანსის როგორც ჭიქურქვედა, ისევე ჭიქურზედამოხატვის ტექნიკებზე და ა.შ. კერამიკოსის ტექნოლოგიური ძიებები აისახა მის შემოქმედებაზე. ძირითადად შესრულებული აქვს მცირე ზომის დეკორატიული ქანდაკებები („გედი“, „მამუნი“, „ვეფხვი“, „მამალი“ 1940-1950-იანი წლები) და დეკორატიული ლარნაკები („საყვავილე ლარნაკი - 1945 წ.“, „საყვავილე ლარნაკი - 1958 წ.“, „ლარნაკი - 1959 წ.“), ასევე ფიალები („ფილა - 1958“, „ფილა - 1959“), ჭინჭილები („ჭინჭილა - 1960“), დოქები („ლიქიორის დოქი - 1958“, „დოქი - 1959“) და სხვა ნიმუშებიც. 1960–იანი წლების პროფესიული კერამიკა განვითარების ახალ გზას დაადგა. 1950–იანი წლების ბოლოს აღდგენილმა შებოლვის ტექნოლოგიამ ფაქტორიკად განსაზღვრა მომავალი ათწლეულის კერამიკული ნაწარმის მხატვრულ–შინაარსობრივი სახე. შესაბამისად, კერამიკოს ნიკოლოზ გომელაურის მიერ ანგობის ტექნოლოგიის მიმართულებით ჩატარებულ კვლევებს, სათანადო დამკვიდრება და განვითარება ვერ მოჰყვა. ისტორიული მასალის – წითელი თიხის – ახალი გამომსახველობითი საშუალებებით გამდიდრება, რაც კერამიკოსის მრავალწლიანი კვლევებითა და პრაქტიკულ – შემოქმედებითი ძიებებით იქნა მიღწეული, უდაოდ გაამრავალფეროვნებდა თანამედროვე კერამიკის მხატვრულ სახეს. ვფიქრობ, მათი სათანადო შესწავლა დღეისთვისაც აქტუალურია.			
20	სოფიო ჩიტორელიძე	მხატვარ სერგო ქობულაძის სახელოსნოში დაცული კერამიკული ნიმუშები	გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი, საქართველოს სახალხო მხატვრის სერგო ქობულაძის დაბადებიდან 110 წლის იუბილესადმი მიძღვნილი 22–23 ოქტომბერი, 2019
მოხსენება სრულად გამოქვეყნდა ჟურნალში „Ars georgica“ სერია B, 2019			
21	მარიანა ოკლეი	სოლიკო ვირსალაძე	თბილისი .

			გ.ჩუბინაშვილის ცენტრი. 22-23 ოქტომბერი, 2019.
მოხსენება ეხება სოლიკო ვირსალაძის შემოქმედებას. მისი ხელოვნების განვითარების ეტაპებს. როლს მსოფლიო სცენოგრაფიის ისტორიაში. მიემდგნა მხატვრის დაბადების 110 წლისთავს.			
22	თამარ ხუნდაძე	„ქალთა გამოსახულებანი შუა საუკუნეების ქართულ ქვის ქანდაკებაში“.	თბილისი- ბაკურციხე წმ. გრიგოლ ფერადის წმ. გრიგოლ ფერადის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი I საერთაშორისო კონფერენცია - „საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია“ 11-13 სექტემბერი, 2019
23	მზია ჯანჯალია, მარიამ დიდებულიძე	თამილა მაგლობლიშვილი და წმინდა მიწის ქართველოლოგიური კვლევები	თბილისი- ბაკურციხე წმ. გრიგოლ ფერადის წმ. გრიგოლ ფერადის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი I საერთაშორისო კონფერენცია - „საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია“ 11-13 სექტემბერი, 2019
მოხსენება ეხება ცნობილი მეცნიერის თამილა მაგლობლიშვილის მნიშვნელოვან ღვაწლს წმინდა მიწის ქართული კულტურული მემკვიდრეობის კვლევასა და წმ. გრიგოლ ფერადის ნაშრომების პოპულარიზაციის საქმეში.			
24	თინათინ ხოშტარია	მე11 საუკუნის სათხის რელიეფი ჯავახეთიდან.	თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, სამეცნიერო კონფერენცია - „ღმრთისმშობლის სახე ქართულ სახვით ხელოვნებაში“. 7 მაისი, 2019
ყოვლად წმინდა ღმრთისმშობლის ხატის იკონოგრაფიული მრავალფეროვნება საზოგადოდ საქრისტიანოში მისდამი აღმატებული თაყვანისცემაა განპირობებული, ქართულ ხელოვნებაში ყოვლად წმინდა ღმრთისმშობლის გამოსახულებანი ადრე შუასაუკუნეებიდანვე იქმნებოდა. მისი განსაკუთრებული ნიმუშები ქვის რელიეფურ სკულპტურაშიც მოიპოვება. ჩვენი დღევანდელი მოხსენებაც სათხის ელესიის ღმრთისმშობლის რელიეფს ეძღვნება. სოფელი სათხე ჯავახეთის ახალქალაქიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით ოციოდე კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. ეკლესია მცირე ზომის დარბაზულ ნაგებობათა ტიპს მიეკუთვნება და ბაგრატ IV -ის დროს, XI საუკუნეში არის აგებული, ფარსმან ერისთავთ-ერისთავის მიერ. (ივანე როსტომაშვილის მიერ სათხის სამხრეთ კედელზე წაკითხული წარწრა გვამცნობს, „ადილენ ღმერთმან ფარსმან ერისთავთ-ერითავი, აეშენა ესე ეკესია სადიდებლად მათდა და მშენებელთა მათთა სამლოცველოდ“ ვასილ ცისკარიშვილი გამოთქვამს აზრს, რომ ფარსმან ერისთავთ-ერისთავი სპეციალური ლიტერატურის თანახმად ბაგრატ IV -ის დროინდელი ფარსმან თმოგველი უნდა იყოს და ამ წარწერის თანახმად იგი აღმშენებელია სათხის ეკლესიისა. სავარაუდოდ 1027 და 1065 წლებს შორის. ტაძრის ექსტერიერი არ გამოირჩევა დეკორატიული გაფორმების სიმდიდრით, თუმცა ყურადღებას სამხრეთი შესასვლელის არქიტრაზზე, დიდი ზომის ბლოკზე გამოსახული რელიეფის უხვი და მრავალფეროვანი ორნამენტები და ფიგურული გამოსახულებები იქცევენ. რელიეფი წარმოადგენს სამხრეთ ფასადის ერთადერთ მხატვრულ და რასაკვირველია, შინაარსობრივ აქცენტს, რომლითაც ხაზი ესმევა ეკლესიის მთვარი შესასვლელის მნიშვნელობას. ხატი მლოცველის კარიბჭიდან ეკლესიის სივრცეში მიუძღვება. ქართულ არიტექტურაში დაწყებული ადრეული ხანიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა			

ეკლესიის შესასვლელის გაფორმებას, რომლის გადაწყვეტა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. კარის თავზე ოდიდგიტრიის ღმრთისმშობლის ხატის განთავსება გვახსენებს ივერიის ღმრთისმშობლის ხატის ისტორიას, როდესაც ათონის მთაზე ხანგრძლივი ძებნის შემდეგ ხატი კარიბჭის თავზე აღმოაჩინეს, ხატი ღმრთისმშობილს იერ გამორჩეულ ადგილზე ბრძანდება, რის გამოც იწოდება “პორტაიტისად“, ანუ „კარიბჭის მცველად“) სათხის უზარმაზარი ხატიც, ხომ ამ დატვირთვისაა, ოდიდგიტრია ღმრთისმშობელი გვევლინება ამ მცირე ტაძრის კარიბჭის მცველად, პატრონად, ლოცვაში ვკითხულობთ: გიხაროდენ ბჭეთა გამღებელო, გიხაროდენ კლიტეო ზეციურო სამეფუეო.

25	დავით ჩიხლაძე	გარეჯის დოდორქის ქვაბოვანი მონასტრის არქიტექტურა	თბილისი ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი საერთაშორისო კონფერენცია „დავით გარეჯი. მრავალდარგობრივი კვლევა და განვითარების სტრატეგია“ 2019, 18-20 აპრილი
----	---------------	--	---

მოხსენება ეხება დოდორქის მონასტრის სტრუქტურას, სხვადასხვა დანიშნულების ქვაბთა ცალკეული კომპლექსების დათარიღებისა და მოწყობის საკითხებს. ბერთა სამართმყოფელობის ადგილობრივი ხუროთმოძღვრული თავისებურებების გამოვლენას და სხვა მონასტრების სამართმყოფელო კომპლექსებთან შედარებით ანალიზს.

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Tamar Khosroshvili	Visualised Imperialism and National Identity	2019, 11-13 აპრილი ლომის უნივერსიტეტი, პოლონეთი, საერთაშორისო კოფერენცია - Colloquia Ceraea

მოხსენებაში განხილულია მ. საბინინის მიერ შექმნილ ხატზე: „საქართველოს ეკლესიის დიდება“, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, საქართველოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის დროს არის შექმნილი. ერთი მხრივ ქართველი წმინდანების გამოსახულებებით შექმნილი ეს სიმბოლური გამოსახულება, რუსეთის იმპერიის იდენტობის მუდმივ შესხენებადაც გვევლინება. სტატიაში, ამ ხატთან ერთად რამდენიმე ამ დროს შესრულებული მოხატულობაც არის განხილული ამ კონტექსტში.

2	Giorgi Papashvili	Images of Remembrance: Gravestones and Photography in late-nineteenth century Southern Georgia	10-13 ოქტომბერი, 2019, ვაშინგტონი Central Eurasian Studies Society, 20th Annual Conference
---	--------------------------	---	---

	მოხსენება ეხებოდა მე-19 საუკუნის მიწურულის საფლავის ქვებსა და ფოტოგრაფიას სამხრეთ საქართველოში, როგორც მეხსიერების ხატებს. ვიზუალური მასალა განხილულ იქნა სოციალური, კონფესიური და ეთნიკური ნიშნით, გამოიკვეთა საფლავის ქვებისა და ფოტოგრაფიის საერთო და სახასიათო კულტურული თავისებურებანი და იკონოგრაფია.		
3	Natalia Chitishvili	Arrangement and Decoration of the Altar Tables in Medieval Georgian Churches: Byzantine Context and Local Traditions	18-19 სექტემბერი, ბერნი, შვეიცარია Forum Medieval Art History
	მოხსენების თემას წარმოადგენდა შუა საუკუნეების ქართული ტრაპეზების მოწყობა და დეკორი. განხილული იყო საქართველოში დღემდე შემორჩენილი შუა საუკუნეების ტრაპეზის ქვები როგორც რელიეფურად შემკული ასევე მოხატული. მასალა განხილული იყო ბიზანტიური და ზოგად ქრისტიანულ კონტექსტში. მოხსენების მეორე ნაწილი დაეთმო დღემდე შემორჩენილ ტრაპეზის კურთხევის წესთა რედაქციებს, მათ სახე-სხვაობებსა და იმას თუ როგორ თანხვედრაშია ტექსტუალური მასალა არქეოლოგიურ მასალასთან. მოხსენების ბოლოს მსმენელები გაეცნენ საქართველოში ტრაპეზის კურთხევის ერთადერთ შემორჩენილ გაოსახულებას, რომელიც ამკობს მეათე საუკუნის ბოლოთი დათარიღებულ ქოროლოს ღმრთისმშობლის ტაძრის დასავლეთი ფასადის კარნიზს.		
4	ეკატერინე გედევანიშვილი	Khakhuli Dome Decoration: Eschatological and Historical Context	18-19 სექტემბერი, ბერნი, შვეიცარია Forum Medieval Art History
5	გიორგი ხოშტარია	ნიკო ფიროსმანაშვილი	20 და 21 სექტემბერი 2019 წ. ქ. არლი. ვინსენტ ვან გოგის ფონდი. ნიკო ფიროსმანაშვილისა და ვინსენტ ვან გოგის გამოფენის ფარგლებში მოწყობილი მათი შემოქმედებისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი
იხ.: https://imedinews.ge/ge/kultura/117073/iaponelma-arqiteqtorma-niko-pirosmans-100-tslis-shemdeg-otsneba-ausrula?fbclid=IwAR2-yHuNkKx3vokRNZroM3GCFLqZhoNtdvbe75KLUDVnSIKf_LoMPYO9eS0			
6	თამარ დადიანი	Identity and Cultural Interaction in the Sculptural Decoration of Oshki	18-19 სექტემბერი, ბერნი, შვეიცარია Forum Medieval Art History



მოხსენება ეძღვნება იდენტობისა და კულტურულ ურთიერთმიმართებათა საკითხებს ოშკის ტაძრის (X ს; ტაო-კლარჯეთი) რელიეფების მაგალითზე. მოხსენებაში ტაძრის რელიეფთა რამდენიმე ჯგუფია გამოყოფილი. უპირველეს ყოვლისა, ესაა სამეფო გამოსახულებები, რომლებიც იკონოგრაფიულად და აზრობრივად მჭიდროდ უკავშირდება ბიზანტიურ საიმპერატორო იდეოლოგიას, თუმცა, ადგილობრივი ისტორიული ვითარებისაგან გამომდინარე, ბევრ უნიკალურ იკონოგრაფიულ ნიშანსაც ატარებს. ამასთანავე, რელიეფების კიდევ ერთი ჯგუფი (სამხრ. სტოას ბურჯი, ცალკეული პატარა კომპოზიციები) პირდაპირ ქართულ ისტორიასთან კავშირში იკითხება და „ქართლის მოქცევაზე“ მრავალრიცხოვან ალიუზიებს გვთავაზობს. მაგ., X საუკუნის „შატბერდის კრებული“ შეიცავს „ქართლის მოქცევის“ ადრეულ რედაქციას, რომელსაც თან ერთვის გადამწერის იოანე ბერას მინაწერიც, რომელიც გვამცნობს, რომ „ქართლის მოქცევის“ ტექსტი დაკარგული ყოფილა და მხოლოდ ეხლა გამოჩენილა. მინაწერის ბუნდოვანი შინაარსის მიუხედავად, კარგად ჩანს ბაგრატიონთა დაინტერესება საქართველოს ისტორიითა და წარსულით, რასაც სამხრ. ბურჯის წახნაგზე წმ. ნინოს რელიეფური გამოსახულების განთავსება მოწმობს. ოშკის რელიეფთა იდენტობის კიდევ ერთი გამოხატულებაა წმ. სვიმეონ მესვეტის გამოსახულება, რომელიც ოშკში ორჯერაა გამეორებული. ამასთანავე, ის გამოხატავს საქართველოს მჭიდრო კავშირებს აღმ. ქრისტიანულ სამონასტრო კერებთან. ოშკის ფასადებზე ცხოველთა მრავალრიცხოვანი გამოსახულებებიცაა შემონახული. იკონოგრაფიულად ფანტასტიკურ არსებათა ფიგურები პარალელს ჰპოვებს აღმოსავლეთ საქრისტიანოსა და ირანის ხელოვნებაში, რომელიც X საუკუნეში ბიზანტიამაც საკმაოდ პოპულარული იყო, საქართველოში კი ხანგრძლივი ტრადიციის გამოვლინებად გვევლინება. ამდენად, ოშკის რელიეფური ანსამბლი კარგად ასახავს, როგორც საქართველოს კულტურულ კავშირებს ბიზანტიასა და აღმოსავლეთთან, ასევე ქართული იდენტობის თემებსაც.

7	ნინო ჭოღოშვილი	თბილისი და ჰალე - მომავალი თანამშრომლობის გზაზე	Jour Fixe ბურგ გიბიხენშტაინი, ხელოვნებისა და დიზაინის უნივერსიტეტი, ჰალე, გერმანია 2019
	მოხსენება წაკითხულ იქნა ჰალეს ხელოვნებისა და დიზაინის უნივერსიტეტში თსსა-ს პროფესორების მივლინების დროს. ღინისძიების სახელწოდება - Jour Fixe; მოხსენების მიზანი იყო თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის წარდგენა ჰალეს ხელოვნებისა და დიზაინის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების, ადმინისტრაციისა და სტუდენტებისთვის. მოხსენება მოიცავდა თსსა-ს ისტორიას დაარსებიდან დღემდე, ინფორმაციას ყველა ფაკულტეტის სასწავლო პროგრამების, სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებების და საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ.		

7. კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაცია-რესტავრაციის და კონსერვაციის მიმართულება

№	დამკვეთი ორგანიზაცია, პროექტის სახელწოდება	შემსრულებელი/შემსრულებლები	განხორციელების დრო და ადგილი
1	ჰააგის კონვენციისა და მისი ორი ოქმის განხორციელება	ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტი	08.2018 - 05.2019

	საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად	მარინე ყენია	
პროექტის მიზანია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე იუნესკოს ჰააგის კონვენციის (1954) და მისი 1999 წლის მეორე ოქმის მე-9 მუხლის (კულტურული ფასეულობების დაცვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე) განხორციელების საკითხის შესწავლა. პროექტის ფარგლებში განხორციელდა ოკუპირებული შიდა ქართლის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების შესახებ ანოტაციების მომზადება და ინგლისურ ენაზე თარგმნა. პროექტი ითვალისწინებს ორენოვანი მონაცემთა ბაზისა და რუკის შედგენას შიდა ქართლის ოკუპირებული ტერიტორიების ძეგლებისათვის. ბრიტანელ მკვლევართან ერთად იგეგმება სამეცნიერო სტატიის მომზადება საქართველოს მაგალითზე ჰააგის კონვენციის განხორციელების შესახებ. პროექტის ფარგლებში ჩემს მიერ შესრულდა ოკუპირებული შიდა ქართლის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების შესახებ ქართულ ენაზე შედგენილი ანოტაციების რედაქტირება და ინგლისურ ენაზე თარგმნა.			
2	მამის მაცხოვრის ეკლესიის მოხატულობის წინასაპროექტო შეფასება და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა	შპს "ცხრაკარა" მარინე ყენია	05-08.2019 სოფ. მამი, ქ. თბილისი
პროექტის ფარგლებში ჩემს მიერ შესრულებულ იქნა მამის მაცხოვრის ეკლესიის არქიტექტურისა და მხატვრობის სახელოვნებათმცოდნეო კვლევა.			
3	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო პროექტი „საქართველოში პოლონური კულტურული მემკვიდრეობის კომპლექსური მულტიდისციპლინარული კვლევისა და ინვენტარიზაციის პროგრამის პირველი ეტაპი: პოლონელ არქიტექტორთა და ინჟინერთა მიერ დაპროექტებული შენობების, პოლონელთა კუთვნილი ან მათ ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული შენობებისა და სხვა ობიექტების ინვენტარიზაცია“	დავით ხოშტარია გიორგი პატაშური ნატალია ჩიტიშვილი გიორგი ჭანიშვილი ნათია ნაცვლიშვილი მანონ ლილუაშვილი	თბილისი, ქუთაისი, გელათი, ბათუმი, ლაგოდეხი, დუშეთი, გარიყულა, თეთრიწყარო, სხვილისი, კარტიკამი, ვარევანი, ხიზაბავრა, კარწახი, მანგლისი ივლისი-დეკემბერი, 2019
 ქართულ-პოლონური ურთიერთობები რამდენიმე ასწლეულს ითვლის, თუმცა ისინი განსაკუთრებით აქტიური გახდა XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ მეოთხედში, როცა საქართველოში ნებით თუ იძულებით მრავლად ჩამოსახლდნენ პოლონელები. მათ მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს საქართველოს საზოგადოებრივ, კულტურულ, რელიგიურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. პოლონელი არქიტექტორების, ინჟინრების, მხატვრების, ექიმების, ფარმაცევტების, აგრონომების, სამხედროების, იურისტების, პედაგოგების, ჟურნალისტების, სასულიერო პირების, მეწარმეების და სხვათა მოღვაწეობა საქართველოს ახალი ისტორიის მნიშვნელოვანი			

ნაწილია. საქართველოში ყოველთვის იყო ინტერესი პოლონური მემკვიდრეობის მიმართ, თუმცა მისი აღნუსხვისა და კვლევის თვალსაზრისით ბოლო დრომდე მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადადგმულა. 2018 წლის აგვისტო-დეკემბერში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ განახორციელა პროექტი, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა წინასწარი სამუშაო - საარქივო და ბიბლიოგრაფიული კვლევა და სხვა სამუშაოები (პროექტში მონაწილეობდნენ დავით ხოშტარია, გია ჭანიშვილი, ნათია ნაცვლიშვილი, გიორგი პატაშური, ნატალია ჩიტიშვილი).

პოლონური კულტურული მემკვიდრეობის კომპლექსური მულტიდისციპლინარული კვლევისა და ინვენტარიზაციის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე 2019 წლის ამ პროექტის მიზანს წარმოადგენდა: პოლონელ არქიტექტორთა და ინჟინერთა მიერ (ან მათი მონაწილეობით) დაპროექტებულ და აგებულ შენობებს და საინჟინრო ნაგებობებს (მათ შორის ამჟამად აღარარსებულ შენობებსაც), პოლონელთა კუთვნილი ან მათ ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული შენობების და სხვა ობიექტების (მათ შორის ამჟამად აღარარსებულ შენობებსა და ობიექტებსაც) აღნუსხვა, ფოტოფიქსაცია, ინვენტარიზაცია და ძირითადი საკითხების კვლევა.

4	თბილისის მერია ვაკის პარკის რეაბილიტაციის წინასაპროექტო კვლევა, ფუნქციური ზონირებისა და დენდროლოგიის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა	დავით ხოშტარია, ნათია ნაცვლიშვილი, ქეთევან ყავალაშვილი, ნინო მჟავანაძე, Chris Blandford Associates (CBA) (გაერთიანებული სამეფო), ჯეოლენდი, თბილისის ბოტანიკური ბაღი	თბილისი, აგვისტო-დეკემბერი, 2019
---	--	--	-------------------------------------



